

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

კულტურის კვლევების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

სადოქტორო პროგრამა: კულტურის კვლევები

თამარ ნამგლამე

იდენტობის პოლიტიკა საბჭოთა საბავშვო მხატვრულ ლიტერატურაში
(1938-1964)

კულტურის კვლევების დოქტორის აკადემიური ხარისხის (PhD) მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ჩიქოვანი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
სრული პროფესორი

თბილისი

2024

აბსტრაქტი

იდენტობის პოლიტიკის შესწავლა ზოგადად მნიშვნელოვანი და საყურადღებო საკითხია. ის განსაკუთრებულ აქტუალურობას იძენს, როდესაც საქმე ეხება იდენტობის მიზანმიმართულ ჩამოყალიბებას გარკვეული იდეოლოგიების ზეგავლენით. საბჭოთა კავშირის იდენტობის პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზრუნავი თვისობრივად ახალი ადამიანის ჩამოყალიბება იყო. ამ კუთხით ზემოქმედებისთვის განსაკუთრებულ სამიზნე ჯგუფს ბავშვები წარმოადგენენ. შესაბამისად, შემუშავებული უნდა ყოფილიყო ამ კონკრეტულ ჯგუფზე ზეგავლენისა და იდენტობის ფორმირების ეფექტური მეთოდები. ამ მხრივ საინტერესოა საბჭოთა კავშირის მიერ გატარებული იდენტობის პოლიტიკის შესწავლა საბავშვო მხატვრული ნაწარმოებების საფუძველზე. გასათვალისწინებელია, რომ საბჭოთა კავშირი შედგებოდა ერთმანეთისგან განსხვავებული კულტურებისგან. ამ შემთხვევაში, საბჭოთა იდენტობის ჩამოყალიბების პროცესი კონკრეტული კულტურის ფასეულობებთან ურთიერთქმედებას განიცდიდა. კვლევის მიზანია, ასახოს საბჭოთა ადამიანის იდენტობის ჩამოყალიბების მცდელობა ქართული და რუსული საბავშვო მხატვრული ნაწარმოებების საშუალებით. ზემოთ დასახელებული მიზნიდან გამომდინარე მოცემულ კვლევაში შედარებულია საბჭოთა პერიოდის რუსული და ქართული კულტურები (ცენტრი-პერიფერიის კონტექსტში). საკვლევი პერიოდი მოიცავს 1938 – 1964 წლებს. საკვლევ ერთეულად აღებულია საბჭოთა საბავშვო ლიტერატურა, რადგან მომავალი თაობისთვის კონკრეტული ხატების მიწოდება იდენტობის ჩამოყალიბების პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია. გაანალიზებულია შემდეგი ნაწარმოებები: ლაზარ ლაგინის „მოხუცი ხოტაბიჩი“ (1938), არკადი გაიდარის „ჩუკი და გეკი“ (1939), არკადი გაიდარის „თემური და მისი რაზმი“ (1940), ვალენტინა ოსეევას „ვასიოკ ტრუბაჩოვი და მისი ამხანაგები“ (1947-1951), ანატოლი რიბაკოვის, „დაშნა“ (1948), ნინო ნაკაშიძის „მოწაფის დღიური“ „კორეელი გმირები“, „მორანბონის მთაზე“ (1954), ანასტასია პერფილიევას „დარტანიანის დაშნა“ (1955), ანატოლი რიბაკოვის „ბრინჯაოს ფრინველი“ (1956), ედიშერ ყიფიანის „ათფურცლიანი რვეულები“ (1956),

ლადო მრელაშვილის „იყალბოელი ბიჭები“ (1957), ოტია იოსელიანის „უთაური ბიჭის კახას თავგადასავალი“ (1960), ალექსანდრე ჩხაიძის „როცა მთავრდება ბავშვობა“ (1962), იური ტომინის „ბორკა, მე და უჩინმაჩინი“ (1962), პაველ კატაევის „ხუთი რობინზონი“ (1963) იური ტომინის „ჯადოქარი დადის ქალაქში“ (1963)

კვლევის თეორიულ ჩარჩოს წარმოადგენს სტრუქტურალიზმი, ხოლო მეთოდს - თვისებრივი კონტენტ ანალიზი, რაც იძლევა შინაარსის სისტემური ანალიზის საშუალებას კონკრეტული საკითხის, თემის, მახასიათებლის მიხედვით. თვისებრივი კონტენტ ანალიზი შედგება ანალიზის სხვადასხვა მეთოდისგან, რომელთაგან მოცემულ კვლევაში გამოყენებულია:

1. დისკურსული ანალიზი: ამ მეთოდის საშუალებით გაანალიზებულია, თუ როგორ აისახება და გამოიხატება ტექსტში სოციალური რეალობა.

2. შედარებითი ანალიზი: მეთოდი, რომლის მეშვეობითაც გაანალიზებულია სხვადასხვა ნაწარმოებში არსებული ერთი და იგივე მახასიათებელი, ასევე შედარებულია ქართული და რუსული წყაროები.

კვლევის აქტუალურობას განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ მომავალი თაობის იდენტობის ჩამოყალიბება ყოველი საზოგადოებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხია.

Abstract

Research of identity politics is an important topic. Meaning of such research increases when identity politics is controlled by specific ideologies – Soviet ideology in this case. Identity politics of Soviet Union was aimed on forming and shaping a new type of person. To shape the identity of future generation(s), children were the most important group for manipulations. Literature was one of the effective ways of such influence, therefore, the information given to a child was carefully controlled, defined and manipulated by ideology.

Soviet Union encompassed different cultures, as a consequence, the process of forming Soviet identity was interconnected with values of every culture it affected. Therefore, the aim of the research is to depict the process of forming and shaping the identity of a Soviet person by analyzing Soviet Georgian and Soviet Russian fiction literature for children. We used structuralism as a theoretical framework. The study uses qualitative content analysis, which allows to make systematic analysis of the narrative regarding certain topic, theme, and marker. Qualitative content analysis consists of different methods of analyses. In our study we used two of them:

1. Discourse analysis: this method allows to analyze how is social reality depicted and represented in the narrative.
2. comparative analysis: this method is used to analyze same marker in different narratives, also it let us compare and analyze Georgian and Russian sources.

For better representation of the topic, in the research Soviet Russian and Georgian cultures are compared (Centre-periphery context) by analyzing children's literature. The literature, analyzed in the research covers the time period from 1938 – 1964. It includes: Lazar Lagin "The Old Genie Hottabych" (1938), Arkady Gaidar "Chuk and Gek" (1939) Arkady Gaidar "Timur and his squad" (1940), Valentina Oseeva "Vasyok Trubachev and his Comrades" (1947-1951), Anatoly Rybakov "The Dirk" (1948), Nino Nakashidze "The Diary of a Pupil" "Korean Heroes", „On the Moranbong hill" (1954), Anastasia Perfilieva „The sword of D'artagnan" (1955) Anatoly Rybakov "The Bronze Bird" (1956), Edisher Kifiani "Ten-sheet Notebooks" (1956), Lado Mrelashvili, "The Boys from Ikalto" (1957), Otia Ioseliani "The Adventure of Kakha" (1960),

Alexander Chkaidze “When Childhood Ends” (1962), Yuri Tomin “Borka, I and the Invisible” (1963), Pavel Kataev “Five Robinsons” (1963) Yuri Tomin “A magician walked through the city” (“Wizard walked through the city”) (1963)

The importance of the study is defined by the essence of identity politics – forming and shaping identity is a crucial part of any society.

შინაარსი

შესავალი	1
თავი 1. ისტორიული კონტექსტი და ახალი იდენტობის ფორმირების პრობლემა.....	21
1.1. ისტორიული კონტექსტი	21
1.2. იდენტობის კონსტრუირება საბავშვო მხატვრულ ლიტერატურაში.....	23
თავი 2. პიონერი.....	32
თავი 3. კომკავშირელი	58
თავი 4. კრება (კოლექტივი)	81
თავი 5. „ჩვენ“ და „სხვა“ ჯგუფები	88
თავი 6. მტრის ხატი.....	108
თავი 7. კულტურული გმირი. ომის საკრალიზაცია	135
თავი 8. შრომა	158
თავი 9. წარსული	164
დასკვნა	177
გამოყენებული ლიტერატურა.....	195

შესავალი

საბჭოთა კავშირის არსებობის მანძილზე ჩამოყალიბდა საბჭოთა საბავშვო მხატვრული ლიტერატურა, როგორც გარკვეული სახის ტექსტების კორპუსი. ამ ლიტერატურას, გარდა თავისი მხატვრული „დანიშნულებისა“, ჰქონდა სხვა მიზანიც - თვისობრივად ახალი საბჭოთა ადამიანის იდენტობის ფორმირება, რაც საბჭოთა კავშირის იდენტობის პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი საზრუნავი იყო. თავად ტერმინი იდენტობა აღნიშნავს საგნისა თუ მოვლენის რაობას, არსს. არსებობს გენდერული, ნაციონალური, რელიგიური, კულტურული და ა.შ. იდენტობები. ენტონი. დ. სმითი გამოკვეთს ნაციონალური იდენტობის მსაზღვრელებს (მარკერებს): ისტორიული ტერიტორია (სამშობლო), საერთო მითები და ისტორიული მეხსიერება, საერთო საზოგადოებრივი მასკულტურა, ყველა წევრისთვის საერთო სამართლებრივი უფლება-მოვალეობანი, საერთო ეკონომიკა. სმითის მიხედვით ნაციონალური იდენტობა შეიძლება მოერგოს კოლექტიური იდენტობის სხვა სახეობებს (კლასობრივ, ეთნიკურ, რელიგიურ იდენტობებთან კომბინირება), ასევე, ნაციონალიზმმა, როგორც იდეოლოგიამ, შეიძლება განიცადოს სახეცვლილებები, როდესაც ის სხვა იდეოლოგიებს (ლიბერალიზმს, ფაშიზმს, კომუნიზმს) ეხამება. (სმითი 2008:17). რაც შეეხება კულტურულ იდენტობას, ის არცთუ იშვიათად ხდება პოლიტიკური მანიპულაციების საგანი. ხშირია მასზე ზემოქმედების მცდელობები პოლიტიკური ელიტების მხრიდან.

საბჭოთა იდეოლოგიას უნდა ჩამოეყალიბებინა თვისებრივად ახალი საბჭოთა ადამიანი, რომელიც იდენტიფიკაციას მოახდენდა არა კონკრეტულ ნაციასთან, არამედ საბჭოთა კავშირთან. ამ გზით მოხდებოდა ახალი საბჭოთა ერთობის, ბ. ანდერსონის ტერმინი რომ გამოვიყენოთ - ახალი „წარმოსახვითი საზოგადოების“ ფორმირება. გასათვალისწინებელია, რომ ბ. ანდერსონი აღნიშნულ ტერმინს ერის ცნების განსაზღვრისთვის იყენებს: *“ეს არის წარმოსახვითი პოლიტიკური საზოგადოება და ის წარმოსახება როგორც მისთვის თანმხლები საზღვრებით, ისე სუვერენულობით“* (ანდერსონი 2003:21). ერი წარმოსახვითია, რადგან ვერცერთი, ყველაზე პატარა,

მცირერიცხოვანი ერის წევრებიც კი ვერ გაიცნობენ ამ ერის ყველა წევრს, მაგრამ თითოეულის გონებაში არსებობს გარკვეული ერთობის ხატი.

მსგავსი წარმოსახვითი ერთობა უნდა შეექმნა საბჭოთა კავშირის მოსახლეობას. შესაბამისად, უნდა ჩამოყალიბებულიყო ამ კონკრეტული ერთობისადმი მიკუთვნებულობის განცდა. სწორედ ეს იყო მიზანი - ერთიანი საბჭოთა იდენტობის ფორმირება.

ამ კუთხით, განსაკუთრებულ სამიზნე ჯგუფს ბავშვები წარმოადგენენ, რადგანაც იდენტობის ჩამოყალიბება სწორედ მომავალ თაობაზე მიმართული პროცესია. შესაბამისად, უნდა შემუშავებულიყო ამ კონკრეტულ ჯგუფზე ზეგავლენისა და იდენტობის ფორმირების ეფექტიანი მეთოდები. ზეგავლენის ერთ-ერთ ასეთ საშუალებას საბავშვო მხატვრული ნაწარმოებები წარმოადგენდა. ის, თუ რა ხარისხით და ინტენსიურობით იქნებოდა ასახული საბჭოთა ცხოვრება, საბჭოთა მოქალაქეები და საბჭოთა ღირებულებები საბავშვო მხატვრულ ნაწარმოებში, დამოკიდებული იყო ნაწარმოების შინაარსსა და ავტორის მწერლურ უნარებზე. მაგალითად, „თემური და მისი რაზმი“ (ა. გაიდარი) მთლიანად საომარ მდგომარეობას, პიონერებსა და საბჭოთა ღირებულებებს შეეხება, ამავე ავტორის „ჩუკი და გეკი“ კი საბჭოთა რეალობას აღწერს იმდენად, რამდენადაც ბიჭები ცხოვრობენ საბჭოთა კავშირში, თუმცა გარკვეული ღირებულებებისა და სიტუაციების გამიზნულად ხაზგასმა მხოლოდ რამდენჯერმე იკვეთება.

გარდა იმისა, რომ ნაწარმოებები თავიდანვე მოიაზრებდა და გადმოსცემდა იდეოლოგიურ სპეციფიკას, არცთუ იშვიათად ის რედაქტირებას ემორჩილებოდა. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ნაწარმოებების ორიგინალისა და მათი რედაქტირებული ტექსტების შედარება.

კვლევის დიზაინი, მეთოდოლოგია და სტრუქტურა

არსებული კვლევა მოიცავს 1938-1964 წლებს, ანუ მეორე მსოფლიო ომის დასაწყისიდან ნ. ხრუშჩოვის ეპოქის დასასრულამდე. აღნიშნული პერიოდის არჩევას შემდეგი საფუძველი ჰქონდა: 1. მეორე მსოფლიო ომის წინა წლები და ომის დასაწყისი მნიშვნელოვანი ტეხილია საბჭოთა იდენტობის ფორმირების პროცესში. ომისა და გვიანი

სტალინიზმის პერიოდში შეიქმნა საბჭოთა ადამიანის იდენტობის ძირითადი ბირთვი, რომელმაც მიმართულება მისცა საბჭოთა ადამიანის ჩამოყალიბებას; 2. ხრუშჩოვის „დათბობამ“, ერთი მხრივ, განაგრძო და განამტკიცა ეს პროცესი, მეორე მხრივ კი ზოგი ცვლილება შეიტანა მასში. ამის შემდეგ დგება ბრეჟნევის „განვითარებული სოციალიზმის“ ანდა „უძრაობის“ ეპოქა, ახალი სპეციფიკითა და თავისებურებებით. ეს პერიოდი მოცემული კვლევის ფარგლებში აღარ შედის.

კვლევაში გაანალიზებულია ამ პერიოდში შექმნილი რუსული და ქართული საბავშვო მხატვრული ნაწარმოებები, ცენტრი-პერიფერიის კონტექსტში. ხაზგასმულია როგორც ორივესთვის საერთო მახასიათებლები, ისე განსხვავებები მახასიათებლების გააზრებაში (კონკრეტულად, ქართულ ან რუსულ ნაწარმოებში წარმოდგენილი დამოკიდებულება იდენტობის მსაზღვრელებისადმი).

ნაწარმოებები შერჩევის ძირითად კრიტერიუმს წარმოადგენდა, თუ რამდენად ცნობილი/პოპულარული იყო ისინი საკვლევ პერიოდში, რამდენად ძლიერი გავლენა იქონია ბავშვებზე ორიენტირებულ მასკულტურაზე (მაგალითად, კვლევაში განხილული ზოგიერთი ნაწარმოები ფილმის სახითაც არსებობს). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კვლევაში შესული ქართული ნაწარმოებები ყოველთვის ვერ აღწევს გავლენის იმ დონეს (საბჭოთა კავშირის მასშტაბით), როგორც რუსულენოვანი (მაგალითად, ა. გაიდარის „თემური და მისი რაზმის“ ზეგავლენით შეიქმნა თემურელების მოძრაობა, რომელიც, აქტიურობის ფორმებით, პიონერულ ორგანიზაციასაც კი უწევდა მეტოქეობას). ამ შემთხვევაში, შერჩევა განპირობებულია ნაწარმოების/მწერლის მნიშვნელობით ქართულ ლიტერატურაში.

ასევე გასათვალისწინებელია, რომ ნაწარმოებები შერჩეულია ქრონოლოგიური პრინციპით, მათი შედარება არ გულისხმობს ერთსა და იმავე წელს გამოსული ქართული და რუსული წიგნების ერთმანეთთან შედარებას, რადგან ერთსა და იმავე წელს ორივე ენაზე კვლევისთვის საინტერესო წიგნის გამოცემა არ არის კანონზომიერება და კვლევა მას ვერ დაეყრდნობა. შედარების საფუძველი საკვლევ მასალის სპეციფიკაა.

საკვლევი პრობლემის აქტუალურობა. ამ სახის კვლევა აქტუალურია იმდენად, რამდენადაც მომავალი თაობის იდენტობის ჩამოყალიბება და მისთვის კონკრეტული

ღირებულებების მიწოდება/ჩანერგვა განსაკუთრებული დატვირთვის მქონეა ყოველი საზოგადოებისა თუ სახელმწიფოსთვის; ამდენად, მნიშვნელოვანია ამ მიზნით უკვე შექმნილი და გამოყენებული საშუალებების გაანალიზება. იდენტობის ფორმირების პროცესის გააზრების გარეშე შეუძლებელია საბჭოთა პერიოდის ისტორიის, საბჭოთა კულტურის განვითარების თავისებურებათა, აგრეთვე საბჭოთა იდეოლოგიის ძლიერი და სუსტი მხარეებისა და მათზე ადგილობრივი სპეციფიკის გავლენის სრულყოფილად შესწავლა.

კვლევის მიზანი და ამოცანები: კვლევის მიზანია ასახოს საბჭოთა ადამიანის იდენტობის ჩამოყალიბების მცდელობა ქართული და რუსული საბავშვო მხატვრული ნაწარმოებების საშუალებით.

კვლევის ამოცანებია: გამოკვეთოს იდენტობის ის მსაზღვრელები, რომლებზეც ხდება ზემოქმედება; ასახოს ცვლილებები, რომლებიც აღნიშნულმა მსაზღვრელებმა განიცადა განსაზღვრული პერიოდის (1938-1964) განმავლობაში; არსებობის შემთხვევაში, გამოკვეთოს მსაზღვრელებთან დაკავშირებული მსგავსებები და განსხვავებები ქართულ და რუსულ საბჭოთა საბავშვო მხატვრულ ნაწარმოებებში.

საკვლევი კითხვები:

1. იდენტობის რომელი მსაზღვრელების/მახასიათებლების ჩამოყალიბებისაკენ იყო მიმართული ნაწარმოებები?
2. რა სახის ცვლილებები განიცადა აღნიშნულმა მსაზღვრელებმა/მახასიათებლებმა 1938–1964 წლების განმავლობაში?
3. ვლინდება თუ არა სხვაობა ქართულ და რუსულ ნაწარმოებებში იდენტობის მახასიათებლებზე ზემოქმედების კუთხით?

კვლევითი ჰიპოთეზა. ჩვენი ვარაუდით, საბჭოთა ადამიანის იდენტობის ფორმირებისთვის ზემოქმედება ხდებოდა იდენტობის უკვე არსებულ მსაზღვრელებზე, რომლებიც იცვლებოდა იდეოლოგიური თვალსაზრისით.

სავარაუდოა სხვაობა ქართულ და რუსულ საბჭოთა საბავშვო ნაწარმოებებს შორის იდენტობის მახასიათებლებზე ზემოქმედების კუთხით, რასაც თავად ამ ორ კულტურას შორის არსებული განსხვავებები განაპირობებს.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევისას გამოყენებულია თვისებრივი კონტენტ ანალიზი, რაც იძლევა შინაარსის სისტემური ანალიზის საშუალებას კონკრეტული საკითხის, თემის, მახასიათებლის მიხედვით. თვისებრივი კონტენტ ანალიზი შედგება ანალიზის სხვადასხვა მეთოდისგან, რომელთაგან მოცემულ კვლევაში გამოყენებულია:

1. დისკურსული ანალიზი: ამ მეთოდის საშუალებით გაანალიზებულია, თუ როგორ აისახება და გამოიხატება ტექსტში სოციალური რეალობა.

2. შედარებითი ანალიზი: მეთოდი, რომლის მეშვეობითაც გაანალიზებულია სხვადასხვა ნაწარმოებში არსებული ერთი და იგივე მახასიათებელი, ასევე შედარებულია ქართული და რუსული წყაროები.

მტრის ხატის, სანიმუშო პიონერის ხატისა და სხვა ხატების ჩამოყალიბებაზე მსჯელობის დროს ვიყენებთ ტერმინს - სახე, როგორც კონკრეტულ ნაწარმოებში მოცემული მახასიათებლის/მსაზღვრელის აღმნიშვნელს. ამ გამოვლენილი სახეების ერთობლიობა აყალიბებს გარკვეულ ხატს.

თეორიული ჩარჩო

თეორიულ ჩარჩოს წარმოადგენს სტრუქტურალისტური მიდგომა. ტექსტის სტრუქტურული ანალიზი საშუალებას იძლევა, განისაზღვროს მისი შემადგენელი ნაწილები (შინაარსის მომცველი მონაკვეთები) და დაყვანილ იქნას კვლევისთვის აუცილებელ სტრუქტურულ ელემენტებამდე (იდეოლოგიური მონაკვეთები). ამის შემდეგ შესაძლებელი გახდა სტრუქტურული ელემენტებიდან საკვლევი ერთეულების (იდენტობის მახასიათებლების/ მსაზღვრელების) გამოკვეთა.

რაც შეეხება ლიტერატურისადმი სტრუქტურალისტურ მიდგომას, ჯ. დ. ქულერის მიხედვით, სტრუქტურალისტებს მხატვრული ლიტერატურიდან ყველაზე მეტად რომანის კვლევა აინტერესებდათ, რადგან რომანი თავის თავში მოიცავს საზოგადოების

მოდელს. ამ გზით შესაძლებელი ხდება სემიოტიკური პროცესის ფართო ხედვა: ნიშნების წარმოქმნა და ორგანიზაცია არა მხოლოდ მნიშვნელობის შესაქმნელად, არამედ მნიშვნელობით დატვირთული ადამიანების სამყაროს შექმნა. სიტყვები იმგვარად უნდა იყოს გამოყენებული, რომ კითხვისას წარმოიშვას სოციალური სამყაროს მოდელი, პროვინების (ინდივიდის) მოდელი, ინდივიდისა და სოციუმის ურთიერთდამოკიდებულება; და რაც მთავარია, უნდა გამოიხატოს სამყაროს ამ ასპექტების მნიშვნელობები (Culler 2004:221).

სტრუქტურალისტური მიდგომის ფარგლებში, მოცემულ კვლევაში გაანალიზებული საბავშვო მხატვრული ნაწარმოებები ერთმანეთისგან განსხვავდება სტრუქტურული ელემენტების (იდეოლოგიური მონაკვეთების) რაოდენობითა და ზემოქმედების ინტენსივობით; თუკი ზოგიერთ ნაწარმოებში ამ სახის მხოლოდ მცირე ჩანართი ან ჩანართებია, სხვაგან იდეოლოგიური სახის ტექსტური მონაკვეთები ნაწარმოების ძირითადი შინაარსისგან დამოუკიდებელ, პარალელურ ხაზს ავითარებენ.

სტრუქტურული ელემენტების (იდეოლოგიური მონაკვეთების) ორგანიზების კუთხით, სამი ძირითადი ტიპი გამოიყოფა. ნაწარმოების ეს მონაკვეთები განსხვავდებიან უშუალოდ ნაწარმოების შინაარსში ჩართულობის მხრივ: 1) იდეოლოგიური ტექსტი გვხვდება ჩანართების სახით: „ჩუკი და გეკი“ (1939), „დ'არტანიანის დაშნა“ (1955). 2) იდეოლოგიური, მკითხველზე ზეგავლენის მომხდენი ტექსტები თავად წარმოადგენს შინაარსს, გამოხატავს პერსონაჟის ხასიათს ან მოქმედების აზრობრივ გაგრძელებას: „თემური და მისი რაზმი“ (1941), „ვასიოკ ტრუბაჩოვი და მისი ამხანაგები“ (1947-1951), ტრილოგიის მეორე წიგნი. 3) ზემოქმედებაზე მიმართული ტექსტი ნაწარმოების სიუჟეტიდან პირდაპირ არ გამომდინარეობს, იკვეთება ერთგვარი პარალელური ხაზი, რომელიც უშუალოდ შინაარსის განვითარებას ნაკლებად ან სულაც არ ემსახურება: „დაშნა“ (1948), „ბრინჯაოს ფრინველი“ (1956).

პირველი ტიპი, როდესაც იდეოლოგიური ტექსტი გვხვდება ჩანართების სახით, ავტორისთვის ყველაზე მოქნილად შეიძლება მივიჩნიოთ. ამგვარი ჩანართების

საშუალებით შესაძლებელია როგორც სერიოზული იდეოლოგიური ზეგავლენის მქონე მონაკვეთების შექმნა, ისე მცირე, სავალდებულო ჩანართით შემოფარგვლა.

მეორე ტიპი ყველაზე მკვეთრი და სწორხაზოვანია, რადგან საკუთრივ შინაარსი მოიცავს იდეოლოგიურ ზეგავლენას. თუმცა, ამ შემთხვევაში, სირთულეს წარმოადგენს სტრუქტურული ელემენტის (იდეოლოგიური მონაკვეთის) და შემადგენელი ნაწილების (შინაარსის მომცველი მონაკვეთის) ერთმანეთისგან განცალკევება, რადგან ერთი მეორეს გადაფარავს.

რაც შეეხება მესამე ტიპს, როდესაც იკვეთება ნაწარმოების ძირითადი შინაარსიდან დამოუკიდებელი პარალელური ხაზი, ამ დროს სტრუქტურული მონაკვეთები და ნაწარმოების (შინაარსობრივი) შემადგენელი ნაწილები იმთავითვე განცალკევებულია ერთმანეთისგან. თავად ამ პარალელური ხაზის ინტენსიურობა ავტორის მიზანზეა დამოკიდებული.

სწორედ ამ სტრუქტურული ელემენტებიდან იკვეთება საკვლევი ერთეულები. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, საკვლევ ერთეულად შერჩეულია იდენტობის მსაზღვრელები/მახასიათებლები. საკუთრივ მახასიათებლებს წარმოადგენს კონკრეტული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი არაცნობიერი თვისებების ერთობლიობა, რომლებიც დაკავშირებულია კოლექტიური ფსიქიკის ცნებასთან. ეს თვისებები გამოიხატება ამ საზოგადოების თითოეული წევრის აზროვნებასა და ქცევაში.

კვლევის შედეგების პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობა

კვლევის შედეგები შეიძლება საინტერესო იყოს როგორც იდენტობის კვლევების სფეროში მოღვაწე სპეციალისტებისათვის, ასევე კულტურის მკვლევრების, ისტორიკოსების, განათლების სფეროს წარმომადგენლებისათვის. კულტურის მკვლევრებს ის დაეხმარება იდენტობის ფორმირების პროცესში ადრეული სოციალიზაციის საფეხურის მნიშვნელობის, ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში მხატვრულ ლიტერატურასა და, ზოგადად, შემოქმედებით სფეროზე სახელმწიფოს ზეგავლენის, საბჭოთა კულტურის ფორმირებისა და განვითარების თავისებურებების უკეთ გააზრებაში; ისტორიკოსებს - მთლიანად საბჭოთა ეპოქისა და, კერძოდ, საბჭოთა საქართველოს ისტორიის შესწავლაში;

განათლების სფეროში მომუშავე ადამიანებისათვის კი, ალბათ საინტერესო იქნება საბჭოთა განათლების სისტემაში მხატვრული ტექსტების გამოყენებით მიღწეული შედეგებისა და წარუმატებლობების ანალიზის, აგრეთვე სწავლების პროცესში გამოყენებულ, იდენტობის ფორმირებისაკენ მიმართულ სხვა საშუალებებთან მათი მიმართების კუთხით.

ლიტერატურის მიმოხილვა

ა) სამეცნიერო ლიტერატურა

კვლევის მეთოდოლოგიის განსაზღვრაში დაგვეხმარა “Content Analysis. An introduction to its methodology” (K.Krippendorff 2004). თეორიული ჩარჩოს შემუშავებისთვის მნიშვნელოვანი იყო “Structural anthropology” (C. Levi-Strauss 1963), „Structuralist poetics Structuralism, linguistics and the study of literature“ (J. Culler 2004), კულტურული მეხსიერების, კოლექტიური მეხსიერებისა და წარსულის კვლევის კუთხით გამოვიყენეთ “The Uses and Abuses of history“ (M. MacMillan 2008), „Time Maps: Collective memory and social shape of the past“ (E. Zerubavel 2003), „Memory in Culture“ (A. Erll 2011); “On Collective Memory” (M.Halbwachs.1992); “Realms of Memory. The Construction of the French Past” (Under the direction of P. Nora, 1996); იდენტობის ფორმირებასთან და იდენტობის მახასიათებლებთან დაკავშირებით: „წარმოსახვითი საზოგადოებანი” (ბ.ანდერსონი 2003) „ნაციონალური იდენტობა” (ე.დ. სმითი 2008), „კულტურები და ორგანიზაციები. გონების პროგრამული უზრუნველყოფა” (გ.ჰოფსტედე, გ.ი. ჰოფსტედე 2011), „მწერლობის მოთვინიერება“ (ა. ბაქრაძე 1990), “Enemy images in war propaganda” (ed. M. Vuorinen 2012), “Religion and Identity in Russia and the Soviet Union”(ed. Nikolaos Chrissidis et al. 2011) „Воспитание словом“ (С. Маршак 1990). ამ ლიტერატურიდან ზოგიერთი შესაძლოა კონკრეტულად იდენტობის ფორმირებას არ ეხებოდეს, მაგრამ შეიცავს მოცემული კვლევისთვის საინტერესო ინფორმაციას.

ლიტერატურის ისტორიისადმი მიძღვნილი ნაშრომებიდან ჩვენთვის საინტერესო იყო: „ნარკვევები ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიიდან“ (ა. ღვინიაშვილი

1972), „სოციალისტური რეალიზმის თეორიული ისტორია (ქართული ლიტერატურის მაგალითზე)“ (ნ. გაფრინდაშვილი, მ. მირესაშვილი, ნ. წერეთელი 2010).

ისტორიული კონტექსტის რეკონსტრუქციისათვის ვეყრდნობოდით: The Literature of Georgia (A History) (D. Rayfield 2000), The Cambridge History of Russia (ed. R.G. Suny 2006), Поздний Сталинизм (E. A. Добренко 2020).

ბ) წყაროები

კვლევის პროცესში ჩვენთვის წყაროებს წარმოადგენდა შემდეგი საბჭოთა საბავშვო მხატვრული ნაწარმოებები:

ლაზარ ლაგინის „მოხუცი ხოტაბიჩი“ (1938). ნაწარმოების სამი რედაქცია არსებობს: 1938 (ცალკე წიგნად დაიბეჭდა 1940 წელს), 1951 (მოიპოვება 1953 წლის გამოცემა) და 1955 (1958 წლის გამოცემა). ის, თუ ვის მიერაა რედაქტირებული და გავრცობილი ნაწარმოები, თავად ავტორის თუ ცენზურის მიერ, საკამათოა და არ შედის ჩვენს საკვლევ საკითხებში.

მოცემული კვლევის ფარგლებში განხილულია ნაწარმოების სამივე რედაქცია რუსულ ენაზე, ხოლო ქართული თარგმანის ტექსტი (გამოცემულია 1958 წელს) შეიცავს მონაკვეთებს როგორც 1940 წლის, ისე 1953 წლის რუსული გამოცემებიდან (მაგალითად, თავი „რატომ გადაიკეთა გვარი ს.ს. პივორაკმა“ არის 1938 წლის რედაქციაში, შესაბამისად 1940 წლის გამოცემაში, თუმცა არ არის 1951 წლის რედაქციაში, ანუ 1953 წლის გამოცემაში. ხოლო ქართულ თარგმანში აღნიშნული თავი გვხვდება. ამავდროულად, ნახსენებია დე გასპერი, რომელიც არც 1940 წლის გამოცემაში, არც 1958 წლის გამოცემაში (1955 წლის რედაქცია) გვხვდება. გარკვეული მონაკვეთები კი შეესაბამება 1955 წლის რედაქციას. აქედან გამომდინარე, ვერ დავადგინეთ, კონკრეტულად რომელი რედაქციის თარგმანს წარმოადგენს ქართული გამოცემა.

რედაქციებს შორის არის ცვლილებები შინაარსის, პერსონაჟებისა და კონკრეტული ფრაზების კუთხით. აღსანიშნავია, რომ 1953 და 1958 წლის გამოცემებს წინ უძღვის ავტორის წინასიტყვაობა, რომელიც არც ორიგინალში (1940 წლის გამოცემა) და არც ქართულ თარგმანში (1958) არ არის და რომელიც მთლიანად საბჭოთა კავშირისა და

კაპიტალისტური ქვეყნების ღირებულებების შედარებას ეძღვნება. 1938 წლის რედაქციაში არის სამი თავი („საპარიკმახეროში“; „ცხრამეტი ცხვარი“; „ორნი საპარიკმახეროში“¹), რომელიც შემდგომ გამოცემებში აღარ არის. გამოცემებს შორის პერსონაჟების კუთხითაც მნიშვნელოვანი სხვაობებია: არის ამოღებული, დამატებული და ასევე შეცვლილი რამდენიმე პერსონაჟი. 1955 წლის რედაქცია (1958 წლის რუსული გამოცემა) ყველაზე ვრცელია. ჩვენი კვლევის მიზნებში არ შედიოდა რედაქციებს შორის არსებული სხვაობების მიზეზების გარკვევა. სხვაობები ასახულია იმდენად, რამდენადაც ისინი კონკრეტული მახასიათებლების ჩამოყალიბების პროცესს წარმოაჩენს.²

არკადი გაიდარის „ჩუკი და გეკი“ (1939). იგი ძმების ამბავს მოგვითხრობს, რომლებიც დედასთან ერთად ტაიგაში მიემგზავრებიან მამის სანახავად (მამა გეოლოგია, გეოლოგიური დაზვერვის ბაზაზე მუშაობს). იდეოლოგიური ზეგავლენა ცალკე მეთოდების გამოყენებით ამ ტექსტში ნაკლებად არის გამოხატული. იდეოლოგიური სახის ჩანართი ნაწარმოებში მხოლოდ რამდენჯერმე გვხვდება.

არკადი გაიდარის „თემური და მისი რაზმი“ (1940). მთელი ნაწარმოები საომარი მდგომარეობის გარშემო ტრიალებს. შესაბამისად, ის მონაკვეთები, რომლებიც სხვა ნაწარმოებში ზეგავლენის მეთოდად ჩაითვლებოდა, ამ შემთხვევაში შინაარსის ორგანული ნაწილია.

¹ «В парикмахерской», «Девятнадцать баранов», «Вдвоём в парикмахерской.»

² რადგანაც ნაშრომში გამოყენებულია ერთი ნაწარმოების სამი რედაქცია (რუსულ ენაზე) და ერთი ქართული თარგმანი, გაუგებრობის თავიდან ასარიდებლად, გვინდა დავაზუსტოთ ლიტერატურის დამოწმების წესი. პირველი, 1938 წლის რედაქცია - 1940 წლის გამოცემა რუსულ ენაზე მხოლოდ ელექტრონული სახით მოიპოვება, აქედან გამომდინარე, ციტატის შემთხვევაში მითითებულია ავტორის გვარი რუსულად და ელექტრონული დოკუმენტის გვერდი; მეორე, 1951 წლის რედაქცია - 1953 წლის გამოცემა, ასევე ელექტრონული სახით გვაქვს. რაც შეეხება 1955 წლის რედაქციას - 1958 წლის გამოცემა, ის წარმოდგენილია ბეჭდური სახით.

საყურადღებოა, რომ ქართული თარგმანი ასევე გამოცემულია 1958 წელს, თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, მოიცავს ფრაგმენტებს სხვადასხვა რედაქციიდან.

ამიტომ, თუკი ციტატა საერთოა, ის ციტატა აღებულია ქართული თარგმანიდან და მითითებულია ქართული გამოცემის გვერდი. იმ შემთხვევაში, თუ ციტატა არ შედის ქართულ თარგმანში და წარმოდგენს სხვაობას რედაქციებს შორის, მაშინ თარგმანი ჩვენი შესრულებულია და ვუთითებთ ავტორის გვარს რუსულად, წიგნის გამოცემის წელს და გვერდს (როგორც უკვე აღინიშნა, მაგალითად, პირველი რედაქციის შემთხვევაში ეს არის ელექტრონული დოკუმენტის გვერდი).

აღსანიშნავია, რომ ომი, როგორც თამაშის ელემენტი, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს „თემური და მისი რაზმის“ არსს - ბიჭები, პიონერები ზაფხულის არდადეგებზე აყალიბებენ რაზმს თემურ გარევის ხელმძღვანელობით. მოწყობილი აქვთ შტაბი და დაკავშირების საიდუმლო სისტემა სპეციალური სიგნალებით. ეს ყველაფერი ჩვეულებრივ თამაშს დაემსგავსებოდა (და არის კიდევ უფროსების მიერ თამაშად და ზოგჯერ ხულიგნობადაც აღქმული), რომ არა მათი საქმიანობის განსაკუთრებული დატვირთვა - ისინი წითელარმიელთა ოჯახებს ფარულად ეხმარებიან: ჩეხავენ შემას, ჭიდან მიაქვთ წყალი, პოულობენ დაკარგულ თხას და ა.შ. ამ ოჯახების სახლები წითელი ვარსკვლავით აქვთ მონიშნული. თავად თემურ გარევეს კი წითელი ვარსკვლავი ტანსაცმელზე აქვს ამოქარგული. რაზმი სამხედრო ყაიდაზეა მოწყობილი - სპეციალური სიგნალებითა და დაზვერვით, ჰყავს „მტერი“ - კვაკინის დაჯგუფება, რომელთანაც თემურის რაზმს „ომი“ აქვს გამოცხადებული.

ვალენტინა ოსეევას „ვასიოკ ტრუბაჩოვი და მისი ამხანაგები“ (1947-51). ტრილოგია განსაკუთრებით მრავლისმომცველ ინფორმაციას შეიცავს, რადგან ასახავს პიონერთა ცხოვრების რამდენიმე ეტაპს. პირველი წიგნი მოიცავს ომამდელ პერიოდს: ძირითადად კოლექტივის შიგნით ურთიერთობებს, ურთიერთდახმარებასა და ამ დახმარებით გამოწვეულ გაუგებრობებს ეხება; მეორე წიგნი ასახავს პიონერების მონაწილეობას სამამულო ომში, მათ ცხოვრებას ფაშისტების მიერ დაპყრობილ უკრაინულ სოფელში და მათ მოქმედებებს პარტიზანების დასახმარებლად. მესამე წიგნი მოგვითხრობს პიონერების ცხოვრებას სახლში დაბრუნების შემდგომ, თუმცა ომი კვლავ მიმდინარეობს და ისინიც უკვე სხვა სახის საქმიანობებში ერთვებიან.

სამივე წიგნში იდეოლოგიური კუთხით მნიშვნელოვანი საკითხები ხშირად პირდაპირ, დიალოგების ან მოქმედებების სახით არის გამოხატული. ზოგჯერ საყურადღებო საკითხი სათაურად არის გამოტანილი, მაგალითად: „პიონერული ღირსების საკითხი“ და ა.შ.

ანატოლი რიბაკოვის „დაშნა“ (1948). მასში შეიძლება ორი სიუჟეტური ხაზი განისაზღვროს - ძირითადი და პარალელური. ძირითად ხაზს წარმოადგენს მეთვრამეტე

საუკუნის დაშლის საიდუმლოს ამოხსნა. მთავარი პერსონაჟები მიშა, გენკა და სლავა დაშლის საიდუმლოს ამოხსნას ცდილობენ. პარალელური ხაზი კი იდეოლოგიურ თვალთახედვებს და პიონერული ორგანიზაციის ჩამოყალიბების პროცესს ასახავს. ძირითადი ხაზი - დაშლის საიდუმლო: დაშნა მიშას მისცა უფროსმა მეგობარმა, კომისარმა, ამხანაგმა პოლევოიმ. თვითონ პოლევოის დაშნა შემთხვევით ერგო, ხომალდ „იმპერატრიცა მარიას“ ჩამირვისას. ოფიცერ ნიკიტსკისთან ბრძოლის დროს პოლევოის დაშნა შერჩა, ნიკიტსკის - ქარქაში. იმისათვის, რომ დაშნაზე დატანილი შიფრი ამოიხსნას, დაშნა და ქარქაში უნდა გაერთიანდეს. ნიკიტსკი ეძებს დაშნას, რადგან ჰგონია რომ დაშნა საგანძურის ადგილმდებარეობას ინახავს. პარალელური ხაზი: ნაწარმოებში მოქმედება 1920-იანი წლების დასაწყისში ვითარდება. წიგნში აღნიშნულია რომ წინა წელს ბავშვები სკოლაში ცხელი წვნიანისთვის უფრო დადიოდნენ, რადგან „ათას ცხრაას ოცდაერთი წლის სუსხიანი ზამთარი იდგა, დიდი შიმშილობის წელიწადი“ (რიბაკოვი, 1962:65). შესაბამისად, მოქმედება ხდება 1921-1922 წლებში. ეს არის პიონერული ორგანიზაციის ჩამოყალიბების წლები. ნაწარმოები ასახავს მათ ყოველდღიურობას, მათ შორის იდეოლოგიურ „თვალთახედვებს“. სწორედ ეს მონაკვეთები აყალიბებს სიუჟეტის პარალელურ ხაზს (სტრუქტურულ ელემენტს), რომელიც სავსეა თითქოს ჩვეულებრივი მოვლენებით, თუმცა ბავშვისთვის საკმაოდ საინტერესო ცხოვრებას ასახავს. მაგალითად, მნიშვნელოვან ხაზს აყალიბებს მუშაობა უდედმამო ბავშვებთან, ვოლგისპირეთის მოშიმშილეთა დახმარება და ა.შ.

ნაწარმოებში მოქმედება ორ ადგილას მიმდინარეობს: ჯერ უკრაინაში - რევსკში, სადაც მიშა პაპასთან და ბებიასთან ზაფხულს ატარებს. სწორედ რევსკში გადასცემს ამხანაგი პოლევოი მიშას დაშნას და პირველად შეხვდება ნიკიტსკის. შემდეგ მოსკოვში: მიშა ცხოვრობს არბატზე, სადაც სახლის კომიტეტთან არსებობს კლუბიც და დრამწრეც. შემდეგ გაიგებენ, რომ არსებობს ბავშვების გაერთიანებები - პიონერთა რაზმები. ჯერ პიონერობა ხდება მათი ოცნება, ხოლო შემდეგ - კომკავშირობა. ცხადია, ორივე ოცნება უსრულდებათ.

ნინო ნაკაშიძის „მოწაფის დღიური“ (1954). ნაწარმოები მოგვითხრობს 15 წლის ალიკოს ცხოვრების შესახებ - მის ოცნებაზე, მეგობრებთან ურთიერთობასა და სკოლაზე. ალიკოს ოცნებას ფრონტზე წასვლა წარმოადგენს (ნაწარმოების კონტექსტიდან გამომდინარე, მიმდინარეობს ომი ფინეთის წინააღმდეგ). სურვილის მისაღწევად რამდენიმე მეგობართან ერთად (მათ შორის ერთ-ერთი გოგოა) სახლიდან გაპარვა აქვს გადაწყვეტილი, თუმცა შემდეგ ვოროშილოვს მისწერენ წერილს. ამ წერილს, ცხადია, განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. ნაწარმოებში მეგობრობასა და ურთიერთობებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ალიკოს ერთ-ერთ პრობლემას უახლოეს მეგობართან, ლალისთან ურთიერთობის მოგვარება წარმოადგენს. ასევე, დასმულია გენდერთან დაკავშირებული საკითხებიც: უნდა მიიღოს თუ არა ქალმა უმაღლესი განათლება, ჰქონდეს პროფესია და ა.შ.

ნ.ნაკაშიძის ორი მოთხრობა: „კორეელი გმირები“ და „მორანბონის მთაზე“ (1954). ისინი შეეხება კორეის კონფლიქტს. ორივე მოთხრობაში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული მტრის ხატი - ამერიკა. აღსანიშნავია, რომ არცერთ ნაწარმოებში არ არის ნახსენები ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეა, მოთხრობების მიხედვით, ბრძოლა მხოლოდ კორეასა და ამერიკას შორის მიმდინარეობს, თუმცა ერთხელ ნახსენებია იაპონია. საბჭოთა კავშირი კი კორეის მეგობრად და დამხმარედ არის მოცემული.

„კორეელი გმირები“ ამერიკელი პოლკოვნიკისა და მის წინააღმდეგ მებრძოლი, დატყვევებული კორეელების - დაჭრილი ბერიკაცისა და მფრინავი ქალის - ამბავს მოუთხრობს მკითხველს. ხაზგასმულია კორეელების სიმამაცე და თავდადება, ხოლო ამერიკელების სისასტიკე და ქედმაღლობა.

„მორანბონის მთაზე“ გურული ქალისა და კორეელი გოგოს ამბავს შეეხება. როგორც ირკვევა, ქალი კორეაში იყო ჩასული, რათა შვილის, ნუგზარის საფლავი ენახა, რომელიც მორანბონის მთაზეა. ნუგზარი წითელარმიელი იყო და იაპონელებთან ომის დროს დაიღუპა. შვიდი წლის შემდეგ სამგლოვიარო ღონისძიებაზე კორეაში ნუგზარის დედა მიიწვიეს და ამ გოგონას ოჯახში დააბინავეს. ქალი დაწვრილებით აღწერს იმ ამბავს, რომელიც განწყობას, რაც ფხენიანში დახვდა, იმ სიტბოს, რომელიც მის მიმართ

კორეელების ოჯახმა გამოიჩინა. და სწორედ იმ განსაკუთრებულ დღეს მორანბონის მთაზე ასულ სამგლოვიარო ცერემონიას ამერიკელები დაბომბავენ. გოგონას მთელი ოჯახი დაილუპება, თვითონ გოგონას კი ნუგზარის დედა წამოიყვანს.

ანასტასია პერფილიევას „დარტანიანის დაშნა“ (1955). ნაწარმოები მოგვითხრობს პიონერ ვიტია საველიევის ამბავს, რომელსაც უფროსმა მეგობარმა, მხატვარმა გაბრიელ პოპოვმა აჩუქა დაშნა, მაგრამ მოსთხოვა მშობლებისგან ხელწერილი იმის დასტურად, რომ მშობლები წინააღმდეგნი არ იყვნენ. პირველ დღეს ვიტამ მშობლებს ვერ გამოართვა ხელწერილი, მაგრამ გაბრიელს შეატყობინა, რომ ხელწერილი იქნებოდა. როდესაც მშობლებმა გაიგეს დაშნის ამბავი, არ დაუჯერეს ვიტას, რომ საჩუქარია და დაშნის უკან დაბრუნება მოსთხოვეს. ვიტას მხატვარი სახლში არ დახვდა, ქალაქგარეთ გავიდა. ერთ ტყუილს მეორე მიჰყვა, ვიტია გაუგებრობაში გაეხვა, ამასობაში მეგობარსაც წაეჩხუბა და დარჩა სულ მარტო. როდესაც სიტუაცია კრიტიკული ხდება და ამ დროს დაშნაც იკარგება (როგორც ვიტას ჰგონია), ბიჭი ღამე გარბის სახლიდან სოსნოვკაში, გაბრიელ პოპოვთან, რათა ყველაფერი მოუყვეს და დანაშაულიც აღიაროს.

ანატოლი რიბაკოვის „ბრინჯაოს ფრინველი“ (1956). ნაწარმოები „დაშნას“ გაგრძელებას წარმოადგენს. მასში მიშა, გენკა და სლავკა მორიგ საიდუმლოებას ხსნიან, რომელსაც ამჯერად ბრინჯაოს არწივი შეიცავს. თუკი „დაშნა“ 1921-1922 წლებს აღწერდა, „ბრინჯაოს ფრინველში მოქმედება 1923 წელს, ზაფხულში ხდება *„რევოლუციის ექვსი წლისთავზე, ზედ მოსკოვთან შემორჩენილია მემამულეები! მართლაც რომ საოცარია!“* (რიბაკოვი 1962: 300). მთავარი პერსონაჟები უკვე კომკავშირლები არიან, მდინარე უტჩის ნაპირას აქვთ ბანაკი და პიონერები ჰყავთ მიზარებულნი. ბანაკი ყოფილი მემამულის, გრაფი კარაგაევის მიწაზეა გახსნილი, მის სახლში კი შრომის კომუნის განთავსება არის განზრახული. ამას ეწინააღმდეგება სახლის ერთადერთი ბინადარი ქალი, რომელსაც ბავშვები „გრაფინიას“ ეძახიან. მაგრამ „გრაფინია“ არ არის არისტოკრატიული წარმოშობის და რევოლუციამდე გრაფთან დამხმარე ქალად მუშაობდა.

სიუჟეტი რამდენიმე მიმართულებით ვითარდება: ყოფილი მეტყვევე კუზმინის მკვლელობა და განძის ძიება. ცხადია, ეს ორი თემა დაკავშირებულია ერთმანეთთან.

მკვლევლობისთვის ღარიბ გლეხს - ნიკალა რიბალინს იჭერენ, რომელიც უდანაშაულოა. მისი უდანაშაულობის დამტკიცებასა და, პარალელურად, განძის პოვნას ცდილობენ მიშა, გენკა და სლავკა. მათ ეხმარება ნიკალას ძმაც, ზედმეტსახელად აყლაყუდა.³ მნიშვნელოვანი თემებია სოფლის მოსახლეობასთან ურთიერთობა და იდეოლოგიური მუშაობა. გარდა ამისა, ნაწარმოების მთელი სამი თავი ეთმობა თვითდახასიათებებს, როდესაც კომკავშირელები გამოდიან კრებაზე და ერთმანეთს თავისუფლად განსჯიან.

ედიშერ ყიფიანის „ათფურცლიანი რვეულები“ (1956). მოთხრობების ამ ციკლს 1956 წელს⁴ მიენიჭა პრემია საუკეთესო საბავშვო ნაწარმოებისთვის. აქედან გამომდინარე, ის კვლევისთვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენდა.

ნაწარმოების მიხედვით, ქართულის მასწავლებელი ქეთევან საყვარელიძე სასწავლო წლის დასაწყისში მეშვიდე კლასის მოსწავლეებს (მათ შორის არის მისი შვილიც) დასაწერად აძლევს თემას ზაფხულში მიღებული შთაბეჭდილებების შესახებ. სწორედ ეს შთაბეჭდილებები არის გადმოცემული ერთმანეთისგან დამოუკიდებელი მოთხრობების სახით. მოთხრობების აღნიშნული ციკლიდან კვლევაში განხილულია „მეტოქეები“. მოთხრობა მზია კვესელავას საშინაო დავალებას წარმოადგენს. გოგონა ზაფხულში მომხდარ ამბავს ყვება. მოქმედება ვითარდება სამი პიონერის: მზია კვესელავას, ბუბასა და ბაკურის ირგვლივ. ბავშვები ზაფხულში თბილისში, პიონერთა ბანაკში შეხვდებიან ერთმანეთს. ბუბა გულღრძო, უკმეხი და გოგონების მოძულეა, თუმცა არც ბიჭებთან აქვს კარგი ურთიერთობა. იგი ბანაკის ყველაზე კარგ სპორტსმენს - ბაკურს მუშტსაც ჩაართყვამს ცხვირში. ბიჭს ეს შურის გამო დაემართა - ბაკურმა ბანაკის სპარტაკიადაზე გაიმარჯვა სირბილშიც, ბაგირზე ცოცვაშიც, ღერძზე ვარჯიშშიც და ცურვაშიც. ამ უკანასკნელში გამარჯვების იმედი კი ბუბას ჰქონდა, თუმცა ბიჭები ერთდროულად მივიდნენ ფინიშის ხაზთან. ბაკური ბუბას გაეხუმრება - აქაც კინალამ გაჯობე, გაიზრდები და ისწავლი ცურვასო. ამას ბუბა ვერ მოითმენს. ბაკური კი

³ რუსულ ორიგინალში მას ჰქვია жердяй.

⁴ <http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00007663/>

სულგრძელობას იჩენს და დარტყმაზე არ პასუხობს. მათ შორის შელაპარაკება მოხდება და ამით დამთავრდება ინციდენტი.

ამის შემდეგ პიონერხელმძღვანელი პიონერებს უცხადებს, რომ აგვისტოში ოც საუკეთესო პიონერს ტურისტულ ლაშქრობაში წაიყვანს. ამ ჯგუფში მოსახვედრად ბანაკის ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობა არის საჭირო. ბუბა, ბაკურთან კონფლიქტის შემდეგ, ცხადია, საუკეთესო პიონერების ჯგუფში ვეღარ მოხვდება. მზიას კი არ სჯერა, რომ შეიძლება ბუბასნაირი გულდრძო და კონფლიქტური ადამიანი არსებობდეს, ამიტომ ყველანაირად გულშემატკვივრობს ბიჭს. განსაკუთრებით დაიძაბება სიტუაცია, როდესაც ჯართის შემგროვებელი რაზმების ჩამოყალიბება გადაწყდება, რადგან რაზმების ხელმძღვანელებად ბუბასა და ბაკურს დანიშნავენ. გამარჯვებულ რაზმს ლაშქრობაში წაიყვანენ. მზია ბუბას რაზმშია და ყველაფერს აკეთებს, რომ ბუბამ გაიმარჯვოს და ამით აღიდგინოს გატეხილი სახელი.

ლადო მრელაშვილის „იკალთოელი ბიჭები“ (1957). კვლევის ფარგლებში ნაწარმოების ორი ვარიანტი არის განხილული: ორიგინალი და რედაქტირებული. ორიგინალის ტექსტი მოყვანილია 1960 წლის გამოცემის მიხედვით, ხოლო რედაქტირებული - 1974. რედაქტირებული ნაწარმოებიდან ამოღებულია ოთხი თავი („ბებია“, „ალაზნის პირზე“, „ართმეტიკის მასწავლებელი“, „გეოგრაფია“), ხოლო დამატებულია ერთი („მოულოდნელი აღმოჩენა“). რედაქტირებული ნაწარმოებიდან ასევე ამოღებულია ბებიისა და სანდროს დის - ემას რამდენიმე მონაკვეთი.

აღსანიშნავია, რომ ნაწარმოების მთავარი პერსონაჟები: რგოლის ხელმძღვანელი სანდრო ბუჩუკურთელი, მისი „მარჯვენა ხელი“ გოგია, „სნაიპერი“ და სხვ. არ არიან კარგი მოსწავლეები, ეთავხედებიან უფროსებს, ეზარებათ კოლმეურნეობაში მუშაობა და მხოლოდ თავიანთი „ბიჭური“ საქმეებითა და თავგადასავლებით არიან დაკავებულნი. ამ მხრივ, განსაკუთრებით საინტერესო პერსონაჟია „სნაიპერი“, იგივე „ლუკას ბიჭი“, იგივე ვახტანგ მრელაშვილი. იგი ძალიან ყოჩაღი, მოხერხებული, გამბედავი, ენაკვიმატი და საზრიანი ბიჭია, ამავდროულად, უდისციპლინო და ცუდი მოსწავლე. საკუთარი ხასიათის გამო, მუდმივად თავგადასავლებსა ან უსიამოვნებებში ეხვევა. სწორედ

„სნაიპერს“ უკავშირდება ის დამატებული ერთი თავი ნაწარმოების რედაქტირებულ ვარიანტში. თავდაპირველ გამოცემაში ამბავი „სნაიპერის“ სკოლიდან გარიცხვით მთავრდება. გასათვალისწინებელია, რომ ეს ხდება სხვა მოსწავლეების „დაჭკვიანების“, გამოსწორების ფონზე. ასე მთავრდება ნაწარმოები: „სნაიპერი“ უარს ამბობს მეგობრებზე და სკოლაზე, რაც ბუნდოვანი დასასრულია, მით უმეტეს - ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პერსონაჟისთვის.

ნაწარმოების რედაქტირებულ ვარიანტში კი ერთი თავი დამატებულია, რომელიც მთლიანად „სნაიპერს“ შეეხება და სკოლიდან გაგდებული ბიჭის შემდგომ თავგადასავალს მოგვითხრობს. „სნაიპერი“ შემთხვევით ისევ გაეხვევა უსიამოვნებაში - იძულებულია მიხა პაპას გაექცეს, რომლის ცხენსაც ძუა შეაჭრა. ამ გაქცევის დროს შემთხვევით მიწისქვეშა გვირაბს, იარაღსა და ჩონჩხებს აღმოაჩენს. ამ ამბის მერე „სნაიპერს“ ბიჭები ესტუმრებიან, რათა სკოლაში აღდგენა ახარონ. ნაწარმოები უკვე მათი საუბრით და მომავლის გეგმებით მთავრდება. ანუ რედაქტირებულ ვარიანტში გამქრალია ის ბუნდოვანი დასასრული და წინააღმდეგობრიობა, რაც თავდაპირველ გამოცემაში იყო. ბიჭს აბრუნებენ სკოლაში, ურიგდება მეგობრებს, რაც დადებითი პერსონაჟისთვის მისაღები დასასრულია.

ოტია იოსელიანის „[უთაური ბიჭის] კახას თავგადასავალი“⁵ (1960). მთავარი მოქმედი პერსონაჟი, კახა დევდარიანი ცელქი და ოროსანი ბიჭია. ნაწარმოები ორი ნაწილისგან შედგება. პირველი ნაწილი სასწავლო წელს მოიცავს და, შესაბამისად, პიონერების ცხოვრებას შეეხება. მეორე ნაწილი ზაფხულის არდადეგებს აღწერს: კახა სახლიდან იპარება და მწვერვალის დასაპყრობად მიდის, გზაში მამინაცვლის საიდუმლოსაც გაარკვევს და „მწვერვალის დაპყრობის“ შემდეგ საავადმყოფოშიც მოხვდება. კვლევისთვის საინტერესო მონაკვეთებს, ძირითადად, პირველი ნაწილი შეიცავს. ასევე, ნაწარმოებში განსაკუთრებით წინ წამოწეულია ოჯახური ურთიერთობები (დედისა და მამინაცვლის, რაც კახას ცხოვრებაზე ძლიერად მოქმედებს).

⁵ აღნიშნულ გამოცემაში ნაწარმოების სათაური არის მხოლოდ „კახას თავგადასავალი“.

ალ. ჩხაიძის „როცა მთავრდება ბავშვობა“ (1962). ნაწარმოებმა „როცა მთავრდება ბავშვობა“ გამომცემლობა „ნაკადულის“ 1962 წელს გამოცხადებულ საუკეთესო საბავშვო ნაწარმოების კონკურსზე მესამე პრემია დაიმსახურა. მოქმედება ბათუმში ვითარდება, ნაწარმოებში ერთდროულად ორი ხაზი იკვეთება: 1. ახალგაზრდა მასწავლებლის, თინა გელოვანის ამბავი. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ის გაანაწილეს იმავე სკოლაში, რომელიც თვითონ დაამთავრა ხუთი წლის წინ. ამიტომ მისთვის განსაკუთრებით ამაღელვებელი და საპასუხისმგებლოა სამსახურში ადგილის დამკვიდრება, იმ მასწავლებლების გვერდზე, რომლებიც მას ასწავლიდნენ. 2. თამაზის, და მისი მეგობრის, ზალიკას ამბავი. რადგან მათი სკოლა ინტერნატად უნდა გადაკეთდეს, მოსწავლეები სხვა სკოლაში გადაიყვანეს. თამაზი და ზალიკა თინას კლასში მოხვდებიან. თამაზი საკუთარ თავში გარკვევას ცდილობს, რაც აისახება მის სწავლაზეც და ურთიერთობებზეც.

იური ტომინის „ბორკა, მე და უჩინმაჩინი“ (1962) აღწერს პიონერ კოსტია შმელის სასკოლო ცხოვრებას, რომელიც ბევრი გაუგებრობისგან შედგება. ეს ყველაფერი კოსტიას მოუსვენარი ხასიათის ბრალია. მთავარი პერსონაჟის ხასიათიდან გამომდინარე, ნაწარმოებში იკვეთება ნაკლებად სერიოზული, გასართობი დამოკიდებულება იდეოლოგიურად მნიშვნელოვანი საკითხებისადმი. ნახსენებია იმ პერიოდის უმნიშვნელოვანესი მოვლენა - გაფრენა კოსმოსში.⁶ სასწავლო ნაწილი, ვერა არკადიევნა კოსტიასთან საუბრისას სწავლის აუცილებლობას კოსმოსში წასვლასთან აკავშირებს. მისი თქმით, სადღაც უკვე კეთდება რაკეტა, რომლითაც კოსტია შმელის თანატოლები კოსმოსში გაფრინდებიან. მათ შორის შეიძლება მისი კლასელიც კი იყოს. მაგრამ კოსტია შმელს კოსმოსში არავინ წაიყვანს, რადგან ის არადისციპლინირებულია და საკმარისი ცოდნა არ გააჩნია. ნუთუ კოსტიას მარსზე გაფრენა არ უნდა? - კითხულობს ვერა არკადიევნა.

ასევე, ნაწარმოებში რამდენჯერმე არის ნახსენები სიმინდი, რაც არ იქნებოდა საყურადღებო, რომ არა იმ პერიოდის სიმინდთან დაკავშირებული პოლიტიკა. ზოგიერთ შემთხვევაში ეს, შინაარსიდან გამომდინარე, სრულიად გასაგებია. მაგალითად, ბოტანიკის მასწავლებლის ინტერესი სიმინდის ფესვით შეიძლება მარტივად აიხსნას;

⁶ ი. გაგარინი 1961 წელს გაფრინდა კოსმოსში.

მაგრამ ასევე მარტივად ვერ აიხსნება კოსტია შმელის ნათქვამი, რომ მასწავლებელმა მას ისე უცნაურად შეხედა, თითქოს ადამიანი კი არა, რაღაც მცენარე იყო, სიმინდის მსგავსი (როდესაც კოსტია საკუთარ, განსხვავებულ აზრს გამოთქვამს). მართალია, ეს არ არის იდენტობის ფორმირებაზე მიმართული მონაკვეთები, მაგრამ საინტერესოა იმდენად, რამდენადაც წარმოაჩენს გარემოსა და ამ გარემოში მიმდინარე ცვლილებებს.

პაველ კატაევის „ხუთი რობინზონი“ (1963). ნაწარმოებში მოთხრობილია ხუთი ბავშვის, პიონერების ვოვას, ტატას, კატას, სლავას და კოტიას ამბავი. ბავშვები ერთმანეთს ქალაქთან ახლოს არსებულ კუნძულზე შეხვდებიან, რომელიც, მათი აზრით, უკაცრიელი უნდა ყოფილიყო. ხუთივე ბავშვს საყვარელი საქმიანობები აქვთ: წიგნების კითხვა ვოვას, კერვა - კატას, ფიზკულტურა - ტატას, აპარატის აწყობა უნდა სლავას, ხოლო კოტიას საყვარელი საქმიანობა ძილია. სწორედ ამიტომ, თითოეული მათგანი გადაწყვეტს, გაიქცეს ამ უკაცრიელ კუნძულზე, პიონერთა ბანაკის ნაცვლად, რათა არავინ შეუშალოს ხელი საყვარელი საქმის კეთებაში. კუნძულზე, მათ გარდა, მხოლოდ ორი ბოროტი კატა (რომლებიც ბავშვებს ხელს უშლიან) და მოლაპარაკე შოშიაა (რომელიც კატებს გამოეყცა სკოლიდან, კატები კი უდაბურ კუნძულზეც გამოყვნიენ). კუნძულზე გარკვეული დროის გატარების შემდეგ, ბავშვები პიონერთა ბანაკში ყოფნაზე დაიწყებენ ოცნებას და საკუთარ ცხოვრებასაც ბანაკის წესებით მოაწყობენ. ნაწარმოების ბოლოს კი წყალდიდობისგან მათ სწორედ პიონერები გადაარჩენენ.

იური ტომინის „ჯადოქარი დადის ქალაქში“ (1963) მოგვითხრობს მოუსვენარი და ფანტაზიორი ტოლიკ რიჟკოვის თავგადასავალს. ბიჭი ცუდად გადაკვეთს ქუჩას, მოატყუებს მილიციელს, შემდეგ გაექცევა და ამ დროს, სრულიად შემთხვევით, ჯადოქარს გადაეყრება. ჯადოქარი მისი თანატოლი ბიჭია, სასწაულები კი ჯადოსნური ასანთის საშუალებით ხდება. როდესაც ტოლიკი ჯადოქარს შეხვდება, ის ასანთის კოლოფებს ითვლის - ზუსტად მილიონი კოლოფი სჭირდება, რათა მთელი ცხოვრების განმავლობაში შესძლოს საკუთარი სურვილების ასრულება. ტოლიკი ვერ გაერკვევა რა ხდება, სად არის ან ეს უცნაური ბიჭი რას აკეთებს. უსიამოვნო საუბრის შემდეგ ტოლიკი

გამოიქცევა, თუმცა შემთხვევით ასანთის ერთ კოლოფს თან გაიყოლებს. ამის შემდეგ მისი ცხოვრებაც იცვლება: ასანთის საშუალებით აკეთებს ყველაფერს, რასაც კი მოისურვებს.

ნაწარმოები ორ ნაწილად არის გაყოფილი. პირველ ნაწილში ტოლიკი აღმოაჩენს ასანთის შესაძლებლობებს და საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე იყენებს: დედას შეუცვლის ხასიათს, მასწავლებელს დააწერიანებს ნიშანს, გახდება ჰოკეის საუკეთესო მოთამაშე, მსოფლიოში ყველაზე ძლიერი ადამიანი და ა.შ. თუმცა ტოლიკი ვერ იაზრებს, ამ სასწაულებს რა შედეგები მოჰყვება. ამის გამო ასანთის ღერები უკვე ასრულებული სურვილების შედეგების გამოსწორებასაც ხმარდება. საბოლოოდ, ტოლიკს არაერთი პრობლემა შეექმნება.

ნაწარმოების მეორე ნაწილი უკვე ჯადოქარი ბიჭის მიერ შექმნილ სამყაროს ეხება. ბიჭი მოიტაცებს ტოლიკს, მასთან ერთად - ტოლიკის დასახმარებლად მისულ მეგობარს, მიშკას და ძაღლ მაიდას. ამ ნაწილში ტოლიკი, უკვე ყოველგვარი ჯადოქრობის გარეშე, საკუთარი თავისა და მეგობრის გადარჩენას ცდილობს.

თავი 1. ისტორიული კონტექსტი და ახალი იდენტობის ფორმირების პრობლემა

1.1. ისტორიული კონტექსტი

კვლევის მოცემულ ნაწილში შევეცდებით წარმოვაჩინოთ ნაწარმოებებში ასახული პოლიტიკური და სოციალური მოვლენების ისტორიული კონტექსტი. ზოგადად განვიხილავთ იმ კონკრეტულ მოვლენებს, რომლებზეც საუბარია საბჭოთა საბავშვო მხატვრულ ნაწარმოებებში.

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, კვლევა მოიცავს 1938-1964 წლებს, ანუ მეორე მსოფლიო ომის წინა წლებს, საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომს, ომის შემდგომ პერიოდს, პოსტ-სტალინიზმსა და ხრუმჭოვის „დათობას“, ხრუმჭოვის ეპოქის დასასრულამდე. თუმცა თავად ნაწარმოებები უფრო ადრეულ პერიოდსაც შეეხება და უშუალოდ რევოლუციის, სამოქალაქო ომის, ნეპის და ა.შ. შესახებ მოუთხრობს მკითხველს. აქედან გამომდინარე, ნაწარმოებებში ასახული ისტორიული კონტექსტი გაცილებით ვრცელია და იწყება 1917 წლის რევოლუციით; შეეხება სამოქალაქო ომს, ამ ომით გამოწვეულ ზოგად არეულობას და შეტაკებებს.

აღნიშნული პერიოდი გარკვეულ ფონს წარმოადგენს ნაწარმოებებში სიუჟეტის განვითარებისთვის; ნახსენები არიან შემდეგი ისტორიული ფიგურები: ნესტორ მახნო - უკრაინელი ანარქისტი რევოლუციონერი, გარკვეული დროის განმავლობაში თანამშრომლობდა ბოლშევიკებთან გენერალ დენიკინის, ხოლო შემდგომ ბარონი ვრანგელის წინააღმდეგ ბრძოლაში. თუმცა საერთო მტრების გარეშე მახნოს ბოლშევიკებთანაც ჰქონდა კონფლიქტი. კონფლიქტი წითელი არმიის გამარჯვებით და ნ. მახნოს ემიგრაციაში გაქცევით დასრულდა. თეთრი მოძრაობის ლიდერები: გენერალი ანტონ დენიკინი, ადმირალი ალექსანდრ კოლჩაკი, გენერალი ნიკოლაი იუდენიჩი, ბარონი პიოტრ ვრანგელი. თეთრი მოძრაობის დამარცხების შემდეგ, გენერალი დენიკინი, გენერალი იუდენიჩი და ბარონი ვრანგელი ემიგრაციაში წავიდნენ, ადმირალი კოლჩაკი კი ბოლშევიკებმა დახვრიტეს 1920 წელს.

მნიშვნელოვანი პერიოდია 1921-1929 წლები. 1921 წელს ახალი ეკონომიკური პოლიტიკა (ნეპი) გამოცხადდა, რაც სასურსათო გადასახადის შემოღებას და წვრილი მეწარმეობის დაშვებას მოიაზრებდა. წარმოიშვა ისეთი სოციალური მოვლენა, როგორც არის ნეპმანი - წვრილი მეწარმე. თუმცა 1920-იანი წლების ბოლოს პირველმა ხუთწლიანმა გეგმამ, ინდუსტრიალიზაციამ, კოლექტივიზაციამ და „გაკულაკებამ“ შეცვალა ეკონომიკური ვითარება. 1930-იანი წლების დასაწყისში ნეპმა შეწყვიტა არსებობა.

ნაწარმოებებში ნახსენებია შეიარაღებული კონფლიქტები: ხასანის ტბასთან (საბჭოთა კავშირი - იაპონია, მანჯურია; 1938), ხალხინ-გოლის ბრძოლები (საბჭოთა კავშირი, მონღოლეთი - იაპონია, მანჯურია; 1939). ომი ფინეთთან 1939-1940 (რომელსაც განსაკუთრებული დატვირთვა აქვს ერთ-ერთ ნაწარმოებში).

ბუნებრივია, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამამულო ომის მიმდინარეობას და გმირებს: პარტიზან ზოია კოსმოდემიანსკაიას (1923-1941); მფრინავს, ნიკოლოზ გასტელოს (1908-1941); ანტიფაშისტურ იატაკქვეშა კომკავშირულ ორგანიზაციას „ახალგაზრდა გვარდია“.

ორი მოთხრობა ასევე შეეხება კორეის ომს, რომელიც 1950-1953 წლებში მიმდინარეობდა. 1945 წლამდე კორეა იაპონიის იმპერიის ნაწილს წარმოადგენდა. მეორე მსოფლიო ომში იაპონიის დამარცხების შემდეგ კორეა ორად გაიყო - საბჭოთა და ამერიკულ საოკუპაციო ზონებად. კორეა 1948 წელს ოფიციალურად გაიყო ორად: ჩრდილოეთ კორეაში (საბჭოთა ზონაში) ჩამოყალიბდა კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა, ხოლო სამხრეთში - კორეის რესპუბლიკა. 1950 წელს ჩრდილოეთ კორეის ჯარები შეიჭრნენ სამხრეთ კორეაში. გაეროს უშიშროების საბჭომ დაადგინა სამხრეთ კორეისთვის დახმარება გაეწიათ. სამხრეთ კორეის ჯარები უკვე აშშ-სა და მოკავშირეებთან ერთად დაუპირისპირდა ჩრდილოეთ კორეას. მაგრამ 1950 წლის 19 ოქტომბერს ჩინეთის სახალხო მოხალისეთა არმია ჩაერთო ომში (ჩრდილოეთ კორეის მხარდასაჭერად). ასევე, ჩრდილოეთ კორეას საბჭოთა კავშირი ეხმარებოდა ავიაციით. ომი გაგრძელდა სამ წელიწადს და საბოლოოდ ზავით დასრულდა 1953 წლის 27 ივლისს.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირის შიგნით მიმდინარე მოვლენებს, 1953 წლის 5 მარტს სტალინის სიკვდილის შემდეგ დაწყებული ძალთა გადანაწილება ნიკიტა ხრუშჩოვის გამარჯვებით დასრულდა. ხრუშჩოვის მმართველობისას შერბილებულმა ცენზურამ საგრძნობი ზეგავლენა მოახდინა ზოგადად ლიტერატურაზე, და მათ შორის საბავშვო ლიტერატურაზეც. აღნიშნული პერიოდიდან ნაწარმოებებში აისახა: 1. „პიროვნების კულტის“ დაგმობა, როდესაც 1956 წელს ნ. ხრუშჩოვმა გააკრიტიკა იგი სკკპ XX ყრილობაზე, 2. ხრუშჩოვის მიერ სიმინდის გამოცხადება მთავარ და წამყვან სასოფლო-სამეურნეო კულტურად. 3. მკვეთრად იდეოლოგიური მონაკვეთების რაოდენობის შემცირება, ან უფრო თავისუფალი, ზოგჯერ სახუმარო ფორმით გამოხატვა.

ნაწარმოებებში ასახული ძირითადი ისტორიული მოვლენების ზოგადი მიმოხილვის მიუხედავად, უშუალოდ კვლევაში გარკვეული კონკრეტული ფაქტი ან მოვლენა შეიძლება უფრო დეტალურად იყოს წარმოჩენილი, კონკრეტულ მახასიათებელთან მიმართებაში.

1.2. იდენტობის კონსტრუირება საბავშვო მხატვრულ ლიტერატურაში

საბჭოთა კავშირი თავისი არსით ზენაციონალური უნდა ყოფილიყო, მაგრამ ის შედგებოდა სხვადასხვა, ერთმანეთისაგან განსხვავებული, მკაფიოდ ფორმირებული და გამოხატული ეთნიკური და კულტურული იდენტობების მქონე საზოგადოებებისგან. შესაბამისად, საჭირო იყო არსებული იდენტობების „გადაფარვა“, იმისათვის რომ შექმნილიყო ახალი საბჭოთა იდენტობა და ჩამოყალიბებულიყო საბჭოთა ადამიანი; ანუ ახალი საერთო ტერიტორიის, ისტორიული მეხსიერებისა და მითების, საზოგადოებრივი კულტურისა და ა. შ. კონსტრუირება იყო საჭირო.

საბჭოთა კავშირზე საუბრისას ე. სმითი ხაზს უსვამს: საბჭოთა კავშირში არსებობდა ძლიერი ცენტრალიზაცია სამხედრო, პოლიტიკურ და კულტურულ დონეზე, თუმცადა განათლების, კულტურის დონეზე ცალკეულ რესპუბლიკებს ავტონომიური უფლებები ჰქონდათ.

„საბჭოთა გამოცდილება თვალნათლივ აჩვენებს, რომ შესაძლებელია რევოლუციურმა „გამოგონილმა ტრადიციებმაც“ მართონ და გამოაწრონ (ხშირად ორივე) ნაციონალური კულტურული და პოლიტიკური იდენტობა და შეეხონ ხალხის სიღრმისეულ ფესვებს“ (სმითი 2008:188).

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, იდენტობის ჩამოყალიბება პირველ რიგში მომავალ თაობაზე ზემოქმედებას მოითხოვს, ამ პროცესის წარმართვისთვის კი სხვადასხვა მედიუმი გამოიყენება, მათ შორის მხატვრული ლიტერატურაც. ასტრიდ ერლი ლიტერატურას კოლექტიურ მეხსიერებასთან მიმართებაში განიხილავს. ერლის მიხედვით, ლიტერატურული ნაწარმოები, თავისი ნარატიული სტრუქტურით, განსაზღვრავს მოვლენების მნიშვნელობისა და თანამიმდევრობის აღქმას, წარსულს, აწმყოსა და მომავალს შორის ურთიერთდამოკიდებულებას. ლიტერატურა ქმნის მეხსიერების ყალიბს საკუთარი სტრუქტურის, ფორმის და, რაც მთავარია, შინაარსის საშუალებით: ისტორიული მოვლენების (ომები, რევოლუციები და სხვ.), პიროვნებების რეპრეზენტაციით, მითების და შეთხზული მოგონებებით გავლენას ახდენს მკითხველზე; განსაზღვრავს აღქმას, ცოდნას და ყოველდღიურ კომუნიკაციას, მიჰყავს რა პოლიტიკურ ქმედებამდე ან შემდეგი რეპრეზენტაციის წინაპირობას ქმნის (Erll 2011:155).

იმისათვის, რომ ლიტერატურამ ზეგავლენა იქონიოს კოლექტიურ მეხსიერებაზე, საჭიროა ის აღიქვან, როგორც მეხსიერების მედიუმი. მან უნდა დაფაროს საზოგადოების დიდი ნაწილი, ანუ საზოგადოების დიდ ნაწილს უნდა ჰქონდეს წაკითხული. ეს შეიძლება განაპირობოს კონკრეტული ლიტერატურული ტექსტის სკოლის ან უნივერსიტეტის პროგრამაში ჩართვამ, ციტატების ყოველდღიურ მეტყველებაში გამოყენებამ, გარკვეული ტექსტების კანონიზაციამ და სახელმწიფოს დაფინანსებით დაბეჭდილმა პუბლიკაციებმა (Erll 2011:155).

საზიარო (საზოგადოების ან მისი ცალკეული ჯგუფების) კოლექტიური მეხსიერება იდენტობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მსაზღვრელია. ამდენად, ერლის ეს მოსაზრება იდენტობის ფორმირებაზე ლიტერატურის ზემოქმედებასაც გულისხმობს.

რევოლუციის შემდგომ ლიტერატურის მასებზე ზემოქმედებისა და საბავშვო ლიტერატურის როლის საკითხები მალევე ხდება მნიშვნელოვანი. 1918 წელს გაზეთ „პრავდაში“ ლ. კორმჩის ფსევდონიმით იბეჭდება ლ. პირაგისის სტატია „დავიწყებული იარაღი,“ რომელშიც ხაზგასმულია საბავშვო ლიტერატურის აღმზრდელობითი დატვირთვა და ახალი საბჭოთა, ბოლშევიკური იდეების შემცველი საბავშვო ლიტერატურის საჭიროება (გაფრინდაშვილი, მირესაშვილი, წერეთელი 2010:117).

ა. ღვინიაშვილი ნაშრომში „ნარკვევები ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიიდან“ აღნიშნავს: *„საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, პარტიისა და მთავრობის მუდმივი მზრუნველობით, რუსეთის საბავშვო ლიტერატურის კრიტიკისა და ისტორიის მიმართულებით მუშაობა უფრო გააღრმავეს იმ საბჭოთა პედაგოგებმა და მეცნიერ მუშაკებმა, რომლებსაც მიმართება მისცა საბჭოთა საბავშვო ლიტერატურის დიდმა მოამაგემ და თეორეტიკოსმა მაქსიმ გორკიმ“* (ღვინიაშვილი 1972:9). მისი სიტყვით, *„დიდ შემოქმედებით მუშაობას ეწევა მოსკოვის „საბავშვო წიგნის სახლი“, სადაც თავმოყრილი არიან მეცნიერმუშაკთა საუკეთესო ძალები, რომელნიც მუშაობენ საბავშვო ლიტერატურის როგორც სხვადასხვა თეორიულ საკითხზე, ისე ძველი და, განსაკუთრებით, საბჭოთა საბავშვო ლიტერატურის ისტორიის შექმნაზე“* (ღვინიაშვილი 1972:10). ანუ, ერთი მხრივ, საჭირო იყო უკვე არსებული ლიტერატურის გადახედვა და საბჭოთა იდეოლოგიისთვის შესაბამისი კუთხით მიწოდება მკითხველისთვის, მეორე მხრივ კი, აუცილებელი იყო ახალი საბჭოთა საბავშვო ნაწარმოებების შექმნა. 30-იანი წლების დასაწყისში კი უკვე გაცილებით მკაფიოდ გამოიკვეთა ის თემები, რომლებიც უნდა მოეცვა საბჭოთა საბავშვო ლიტერატურას.

საბჭოთა საბავშვო ლიტერატურის შექმნის მნიშვნელობასა და დანიშნულებაზე საუბრობდა ს. მარშაკი თავის სტატიებში „მემკვიდრეობასა და მემკვიდრეობითობაზე საბავშვო ლიტერატურაში“ (1933) და „ბავშვები პასუხობენ გორკის“ (1934).

პირველ სტატიაში მარშაკი სვამს კითხვას - არსებობს თუ არა ისეთი წიგნი, რომელიც ბავშვებს აჩვენებს ნამდვილ, ცვალებად, ბრძოლისა და გარდატეხის მდგომარეობაში მყოფ სამყაროს, და არა ბუტაფორიულს (როგორც ადრე) (Маршак

1990:325). რევოლუციამდელი საბავშვო ლიტერატურის მოკლე მიმოხილვის შემდეგ ს. მარშაკი ხაზს უსვამს, რომ რევოლუციამ ბურჟუაზიული აღზრდის სისტემის დანგრევასთან ერთად მოაშორა ის წიგნებიც, რომლებიც ღიად თუ ფარულად ემსახურებოდა ამავე სისტემას. მსგავს ლიტერატურას მიაკუთვნებს, მაგალითად, კადეტთა კორპუსის ფსევდოჰეროიკას, კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტის სენტემენტალიზმსა და, როგორც თვითონ უწოდებს, იმ დაშაქრულ ლიბერალიზმს, რომელიც ძლიერ თანაგრძნობას განიცდიდა მშრომელების ტანჯვის მიმართ (Маршак 1990:332). ამასთანავე, კადეტთა კორპუსებში და კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტებში წიგნების კითხვა წახალისებული არც ყოფილა - კითხვა თურმე აფუჭებდა კარიერასა და აღნაგობას. ხორცისა და მწვანის დახლებში მომუშავე ბიჭებს ლიტერატურის კითხვის დრო არ ჰქონდათ, სოფელში კი წერა-კითხვა არც იცოდნენ. რევოლუცია იყო საჭირო იმისათვის, რომ მკითხველი გაჩენილიყო ყველგან, ნებისმიერ ადგილას, სადაც კი ბავშვია (Маршак 1990:363). მარშაკის მიხედვით, აუცილებელია ყურადღებით დაკვირვება რევოლუციამდელ საბავშვო ლიტერატურაზე, რათა გაირკვეს, რა შეიძლება დარჩეს როგორც ლიტერატურული ტრადიცია და რის უნდა ეშინოდეთ, როგორც რეაქციული გადმონაშთების. ზღვარი უნდა გაეკლოს იმ სასარგებლო ლიტერატურას, რომელიც გაამდიდრებს ბავშვის წარმოსახვას და იმ ჩატკბილულ დიდაქტიკურ ბელეტრისტიკას შორის, რომელიც გაჟღენთილია ბურჟუაზიული მორალისა და კეთილდღეობის იდეალებით (Маршак 1990:333). მარშაკი ხაზს უსვამს, რომ თუკი რევოლუციამდელ საბავშვო ნაწარმოებში მთავარი მოქმედი გმირი იჯდა ბუტაფორიულ ცხენზე, დახატული კავკასიის მთების ფონზე და ხელში მუყაოს ხანჯალი ეჭირა, საბჭოთა ნაწარმოებებში ცხენიც, მთებიც და ხანჯალიც ნამდვილია. მაგალითად, გაიდარის „სკოლა“ - რომელშიც სკოლის ცხოვრება ნაწარმოების მხოლოდ მეოთხედს წარმოადგენს, დანარჩენის „ცხოვრების სკოლას“ მოიცავს: რევოლუცია და სამოქალაქო ომი, პარტიზანული ბრძოლა და ფრონტი (Маршак 1990:353).

მარშაკს ასევე მოყვანილი აქვს მ. გორკის წერილი პიონერებისადმი სტატიაში „ბავშვები პასუხობენ გორკის“ (1934 წელი). გორკი პიონერებს ატყობინებს, რომ მის კითხვაზე - როგორ წიგნებს კითხულობენ და როგორი წიგნების წაკითხვას ისურვებდნენ

პიონერები - პასუხად ორი ათასზე მეტი წერილი მიიღო. მწერალი პიონერებს აცნობებს, რომ მათი მოთხოვნების შესახებ მოხსენებას წაიკითხავენ მწერალთა ყრილობაზე, იქამდე კი მისი მეგობარი ს. მარშაკი მიწოდებული მასალის ნაწილს დაამუშავებს და დაბეჭდავს (Маршак 1990:357-358). ამის შემდეგ სტატიაში განხილულია აღნიშნული წერილები - როგორ წერენ პიონერები, რას ურთავენ თან წერილებს (ლექსები, მოთხრობები... ნახსენებია წერილი ტიფლისიდან, რომელიც 12 წლის პიონერებმა გააგზავნეს და ყველა ის ფილმი ჩამოთვალეს, რაც კი ცხოვრების განმავლობაში უნახავთ). ამ წერილებიდან გამომდინარე, მარშაკი პიონერების სურვილებს აყალიბებს: პირველ რიგში, პიონერები ბიბლიოთეკებში არსებულ მწირ არჩევანს უჩივიან, ასევე იმ ფაქტს, რომ წიგნის მაღაზიებში ხშირად არ არის საინტერესო საბავშვო წიგნები. პიონერებს უნდათ წიგნები საბჭოთა მეცნიერების ექსპედიციებისა და აღმოჩენების შესახებ, ბავშვების ფიზიკურ მომზადებაზე (რადგან უკვე კარგად ისვრიან მცირეკალიბრიანი იარაღიდან და ყველა ტყვიას მიზანში ახვედრებენ, მაგრამ არ ჰყავთ ინსტრუქტორი (Маршак 1990:366)). ხოლო ლენინგრადის აეროპორტის პიონერები აცხადებენ, რომ მათ აინტერესებთ ყველაფერი. შემდეგ კი აკონკრეტებენ, რომ აინტერესებთ წარსული, რათა უკეთ გაიგონ აწმყო. უნდათ წაიკითხონ რევოლუციური მოძრაობის შესახებ, სამოქალაქო ომსა და წითელ არმიაზე. უნდათ წიგნები სოციალისტურ მშენებლობაზე, მოგზაურობებზე; ჟურნალი - ყველანაირი პიონერული საქმის შესახებ (Маршак 1990:367-368). ბავშვებს, რომლებიც ევპატორიის სანატორიუმში მკურნალობენ, უნდათ წიგნები ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ; წითელი არმიის, საზღვაო და საჰაერო ფლოტის, ბელადების, რევოლუციონერების, მოგზაურების, გამომგონებლების, მეცნიერების, მწერლების ცხოვრების შესახებ; ძალიან სჭირდებათ ენციკლოპედია, საიდანაც ყველაფერს გაიგებენ (Маршак 1990:368) .

საბჭოთა ბავშვებს ძალიან აინტერესებთ ომის თემატიკა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მათი დადანაშაულება მილიტარიზმში, აღნიშნავს ს. მარშაკი. მისი თქმით, ბავშვები ომის თემატიკის მიმართაც ისეთივე მომთხოვნი და მრავალმხრივები არიან, როგორც ყველა სხვა თემის მიმართ. ისინი კითხულობენ, თუ

როგორ ცხოვრობდნენ ჯარისკაცები იმპერიალისტური ომის დროს და როგორ ცხოვრობენ წითელარმიელები ახლა; უნდათ გაიგონ, სად სწავლობდა ვოროშილოვი და როგორ მოხვდა სამხედრო სამსახურში. ან ციმბირელი პარტიზანების სამოქალაქო ომის პერიოდის გამირობების შესახებ სვამენ კითხვებს (Маршак 1990:372-373).

ს. მარშაკი ამბობს, რომ თითქმის ყველა წერილი შეეხება სოციალისტური მშენებლობის საკითხს. პიონერებს უნდათ წიგნი მეორე ხუთწლედთან დაკავშირებით. საბჭოთა ბავშვებისთვის პოლიტიკა არ არის განყენებული და ბურუსით მოცული საკითხი, რომლითაც მხოლოდ ზრდასრულები არიან დაკავებულნი. საბჭოთა ბავშვებმა იციან, ვის მხარეს არიან და ვის წინააღმდეგ (Маршак 1990:378).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, პიონერებს აინტერესებთ ყველაფერი პიონერების შესახებ, წარსული და განსაკუთრებით რევოლუციური წარსული, ომის თემატიკა და ჯარისკაცები, სოციალისტური მშენებლობა და პოლიტიკა. აღსანიშნავია, რომ სწორედ ეს საკითხები გამოვლინდა კვლევაში გაანალიზებულ თითქმის ყველა ნაწარმოებში, როგორც იდენტობის მახასიათებლებზე ზემოქმედების საშუალება. ეს კიდევ ერთხელ მიანიშნებს იმ ფაქტზე, რომ მიმდინარეობდა საბჭოთა იდენტობის მიზანმიმართული ჩამოყალიბება და ეს არ იყო თავისთავადი, მხოლოდ მწერლის მსოფლმხედველობასა და იდეურ მრწამსზე დაქვემდებარებული პროცესი. ასევე საყურადღებოა მარშაკის ხაზგასმა, რომ საბჭოთა ბავშვებმა იციან, ვის მხარეს არიან და ვის წინააღმდეგ, ანუ პიონერებმა უკვე იციან, ვის მოიაზრებს საბჭოთა „ჩვენ“ ჯგუფი და ვინ წარმოადგენს მტერს.

რაც შეეხება ქართულ საბჭოთა მწერლობას, 1932 წლის ივნისში საქართველოში დაფუძნდა საბჭოთა მწერლების ორგანიზაცია ჩაკეტილი და პარტიულად კონტროლირებადი კავშირის სახით, როგორც მწერლების განსაკუთრებული ასამბლეა. დ. რეიფილდის მიხედვით, ამ მოვლენამ დაასრულა ინდივიდუალიზმი და შემოქმედებითობა შემდეგი ოცი წლის განმავლობაში. ლიტერატურა პროპაგანდის როლის შემსრულებელი გახდა (Rayfield 2000:212). რეიფილდი ასევე აღნიშნავს, რომ ქართულ ლიტერატურაში ისედაც მცირე რაოდენობის ქალი მწერლების სამოღვაწეო არეალი ძირითადად საბავშვო ლიტერატურით იყო შემოსაზღვრული, როგორც რევოლუციამდე, ისე რევოლუციის

შემდეგ⁷ (Rayfield; 2000:217) (იგულისხმება ჟანრი, და არა მამაკაცი მწერლების მიერ დაწერილი ცალკეული საბავშვო ნაწარმოებები. მოცემულ კვლევაშიც ქართველი მამაკაცი მწერლების მიერ დაწერილი საბავშვო ნაწარმოებები უფრო გვიანდელ პერიოდს მიეკუთვნება: 50-იანი წლების ბოლოსა და 60-იანი წლების დასაწყისს). ასევე საყურადღებოა, რომ ქართულ სივრცეში აღინიშნებოდა საბჭოთა ქართული საბავშვო პროზის სიმცირე, თუმცა აქტიურად მიმდინარეობდა მთარგმნელობითი მუშაობა.

ქართულ ლიტერატურულ სივრცეში იდენტობის ფორმირებაზე საუბრისას მნიშვნელოვანია ა. ბაქრაძის მოსაზრება კომუნისტური „ახალი ადამიანის“ შესახებ (როგორც თვითონ უწოდებს) - ადამიანი, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმს აღიარებს და ამ მოძღვრების მიმდევარია. თუმცა ამგვარ განმარტებას ა. ბაქრაძე ძალიან აბსტრაქტულს უწოდებს და სურს „ახალი ადამიანის“ კონკრეტული თვისებები, მისი ბუნება და ზნეობა დაინახოს. ამისათვის განიხილავს მხატვრულ ლიტერატურას. (ბაქრაძე 1990:158-159)

ქართული საბჭოთა მხატვრული ნაწარმოებების (არასაბავშვო) ანალიზის საფუძველზე, ა. ბაქრაძე აყალიბებს „ახალი ადამიანის“ რამდენიმე ნიშან-თვისებას: პირველი, კომუნისტურ „ახალ ადამიანს“ ა. ბაქრაძე კოლექტივის მოჯამაგირეს უწოდებს, რომელიც ამ კოლექტივის სასარგებლოდ მზად არის მკვლევლობისთვის და მმარცველობისთვის (ბაქრაძე 1990:167). მეორე, „ახალი ადამიანი“ უნდა იყოს ნებაყოფლობითი მილიციელი, კაგებე-ს წარმომადგენელი და თვითონვე აპატიმრებდეს საკუთარი ოჯახის წევრებს (ბაქრაძე 1990:171). მესამე, ახალ ადამიანს მხოლოდ პროლეტარიატი უნდა უყვარდეს. მოყვასის სიყვარული სისუსტეა და უნიათობას წარმოადგენს (ბაქრაძე 1990:173). მეოთხე, მისთვის სულერთია, ვინ იქნება ეროვნებით (ბაქრაძე 1990:177) ასევე, იკვეთება კლასობრივი სხვაობები - არისტოკრატიული, ბურჟუაზიული ან კულაკის ოჯახიდან გამოსული ქალი (ბაქრაძე ყურადღებას ამახვილებს ქალზე, თუმცა საბავშვო მხატვრული ლიტერატურის კვლევის ფარგლებში ეს მოსაზრება ქალზეც და კაცზეც თანაბრად ვრცელდება) სიფხიზლეს აღუწებს და ღუპავს ბოლშევიკს, მუშასა და გლეხს. ამასთანავე,

⁷ გამონაკლისს ანასტასია ერისთავი-ხომტარია (1868-1951) წარმოადგენდა, რომელიც ქალური თვალთახედვით წერდა ზრდასრულთათვის და საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდა (ა. წერეთლის მხარდაჭერით) (Rayfield 2000:217). მაგრამ ეს სცდება ჩვენი კვლევის თემატიკას

საყურადღებოა დამოკიდებულება ქალის გარეგნობისადმი. ა. ბაქრაძე განიხილავს ნაწყვეტს ბ. ჩხეიძის რომანიდან „ფერო“, რომელშიც ქალმა ვერ გაარჩია „ორგანიზაციულად დარაზმული ამხანაგების სიყვარული“ ქალისა და მამაკაცის სიყვარულისგან, გაიქცა საპარიკმახეროში - ვარცხნილობა და მაკიაჟი გაიკეთა. ამის შემდეგ პარფიუმერული საგნებიც კი იყიდა. ეს ყველაფერი მის ჩამორჩენილობაზე მიუთითებდა. საპარიკმახეროდან მოსული დედის დანახვისას პიონერი შვილი კინაღამ გაგიჟდა და პირის დაბანა სთხოვა. (ბაქრაძე 1990:175-176). აღნიშნული მონაკვეთი საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მსგავსი აზრის შემცველი მონაკვეთი კვლევაში განხილულ ნაწარმოებშიც გვხვდება, როდესაც „საპარიკმახეროში მოსიარულე“ ქალი პიონერი შვილის ზეგავლენით გარდაიქმნება და საბჭოთა მოქალაქე ხდება.

ა. ბაქრაძის მიერ ჩამოყალიბებული „ახალი ადამიანის“ ნიშან-თვისებები საბავშვო ნაწარმოებებშიც იკვეთება. კვლევის ფარგლებში მათ მახასიათებლები და/ან მსაზღვრელები ეწოდებათ. აღსანიშნავია, რომ ა. ბაქრაძის მიერ დასახელებული თვისება არის უფრო ფართო და ზოგადი სახის, ხოლო მახასიათებელი/მსაზღვრელი უფრო კონკრეტული და გამოკვეთილი. შესაბამისად, ნიშან-თვისების მიერ მოცული საკითხი შეიძლება რამდენიმე მახასიათებელს შეესაბამებოდეს. მაგალითად, კოლექტივის სიყვარული შეესაბამება როგორც ინდივიდუალიზმს/კოლექტივიზმს, ჩვენ ჯგუფს/ სხვა ჯგუფს, ასევე მტრის ხატს. ან ქალის გარეგნობაზე საუბარი შეიძლება უკავშირდებოდეს წარსულის მახასიათებელს (კლასობრივი მიკუთვნებულობა რევოლუციამდე) ან პიონერს (ბავშვის მდგომარეობა ან რეაქცია). მსგავს შემთხვევაში მონაკვეთი მიკუთვნებულია ერთ კონკრეტულ მახასიათებელს, რომელიც სხვა მახასიათებლებზე მეტი ინტენსივობით გამოხატავს იდეოლოგიურ ზეგავლენას.

საკვლევი მასალიდან (მხატვრული ნაწარმოები) გამომდინარე, ნაწარმოებში მახასიათებლები არ არის წარმოდგენილი ერთმანეთისგან სრულიად დამოუკიდებლად, არამედ პირიქით - ერთმანეთთან კავშირში, ისინი ურთიერთგადამკვეთი ან ურთიერთდამოკიდებულია. როდესაც საკითხი რამდენიმე მახასიათებელს მიესადაგება, ამ შემთხვევაში იგი მიეკუთვნება იმ მახასიათებელს, რომელსაც, ნაწარმოების შინაარსიდან

გამომდინარე, თხრობისას მეტი მნიშვნელობა ენიჭება, ხოლო მეორე მახასიათებელი მასთან კავშირშია მოყვანილი. საკითხის რამდენიმე მახასიათებლად განცალკევების შემთხვევაში, მთავარი აზრი თითოეულ მახასიათებელთან ხელახლა უნდა გაანალიზებულიყო, რაც მხოლოდ გაართულებდა საკითხის აღქმას. სწორედ ამიტომ, ზოგიერთი მახასიათებელი მხოლოდ მეორე, უფრო ხშირად გამოხატულ და მეტი დატვირთვის მქონე მახასიათებელთან ერთად, მასთან ბმაში არის განხილული.

თავი 2. პიონერი

იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ლიტერატურა ბავშვებისთვის იყო განკუთვნილი, პიონერი ამ ნაწარმოებების ბუნებრივი და განუყოფელი პერსონაჟია. გარდა იმისა, რომ პიონერის ცხოვრებისა და თავგადასავლების აღწერა ნაწარმოების შინაარსის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს, მკითხველს (ბავშვს) მიეწოდება იმ კონკრეტული თვისებებისა და ქცევების მაგალითები, რომელიც პიონერს მოეთხოვება. ასეთი არაპირდაპირი გზით მკითხველის გონებაში ილექება გარკვეული სტატუსისთვის (პიონერისთვის) სავალდებულო მახასიათებლები, რაც მის იდენტობას აყალიბებს. აღნიშნული ქცევები და თვისებები თანხვედრაშია „ნორჩი პიონერის კანონებთან“. კანონები მთელი საბჭოთა პერიოდის განმავლობაში გადაიხედებოდა: ზოგჯერ უფრო დეტალურად, საყოფაცხოვრებო ქცევების გათვალისწინებით იყო გაწერილი, ზოგჯერ კი ზოგადი პოსტულატების სახით მოცემული.⁸ მაგრამ უცვლელი იყო შემდეგი მოთხოვნები: სამშობლოს, პარტიისა და კომუნისმის ერთგულების, მეგობრობის, სწავლის, დისციპლინის და სიმართლის თქმის მიმართ. ცხადია, ნაწარმოებებში პიონერის ხატის ჩამოყალიბებისას ამ კანონების უგულებელყოფა ვერ მოხდებოდა. გარკვეულ შემთხვევებში, ნაწარმოებში აღწერილი სიტუაცია შეიძლება მკაფიოდ გამოხატავდეს კონკრეტულ კანონს.

პიონერის ხატის ფორმირება ასახავს მკითხველისთვის (ბავშვისთვის) მისაბამი ადამიანის ჩამოყალიბების პროცესს, რომლის თვისებები და მახასიათებლები კონკრეტული კულტურისა და საზოგადოებისთვის ღირებული და სანიმუშოა. აღწერილი პროცესი გ. ჰოფსტედეს კულტურული განსხვავებების აღმნიშვნელი

⁸ მაგალითად, 1958 წლის მაისის, ჟურნალ „დილას“ მეხუთე ნომერში ვკითხულობთ სსრ კავშირის ნორჩ პიონერთა კანონებს: პიონერს უყვარს თავისი სამშობლო, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. იგი ემზადება იმისათვის, რომ გახდეს საკავშირო აღკვ წევრი; პიონერი პატივს სცემს იმათ ხსოვნას, ვინც სიცოცხლე შესწირა საბჭოთა სამშობლოს თავისუფლებასა და აყვავებისთვის ბრძოლას. პიონერი მეგობრობს მსოფლიოს ყველა ქვეყნის ბავშვებთან. პიონერი ბეჯითად სწავლობს, დისციპლინიანი და ზრდილობიანია. პიონერს შრომა უყვარს და უფრთხილდება ხალხის ქონებას. პიონერი სიმართლეს ამბობს, იგი უფრთხილდება თავისი რაზმის სახელს და ა.შ.

ცნებებიდან ერთ-ერთს - გმირების ჩამოყალიბებას შეესაბამება. კვლევაში განხილული ციტატებიდან და მონაკვეთებიდან გამომდინარე, აშკარა არის კონკრეტულად პიონერებზე გამიზნული მისაბამი ხატის კონსტრუირების მცდელობა (და არა ზოგადად კულტურული გმირის). ცხადია, ხატის ჩამოყალიბებისთვის მხოლოდ „ნორჩ პიონერთა კანონებში“ მოცემული თვისებებისა და ღირებულებების ასახვა და ტრანსლირება ვერ იქნებოდა საკმარისი და ეს პროცესი მეტ მახასიათებელს მოითხოვდა.

პიონერის სახე საგრძნობლად განსხვავდება ლ.ლაგინის „მოხუცი ხოტაბიჩის“ 1938 წლისა და შემდგომ რედაქციებში. 1938 წლის რედაქციაში პიონერებს - უმთავრესად, ვოლკას პერსონაჟს - ბავშვურობა და სიცელქე ახასიათებს, ზოგჯერ პიონერისთვის შეუფერებელ საქციელსაც სჩადიან, რაც რედაქტირებულ გამოცემაში უკვე შეცვლილია. ცხადია, არის პიონერისთვისა და საბჭოთა მოქალაქისთვის დამახასიათებელი ზოგადი ფრაზები, მაგალითად, თანასწორობასა და სიმდიდრესთან დაკავშირებით, მაგრამ პიონერის ხატის ჩამოყალიბების პროცესი არ არის ისეთი ინტენსიური, როგორც უკვე 1955 წლის რედაქციაში.

პირველ გამოცემაში პიონერისთვის შეუფერებელია ვოლკას დამოკიდებულება კარნახისადმი. ხოტაბიჩი სთავაზობს პასუხების კარნახს, რაც ვოლკას ძალიანაც ახარებს. პიონერი ბეჯითად უნდა სწავლობდეს, იყოს დისციპლინიანი და ზრდილობიანი. მაგრამ პიონერად ყოფნა ვოლკას ამ ქმედებისგან არ აკავებს და დანაშაულის გრძნობას არ უჩენს. რედაქტირებულ გამოცემებში კი ვოლკა პასუხობს: *„გმადლობთ, მაგრამ მე არავითარი კარნახი არ მესაჭიროება. ჩვენ, პიონერები, პრინციპულად წინააღმდეგნი ვართ კარნახისა. ჩვენ ორგანიზებულად ვიბრძვით ამის წინააღმდეგ.“* (ლაგინი 1958:11) აქ ხაზგასმულია, რომ პიონერი ისეთ „უპატოსნო“ ქმედებას, როგორც კარნახია, არათუ არ ჩაიდენს, არამედ მის წინააღმდეგ „ორგანიზებულად“ იბრძვის კიდევ.

საყურადღებოა მტრის ხატის მკაფიოდ გამოკვეთა და გაძლიერება პირველი გამოცემიდან გასული ოციოდე წლის განმავლობაში. პიონერები ხოტაბიჩს წყალქვეშ, გიბრალტარის სრუტესთან, ძმის ძებნაში ეხმარებიან და შემთხვევით ნაღმს იპოვნენ, რომელსაც ხოტაბიჩი ძმის სამყოფელად მიიჩნევს. თუმცა ვოლკა მაშინვე მიხვდება, რომ

ეს ნაღმია და სიკვდილს გადაურჩებიან. 1938 წლის რედაქციაში არ არის მინიშნებული, რომელ სახელმწიფოს ეკუთვნის ეს ნაღმი, ანუ არ არის მითითებული კონკრეტული მტერი, და არც განსაკუთრებულ საფრთხეებზეა მინიშნება. 1951 და 1955 წლის რედაქციებში კი ვოლკა კითხულობს წარწერას ნაღმზე: “Made in USA”. აქ ამერიკა უკვე ცალსახა მტერია და წარწერაც - „გაკეთებულია ამერიკაში“ - საფრთხის ნიშანია. ამავდროულად, მას შეუძლია ნაღმისა და ყუმბარის განსხვავება. *„ყუმბარა კი არა, ნაღმი! - შეუსწორა ვოლკამ. - ამაში უნდა ერკვეოდე. ის იყო წყალქვეშა ნაღმი“* (ლაგინი 1958:154).

პიონერის ახალ, არაბავშვურ სახეს აყალიბებს კიდევ ერთი რამდენიმე მაგალითი: ფურგონში მჯდომი ვოლკა ათვალეირებს ნივთებს და ხედავს კასრს. 1938 წლის გამოცემაში ეს კასრი მას იმ კასრებს ახსენებს, რომლებშიც ფლინტის მეკობრეებს რომი გადაჰქონდათ. შემდგომ გამოცემებში ეს კასრი უეცრად საზეიმო და იდუმალი გახდება, ხოლო ვოლკას ბერძენ ფილოსოფოს დიოგენეს ახსენებს. ანუ ასოციაცია მხატვრულ ნაწარმოებთან „განძის კუნძული“, მეკობრეებთან და თავგადასავლებთან რედაქტირებას დაექვემდებარა: დიოგენეს გახსენება პიონერისთვის უფრო „შესაფერისი“ იყო.

„სწორი“ თავგადასავლებისაკენ მოწოდება კიდევ უფრო მკაფიო ხდება შემდეგი მონაკვეთიდან: ერთი სახლიდან მეორეში გადასვლისას ვოლკა ფურგონში ზის და წარმოიდგენს: პირველ შემთხვევაში - თითქოს ამერიკაშია, პრერიებში, სადაც ინდიელები შეიძლება თავს დაესხან და სკალპი ახადონ. 1951 და 1955 წლის რედაქციებში კი ვოლკა, ამერიკის ნაცვლად, ციმბირში წარმოიდგენს თავს, სადაც ბუნებასთან სასტიკი ბრძოლის პირობებში საბჭოთა ინდუსტრიის გიგანტს ააშენებს, მოწინავეთა რიგებში იქნება: პირველი ჩამოხტება მანქანიდან, პირველი გაშლის კარავს ავადმყოფთათვის. და როცა ყინვასა და ქარბუქში ვინმე მუშაობის ტემპის დაგდებას გადაწყვეტს, მას ეტყვიან *„გრცხვენოდეთ, ამხანაგო! წაბაძეთ ვლადიმერ კოსტილკოვის სამაგალითო ბრიგადას!“* (ლაგინი 1958:5).

როგორც ვხედავთ, მას შემდეგ რაც აშშ მკაფიო მტრად ყალიბდება, პიონერი თამაშითაც კი ვერ წარმოიდგენს თავს ამერიკაში ინდიელებთან მებრძოლად. ვოლკას წარმოსახული თამაში არ არის ჩანაცვლებული შესაბამისი „თამაშის სიტუაციით“, რაც

სრულიად ბუნებრივი იქნებოდა ბავშვისთვის არამედ, ამის ნაცვლად, მოცემულია ახალი ღირებულებები: პიონერი „ციმბირის დაპყრობასა“ და მუშაობაზე ოცნებობს.

გარდა იმისა, რომ ეს მონაკვეთები კვლავაც ეხმიანება პიონერთა კანონებს (პიონერი გამბედავია, სიძნელეების არ ეშინია, შრომა უყვარს და უფროხილდება ხალხის ქონებას, პიონერი მაგალითია ყველა ბავშვისათვის), მათში ასევე ასახულია მკითხველისთვის (ბავშვისთვის) მისაბამი ადამიანის ჩამოყალიბების პროცესი, რომლის თვისებები და მახასიათებლები კონკრეტული კულტურისა და საზოგადოებისთვის ღირებული და სანიმუშოა (რაც არ იყო ასეთი მკაფიო 1938 წელს).

პიონერის ხატის ჩამოყალიბებაზეა გამიზნული ის პერსონაჟებიც, რომლებიც პიონერისთვის მიუღებლად იქცევიან. ამ გზით მკაფიოდ აჩვენებენ, თუ როგორი არ უნდა იყოს პიონერი. „მოხუც ხოტაბიჩში“ ასეთი პერსონაჟი არის ვოლკას კლასელი გოგა, რომელიც ნაწარმოების 1938 წლის ვარიანტში არ არსებობს და მხოლოდ 1955 წლის რედაქციაში არის ჩამატებული. გოგა მასწავლებლებსა და კლასელებზე მხოლოდ ცუდს ამბობს, კლასელებს აბეზღებს, დასცინის, იტყუება, თან ცოტა მშიშარაცაა. დედა საშინლად ანებივრებს, საკუთარ თავს ყველაფერზე უარს ეუბნება, ამ დროს კი შეიძლება ურთიერთდახმარების სალაროდან გამოიტანოს ფული და გოგას საოცარი საჩუქარი უყიდოს. ყველა ჩამოთვლილი თვისება არ უნდა ახასიათებდეს „ნამდვილ“ პიონერს (კანონების მიხედვითაც). კლასელებთან ცუდი ურთიერთობა არღვევს არამხოლოდ პიონერის, როგორც კარგი ამხანაგის შესახებ კანონს, არამედ საკუთარ კოლექტივთან დაპირისპირების მაჩვენებელიცაა. მკითხველისთვის მკაფიო რომ ყოფილიყო მსგავსი თვისებების, ქცევებისა და მთლიანად სიტუაციის დაუშვებლობა, ბიჭი სამაგალითოდ ისჯება ხოტაბიჩის ხელით და ყეფას იწყებს. საქმე ისაა, რომ თუკი გოგა გამოცდებს ჩააბარებდა, მას ლევს აჩუქებდნენ (ასაჩუქრებდნენ იმისთვის, რაც პიონერს ისედაც მოეთხოვებოდა). გოგას მოუნდება ვოლკაზე ტყუილის თქმა, თუ როგორ სამარცხვინოდ ჩაიჭრა ვოლკა გამოცდაზე და როგორ გამოლანძღა მასწავლებელმა. ამის ნაცვლად გოგა აყეფდება, ანუ სასჯელი საჩუქრის საპირისპირო აღმოჩნდა. შემდეგში ყოველთვის,

როდესაც ვინმეზე რაიმე ცუდის თქმას დააპირებს, საშინელ ყეფას იწყებს. ამის გამო გოგას სახლიდან აღარ უშვებენ, მეზობლებს კი მუდმივად ძაღლის ყეფა ესმით.

გოგას დედის საპირისპირო პერსონაჟია ვოლკას დედა, რომელიც მკაცრად, „ნამდვილ“ პიონერად ზრდის შვილს: იგი ბრაზობს, რომ მისმა შვილმა ამხანაგის ჯანმრთელობის ამბავი ზუსტად არ იცის, მით უმეტეს რომ ერთ სადარბაზოში ცხოვრობენ, პიონერს კი მოეთხოვება ნამდვილი ამხანაგი იყოს. ამის გამო დედა დედა არცხვენს: *„მე მრცხვენია შენს გამო, ნორჩო პიონერო კოსტილკოვო! - თქვა სვეტლანა ალექსანდროვნამ, შებრუნდა და გაქვავებული სახით გავიდა ოთახიდან“* (Лагин 1958:159). დედასთან ლაპარაკის შემდეგ ვოლკა გადაწყვეტს, ექიმის წასვლისთანავე მოინახულოს გოგა, ანუ გამოასწოროს შეცდომა.

ამრიგად, ნაწარმოების რედაქტირებული ვერსია პიონერისადმი მოთხოვნებს გაცილებით უფრო დეტალურად და მკაფიოდ გადმოსცემს. ნაჩვენებია, როგორ ყალიბდება პიონერი შეცდომების გამოსწორების გზით: როცა ვოლკა ისჯება კარნახზე დათანხმების გამო, იგი მიზნად ისახავს, აუცილებლად ფრიადზე ჩააბაროს გამოცდა და მართლაც ისე აბარებს, რომ სასწავლო ნაწილის გამგე ამბობს: *„კოსტილკოვს ისე სერიოზულად უმუშავნია, როგორც პიონერს შეეფერება“* (ლაგინი 1958:170). მეორე მხრივ, ასახულია, როგორ არ უნდა იყოს პიონერი. ნაწარმოების რედაქტირებულ ვარიანტში პიონერი უფრო სწორხაზოვანი, ნაკლებად ბავშვურია; ორიგინალში კი პიონერი პირველ რიგში ბავშვია, თავისი დადებით და უარყოფითი მხარეებით. საბჭოთა ღირებულებები აქაც ხაზგასმულია, მაგრამ ბავშვების სახეები ცოცხალია, ნაკლებია სტერეოტიპები და პოლიტიკური მონოლოგები.

ა.გაიდარის ნაწარმოებშია „თემური და მისი რაზმი“ (1940) გადმოცემულმა ღირებულებებმა, პერსონაჟების ქცევებმა და თვისებებმა დიდი ზეგავლენა მოახდინა საბჭოთა ბავშვებზე და „თემურელების“ მოძრაობა წარმოშვა, რომელიც სერიოზულ კონკურენციას უწევდა პიონერულ ორგანიზაციას. შედეგად, „თემურელების“ მოძრაობა

⁹ *«Мне стыдно за тебя, юный пионер Костыльков! – сказала Светлана Александровна, повернулась и вышла из комнаты с каменным лицом.»*

გაუქმდა. ნაწარმოებში პიონერის, როგორც სტატუსის მნიშვნელობა საგრძნობია, თუმცა, თავად სიტყვა *პიონერი* სულ რამდენჯერმე არის ნახსენები, მაგალითად, სიმა სიმაკოვის სიმღერაში: *„არც ბანდა ვართ და არც ხროვა / არც მამაცთა გროვა ერთად. / ჩვენ რაზმი ვართ მხიარული, / რაზმი მარჯვე პიონერთა“* (გაიდარი 1979:250). ან კიდევ, პიონერისათვის *„შეუფერებელი“* ქცევის გაკიცხვისას: *„პიონერის ყელსახვევი გიკეთია, მაგრამ დიდი საძაგელი ბიჭი ხარ“* (გაიდარი 1979:275).

გაცილებით მკაფიოდ არის გამოკვეთილი პიონერის ხატის ფორმირების პროცესი ვ. ოსეევას ტრილოგიაში *„ვასიოკ ტრუბაჩოვი და მისი ამხანაგები“* (1947-1951). ერთმანეთთან დაპირისპირებულია მეგობრობა და მიმართება კოლექტივთან, მეგობრობა და პასუხისმგებლობა კოლექტივის წინაშე, მეგობრობა და პიონერული ღირსება.

პირველი შეპირისპირება - პიონერული ღირსება და მეგობრობა - უახლოეს მეგობრებს შორის სერიოზულ კონფლიქტს ასახავს: ვასიოკის უახლოესი მეგობარი კოლია ოდინცოვი კედლის გაზეთის რედაქტორია და ვალდებულია დაწეროს ვასიოკის დანაშაულის შესახებ. ეს ოდინცოვს მორალური დილემის წინაშე აყენებს, უჭირს მეგობრის შესახებ მამხილებელი სტატიის დაწერა, მაგრამ პიონერის ღირსება საპირისპიროს მოითხოვს (სიტუაცია ეხმიანება კანონებს - პიონერი ამბობს სიმართლეს და პიონერი კარგი ამხანაგია): *„რაღა პიონერი ვიქნები, თუ არ დავწერ? [...] მე ხომ ამიტომ ამომირჩიეს... რაღა ამხანაგი ვიქნები, თუ დავწერ?“* (ოსეევა 1951:107) *„ისიც ხომ პიონერია, არ მოისურვებს, რომ მისი გულისთვის ჩემს პიონერულ სახელს ჩირქი მოეცხოს“* (ოსეევა 1951:115).

გასათვალისწინებელია კოლექტივის მნიშვნელობაც: ოდინცოვს კლასელებიც ეკითხებიან სიმართლეს დაწერს თუ არა, რითაც უბიძგებენ „სწორი“ გადაწყვეტილების მიღებისკენ. ცხადი ხდება, რომ პიონერული ღირსება ყველაფერზე მაღლა დგას და პიონერობა არის სამართლიანობის, სისწორის და, ზოგადად, მორალის მთავარი განმსაზღვრელი. ბავშვმა უნდა იცოდეს, რომ შეცდომის, მით უმეტეს „დანაშაულის“ (პიონერული გაგებით) შემთხვევაში პიონერის ღირსება მეგობრობაზე მაღლა დგას და აქ

გადის ზღვარი დაბეზღებასა და პიონერული სიმართლის თქმას შორის და პასუხის-მგებლობა უფრო დიდი ერთეულის - კოლექტივის წინაშე.

მეორე შეპირისპირება პიონერის ღირსებასა და მორჩილებას ეხება. ბიჭები ცდილობენ გადაწყვიტონ, განაგრძონ თუ არა ერთ ჭერქვეშ ცხოვრება, მათი აზრით, სამშობლოს მოღალატესთან: „რალა პიონერები ვიქნებით, თუ მოღალატის ლუკმას შევჭამთ?“ (ოსეევა 1952:187). ისინი გადაწყვეტენ, წავიდნენ ამ ადამიანის - სტეპან ილიჩის - სახლიდან, რომელსაც დიდ პატივს სცემდნენ, როგორც ადამიანს და როგორც კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, ამიტომ მისგან ღალატი განსაკუთრებით მწარედ აღიქმებოდა. გასათვალისწინებელია ამ თავის სათაური - „პიონერული ღირსების საკითხი“ (ოსეევა 1952:187) - ანუ მხოლოდ ეჭვი საკმარისია იმისთვის, რომ მიატოვო ადამიანი, რომელსაც პატივს სცემ ან გიყვარს, თუკი ამას პიონერული ღირსება მოითხოვს.¹⁰ ვითარება იცვლება შემდეგ თავში - „პიონერული დისციპლინა“ (ოსეევა 1952:190), როდესაც ვასიოკი პიონერების გადაწყვეტილებას ორ უფროსს გაანდობს (სამოქალაქო ომის მონაწილეებს). ისინი აუკრძალავენ სტეპან ილიჩის თვალთვალს და უბრძანებენ, ადგილიდან ფეხიც არ მოიცივალონ. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს ყველაფერი პიონერის დისციპლინაზე მითითებით ხდება: „ამას თქვენგან პიონერული დისციპლინა მოითხოვს, გასაგებია?“ (ოსეევა 1952:190). ცხადია, ბრძანება ხმისამოუღებლად სრულდება. ანუ პიონერული დისციპლინა ბრძანების უპირობო შესრულებასა და მორჩილებას მოითხოვს, თუნდაც ეს ბრძანება შენს მოსაზრებებს კატეგორიულად არ ეთანხმებოდეს და შენს ღირსებას შეეხებოდეს.

ტრილოგიაში ასახულია დისციპლინის დარღვევის შედეგად: უკრაინელ ბიჭს გენკა ნალივაიკოს, პიონერის ყელსახვევი აქვს ჩამორთმეული დისციპლინის დარღვევის გამო. თუმცა, მიუხედავად ამისა, გენკა „სწორად აზროვნებს“: აქვს მიზანი - მოსკოვში წავიდეს და „მიჩურინის მეცნიერება“ შეისწავლოს, რათა მცენარეების ახალი ჯიშები

¹⁰ გავიხსენოთ მეგობრობისა და პიონერული ღირსების/მოვალეობის შეპირისპირება - ოდინცოვისა და ტრუბაჩოვის კონფლიქტი.

შექმნას; საგმირო (!) საქმეებისთვის ზრდის ცხენს; დათმობს ცხენს პიონერხელმძღვანელი მიტიას გადასარჩენად, როდესაც ის ფაშისტების ტყვეობიდან გარბის.

ვასიოკი და მისი ამხანაგები გადაწყვეტენ, რომ ამ გმირული საქციელით გენკამ დაიმსახურა პიონერის წოდება და კრებაზე, ამაღლებული განწყობის ფონზე გადასცემენ ყელსახვევს. საყურადღებოა თავად გენკას პერსონაჟის ცვლილება - თავისუფლების მოყვარული ბიჭი, რომელიც შეიძლება რამდენიმე დღით საერთოდ გადაკარგულიყო სოფლიდან და ტყეში ეცხოვრა, უეცრად იცვლება. ჩანს, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო მისთვის პიონერის წოდება და თურმე როგორ განიცდიდა ყელსახვევის ჩამორთმევას. მოქმედება ფაშისტების მიერ ოკუპირებულ სოფელში ხდება, შესაბამისად გენკა ყელსახვევს მალავს. ღამე ფრთხილად ამოაძვრენს ხოლმე სათივედან, იკეთებს და ნასკვს ეფერება. პაპაც ბედნიერია: „*მაშ პაპაშენს შეუძლია დამშვიდებით მოკვდეს*“ (ოსეევა 1952:143). თუკი გენკა ყელსახვევის მიღებამდე შვიდწლედის დასრულებაზეც კი ყოყმანობდა, პირდაპირ სპეციალობის შესწავლასა და მუშაობას აპირებდა, პიონერის წოდების მოპოვება მას ახალ მოლოდინებსა და მოტივაციას უჩენს: ახლა უკვე კომკავშირელიც გახდება და კომუნისტიც.

ეს არის მკაფიო ნიმუში, თუ როგორ ხდებოდა პიონერის, როგორც განსაკუთრებული სტატუსის მნიშვნელობის ფორმირება: ერთი მხრივ, ნაჩვენებია, რა მარტივად შეიძლება დაკარგო პიონერის წოდება და რა რთულია მისი ხელახლა მოპოვება (ამას განსაკუთრებული დამსახურება უნდა); მეორე მხრივ კი - რამხელა მნიშვნელობა აქვს პიონერად ყოფნას ადამიანის მომავლისთვის (როგორ იცვლება გენკას მოლოდინები მომავალთან დაკავშირებით).

ისევე როგორც „*მოხუც ხოტაბიჩში*“, ამ შემთხვევაშიც მოცემულია პიონერის უარყოფითი სახე - ალიოშა კუდრიავეცი (ვასიოკის ახალი კლასელი). პირველი ნეგატიური მახასიათებელი პრივილეგირებული მდგომარეობაა. ალიოშა გენერლის შვილია, შესაბამისად, სხვებთან შედარებით მეტად განებივრებული. ბიჭს ეამაყება მამის მდგომარეობა და ცდილობს ამით ბავშვებზე შთაბეჭდილება მოახდინოს. მამის მდგომარეობის გამო, თავს სხვებზე იმდენად მაღლა აყენებს, რომ დაცინვით ბრძანებასაც

გაცემს. თუმცა საბჭოთა გენერალი ვერ იქნებოდა ასევე ნეგატიური თვისებების მატარებელი: რაც მამა-შვილის წინააღმდეგობრივ სახეში გამოიხატება და ვასიოკთან შეხვედრისას იგი ალერსიანად (!) უქნევს თავს სამხედროსავით გაჭიმულ ბიჭს.

ვასიოკთან დამეგობრების სურვილს ალიოშა ასევე საკუთარი შესაძლებლობების ჩვენებით ცდილობს: ქარხნის დირექტორთან ნაცნობობით, საშვის გარეშე შესვლას სთავაზობს (რაც ვასიოკისთვის, როგორც ნამდვილი პიონერისთვის, მიუღებელია), შემდეგ მორიგეს მოსთხოვს, მამას დაალაპარაკოს, თუმცა ამის უფლებას მორიგე არ აძლევს - მამასთან ლაპარაკი შეუძლია სახლში, აქ მამას კი არა, გენერალს მიმართავს, რომელიც დაკავებულია. როდესაც ალიოშა გაიგებს, რომ ტრუბაჩოვი კლასელებთან ერთად ომის დროს დაბომბილ სკოლას აშენებს, გადაწყვეტს მათთან ერთად იმუშაოს, თუმცა აქაც თავს ხელმძღვანელის პოზიციაში აყენებს და დასძენს რომ ბავშვებს ორგანიზებას გაუკეთებს, ყველაფერს მოაწესრიგებს, რადგან მას ეს კარგად გამოსდის. ანუ ალიოშა თავს სხვა პიონერების თანასწორად არ მიიჩნევს, კოლექტივისგან გამოცალკევებას და ხელმძღვანელობას ცდილობს, თანაც დაუმსახურებლად. ვასიოკისთვის ალიოშა ტრაბახა ბიჭია, ის კი მიიჩნევს, რომ ვასიოკს მისი, უბრალოდ, შურს (ოსეევა 1953:97).

ალიოშა გამარჯვებისათვის უპატიოსნო ხერხებს მიმართავს, უპატივცემულოდ ექცევა სოციალურ იერარქიაში მასზე დაბლა მდგომებს (როგორ თვითონ მიიჩნევს). იდეოლოგიური თვალსაზრისით, ეს სრულიად მიუღებელია: მამის მდგომარეობით უზრუნველყოფილ და განებივრებულ პიონერს თავი მშრომელ ადამიანზე უკეთესი და მაღლა მდგომი ჰგონია, თუმცა თვითონ ცხოვრებაში ჯერ არაფერი შეუქმნია. იკვთება ყველა ის თვისება, რაც არ უნდა ჰქონდეს ნამდვილ პიონერს (ნორჩი პიონერის კანონების მიხედვითაც).

ცხადია, გენერლის შვილის მსგავსი უარყოფითი სახე ჩრდილს აყენებს თავად გენერალს. გენერალი კი ვერ იქნება ზემოთჩამოთვლილ თვისებებთან ასოცირებული: საბჭოთა სამხედრო პირები კვლევაში განხილულ ნაწარმოებთა უმრავლესობაში კულტურულ გმირად არიან წარმოდგენილი. გენერალი თავად მიუთითებს შვილს მიუღებელ თვისებებზე, ზედმეტ თავმომწონეობასა და ტრაბახზე. *„მე შენს საქციელს უტიფრობას*

მივაწერ, ალექსეი! იფიქრე ამაზე. თუ ეს ასე არ არის, ძალიან მოხარული ვიქნები. “ეუბნება იგი ალიოშას (ოსეევა 1953:213).

გენერლის შვილი არ შეიძლება პიონერისთვის მიუღებელი თვისებების მქონე ნეგატიურ პერსონაჟად დარჩენილიყო. ამიტომ, შინაარსის განვითარებასთან ერთად, ალიოშა ნელ-ნელა უკეთესობისკენ იცვლება. ბოლოს ის და ვასიოკი დამეგობრდებიან, რაშიც დიდ როლს ასრულებს ვასიოკის ომისდროინდელი ამბავი. ორივე აღიარებს, რომ ყოველთვის უნდოდათ მეგობრობა. ალიოშა თავის შეცდომებსაც აღნიშნავს, მაგრამ ვასიოკი გააწყვეტინებს, შერიგებისას ამას არ იხსენებენო.

ა. რიბაკოვის „დაშნაში“ (1948), რომელიც პიონერული ორგანიზაციის ჩამოყალიბების პერიოდს აღწერს, არაერთხელ არის ახსნილი, თუ ვინ არიან პიონერები და რა არის მათი მოვალეობა: „ის ... ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციაა. კო-მუ-ნის-ტუ-რი. მაშასადამე, ისინი პატარა კომუნისტები არიან... ყველაფერი გასამხედროებული აქვთ!“ (რიბაკოვი 1962:84); „პიონერები კომკავშირის ცვლია. ახლა ყველა ბავშვები პიონერულ რაზმებში ერთიანდებიან და ამავე რაზმებში ემზადებიან კომკავშირში შესასვლელად“ (რიბაკოვი 1962:145); „პიონერებმა ბოლომდე უნდა მიიყვანონ ის საქმე, რომელიც მათმა მამებმა და უფროსმა ძმებმა დაიწყეს - კომუნიზმის მშენებლობის საქმე“ (რიბაკოვი 1962:153). ის რომ, მთელი ცხოვრების ამოცანა კომუნიზმის მშენებლობაა, რამდენჯერმე მეორდება ნაწარმოებში. რაზმის შეკრებაზე განიხილავენ ლენინის სიტყვებს: „...თაობა, რომელიც ახლა თხუთმეტი წლისა არის, ... იხილავს კომუნისტურ საზოგადოებას. იგი თვითონ იქნება ამ საზოგადოების მშენებელი. მათ უნდა იცოდნენ, რომ მთელი ცხოვრების ამოცანა ამ საზოგადოების მშენებლობა იქნება“ (რიბაკოვი 1962:225).

ნაწარმოებში ასევე საუბრობენ პიონერთა კანონებზე: „პიონერი ჯანმრთელი და ამტანია; ... სუსტი თუ ხარ, ბურჟუა წუთში მიგტყიპავს და მიგაგდებს. ვერავითარი ცოდნა მერე ველარ გიშველის;“ „პიონერი ცოდნისკენ მიისწრაფვის. ცოდნა და უნარიანობა - ძალია მუშათა საქმისთვის საბრძოლველად;“ „პიონერი მუშათა კლასის ერთგულია“. „პიონერი გამბედავია და სულით აროდეს ეცემა“; და ყველაზე მთავარი: „ბავშვები რევოლუციას უნდა ეხმარებოდნენ“ (რიბაკოვი 1962:140).

აღსანიშნავია, რომ „დაშნა“ პირველად 1948 წელს გამოიცა, როდესაც პიონერთა ორგანიზაცია უკვე 20 წელზე მეტია, რაც არსებობდა (იგი 1922 წელს დაარსდა). შესაბამისად, თითქოს საჭირო აღარ უნდა ყოფილიყო პიონერობის არსის ახსნა. მიუხედავად ამისა, ავტორი მას კიდევ რამდენჯერმე უბრუნდება, და რაც ყველაზე მთავარია, თავი, რომელშიც დასახელებული საკითხების შესახებ მსჯელობენ, საკუთრივ ნაწარმოების შინაარსის განვითარებას არ ემსახურება, მას კონკრეტული იდეოლოგიური დატვირთვა აქვს - პიონერის შესაბამისი „სწორი აზროვნების“ ჩამოყალიბება. ამ მიზანს ემსახურება, მაგალითად, მიშას კამათი დედასთან „ანა კარენინას“ შესახებ, რომელსაც მიშა აგდებულად უყურებს. მისი აზრით, ამ ნაწარმოების მთავარ გმირებს ცხოვრების მიზნები არ გააჩნიათ, გაუგებარია რისთვის ცხოვრობენ. პირადული მიზნები არ ითვლება, რადგან *„ასე თუ ვიმსჯელებთ, მაშინ ყველა ადამიანს ჰქონია მიზანი. გამოდის, რომ ალკოჰოლიკსაც აქვს თავისი მიზანი, იყოს ყოველდღე მთვრალი. ანდა ნეპმანს - ფული დააგროვოს. [...] მიზანი ამალელებული უნდა იყოს, კეთილშობილი“* (რიბაკოვი 1962:244). ან კიდევ - მამის მაგალითის მოყვანა: *„თავის თავზე, თავის კეთილდღეობაზე არასოდეს ფიქრობდა, მისთვის ყველაზე მაღალი პარტიის ინტერესები იყო“* (რიბაკოვი 1962:245). *„მიშას სწამდა, რომ იცხოვრებდა ისე, როგორც იცხოვრა მისმა მამამ და მისმა მსგავსმა ადამიანებმა, რომელთაც თავისი სიცოცხლე რევოლუციის დიად საქმეს შესწირეს“* (რიბაკოვი 1962:245), - ეს ამ თავის დამაგვირგვინებელი სიტყვებია.

როგორც ვხედავთ, პიონერის ხატის ფორმირება აქტიურად და სრულიად მიზანმიმართულად მიმდინარეობს. გამძაფრებული და წინ წამოწეულია პიონერად ყოფნის პატივი და პიონერის, როგორც სტატუსის მნიშვნელობა. უნდა აღინიშნოს რომ ტექსტური მონაკვეთებისა და თხრობის ამ სახის თანმიმდევრობა (პიონერობის/კომკავშირელობის და იდეოლოგიური აზროვნების კავშირი კონკრეტულ საკითხებთან და გადაწყვეტილებებთან) დამახასიათებელია კვლევაში განხილული ნაწარმოებებისთვის.

1921-1922 წლები, როცა მოქმედება ხდება, ის პერიოდია, როდესაც პიონერთა რაზმების ჩამოყალიბების კვალდაკვალ სკაუტთა მოძრაობა უქმდება. 1922 წელს პიონერული ორგანიზაცია რუსეთის იმპერიაში არსებული სკაუტთა მოძრაობის

საპირწონედ შეიქმნა და მისგან გარკვეული ელემენტები შეითვისა. 1923 წელს სკაუტების უკანასკნელი შეხვედრა ჩატარდა - ორგანიზატორები დააპატიმრეს, თავად მოძრაობა კი აიკრძალა. სამოქალაქო ომის დროს თეთრ მოძრაობასთან სკაუტების კავშირიდან გამომდინარე, პიონერებს ჰყავთ საკუთარი „მტრებიც“ - სკაუტები. მათ დაპირისპირებას მწვავე იდეოლოგიური საფუძველი აქვს.

ნაწარმოებში საინტერესოდ არის აღწერილი ეს დაპირისპირება: კრასნაია პრესნიას რაიონში ნორჩ პიონერთა რაზმში გასაწვრიანებლად წასულ მიშას, გენკას და სლავკას, რომლებიც პიონერთა კლუბში პლაკატების, დოლის, საყვირის, პატარ-პატარა ალმების, მორზეს ანბანისა და „რგოლის ჟურნალების“ თვალთვლით არიან გართული, ადგილობრივი პიონერები დაესხმებიან თავს და დაატყვევებენ, რადგან სტუმრებს სკაუტებად მიიჩნევენ. „ჩვენმა რგოლმა სკაუტების სამი მზვერავი დაიჭირა, რომელთაც რაზმის დროშის მოპარვა სურდათ“ აცხადებენ ისინი (რიბაკოვი 1962:137). „*პატარა გაუგებრობა მოხდა, - უხსნის ბიჭებს პიონეხელმძღვანელი, - ჩემი ბავშვები, ძველი ამბების გავლენით ისევ სკაუტებს ეომებიან და აი, თქვენც მოგხვდათ*“ (რიბაკოვი 1962:139). მეგობრები მისგანვე იგებენ, რომ კრასნაია პრესნიას რაიონში არსებული რაზმი ერთადერთი არ არის და იქვე, მათ მეზობლად, პიონერთა სახლიც კი გახსნილა. სტუმრების ვინაობის გარკვევის შემდეგ პიონერები მიშას, გენკასა და სლავკას მასპინძლობას უწევენ და „*სამგზის „ვაშას“ ძახილით მიესალმნენ მომავალ პიონერებს*“ (რიბაკოვი 1962:139).

საყურადღებოა კიდევ ერთი მომენტი: გზაში, კუდრიანსკის მოედანზე, ბავშვები ტყვიებითა და ყუმბარებით დაცხრილულ კუთხეს ათვალთვლით, სადაც ოქტომბრის რევოლუციის დროს კადეტებს ებრძოდნენ. მიშა იხსენებს, როგორ აგროვებდა მასრებს ამ ადგილას, როცა რვა წლის იყო. ამ ამბით მკითხველისთვის ოქტომბრის რევოლუცია და მტერთან (კადეტებთან) ბოლშევიკების ბრძოლა ცოცხლდება, რომლის თანაზიარი მიშაც არის (მასრებს აგროვებდა).

პიონერის ხატის ფორმირებაზე მიმართული კიდევ ერთი მონაკვეთი, სადაც პიონერისთვის საჭირო „საბრძოლო“ თვისებები არის მოცემული: მტერს ეომებიან,

მუდმივად მზადყოფნაში არიან მზვერავის აღმოსაჩენად (პიონერებმა მიშა, გენკა და სლავკა ჯერ კიდევ ქუჩაში შენიშნეს, ანუ ქუჩაში, კლუბთან სამი უცნობი ბიჭი უკვე პიონერის ეჭვს უნდა იწვევდეს), ფიზიკურად საბრძოლოდ (ბიჭებს პიონერები თავს დაესხმებიან და დაატყვევებენ).

პიონერის ხატი, მტერთან ბრძოლას და/ან საბრძოლო მდგომარეობაში ყოფნასთან ერთად (პიონერები მუდმივად ფხიზლად არიან მტრის აღმოსაჩენად, ფიზიკური ბრძოლისათვის და თუნდაც მტრის გასასამართლებლად - „ახლა რა უნდა ვუყოთ ამათ? ჩვენ თვითონ გავასამართლებთ თუ ვინმეს გადავცემთ?“), პოლიტიკურ აზროვნებასაც მოიცავს. პიონერის (მიშას) მსჯელობა, რაზმის საქმეებთან ერთად, დაკავშირებულია პოლიტიკის საკითხებთანაც: *„იმ გამყიდველმა სოციალ-დემოკრატებმა ხომ სულ დაკარგეს სინდის-ნამუსი. ნეტა რატომ ითმენენ ეს საზღვარგარეთელი მუშები ამ კაპიტალისტებს? მუშები ხომ ბევრნი არიან, კაპიტალისტები კი ერთი მუჭა. ნუთუ ვერ მოერევინ“* (რიბაკოვი 1962:184). და ეს არ არის ერთჯერადი შემთხვევა, მიშა ხშირად მსჯელობს მეგობრებთან პოლიტიკასა და კლასობრივ ბრძოლაზე. ნელ-ნელა აღნიშნული საკითხები პიონერებისთვის ჩვეულებრივ, დამახასიათებელ სასაუბრო თემად იქცევა. ამ გზით ყალიბდება ბმა: პიონერი - პოლიტიკა.

„დაშნაში“ პიონერის ნეგატიური სახეც არის მოცემული. ამ შემთხვევაში პიონერისთვის შეუფერებელი თვისებები არ არის უბრალოდ ბავშვის (პიონერის) ხასიათიდან გამომდინარე შეცდომები, არამედ ისინი იდეოლოგიურ წინაპირობებს უკავშირდება. პიონერის ნეგატიურ სახეს იურა სტოცკი, იგივე იურკა სკაუტი წარმოადგენს. დაპირისპირების იდეოლოგიური საფუძველი აქვს: ბიჭები სკაუტებს *ბურჟუების ლაქიებს უწოდებენ* (რიბაკოვი 1962:96).

იურა სტოცკის უარყოფითი სახე მხოლოდ სკაუტობით არ ამოიწურება. სკაუტად ყოფნა, ისევე როგორც პიონერობა, მოიცავს და განსაზღვრავს კონკრეტულ თვისებებს. თუკი პიონერის შემთხვევაში მხოლოდ დადებითი თვისებები არის ჩამოყალიბებული, სკაუტი საბჭოთა იდეოლოგიისთვის მიუღებელ შეხედულებებს აერთიანებს. იურას პერსონაჟის საშუალებით ერთმანეთზეა აკინძული ის უარყოფითი თვისებები, რომლის

წინააღმდეგაც იბრძვიან პიონერები. იურას ნეგატიური თვისებები - ქედმაღლობა, რომელიც უზრდელობაში გადადის, კოლექტივისაგან განზე დგომა, რომელიც მხოლოდ მას კი არა, კოლექტივსაც აზიანებს, თავნებობა, ბატონკაცური ქცევები - ორ უმთავრეს „მტერთან“ კავშირში განიხილება: ბურჟუებთან (სკაუტების მეშვეობით) და არისტოკრატიასთან (პეჩორინთან, როგორც ეგოიზმისა და თავადაზნაურული საზოგადოების ნიმუშთან შედარება).

საყურადღებოა იურას მამის სახე: ყელ-ყურ-ცხვირის ექიმი, წარმოსადეგი კაცი მოვლილი სახითა და თეთრი ფუნჩულა ხელებით. თუ გავითვალისწინებთ ამ პერიოდის მისაბამ ხატს - მუშის ძლიერ, ნამუშევარ ხელებს, მაშინ კონტრასტი თვალშისაცემი და არცთუ სახარბიელოა. იურაც განებივრებულია: საციგურაო მოედანზე, სადაც ყველას „სნეგუროჩკები“ ან „ნურმისები“ ეკეთა, მხოლოდ იურას აქვს ნორვეგიული ციგურები. ამას ემატება ექიმი სტოცკის დამოკიდებულება მაწანწალა ბავშვების მიმართ, რომლებთანაც პიონერები მუშაობენ. იურას მამა კი, როდესაც შვილს, ახალი ველოსიპედით, მაწანწალებთან ახლოს მისულს დაინახავს, მკაცრად მოსთხოვს სახლში წასვლას: თავად ექიმმა *„მაწანწალებს გახედა, უსიამოდ დაიღრიჯა და სწრაფად გავიდა ეზოდან“* (რიბაკოვი 1962:161). ექიმის დახასიათებიდან და საქციელიდან გამომდინარე, გასაგები ხდება საიდან გამომდინარეობს იურას „არაპიონერული“ ქცევები და ფასეულობები.

შემთხვევითი არ არის, რომ ერთადერთი ადამიანი, ვინც იურას იცავს, არის ლელია პოდვოლოცკაია - ქედმაღალი და არცთუ ისე მეგობრული გოგო, რომლის ოჯახი ასევე საზოგადოების ზედა ფენას მიეკუთვნებოდა: *„პირდაპირ არ მესმის რას ერჩიან ეს პიონერები იურას. გენკა ათასჯერ უფრო მეტი ხულიგანია, თანაც პიონერი. ეს უსამართლობაა,“* ამბობს ლელია (რიბაკოვი 1962:193). საინტერესოა ხაზგასმა „ეს პიონერები“, თითქოს ლელია საკუთარ თავს მათგან, ანუ კოლექტივისგან, განაცალკევებს.

პიონერებს აწუხებთ ის ფაქტი, რომ *„ჯგუფში შეინიშნება მავნე გატაცება ზოგიერთი პიროვნებით, მაგალითად, მერი პიქფორდითა და პეჩორინით. [მერი პიქფორდის ყოველ სურათი] თავდება იმით, რომ იგი ცოლად მიჰყვება მილიონერს.*

რატომ უნდა მიბაძოს მას ქალმა, როცა ყველასთვის ნათელია, რომ ჩვენში მილიონერები აღარ არიან და საერთოდ მალე არსადაც აღარ იქნებიან?“ რაც შეეხება პეჩორინს, „უპირველეს ყოვლისა, იგი აზნაურია და თეთრების ოფიცერი. მეორეც ის, რომ ასპროცენტიანი ეგოისტია, მისი ეგოიზმის წყალობით სხვები იტანჯებიან“ (რიბაკოვი 1962:200). [...] აშკარაა, თუ ყველა პეჩორინს მიბაძავს და მხოლოდ თავის თავზე იზრუნებს, იქამდე მივალთ, რომ ადამიანები ერთმანეთს დაერევიან და წმინდა წყლის კაპიტალიზმი იქნება“ (რიბაკოვი 1962:201).

მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოები აღწერს 1920-იანი წლების ამბებს - პიონერული ორგანიზაციის საწყის ეტაპს, მასში მაინც აისახა კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის 13 მარტის დადგენილება, რომლის თანახმად, უნდა გაუმჯობესებულიყო პიონერული ორგანიზაციის მუშაობა. ნაკლად ჩაითვალა სკოლაში კრებებითა და მოხსენებებით შემოფარგვლა. უნდა მოწყობილიყო ლაშქრობები, ადგილობრივი ექსკურსიები, ექსკურსიები მუზეუმებში, წიგნებისა და საბავშვო ჟურნალ-გაზეთების კოლექტიური განხილვა, სპორტული შეჯიბრებები, ფილმებსა და სპექტაკლებზე კოლექტიურად დასწრება და განხილვა, პიონერთა რგოლებს შორის შეჯიბრებები. „დაშნაში“ პიონერობის მსურველი ბავშვები დგამენ პიესას „კულაკი და მოჯამაგირე“, მიღებული ფულით კი ეხმარებიან ვოლგისპირეთის მოშიმშილე ბავშვებს; უკვე პიონერთა რაზმის ჩამოყალიბების შემდეგ ბავშვები მუშაობენ უსახლკაროებთან, ცდილობენ მათ გადაბირებას, მათთან ერთად მიდიან ლაშქრობაში. ცხადია, ატარებენ კრებებს, ხოლო ლიტერატურასა და კინოს კედლის გაზეთში განიხილავენ (თუმცა სხვა პიონერების ნაკლის აღწერის მიზნით).

ისევე როგორც ზემოთ განხილულ ნაწარმოებებში, „დაშნაშიც“ პიონერისთვის სავალდებულო თვისებებისა და უარყოფითი მახასიათებლების შეპირისპირება მიმართულია პიონერის ხატისა და პიონერად ყოფნის, როგორც საბჭოთა ახალგაზრდის იდენტობის განუყოფელი ნაწილის ჩამოყალიბებისაკენ.

რიბაკოვის მეორე ნაწარმოები - „ბრინჯაოს ფრინველი“ (1956) - უკვე არა პიონერის, არამედ კომკავშირელის სანიმუშო სახე-ხატს აყალიბებს და ხაზს უსვამს პიონერისა და კომკავშირელის ჩართულობას იდეოლოგიურ და პოლიტიკურ მუშაობაში.

გენდერული როლებზე, სტერეოტიპებსა და ქალის/მამაკაცის მიმართ კონკრეტულ მოთხოვნებზე აქცენტით არის გადმოცემული პიონერთა სახეები ედიშერ ყიფიანის „ათფურცლიანი რვეულების“ (1956) მოთხრობაში „მეტოქეები.“ ზაფხულში თბილისში დარჩენილი ბავშვებისთვის გახსნილ პიონერთა ბანაკში მზია გაიცნობს ბიჭს - ბუბას, რომელიც გულღრმო, უკმეხი და გოგოების მოძულე ბავშვია და არც ბიჭებთან აქვს კარგი ურთიერთობა, კონფლიქტიც მოსდის მეორე პიონერთან, ბაკურთან. მზიას ძალიან ეცოდება ბუბა: *„არ მეგონა, ბუბასნაირი გულღრმო ბავშვი თუ იყო ამქვეყანაზე. განა შეიძლება ადამიანი ცუდიც იყოს, შურიანიც, არავინ უყვარდეს და არავის უყვარდეს?“* თუმცა თვლის, რომ *„ასეთი ადამიანის შეყვარებაც შეიძლება... თუ გულთბილად და ყურადღებით მოეპყრობი“* (ყიფიანი 1974:378). აქ ბავშვებზეა ლაპარაკი და ხაზგასმული არ არის მათი პიონერობა. პიონერის არასასურველი სახის შექმნის მიუხედავად, ეს პერსონაჟი მაინც არ აყალიბებს პიონერის ნეგატიურ ხატს, როგორ ეს უკვე განხილული ნაწარმოებების შემთხვევაში იყო. ბაკურთან დაპირისპირებაც ადამიანურ, და არა პიონერულ ჭრილშია მოცემული.

ბუბას - რაზმის ხელმძღვანელის - დამოკიდებულება რაზმის წევრებისადმი არ არის პიონერისთვის შესაფერისი: იგი რაზმის წევრებისგან მოითხოვს გამარჯვებას, რომ აუცილებლად წავიდეს ბორჯომში, თან ემუქრება: *„და რომ დამალატოთ, ხომ იცით ჩემი ამბავი!“* (ყიფიანი 1974:381) მეორე ამბავი გოგონებთან დამოკიდებულებას უკავშირდება: რაზმში ორი ბიჭი და ორი გოგოა, და ორივე ბიჭი გოგონებს ზემოდან უყურებს. გამარჯვება მისი იქნება, ვისაც ნაკლები გოგო ჰყავს. ბუბა კი მკაფიოდ ანაწილებს თვისებებს: ღონიერი - ბიჭი, დოყლაპია - გოგო: *„ზოგი გოგო ბიჭივით ღონიერია, ზოგი ბიჭი კი - გოგოსავით დოყლაპია“* (ყიფიანი 1974:381). მზია კი ცდილობს, ბუბას უხასიათობა ქალაქში მისი ცხოვრებით ახსნას; მისი აზრით, ბიჭი სხვანაირი

იქნებოდა, მთებში ან მიუვალ კლდეებში რომ დასახლებულიყო, გამოსულიყო მონადირე, მწყემსი, ალპინისტი, არქეოლოგი ან გეოლოგი.

გოგონების მიმართ ირონიული დამოკიდებულება არა მხოლოდ თანატოლი ბიჭებისგან არის ჩვეულებრივი, არამედ უფროსი ადამიანის მხრიდანაც. „*მხოლოდ ის საცოდავი გოგონები დადიან, - ამბობს საწყობის გამგე, - კონსერვის კოლოფების გარდა, ვერაფერი მოაქვთ*“ (ყიფიანი 1974:395). ეს ამ ნაწარმოებს კიდევ ერთი განმასხვავებელია: განხილულ საბავშვო ნაწარმოებებში უფროსის მხრიდან, ძირითადად, დამრიგებლის პოზიციაა გამოხატული. უფროსი, როგორც დადებითი პერსონაჟი, ცდილობს ბავშვი იდეურად „სწორ“ გზაზე დააყენოს და არა დასცინოს მას, მით უმეტეს, შესრულებული სამუშაოს გამო.

ჯართის შეგროვებაში ბუბას და ბაკურის რაზმების შეჯიბრების დროს ბუბას რაზმი წინაურდება, თუმცა ბუბა მალევე იგებს, რომ ამის მიზეზი ბაკურის ავადმყოფობა ყოფილა. ბუბას არ უნდა არათანაბარ პირობებში გაიმარჯვოს, რადგან ეს ღირსების საკითხია. იგი აგროვებს ჯართს და ბაკურის რაზმის სახელზე აბარებს. თუმცა ამას რაზმის წევრებთან შეუთანხმებლად აკეთებს და მათი აზრი არც აინტერესებს (ყიფიანი 1974:396). ბაკურის რაზმი გაიმარჯვებს. ბუბას მოთხოვნით, ბავშვები არ გაამხელენ მის საქციელს. ის აღარ მიყავთ ლაშქრობაში და თბილისში რჩება, ისევე როგორც მზია, რომელსაც მოპოვებული ჰქონდა ლაშქრობაში წასვლის უფლება, თუმცა საკუთარი სურვილით თქვა ამაზე უარი.

ქეთევან მასწავლებლის რეაქცია ამ ამბავზე ცალსახად დადებითია. მისი აზრით, მზიას და ბუბას მეგობრობა დიდი სიყვარულის დასაწყისია. ის ფაქტი, რომ მასწავლებელიც ბუბას დამოკიდებულებას არამხოლოდ დასაშვებად, არამედ სიყვარულის დასაწყისად მიიჩნევს, ასახავს მის მიერ გენდერული როლებისადმი ტრადიციული დამოკიდებულების გაზიარებას. ბუბაც და მზიაც პიონერები არიან და როგორც პიონერებს, ერთნაირი უფლება-მოვალეობები აქვთ, მაგრამ ურთიერთობა გოგო-ბიჭის ჭრილში მიმდინარეობს და ამავე ჭრილში აღიქმება. პიონერად ყოფნა ურთიერთობაზე გადამწყვეტ ზეგავლენას ვერ ახდენს.

აშკარაა განსხვავება სხვა განხილული ნაწარმოებებისაგან: პიროვნული ღირსება პიონერულ ღირსებაზე მაღლა დგას (შევადართ კოლია ოდინცოვისა და ვასიოკ ტრუბაჩოვის შემთხვევას, როდესაც მეგობრობაზე მაღლა პიონერული ღირსება და სიმართლე იდგა), მით უფრო, რომ ბუბა და ბაკური მეგობრები არ არიან, არამედ მოწინააღმდეგე რაზმების ხელმძღვანელები და თანაც პირადი კონფლიქტიც აქვთ.

ამავე მიდგომას ვხედავთ ლ.მრელაშვილის „იყალთოელ ბიჭებში“ (1957), სადაც პიონერის ხატის ფორმირება ასევე განსხვავდება რუსულ საბჭოთა საბავშვო ნაწარმოებებში გადმოცემული ანალოგიური პროცესისგან. ურთიერთობები და იდეოლოგია ერთმანეთისგან, რამდენადაც ეს შესაძლებელია, განცალკევებულია. მეგობრობას გაცილებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება და უფრო მაღლა დგას, ვიდრე იდეოლოგია. ბევრი მოქმედებისა და საქციელის განმსაზღვრელიც, პირველ რიგში, მეგობრობა და მისგან გამომდინარე ფასეულობებია, ხოლო იდეოლოგიით განპირობებული ღირებულებები, ხშირ შემთხვევაში, მათი თანმხლებია.

მაგალითად, პიონერების მიერ ერთმანეთის დანაშაულზე მითითება, რაც იდეოლოგიური კუთხით სწორ და პიონერისთვის სავალდებულო საქციელად ითვლება, „იყალთოელ ბიჭებში“ არ არის დადებითად შეფასებული. კოლია ოდინცოვის მსგავს გადაწყვეტილებას ნაწარმოებიდან „ვასიოკ ტრუბაჩოვი და მისი ამხანაგები“ იყალთოელი ბიჭები დაბეზლებას უწოდებენ. ამის გამო თავიანთი რგოლიდან ბიჭსაც კი გარიცხავენ (მრელაშვილი 1974:22). დამბეზლებელს ანგარიშსწორებასაც კი პირდება რგოლის ხელმძღვანელი: *„ეტყვის და ნახავ, როგორ მივბეგვავ“* (მრელაშვილი 1974:8). ეს სანიმუშო პიონერისთვის, თანაც რგოლის ხელმძღვანელისთვის, სრულიად მიუღებელი უნდა იყოს, მით უმეტეს, თუკი ის მთავარი, დადებითი პერსონაჟია, რომელიც მკითხველისთვის ქცევის ნიმუშს უნდა აყალიბებდეს. რაც ყველაზე საინტერესოა, ბოლოსკენ, რგოლიდან გარიცხული ბიჭი, ზალიკო ლაჩაშვილი, თავად აღიარებს დანაშაულს: *„მართალია, სანდროს უფლება არა ჰქონდა, რომ გავერიცხე, მაგრამ ახლა რომ ვუფიქრდები, სწორად მოიქცა, რადგან მე დამაფიქრა ამ ამბავმა და რგოლის წევრებთან*

დამოკიდებულება...“ (მრელაშვილი 1974: 204), შემდეგ კი ფიცს დებს, რომ აღარასდროს არავის დააბეზლებს.

ბავშვები პიონერისთვის მიუღებელ ტყუილს არ ერიდებიან და კოლმეურნეობაში მუშაობისაგან თავის დაძვრენასაც ცდილობენ, რისთვისაც, ჩვეულებისამებრ, „ავად ხდებიან“: *„კვირას კოლმეურნეობაში ჩალის საჭრელად წავიდეთ თუ ავად გავხდეთ? უეჭველად ავად უნდა გავხდეთ, თორემ მთელი დღე ჩალის ჭრა? არა, ძმაო! ... კვირა იმის კვირაა, რომ კაცმა დაისვენოს“* (მრელაშვილი 1974:83). პიონერისთვის შესაფერისი მუშაობის ნაცვლად, ბიჭები გადაწყვეტენ ჩავიდნენ ალაზანზე, მთელი დღე იბანაონ და ითევზაონ, საღამოს კი მოსწავლეებს შეერიონ, ვითომ თვითონაც ჩალას ჭრიდნენ. ანუ ისინი უბრალოდ თავს კი არ არიდებენ მუშაობას, არამედ სხვისი მუშაობის ხარჯზე ქმნიან შთაბეჭდილებას, თითქოს თვითონაც მუშაობდნენ, ამ დროს კი ერთობიან.

„იყალთოელ ბიჭებში“ ცნება „პიონერი“ ხშირ შემთხვევაში უტოლდება „მეგობრობის“ ცნებას და არ არის აღქმული განყენებულად, როგორც სხვა ღირებულებებზე უფრო მაღლა მდგომი. დიდწილად მოშორებულია პოლიტიკური/იდეოლოგიური დატვირთვა, რაც ზემოთ განხილულ რუსულ საბჭოთა ნაწარმოებებში პიონერების უმთავრეს საფიქრალსა და პიონერის ხატის აუცილებელ მახასიათებელს წარმოადგენს. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, „პიონერობა“ მაინც მოიაზრება განსაკუთრებულ „სტატუსად“. მაგალითად, როდესაც „გროზნას“ გაუკვირდება, გვირაბში როგორ ჩავიდნენ, იქ ხომ ავი სულები ბუდობენო, პასუხად იღებს *„მაგათ გული შიგნიდანა აქვთ. პიონერები ვართო“* (მრელაშვილი 1974:184). ანუ, პიონერი უფრო მეტად ვაჟკაცობასა და სიმამაცეს უკავშირდება, მაგრამ ისევე როგორც ე. ყიფიანის „მეტოქეებში“, „იყალთოელ ბიჭებშიც“ იკვეთება დამოკიდებულება გოგონების მიმართ. ისინი არ არიან აღქმულნი თანასწორ პიონერებად და მათდამი დამოკიდებულება არასერიოზულია: *„ესლა აკლია გოგოებთან იამხანაგოს. სანდროს საკმარისი ამხანაგები ჰყავს და მეტი არც ესაჭიროება. ისინი ჭირშიაც მასთან არიან და ლხინშიაც. გოგონები კი რაღაც ენას ვერ აკავებენ პირში“* (მრელაშვილი 1974:35); *„გოგოებს სიტყვა დაეჯერებათ? მოგატყუებდა?“* (მრელაშვილი 1974:37); *„იმ გოგოებს უხარიათ, რომ საქმე დავავალე, მაგრამ იმათი შეკრული კონა რა*

უნდა იყოს? შენ დაუარე და ყველა კონა შეამოწმე, არ გაიხსნას“ (მრელაშვილი 1974:152). ყველაზე ნათლად ეს დამოკიდებულება ჩანს „სნაიპერისა“ და ლენას საუბრის დროს, როდესაც გვირაბში უნდა ჩავიდნენ (მრელაშვილი 1974:125, 341). სხვაგვარად რომ ვთქვათ, პიონერი გოგო არ არის სანდო, ზედმეტს ლაპარაკობს, არ შეუძლია დავალებული სამუშაოს კარგად შესრულება ან თვითონ რაღაცას ვერ ახერხებს და მეგობრის „სათრევია“, მათთან ამხანაგობა კი საერთოდ არასასურველია. ეს მოსაზრებები წინააღმდეგობაში მოდის პიონერის ხატის ფორმირებაზე გამიზნულ მახასიათებლებთან.

ო. იოსელიანის „[უთაური ბიჭის] კახას თავგადასავალში“ (1960) მთავარი პერსონაჟი არ აყალიბებს სანიმუშო პიონერის ხატს, პირიქით - კახა სრულიად არღვევს პიონერისთვის დამახასიათებელ წესებსა და ვალდებულებებს. ის ცუდი მოსწავლეა; მასწავლებლებს არ უსმენს, ელემენტარულ კითხვებზე უჭირს პასუხის გაცემა. იგი პიონერობას საკუთარი ინტერესების შესაბამისად იყენებს (შემინებულ პატარა ბიჭს ფიცრებსა და ლურსმნებს დასტყუებს), პიონერის წოდება, რომელიც გარკვეულ მოლოდინებს და პატივისცემას უნდა იწვევდეს, მით უმეტეს უმცროსებში, გამოყენებულია დასაშინებლად და შექმნილია უარყოფითი განწყობა.

ასევე, დარღვეულია პიონერის ხატის მნიშვნელოვანი მახასიათებელი - ურთიერთდახმარება. რგოლის ხელმძღვანელმა ლალიმ უნდა ამეცადინოს კახა, თუმცა ეს ამბავი კახას ნაცვლად დავალების დაწერით სრულდება (იოსელიანი 1960:481-482). განხილული ნაწარმოებებიდან ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც რგოლის ხელმძღვანელი ოროსანი მოსწავლის/პიონერის ნაცვლად წერს დავალებას, პიონერი კი რგოლის ხელმძღვანელს ლალის მანიპულირებას ცდილობს, აშინებს კრებაზე ამხანაგების წინაშე შერცხვენით (რგოლის ხელმძღვანელი სიტყვას არ ასრულებს და არ ამეცადინებს), რაც სრულიად ამოვარდნილია წესიდან და ეწინააღმდეგება პიონერის ხატის აუცილებელ მახასიათებლებს.

არც ლალის პერსონაჟი შეესაბამება იდეალური პიონერის ხატს: გარდა იმისა, რომ იგი კახას ნაცვლად წერს დავალებას (თუმცა ამის გამო კახა ორიანს, თავად კი საყვედურს

იღებს), კარნახზეც თანხმდება, რითაც, იმის ნაცვლად, რომ პიონერი სწორ გზაზე დააყენოს და აიძულოს, მართლა იმეცადინოს, ხელს უწყობს კახას არასწორ საქციელს.

კიდევ ერთი პიონერისთვის მნიშვნელოვანი მახასიათებელი შრომისადმი დამოკიდებულებაა, რაც კახას ასევე ეზარება. როდესაც იძულებულია იმუშაოს, მაშინაც არ ეკიდება საქმეს სერიოზულად - ტრაბახით, აქტიურობითა და ეშმაკობით გადის ფონს (შევადართო გენკა ნალივაიკოს („ვასიოკ ტრუბაჩოვი და მისი ამხანაგების“ პერსონაჟი), რომელსაც პიონერის ყელსახვევიც კი აქვს ჩამორთმეული, მაგრამ აქვს მიზანი - მოსკოვში წავიდეს და „მიჩურინის მეცნიერება“ შეისწავლოს, რათა მცენარეების ახალი ჯიშები შექმნას). სხვა პიონერები კი ფერმაში მუშაობენ და კოლმეურნეებს ეხმარებიან. კახა არც იქ მყოფ პიონერებს სცემს პატივს და ფერმაშიც მხოლოდ მისი კარიკატურის ავტორის დასასჯელად მიდის. კახას კოლმეურნეობასთან დაკავშირებითაც თავისებური აზრი აქვს: „საკოლმეურნეო ხეხილი ხომ საკოლმეურნეოა. რა გასაკვირია, გული არ შემტკიოდეს!“ (იოსელიანი 1960:468).

ამრიგად, კახას პერსონაჟი პიონერის ხატის საწინააღმდეგო სახეს ქმნის. ცხადია, იგი არ შეიძლება საბჭოთა მკითხველისთვის მისაბამ მაგალითს წარმოადგენდეს.

აღ. ჩხაიძის ნაწარმოებში „როცა მთავრდება ბავშვობა“ (1962) იშვიათად ვხვდებით პიონერის ცნებას. ბავშვები ან პირდაპირ სახელებით, ან მოსწავლეებად არიან მოხსენიებულნი. ხაზგასმულია კლასის ღირსება, მაგრამ ნახსენებიც არ არის პიონერის ღირსება (ჩხაიძე 1965:136, 147). „პიონერის“ ვალდებულებებზე არც დირექტორის კაბინეტში საუბრობენ (ჩხაიძე 1965:139), სიმკაცრით გამორჩეულ სასწავლო ნაწილსაც არ ახსენდება ცნება „პიონერი“, არ მიუთითებს მოსწავლეებს პიონერის ვალდებულებებსა და ღირებულებებზე, არ სთხოვს პასუხს როგორც პიონერებს. საუბარია ზოგადად მოსწავლის ქცევაზე. შეიძლება ითქვას, რომ „პიონერის“ ცნების არ ხსენებით, მოსწავლეებს თითქოს ეხსენებათ ის ვალდებულება, რასაც იდეოლოგიის კუთხით მოიაზრებს სანიმუშო პიონერის ხატი. რჩება მხოლოდ სანიმუშო მოსწავლე, რაც აქცენტირებულიც არის მთელი ნაწარმოების განმავლობაში.

თავად მოსწავლეებს შორის ურთიერთობებიც არ ვითარდება პიონერული წესების შესაბამისად, ბიჭებისა და გოგონების ურთიერთდამოკიდებულება არ ჯდება პიონერულ ჩარჩოებში. მაგალითად, მაია, რომელიც არ არის დამთმობი და მორიდებული, იცავს საკუთარ აზრს (რა დროსაც მარტივად ჯაბნის ბიჭებს); ამავდროულად სპორტულია, კარგად თამაშობს ფრენბურთს და შესანიშნავად ცურავს, მაგრამ ამ პერსონაჟის საშუალებით გოგონებზე გამიზნული პიონერის ნიმუში არ ყალიბდება. ბავშვები მას ქალაბიჭას ეძახიან. პირველივე შეხვედრისას ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი, ზალიკაც აითვალწუნებს. კლასშიც მოსდით შელაპარაკება მაიას და ზალიკას. ლოგიკური იქნებოდა, ასეთი აქტიური, ინიციატივიანი, დამოუკიდებელი, ბიჭების თანასწორად წარმოჩენილი პერსონაჟი რეალიზებული ყოფილიყო თავის სოციალურ გარემოში. თუმცა, მაიას რეალიზება სხვის მოვლა-პატრონობაში გამოიხატება. მაია ჰამლეტ ბეგიშვილის ახლო მეგობარი გახდება, მაგრამ მათი მეგობრობა უფრო დედა-შვილურ ურთიერთობას წააგავს, ვიდრე პიონერებს შორის ურთიერთდახმარებას: მაია ჭკუას არიგებს ჰამლეტს, ურჩევს სახელის გამოცვლას, სახელსაც მაია სთავაზობს, მიჰყავს კინოში და კინოდან სახლამდეც აცილებს. ანუ გოგოს აქტიური ხასიათი ისევ სხვაზე მზრუნველობასა და მოვლაში გამოიხატება, და არა რაიმე სხვა სახის, თუნდაც სოციალურ აქტივობაში. მიუხედავად იმისა, არის თუ არა გოგო „ქალაბიჭა“, საბოლოო ჯამში მთელი მისი ენერჯია ისევ სხვაზე ზრუნვისკენ არის მიმართული, სხვაზე მზრუნველობაში რეალიზდება.

საყურადღებოა, რომ პიონერის ხატის ჩამოყალიბების პროცესში ცვლილებები მხოლოდ ქართულ ნაწარმოებებში არ ხდება. ი. ტომინის „ბორკა, მე და უჩინმაჩინი“ (1962) იდეოლოგიური კუთხით რამდენიმე უჩვეულო აქცენტებს სვამს.

ცნება „პიონერი“ აღარ არის ისეთი სიხშირით აღნიშნული, როგორც ეს სხვა რუსულ საბჭოთა საბავშვო ნაწარმოებებში იყო. ამასთანავე, პიონერის ხსენება ყოველთვის აღარ არის იდეოლოგიური დატვირთვის მქონე. ცხადია, პიონერის მნიშვნელობის ხაზგასმა კვლავაც მიმდინარეობს. ასევე, „პიონერი“ იკვეთება როგორც გარკვეული ერთობა: როდესაც სკოლაში გაფუჭებულ დაზგებს მიიტანენ. პიონერებმა არ

იცინ, როგორ მოაგვარონ ეს ამბავი. მაშინ მასწავლებელი ეუბნება, რომ ერთად იფიქრონ, რადგან შეუძლებელია ორმოცმა პიონერმა ასეთი მარტივი საკითხი ვერ გადაწყვიტოს. ამრიგად, „პიონერი“ სტატუსს წარმოადგენს. ამ სტატუსთან შესაბამისობა არის ერთგვარი „ვალდებულება“, რომლის შეუსრულებლობა სამარცხვინოა და კლასელებისგან/კოლექტივისგან გარიყვის მიზეზი ან გარკვეული მოქმედების შესრულების ბიძგი შეიძლება გახდეს.

გარკვეულ მონაკვეთებში პიონერისთვის არადადამახასიათებელ, არასერიოზულ დამოკიდებულებებს ვხვდებით. მაგალითად, მთავარი პერსონაჟი - კოსტია შმელი ცდილობს გაკვეთილის დროს დერეფანი მალულად გაიაროს, რომ სასწავლო ნაწილის გამგემ ვერ შეამჩნიოს, მაგრამ ამოდ: ვერა არკადიევნა შეამჩნევს და კაბინეტში შეიყვანს. სანამ ვერა არკადიევნა საუბრობს, კოსტია უყურებს ნახატს, რომელიც ვერა არკადიევნას ზურგს უკან კიდია - პიონერი საყვირით და წარმოიდგენს, რა კარგი იქნება უეცრად ნახატი რომ გაცოცხლდეს, პიონერმა საყვირში ჩაჰბეროს, ვერა არკადიევნას მოულოდნელობისგან გული წაუვა და ყველაფერი დაავიწყდება. ამ შემთხვევაში, ნახატი - პიონერი საყვირით - იდეოლოგიური დატვირთვის ნაცვლად მოსწავლის არასერიოზულ დამოკიდებულებას გამოხატავს. მისი სურვილი - შეაშინოს მასწავლებელი - საერთოდ არ შეესაბამება სანიმუშო პიონერის ხატს.

ნაწარმოებში ჩნდება კითხვა: „რატომ ვართ პიონერები?“ (ტომინი 1964:12), რაც, თავისთავად, მოულოდნელია. კონტექსტი საშუალებას იძლევა, რომ კითხვა არასერიოზულად იყოს აღქმული. თავად მსგავსი კითხვის დასმა, თუნდაც არასერიოზულ კონტექსტში პიონერის ხატთან დაკავშირებულ ცვლილებებზე მიანიშნებს.

იგივე შეიძლება ითქვას ი.ტომინის ნაწარმოებზე „ჯადოქარი დადის ქალაქში“ (1963). არც აქ ექცევა განსაკუთრებული ყურადღება პიონერად ყოფნას ან პიონერულ ცხოვრებას. კლასში უსიამოვნების დროსაც კი არავინ არ ახსენებს პიონერის ღირსებას, წესებს, პიონერულ საქციელს. რამდენჯერმე არის ნახსენების პიონერთა ოთახი, თუმცა განსაკუთრებულ დატვირთვას არ ატარებს.

პიონერის ხატის ფორმირების კუთხით, პ. კატაევის „ხუთი რობინზონი“ ცვლილებას უკვე შინაარსის დონეზე ასახავს: ბავშვები პიონერთა ბანაკში წასვლის ნაცვლად კუნძულზე გარბიან. ამის მიზეზი საყვარელი საქმიანობებია - ვოვას წიგნების კითხვა უნდა, კატას - კერვა, ტატას - ფიზკულტურა, სლავას - აპარატის აწყობა, ხოლო კოტიას საყვარელი საქმიანობა ძილია. ამ საქმეების საკეთებლად პიონერთა ბანაკში საკმარისი დრო არ ექნებოდათ, ამიტომაც გაიქცევიან ქალაქთან ახლოს მდებარე კუნძულზე. სწორედ აქ შემთხვევით გაიცნობენ ერთმანეთს, რაც თავიდან სულაც არ ახარებთ.

თავისთავად, როდესაც პიონერი უარს ამბობს პიონერთა ბანაკში წასვლაზე და საკუთარი სურვილების ასასრულებლად უკაცრიელ კუნძულზე გარბის, უკვე მოულოდნელი და პიონერის ხატისთვის სრულიად შეუსაბამო სვლა არის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გამოხატულია მკვეთრად ინდივიდუალისტური მისწრაფებები - „ავიღებ ამ ჩემს წიგნებს და უდაბურ კუნძულზე წავალ, - გადაწყვიტა ბიჭმა, - იქ ჩემს ნებაზე ვიცხოვრებ“ (კატაევი 1966:9). სავარაუდოდ, სწორედ ამ მისწრაფების მცდარობის გამოსახატად, ნაწარმოების ბოლოსკენ ბავშვებს საკუთარ ნებაზე ცხოვრება სწყინდებათ. რადიოთი (რომელიც სლავამ ააწყო) პიონერთა ბანაკის შესახებ ამბავს ისმენენ და გადაწყვეტენ ისე იცხოვრონ, როგორც პიონერთა ბანაკში: დილით ხაზზე დადგნენ, შემდეგ ტატას ხელმძღვანელობით ივარჯიშონ, სლავას ჰქონდეს რადიოწრე, ვოვას - ბიბლიოთეკა, კატას - ჭრა-კერვის კურსები. მეცადინეობით კი კოტიას ამეცადინებენ. კატია შეკერავს წითელ ალამს, რომელსაც ტატა ფიჭვის კენწეროზე მიამაგრებს. პიონერთა ბანაკის წესებით გაატარებენ ბავშვები შემდეგ დღესაც. ძილის წინ კი „კატამ ოცნებით გაიღიმა და თქვა: ყველაფერი ისეა, თითქოს ბანაკში ვიყოთ“ (კატაევი 1966:88). ანუ პიონერული წესით ცხოვრება ბავშვებისთვის სასურველ მოვლენად იქცევა. ეს მონაკვეთი პიონერად ყოფნის მნიშვნელობასა და აუცილებლობას ასახავს.

ნაწარმოების დასასრულიც პიონერთა მნიშვნელობას უსვამს ხაზს - ბავშვები ვერ ახერხებენ კუნძულის დატოვებას წყალდიდობის გამო. იმედგადაწურულები, მოლაპარაკე შოშიას აღმოაჩენენ, რომელიც კოტიას სკოლის ცოცხალ კუთხეში ცხოვრობდა,

კატებთან დაკავშირებული თავგადასავლების შემდეგ კი თავი უდაბურ კუნძულს შეაფარა. სწორედ ამ შოშიას ბავშვები ფეხზე წერილს მიაბამენ და ქალაქისკენ გაუშვებენ. რალაც დროის შემდეგ საყვირისა და დაფდაფების თანხლებით პიონერთა რაზმი გამოჩნდება, რომელსაც შოშია მოუძღვის წინ. „*პიონერები ჩვენს გადასარჩენად მოდიან! - დაიყვირა ვოვამ და ნაპირისკენ გაიქცა*“ (კატაევი 1966:118).

პირველი, რაც ბავშვებს ამ სიტუაციაში გაახსენდებათ, არის ალამი. თვითონაც სასწრაფოდ გამწკრივდებიან (მიუხედავად იმისა, რომ წყალში დგანან და ერთმანეთისთვის ფეხის გასწორება უჭირთ. ტატა ავად არის, მაგრამ ცდილობს არ დაახველოს), წინ კი ვოვა დადგება წითელი ალმით ხელში. ამინდიც შეიცვლება: ცა გადაიწმინდება და მზეც გამოანათებს.

პიონერისთვის სავალდებულო თვისებების ნაცვლად, აქცენტი კეთდება ზოგადად პიონერული ორგანიზაციის, როგორც კოლექტივის მნიშვნელობაზე. საუბარია პიონერთა ბანაკზე, ანუ გარკვეულ კოლექტივში ყოფნაზე და წესების შესრულებაზე (რასაც ბავშვები/პიონერები თავიდან გაეჭენენ). ის, რასაც ბავშვები/პიონერები საკუთარი სურვილით გამოექცნენ, შემდეგ საოცნებო გაუხდათ. ის თავისუფლება, რომლისკენაც ასე მისწრაფოდნენ, საბოლოოდ, მოსაბეზრებელი, ბოლოს კი საშიშიც აღმოჩნდა. მათ გადასარჩენად სწორედ პიონერები მივიდნენ, და არა ვინმე სხვა სკოლიდან, ან მშობლები და ა.შ. ანუ სწორედ ისინი დაეხმარნენ, ვისთან ერთად ყოფნაც არ ისურვეს. ეს მაგალითი მკაფიოდ აჩვენებს, თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს ადამიანისთვის კოლექტივში ყოფნას და რა ელის მას, ვინც კოლექტივისგან განცალკევდება. საყვარელი საქმის ბოლომდე კარგად შესწავლაშიც, მიუხედავად იმისა რამდენ დროსა და ძალისხმევას ჩადებ, მაინც კოლექტივის დახმარება არის საჭირო.

ნაწარმოებში კიდევ ერთი საინტერესო ასპექტია: აქ გოგონები და ბიჭები ერთმანეთთან თანასწორად ურთიერთობენ (განსხვავებით ქართული საბჭოთა ნაწარმოებებისგან). ყოველი პერსონაჟი ავლენს საკუთარ ძლიერ და სუსტ მხარეს, რომლებიც არ არის ცალსახად განსაზღვრული გენდერული ნიშნით. აღსანიშნავია, რომ ფიზიკურად ყველაზე ძლიერი და მოხერხებულია გოგო - ტატა. შეჯიბრებითობა, სიფიცხე და

კინკლაობა მხოლოდ კონკრეტულ პერსონაჟებს ახასიათებთ - ტატას და სლავას. ვოვა და კატია მშვიდები არიან, ხოლო კოტას საუბარიც კი ეზარება და სიტყვებსაც არ ამთავრებს ბოლომდე. გენდერული ნიშნის ხაზგასმა სლავას ახასიათებს: „გოგოები გვეტყვიან, კარავი დაალაგეთო, მე კი ეს სულაც არ მაინტერესებს“ (კატაევი 1966:73); „როგორ! ვიღაც გოგომ უნდა უბრძანოს, ასე ან ისე მოიქეციო?“ (კატაევი 1966:41), მაგრამ ბიჭის ასეთ ნათქვამს/საქციელს ყოველთვის გასდევს მისი ტრაზახა, თავისნათქვამა ხასიათი. ასევე, სლავასა და ტატას კამათისას არ არის გამოკვეთილი ბიჭის უპირატესი პოზიცია. გოგო არ არის დამთმობის და მორჩილის მდგომარეობაში, პირიქით, შემტევი და დამოუკიდებელია, ფიზიკურადაც ბიჭებზე უფრო ძლიერი და მოხერხებულია.

ამრიგად, „ხუთ რობინზონში“ წარმოჩენილია პიონერად ყოფნისა და კოლექტივის წევრობის აუცილებლობა, ნაჩვენებია, თუ რამდენად რთული (და არასწორია) განცალკევება კოლექტივისგან, ინდივიდუალიზმი ადამიანს ვერ მიიყვანს კარგ შედეგამდე და ისევ კოლექტივის დახმარება დასჭირდება. თუმცა, განსხვავებით უფრო ადრე დაწერილი ნაწარმოებებისგან, ამ შემთხვევაში ბავშვები არც მკაცრად ისჯებიან და არც ნეგატიურ პერსონაჟებად არიან წარმოჩენილნი.

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ პიონერის ხატის ფორმირების პროცესი ყველაზე ინტენსიურად მიმდინარეობს 1940-იანი წლებიდან 1950-იანი წლების შუა პერიოდამდე, გამოკვეთილია პიონერისთვის სავალდებულო კონკრეტული თვისებები, პიონერის ხატის პარალელურად იქმნება პიონერის მიუღებელი (ნეგატიური) სახეც. ამის შემდეგ პიონერის ხატის ფორმირების პროცესის ინტენსივობა იკლებს.

აღსანიშნავია განსხვავება პიონერის ხატის ფორმირების კუთხით საბჭოთა ქართულ და საბჭოთა რუსულ საბავშვო ნაწარმოებებს შორის. ზოგადად, ქართულ ნაწარმოებებში ურთიერთობები უფრო მეტად აქცენტირებულია, ვიდრე იდეოლოგია. ბავშვებს (და არა პიონერებს) შორის ურთიერთობები უფრო გამოკვეთილი და მნიშვნელოვანია. საგრძნობია განსხვავებული დამოკიდებულება ბიჭებისა და გოგოების მიმართ, რაც გავლენას ახდენს პიონერის ხატის ფორმირების პროცესზეც.

თავი 3. კომკავშირელი

ნაწარმოებებში, პიონერის შემდეგ, საბჭოთა იდენტობის ფორმირების მნიშვნელოვან ხაზს კომკავშირელის ხაზი წარმოადგენს. ეს სწორედ ის სტატუსია, რომლის მიღებისკენაც პიონერი აქტიურად უნდა მიისწრაფვოდეს. ისევე როგორც პიონერის, კომკავშირელის სტატუსიც გარკვეულ თვისებებსა და მოვალეობებს მოიაზრებს. მაგრამ, სანიმუშო პიონერის ხატისგან განსხვავებით, რომელიც მხოლოდ პიონერის ფორმირებას განსაზღვრავს, „კომკავშირელი“ თავის თავში მოიცავს:

1. საკუთრივ კომკავშირელს,
2. პიონერხელმძღვანელს,
3. მეომარს, მებრძოლს, პარტიზანს.

მოცემულ თავში კომკავშირელსა და პიონერხელმძღვანელს განვიხილავთ. მით უმეტეს, რომ ეს ორი ხშირ შემთხვევაში ერთად არის წარმოდგენილი და ურთიერთშემავსებელია. რაც შეეხება მესამეს (მეომარს), ეს უკანასკნელი უკვე კულტურული გმირის თვისებებს ავლენს, რის გამოც შესაბამის თავშია განხილული.

კვლევაში განხილული ნაწარმოებებიდან კომკავშირელი პირველად ა. გაიდარის მოთხრობაში „თემური და მისი რაზმი“ (1940) გვხვდება. კომკავშირელის საშუალებით ხაზგასმულია სტატუსის შეუსაბამობა ქცევასთან. გაბრაზებული თემური ეუბნება ბიძას (გიორგის) ოლგას შესახებ: „ტყუის, ... კომკავშირელი მაინც არ იყოს!“ (გაიდარი 1979:277).

კომკავშირელის მრავალფეროვან ხატს წარმოაჩენს ვ. ოსეევა ნაწარმოებში „ვასიოკ ტრუბაჩოვი და მისი ამხანაგები“ (1947-1951). ტრილოგიის მეორე და მესამე ნაწილები ომის პერიოდს მოიცავს, შესაბამისად, ბრძოლის მიმდინარეობის აღწერა ნაწარმოების შინაარსის ორგანული ნაწილია. ბრძოლაში სიმამაცით და გმირობით კი სწორედ კომკავშირლები გამოირჩევიან.

კომკავშირელის სანიმუშო სახეს/ხატს აყალიბებს მიტია ბურცევი, რომელიც ვასიოკისა და მისი მეგობრების პიონერხელმძღვანელია. პერსონაჟის სიუჟეტური ხაზი მოიცავს კომკავშირელის ხატისთვის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილებს: 1.

პიონერხელმძღვანელი და პიონერების უფროსი მეგობარი; 2. ომის ეპიცენტრში აღმოჩენილი კომკავშირელი/ პიონერხელმძღვანელი, რომელიც უერთდება პარტიზანულ ბრძოლას; 3) გამოცდილი პარტიზანი.

პერსონაჟის განვითარების პირველი ეტაპი - პიონერხელმძღვანელი და უფროსი მეგობარი ტრილოგიის პირველ ნაწილშია წარმოდგენილი და გრძელდება მეორე ნაწილის თითქმის ნახევრამდე. მიტია კომკავშირელისა და პიონერხელმძღვანელისთვის სანიმუშო ხასიათს გამოხატავს: ენერგიული, ხალისიანი, ცოტა გამოუცდელი, მაგრამ მცოდნე (ერკვევა სრულიად განსხვავებულ საკითხებში, კედლის გაზეთისთვის ლექსის შერჩევით დაწყებული, მიწურისთვის გრუნტის ხარისხის შეფასებით დამთავრებული). მისი ოცნება ტაიგაში, სხვა კომკავშირელებთან ერთად, ახალი ქალაქის აშენებაა. უმთავრეს თვისებებს პასუხისმგებლობის გრძნობა და მზრუნველობა წარმოადგენს. ამ ეტაპზე მიტიას მთავარი საფიქრალი არის პიონერებისთვის დისციპლინის სწავლება და პიონერებს შორის მეგობრული გარემოს შენარჩუნება. ნაწარმოებში ნათლად ჩანს, თუ რამხელა პატივს სცემენ, როგორ ენდობიან მას პიონერები და რამდენად ავტორიტეტულია მისი აზრი.

პიონერხელმძღვანელისთვის აუცილებელი ბალანსი პიონერების ხელმძღვანელსა და პიონერების მეგობარს შორის განსაკუთრებით თვალსაჩინოდ გადმოცემულია კრებასთან დაკავშირებულ რამდენიმე მონაკვეთში. მიტია ემზადება კრებისთვის, რომელზეც ვასიოკის დანაშაულზე უნდა იმსჯელონ. აქ მკაფიოდ ჩანს დაპირისპირება მიტიას ვასიოკისადმი ადამიანურ, მეგობრულ დამოკიდებულებასა და იდეოლოგიურად გამყარებულ მსჯელობას შორის. მიტია ძალიან განიცდის რომ ვერ მოასწრო ბიჭთან კრებამდე გასაუბრება, რითაც აარიდებდა მცდარ ნაბიჯებს „ის პიონერია, მე კომკავშირელი. მე თვითონ ეს-ესაა პიონერთა რიგებიდან გამოვედი, ისეთივე ვიყავი, როგორც ის არის. რა ვუყოთ, შეცდომა ყველას მოუვა“ (ოსეევა 1951:159). მაგრამ ის, რომ ვასიოკი უბრალოდ პიონერი კი არ არის, არამედ რაზმის საბჭოს თავმჯდომარეა, სრულიად ცვლის სიტუაციას - ვასიოკი მაგალითია სხვა პიონერებისთვის. ის გადამცდომა, რაზეც სხვა პიონერთან შესაძლებელია თვალი დახუჭონ, მას არ ეპატიება.

„პიონერხელმძღვანელმა ოდნავადაც კი არ უნდა დაუშვას დისციპლინის შესუსტება! ტრუბაჩოვი - რაზმის საბჭოს თავმჯდომარეა. სხვა ბავშვები მას ეტოლებიან!“ (ოსეევა 1951:160). ამიტომ, იმის მიუხედავად რომ ვასიოკი ძალიანაც ეცოდება და არ უნდა მისი გაკიცხვა, როგორც პიონერხელმძღვანელი, ვალდებულია დასაჯოს, რადგან ბიჭი პიონერის სტატუსისთვის შეუფერებლად იქცევა. აღსანიშნავია, რომ მიტია საკუთარ თავზე ბრაზდება წუთიერი სისუსტის გამო, რაც ასევე შეუფერებელია პიონერ-ხელმძღვანელისთვის: „ეჰ, საწყალი ბიჭი!“ - დანანებით გაიფიქრა მიტიამ და უმაღლ, თავის თავზე გულმოსულმა მაგიდას მთელი ღონით დაარტყა ხელი: -დიახ, ცუდად! პიონერისათვის არასაკადრისად!“ (ოსეევა 1951:161-162). ანუ, ურთიერთობებს პირველ რიგში განსაზღვრავს ვალდებულებები: მიტიასთვის, როგორც კომკავშირელის და პიონერხელმძღვანელის, ხოლო ვასიოკისთვის, როგორც პიონერის და რაზმის საბჭოს თავმჯდომარის. მხოლოდ ამის შემდეგ განიხილება ადამიანური, მეგობრული ურთიერთობები. ცხადია, ნაწარმოებში სიტუაცია ისე განიმუხტება, რომ ურთიერთობები არ ზიანდება და სამართლიანობა (არა მხოლოდ იდეოლოგიური გაგებით) ნარჩუნდება.

ტრილოგიის მეორე ნაწილში კომკავშირელის, როგორც მებრძოლის ხასიათიც იკვეთება. ამ დროს, როცა ჯერ კიდევ არ იციან ომის დაწყების ამბავი, პიონერხელმძღვანელი ვასიოკს ეუბნება: არ არსებობს მტერი, რომელსაც ისინი ვერ დაამარცხებენ, რადგან თითოეული მათგანი ბოლო წუთამდე იბრძოლებს და როგორც დედას, ისე დაიცავს სამშობლოს. ომის შესახებ მონაკვეთში ასახულია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი - კომკავშირელის დამოკიდებულება პარტიის მიმართ: მიუხედავად იმისა, რომ უკრაინიდან რუსეთში გამგზავრების პროცესი გართულებულია, პიონერები დაიფანტებიან: ნაწილი მასწავლებელს მიჰყავს, ნაწილი შემხვედრ მანქანას მიჰყვება სადგურში, ვასიოკი და რამდენიმე ბიჭი კი მასთან ერთად სოფელში რჩება, თვითმფრინავებისა და აფეთქებების ხმები ისმის, პიონერხელმძღვანელი მაინც ვერ იჯერებს ომის დაწყებას და სჭირდება დასტური პარტიული ადამიანისგან. ამიტომაც ელოდება კოლმეურნეობის თავმჯდომარეს (ოსეევა 1952:95). გარდა ამისა, ის ვერ იჯერებს რომ ვინმემ საბჭოთა კავშირს ომი გაუბედა და თანაც წინ მიიწევს.

უკვე ომის მიმდინარეობისას კომკავშირელის ხატის მესამე შემადგენელი - მებრძოლი ყალიბდება. ნაწარმოების შინაარსის მიხედვით, პიონერხელმძღვანელი მიტია პარტიზანი ხდება და ფაშისტების წინააღმდეგ იწყებს ბრძოლას. ეს ნაწილი შესაბამის თავში - კულტურული გმირი - არის განხილული.

ნაწარმოებში კომკავშირელის/პიონერხელმძღვანელის/მებრძოლის მსგავს სახეს აყალიბებს კოსტია. ის გაკვეთილის შემდეგ პიონერებს (ვასიოკსა და მის ამხანაგებს) გაზეთებიდან ბრძოლის ამბებს უკითხავს. ამ შემთხვევაშიც პიონერხელმძღვანელის მებრძოლად გარდაქმნის პროცესი იკვეთება, რაც ასევე ზემოთ აღნიშნულ თავშია მოცემული.

კომკავშირელის ხატი ყალიბდება არა მხოლოდ ბიჭი, არამედ გოგო პერსონაჟების მეშვეობითაც. ამ შემთხვევაშიც გამოვლენილია მებრძოლის სახე. ასევე ხაზგასმულია საკუთრივ კომკავშირელად ყოფნის მნიშვნელობა.

ამ სახის პირველი პერსონაჟი არის ვასიოკის მეზობელია ტანია. 16 წლის გოგო ბებიის გარდაცვალების შემდეგ მარტო დარჩა. დღისით საბავშვო სახლთან არსებულ იზოლატორში მუშაობს, სადამობოთ ზრდასრულთათვის განკუთვნილ სკოლაში სწავლობს. ტანია ძალიან მორიდებული და ჩუმი ადამიანია. ვასიოკის მამიდას სიტყვის შებრუნებასაც კი ვერ უბედავს. ტანია კომკავშირში მიღებას დიდ გამარჯვებად თვლის (ოსეევა 1951:111).

ომის პერიოდში იწყება ამ პერსონაჟის ტრანსფორმაცია და ყალიბდება მებრძოლი კომკავშირელის სახე: ტანია ჯერ ჰოსპიტალში იწყებს მუშაობას, შემდეგ წითელარმიელი ხდება. უკრაინიდან დაბრუნებული ვასიოკისთვის ტანიას გარდასახვა განსაკუთრებით თვალშისაცემია. გოგონა თავის საბრძოლო თავგადასავლებს მოუთხრობს ვასიოკსა და მის მამიდას. აღსანიშნავია, რომ ტანიას თანამებრძოლები და პარტიზანები ძირითადად კომკავშირელები არიან, რითაც კიდევ ერთხელ არის აქცენტირებული მებრძოლის, როგორც კომკავშირელის ხატის შემადგენელი ნაწილის მნიშვნელობა.

კომკავშირელი ქალის კიდევ ერთი საყურადღებო სახე არის ჩამოყალიბებული მარინა ივანოვნას პერსონაჟის საშუალებით. გარდა იმისა, რომ ქალი პარტიზანია, ის ასევე

ახალგაზრდა მასწავლებელია. მარინა ივანოვნა ცდილობს, ერთდროულად, ფაშისტების წინააღმდეგ იბრძოლოს და ბავშვებსაც ასწავლოს ოკუპირებულ სოფელში. ისევე როგორც პიონერხელმძღვანელები (მიტია, კოსტია), მარინა ივანოვნაც ბავშვების იდეოლოგიურად აღზრდას ცდილობს: „როცა მტერი გარს გვარტყია, მე ბავშვებთან უნდა ვიყო, რომ მათში ჩვენი, საბჭოური სული აღვზარდო და მტერს არ მივცე საშუალება ისინი სულიერად დაამახინჯოს“ (ოსეევა 1952:232) (მიტია იმავეს აკეთებდა პიონერებთან საუბრებით როგორც პირველ, ისე მეორე წიგნში, კოსტია - გაკვეთილების შემდეგ, ომის შესახებ ცნობების კითხვისას).

ის, რომ კომკავშირლობა მებრძოლის სტატუსსაც გარკვეულწილად აამაღლებს, ნაწარმოებში ერთი მარტივი ფრაზით არის გადმოცემული: „არ შედრკა... პირდაპირ ბუნაგში წავიდა... კომკავშირელია...“ (ოსეევა 1952:233), ამბობენ მარინა ივანოვნაზე, როდესაც ის მორიგი საბრძოლო დავალების შესასრულებლად წავა.

იდენტობის ფორმირების კუთხით საფიქრალია, რომ მსგავსი პერსონაჟების - ახალგაზრდა კომკავშირელი, პარტიზანი ქალების დანიშნულებას წარმოადგენდა ზემოქმედება კონკრეტულად გოგონებზე და, უკვე ამის შემდეგ, ზოგადად მკითხველზე. საბრძოლო თემატიკიდან გამომდინარე, ბიჭებზე ზეგავლენა შედარებით უფრო მარტივია, გოგონების შემთხვევაში კი საჭიროა მკითხველმა მოახერხოს თავის გაიგივება პერსონაჟთან, რაღაც მახასიათებლით მაინც.

კომკავშირელის, როგორც განსაკუთრებული სტატუსის მნიშვნელობას წარმოაჩენს ა. რიბაკოვის ნაწარმოები „დაშნა“ (1948). შინაარსი პიონერული ორგანიზაციის ჩამოყალიბების პერიოდის შესახებ მოგვითხრობს, შესაბამისად, ნაწარმოების მთავარი პერსონაჟებიც ჯერ პიონერები უნდა გახდნენ. სწორედ ამიტომ, ნაწარმოები უმთავრესად პიონერის ხატს აყალიბებს. კომკავშირლობა კი პიონერების სანუკვარ ოცნებად არის წარმოდგენილი.

„დაშნის“ ბოლო თავს სწორედ „კომკავშირში მიღება“ ეწოდება. თავი ემოციურად დატვირთულია: ბიჭები დარწმუნებული არიან, რომ კომკავშირში აღარ მიიღებენ, რადგან მიმღებ კომისიასთან გასაუბრებისას შეცდომა დაუშვეს. თუმცა იმედგადაწურულ

მიშას, გენკას და სლავკას კომკავშირში მაინც მიიღებენ. კრების დასასრულს, მთელი დარბაზი ფეხზე დგება და „ინტერნაციონალს“ მღერის. ამ დროს მიშას თვალწინ დაუდგება ემელონები, წითელარმიელები და ნახატი: დედამიწის ბურთზე შემოგრაფილი ჯაჭვის გასაწყვეტად ურომომარჯვებული მუშა. ეს არის კავშირი ნაწარმოების დასაწყისში მოცემულ მნიშვნელოვან მონაკვეთთან: ანტანტას შესახებ საუბარს მოჰყვება კითხვა, თუ რა არის ინტერნაციონალი. ამას მიშა ნახატის საშუალებით ახერხებს: ფიცარზე დახატულია ჯაჭვშემოხვეული დედამიწა, ჩაქუჩმომარჯვებული, კუნთმაგარი მუშა კი ამსხვრევს ამ ჯაჭვს: *“ეს ინტერნაციონალია - მთელი მსოფლიოს მუშათა კავშირი. ეს მუშა არის სწორედ ინტერნაციონალი, (...) ჯაჭვი კი ანტანტაა. როცა ის ჯაჭვი დაიმსხვრევა, მთელ მსოფლიოში მუშათა ხელისუფლება დამყარდება და არავითარი ბურჟუები აღარ იქნებიან”* (რიბაკოვი 1962:44). მოცემულ მონაკვეთში ერთდროულად ჩამოყალიბებულია მტრის ხატი (ანტანტა, ბურჟუა) და საბჭოთა კავშირის მესიანისტური იდეა (მუშათა ხელისუფლება მთელ მსოფლიოს გაათავისუფლებს - ჯაჭვი დაიმსხვრევა). კომკავშირში მიღებისას მიშას თვალწინ სწორედ აღნიშნული დიადი იდეა (და მიზანიც) დაუდგება - კუნთმაგარი მუშა, რომელიც დედამიწას ბურჟუებისგან და ანტანტასგან ათავისუფლებს.

მოცემული მონაკვეთებიდან გამომდინარე, „დაშნაში“ კომკავშირელი განსაკუთრებული მნიშვნელობისა და დატვირთვის მქონე სტატუსს წარმოადგენს. მართალია, არ არის აღნიშნული კომკავშირელისთვის დამახასიათებელი კონკრეტული თვისებები, მაგრამ ცალსახად არის გადმოცემული ის იდეა, რასაც კომკავშირელი უნდა ემსახუროს.

კომკავშირელის სრულიად მოულოდნელი და წინააღმდეგობრივი სახე არის ჩამოყალიბებული ნ. ნაკაშიძის „მოწაფის დღიურში“ (1954). მთავარი პერსონაჟი, ალიკო აღფრთოვანებულია ფრონტზე წასვლის იდეით, ამის გამო სკოლასაც აცდენს და გაკვეთილებსაც აღარ ამზადებს და გმირობაზე ოცნებობს (ნაკაშიძე 1957:122). გაკვეთილების უცოდინრობას ემატება მასწავლებლისადმი უპატივცემულობა: ალიკო მასწავლებელს ეპასუხება, დამამცირებელ ზედმეტსახელს - ყაყანას ეძახის და არ ემორჩილება. ფრონტზე წასვლა ხდება ბიჭის ცხოვრების მთავარი მიზანი. მიზნის

მისაღწევად ალიკო მეგობრებთან ერთად სკოლიდან გაპარვას გადაწყვეტს. მსგავსი ცვლილება (მასწავლებლისა და სწავლისადმი აგებული დამოკიდებულება) მოულოდნელობას წარმოადგენს. მით უმეტეს, აღნიშნულია, რომ ალიკო ყოველთვის ფრიადოსანი და სანიმუშო მოსწავლე იყო; უარყოფითი ცვლილების მიზეზად კი ომი, ფრონტზე წასვლა და გმირობის სურვილი სახელდება. გასათვალისწინებელია, რომ კვლევაში განხილულ ნაწარმოებებში ძირითადად ომი, ომის შედეგად გადატანილი წინააღმდეგობები და გაჭირვება არის დადებითი ტრანსფორმაციების მიზეზი (გაიდართან თემური მეგობრებთან ერთად გარშემომყოფებზე ზრუნავდა და საპასუხოდ არაფერს ელოდა; ოსეევასთან ნიურა სინიციანა და დედამისი უარყოფითი პერსონაჟებიდან დადებითად გარდაიქმნენ; ასევე, ალიოშა კუდრიაცევი, რომელზეც ოდინცოვის ომის პერიოდის დღიურის წაკითხვამ იმოქმედა და ა.შ. კომკავშირელები მიტია, კოსტია, ტანია ომში წასვლისას ხალხის დახმარებაზე ფიქრობენ, მარინა ივანოვნა თავს სწირავს).

ალიკოს შემთხვევაში, გმირობის სურვილი თავის გამოჩენის სურვილს წააგავს. საბჭოთა იდენტობის ფორმირების კუთხით, ეს სრულიად მიუღებელი მოსაზრებაა, რადგან საკუთარი ინდივიდის წინ წამოწევას და სხვებზე უკეთესად თავის წარმოჩენას გულისხმობს. საბჭოთა ადამიანი კი კოლექტივის მოთხოვნებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე უნდა მოქმედებდეს. საკუთარი თავის სხვებისგან გამორჩევა არ არის „სწორი“ სურვილი. მართალია, ალიკო ამბობს, რომ უნდა ქვეყანას გამოადგეს: *„თხუთმეტი წლის ბიჭი, პატარა ხომ აღარ ვარ? იმ დროს, როდესაც ქვეყანას უნდა გამოვადგე, როცა ყველა იქ არის, მე რაღად უნდა ვიყო აქ, ასე განცხრომით? განა მე კი არა ვარ მოქალაქე?“* (ნაკაშიძე 1957:119), მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ამ შემთხვევაშიც მთავარი მამოძრავებელი საკუთარ თავზე ფიქრია - პატარა ხომ არ ვარ, განა მე მოქალაქე არ ვარ? როცა ყველა იქ არის, მე რატომ უნდა ვიყო აქ? ამ შემთხვევაში თავის გამოჩენის სურვილია წარმმართველი; მოგვიანებით ალიკო ამბობს კიდევ, რომ მას გმირობა უნდა, სხვების დახმარება კი ამ სურვილის მისაღწევ საშუალებად მოიაზრება. სწავლა უკვე

ხელისშემშლელი ფაქტორი ხდება: „მიშლის. მე მინდა იქ ვიყო, ფრონტზე... მინდა დავებმარო...“ (ნაკაშიძე 1957:121).

აღსანიშნავია კომკავშირელების სიფრთხილე მშობლებთან მიმართებაში. უნდათ ვოროშილოვს¹¹ მისწერონ და კითხონ, საჭიროა მათი ფრონტზე წასვლა თუ არა; მაგრამ, ამასთანავე, ემინათ წერილის გაგზავნის, ორი მიზეზით: 1. მშობლებმა არ გაიგონ და არ ჩაუშალონ ფრონტზე წასვლის საქმე. 2. ვოროშილოვს შეიძლება თვითონ კითხვაც კი ეწყინოს: „განა საეჭვოა, რომ საჭირო ვართ?“ (ნაკაშიძე 1957:131). ცხადია, წერილს მაინც გაგზავნიან. აღნიშნულ მონაკვეთში საყურადღებოა შიში, რომ მშობლები ომში წასვლის საშუალებას არ მისცემენ. ეს უჩვეულო მოსაზრებაა. რუსულ ნაწარმოებებში კომკავშირელების საომრად წასვლა დრამატულ, მაგრამ სწორ საქციელად არის წარმოჩენილი (მაგალითად, ნაწარმოებში “ვასიოკ ტრუბაჩოვი და მისი ამხანაგები“ მთელი მონაკვეთი ეთმობა იმის აღწერას, თუ როგორ აცილებენ კომკავშირელებს დედები და დები. მთელი ქალაქი გამოსულია მათ პატივსაცემად: „თვალეზგაბრწყინებული ხალხი ტროტუარებზე ჩუმად იდგა, როგორც ალღუმზე. მათში ვერ გამოიცნობდით ფრონტზე მიმავალ კომკავშირელების დედებსა და დებს. ამ წუთში ყოველი ქალი იყო, დედა ან და. მათ იცოდნენ, რომ სამშობლოს აძლევდნენ ყველაზე ძვირფასს და მიმავალთ შესცქეროდნენ მშრალი, მკაცრი თვალებით“ (ოსეევა 1953:68). ამის საპირისპიროდ, ალიკოსა და მამამისს შორის ასეთი დიალოგი იმართება: „მე სამშობლო მიყვარს, გმირობა მინდა. -არა, მე არაფერს ვამბობ, შენ უკვე მეთექვსმეტე წელში ხარ გადამდგარი... თუმცა... - გაეცინა მამას, - მე მაინც ბავშვი მგონიხარ, ქეთინოს კი ეჩხუბები ხოლმე ბავშვივით“ (ნაკაშიძე 1957:132).

კომკავშირელისადმი, როგორც ბავშვისადმი დამოკიდებულება განასხვავებს ქართულ ნაწარმოებს კვლევაში განხილული რუსული ნაწარმოებებისგან. მთლიანად ეს ამბავი, როგორც ბავშვური ცელქობა, ისეა გადმოცემული: ვოროშილოვისგან პასუხის მიღების შემდეგ, ალიკოს მამა კარებში დახვდება გაცინებული და წერილის შესახებ

¹¹ კლიმენტ ვოროშილოვი - საბჭოთა სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე. საბჭოთა კავშირის მარშალი, 1953-1960 წლებში საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე (განმარტებებისას აქ და ქვემოთ გამოყენებულია მონაცემები საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონიდან. [3 ტომად] / შეადგინა ალექსანდრე ელერდაშვილმა. I-ლი გამოც. თბილისი, ფანტაზია, 2006.

ეკითხება. გაოგნებული ალიკო იგებს, რომ მამამ უკვე იცოდა, რაც ეწერა წერილში. უფრო მეტიც, აღმოჩნდება რომ კომკავშირლების ფრონტზე გაპარვის სურვილი სინამდვილეში დირექტორმაც იცოდა და კლასის დამრიგებელმაც. მაგრამ ალიკო მთავარ ამბავს ახლა იგებს - ვოროშილოვის წერილის მოლოდინში ომიც დამთავრებულა (ნაკაშიძე 1957:179). ანუ უფროსებიდან არავინ აღიქვა სერიოზულად კომკავშირლების სურვილი, ფრონტზე წასულიყვნენ, წერილი გააგზავნინეს და სანამ პასუხი მოვიდა, ეშმაკურად დრო გააყვანინეს. რაც ყველაზე მთავარია, ალიკოს მამა ეუბნება: „განა ახლა შენ თვითონაც არ ხარ დარწმუნებული, რომ თქვენი განზრახვა ფრონტზე გაპარვის შესახებ შეცდომა იყო?“ (ნაკაშიძე 1957:179).

როგორც ვხედავთ, ის, რისკენაც რუსულ ნაწარმოებებში კომკავშირელებს მოუწოდებენ, ქართულში შეცდომად არის მოხსენებული. ალიკო და მისი კლასელები არა კომკავშირლებად (როგორც გარკვეული სტატუსის მქონედ), არამედ ბავშვებად არიან აღქმულნი, რომლებსაც სერიოზული, სწორი ცხოვრებისეული გადაწყვეტილებების მიღება ჯერ კიდევ არ შეუძლიათ. მათი საქმე სწავლაა.

რაც შეეხება ვოროშილოვის პასუხს, მას ნახევარი გვერდი ეთმობა. წერილის წაკითხვამდე დირექტორი ამბობს შესავალ სიტყვას და აღნიშნავს, რომ წერილი სკოლისთვის საამაყო განძია: „ყოველმა მოწაფემ უნდა იცოდეს, თუ რა დიდი ყურადღებით და სიყვარულით ეპყრობა მას ჩვენი პარტია და ხელისუფლება“ (ნაკაშიძე 1957:178). აღსანიშნავია, რომ დირექტორი მოწაფეებს მიმართავს და ამბობს რომ პარტია მათ დიდი ყურადღებით და სიყვარულით ეპყრობა, თუმცა არ ახსენებს არც კომკავშირელებს და არც პიონერებს.

ვოროშილოვიც თავის წერილში მიმართავს „საბჭოთა სოციალისტური სამშობლოს პატრიოტ მოწაფეებს“ (ნაკაშიძე 1957:178) და მიუთითებს, რომ ფრონტზე იყო და ამის გამო უფრო ადრე არ ჰქონდა საშუალება, მოსწავლეებისთვის ეპასუხა. შემდეგ ვოროშილოვი მოუწოდებს ახალგაზრდებს, დაფიქრდნენ და თვითონ დაინახვენ, სად არის საჭირო მათი დგომა: „სად ხართ საჭირო და როგორ უნდა ემსახუროთ თქვენ დიად სოციალისტურ სამშობლოს. მაშინ თქვენთვის ცხადი გახდება, რომ თქვენ სწორედ

ფრონტზე დგახართ. რომ სწორედ მაგ ფრონტზე ხართ საჭირო, რომ თქვენი ფრონტი სწორედ სწავლის ფრონტია“ (ნაკაშიძე 1957:178).

წერილში ორი საინტერესო აქცენტია დასმული: პირველი, ვოროშილოვიც მიმართავს მოსწავლეებს, და არა - კომკავშირელებს. მეორე, სწავლა და ომი ერთ განზომილებაშია განხილული და ამ გზით სწავლის მნიშვნელობა იზრდება. ნებისმიერ შემთხვევაში, ხაზი ესმევა ომსა და ბრძოლას როგორც მოვლენებს, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია გარკვეული აქტივობებისთვის თუ მოვლენებისთვის დამატებითი მნიშვნელობის მინიჭება. შემდეგ აბზაცში ჩამოყალიბებულია საბჭოთა მოქალაქისთვის აუცილებელი თვისებები: „*თქვენ იწერებით, რომ გამოპარვა გინდოდათ, (...) გაპარვა მშიშარას საქმეა და ნიშნავს მცონარობას, საბჭოთა მოქალაქე კი უნდა იყოს გამბედავი, პირდაპირი და მამაცი. ამიტომ გაპარვა და ფარული მოქმედება არ შეეფერება საბჭოთა მოქალაქეს*“ (ნაკაშიძე 1957:178). წერილის ბოლო კი ერთგვარ გაფრთხილებასაც შეიცავს: „*თქვენ ჯერ ისწავლეთ და, როცა საჭირო იქნებით, ჩვენ თვითონ მოგაკითხავთ. გახსოვდეთ, რომ ჩვენ არ გვიყვარს წესიერების დამრღვევნი*“ (ნაკაშიძე 1957:179).

საყურადღებოა, რომ საუბარია, როგორი უნდა იყოს საბჭოთა მოქალაქე, მისი თვისებები. ეს ხდება კომკავშირელებთან საუბრისას, მაგრამ არ არის გამოკვეთილი საკუთრივ კომკავშირელი. კომკავშირელის ხატში საგრძნობი ცვლილებებია: კომკავშირელებს უწოდებენ მოწაფეებს და მათ საქმედ სწავლა არის მითითებული. კომკავშირელი, როგორც განსაკუთრებული სტატუსი, არ არის გამოკვეთილი. უარყოფილია მეზრძოლის, როგორც კომკავშირელის ხატის შემადგენელი ნაწილის მნიშვნელობა. ამ მხრივ ნ. ნაკაშიძის ნაწარმოები მკვეთრად განსხვავდება კვლევაში განხილული სხვა ნაწარმებისგან.

შემდეგი ნაწარმოები კომკავშირელის, როგორც პიონერხელმძღვანელის ხატს აყალიბებს. ა. პერფილიევას „დარტანიანის დაშნა“ (1955) პიონერხელმძღვანელ გოგონას ასახავს. პიონერხელმძღვანელების აქამდე არსებული სახეებთან შედარებით, აქ ერთი დამატებითი თვისება არის ხაზგასმული: დამოკიდებულება შენიშვნებისადმი.

წესისამებრ, პიონერხელმძღვანელი თამარის, იგივე ტომას მთავარ საზრუნავს პიონერების ინტერესები წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, ტომა ვიტასთან სახლში მიდის

სიტუაციის გასარკვევად (ტომას მიერ არდადეგებზე დანიშნული აქტივობებიდან ვიტია მხოლოდ ერთს დაესწრო და იქაც უსიამოვნება შეხვდა). ტომა შემთხვევით არდადეგების გეგმას გადააწყდებდა. პიონერხელმძღვანელი აღმოაჩენს, რომ ვიტის არათუ არ მოეწონა შეთავაზებული ღონისძიებები, არამედ თავისებურად „შეამკო“ კიდეც. სწორედ აქ არის საყურადღებო მონაკვეთი: პიონერზე განაწყენების ნაცვლად, პიონერხელმძღვანელი ღრმად ჩაფიქრდება, თუ როგორ გამოასწოროს საკუთარი შეცდომა და მოიფიქროს პიონერებისთვის საინტერესო ღონისძიებები.

განსხვავებით წინა ნაწარმოებისგან, ა.რიბაკოვის „ბრინჯაოს ფრინველში“ (1956) კომკავშირელის შესახებ გაცილებით მრავალფეროვანი ინფორმაცია არის გადმოცემული. იმის გათვალისწინებით, რომ მოცემული ნაწარმოები „დაშნაში“ მოქმედი პერსონაჟების ამბავს აგრძელებს, მიშა, გენკა და სლავა აქ უკვე კომკავშირლები არიან.

„ბრინჯაოს ფრინველში“ პირდაპირ და მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, თუ როგორი უნდა იყოს კომკავშირელი. ამ საკითხს ცალკე სამი თავი ეძღვნება. ეს თავები საკუთრივ სიუჟეტის განვითარებას არ ემსახურება და მხოლოდ თვითდახასიათებებს შეეხება, ანუ მოიცავს საფუძვლიან მსჯელობას, როგორი უნდა იყოს ან არ უნდა იყოს ნამდვილი კომკავშირელი. ერთი თავი ზოგადად თვითდახასიათების არსს განმარტავს: თვითდახასიათება არის თვითგანსჯა; თვითდახასიათების მიზანი კომკავშირელის სრულყოფაა, რათა მან უკეთ დაინახოს თავისი ნაკლოვანებები და გამოსწორდეს, რადგან *„თვითეული ჩვენგანი ნამდვილ კომუნისტად, ნამდვილ ბოლშევიკად უნდა აღიზარდოს და თუ ახლა არ გამოიწრთო, მერე უკვე გვიანი იქნება“* (რიბაკოვი 1962:400). იქვე ხაზგასმულია, რომ მიუხედავად ერთმანეთის გაკრიტიკებისა, ყველანი ერთი კომკავშირული ოჯახის წევრები არიან (რიბაკოვი 1962:400).

თვითდახასიათებისას *„თვითეული კომკავშირელის შესახებ მსჯელობენ უჯრედის საერთო კრებაზე. [...] როგორი კომკავშირელია, როგორი ამხანაგია, როგორ ასრულებს დავალებებს, როგორია მისი მორალური ღირსებები: პატიოსნება, სიწრფელე, უანგარობა, გამბედაობა“* (რიბაკოვი 1962:388). ზემოთხსენებულ დავალებებში მხოლოდ კარგად სწავლა და საშინაო დავალების შესრულება არ იგულისხმება, ორიგინალის ენაზე

მოცემული ფრაზა ასე იკითხება - как выполняет задания и поручения. ცხადია, რომ აქ ზოგადად კარგ შემსრულებელზეა საუბარი, ანუ კარგი კომკავშირელი (ბრძანებების) კარგი შემსრულებელია.

დასაწყისისთვის მოკლედ არის ჩამოყალიბებული „ძირითადი“ მოთხოვნები კომკავშირელისადმი - *„კომკავშირელი უნდა უფიქრდებოდეს და სწონიდეს თავის საქციელს“* (რიბაკოვი 1962:392), თუმცა უშუალოდ თვითდახასიათებების დროს უკვე სხვა დეტალები ჩნდება. გამოკვეთილია არამხოლოდ ის პიროვნული თვისებები, რომლებიც უნდა ახასიათებდეს კომკავშირელს, არამედ ისინიც, რომლებიც არ უნდა ახასიათებდეს. პირველ რიგში, ეს არის ინდივიდუალიზმი: *„გენკა მეტისმეტად არის თავის თავში დარწმუნებული. ტრაბახაა და ყველაფერს თვითონ მიიწერს. სირცხვილია ასეთი ბაქიობა, ქედმაღლობა. ეს მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალიზმია“* (რიბაკოვი 1962:392). ინდივიდუალიზმი უბრალოდ უარყოფით პიროვნულ თვისებად არ მოიზრება, იგი მიუღებელია იდეოლოგიური საფუძვლიდან გამომდინარე: *„ამას ესეროვშჩინის სუნი უდის, (...) ერთგვარი წვრილბურჟუაზიული ინდივიდუალიზმის, რასაც მინდა იმას გავაკეთებ, სხვები ფეხებზე მკიდია! (...) მე კი ჩემს ჟინს მოვიკლავ, მორჩა და გათავდა! მამასადამე, ჟინი ახლობლებზე ძვირფასია. მამასადამე, პირადი ინტერესები საზოგადოებრივზე მაღლაა დაყენებული. ამას ეგოიზმი ჰქვია. ეგოიზმი კი ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყველაზე საზიზღარი თვისებაა“* (რიბაკოვი 1962:394). ამრიგად, ინდივიდუალიზმი უტოლდება ტრაბახს, ქედმაღლობას, სხვისი აზრის ან ნამუშევრის საკუთარ აზრად/ნამუშევრად გამოცხადებას. შემდეგ ციტატაში ირკვევა, რომ „ინდივიდუალიზმი“ წვრილი ბურჟუაზიისთვის არის დამახასიათებელი. გაიგივებულია ჟინთან, ჟინი უკავშირდება ეგოიზმს, ეგოიზმი კი ბურჟუაზიული იდეოლოგიის თვისებად არის გამოცხადებული. ამგვარად, მოცემულია თვისებების თავისებური განმარტება, შემდეგ კი ეს კონკრეტული პიროვნული თვისებები არა ადამიანის ხასიათთან, არამედ გარკვეულ იდეოლოგიასთან არის დაკავშირებული.

მეორე ნაკლი კოლექტივისგან განცალკევებაა: მას მთავარ პერსონაჟს, მიმას აღმოუჩენენ. თვითდახასიათებისას ის თვითონ კი არ მოითხოვს, განმსაჯეთო, არამედ

კითხვაზე უპასუხებს: დაე, ბავშვებმა გადაწყვიტონო. პასუხი მეგობარი კომკავშირელების უკმაყოფილებას გამოიწვევს, რადგან „ასეთი პასუხით მიშამ საკუთარი თავი განსაკუთრებულ მდგომარეობაში ჩააყენა. თავისი პერსონა კოლექტივიდან გამოაცალკევა. ეს ქედმაღლობაა“ (რიბაკოვი 1962:398). აღსანიშნავია, რომ მიშა გულში აღიარებს, რომ თავის დაძვრენა უნდოდა და ამიტომ არ თქვა პირდაპირ - განიხილეთო. საჭიროა თითოეული სიტყვა გაზომო, ფიქრობს ის, რადგან „ბავშვებს არაფერი გამოეპარებათ“ (რიბაკოვი 1962:399). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მუდმივად დაკვირვების ქვეშ ხარ; თვალყურს გადევნებენ ისევ შენი „ამხანაგები“, ოდნავი გადაცდომაც კი არ დაიმალება. ამავე აზრს გამოკვეთს შემდეგი ციტატაც: „ისინი საოცრად მგრძნობიარე და შეურიგებელი იყვნენ ყოველგვარი უსამართლობის და სიყალბის მიმართ. ან კი ვის მოუბრუნდებოდა ენა ტყუილი ეთქვა მთელი კოლექტივის, მთელი ამხანაგების წინაშე“ (რიბაკოვი 1962: 389).

გარდა ამისა, მიშას კიდევ ერთ შენიშვნას აძლევენ: ახლა, როცა ისინი უკვე კომკავშირელები არიან, საიდუმლოების ქონა დაუშვებელია და ვალდებული არინ ყველას გააგებინონ, თუ რა ხდება. გამორიცხულია ახლო მეგობრების გამოყოფა და მათთან განცალკევებით ჩურჩული. მიშაც, ბუნებრივია, მთელ რაზმს გაანდობს, რაც იცის მკვლელობის შესახებ და ხაზს უსვამს, რომ ეს უკვე საერთო საიდუმლოა. ამგვარად, მკითხველმა უნდა გაითავისოს, რომ მას შემდეგ, რაც კოლექტივის წევრი ხდები, აღარ გაქვს ამ კოლექტივისგან არაფერი დაფარული, მით უმეტეს საიდუმლოება. მეგობრების ამორჩევა და კოლექტივისგან გამოცალკეება დაუშვებელია, რადგან აქ ისედაც ყველა შენი „ამხანაგია“, რომელსაც ტყუილსა და შეცდომას ვერ გამოაპარებ, და რომელიც შენს მსაჯულად გადაიქცევა ისევ შენივე სიკეთისთვის. „სწორედ იმიტომ, რომ მე მისი მეგობარი ვარ, ვალდებულად ვთვლი თავს მის ნაკლოვანებებზე პირდაპირ ვილაპარაკო...“ (რიბაკოვი 1962: 391). ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ ჩამოყალიბებულიყო თუნდაც სიფრთხილე მეგობრის მიმართ „მას, ვისაც არავისი და არაფრის არ ეშინოდა, ეშინოდა ამხანაგების, ეშინოდა მათი გაკიცხვის“ (რიბაკოვი 1962:390).

მკითხველის ასაკის გათვალისწინებით, ამხანაგების აზრი და გაკიცხვა საკმარისი სასჯელი უნდა ყოფილიყო იმისათვის, რომ ბავშვს არათუ განსხვავებულად მოქცევის, განსხვავებული აზრის გამოთქმის სურვილიც არ გასჩენოდა. ბავშვს უნდა სცოდნოდა, რომ უახლოესი მეგობარიც გაკიცხავდა, თუკი ის სათანადოდ არ მოიქცეოდა ან იტყოდა. ამასთანავე, ამ გზით კოლექტივის წევრები თვითონვე აკონტროლებდნენ ერთმანეთს და ვერ წარმოიქმნებოდა რაიმე სახის წინააღმდეგობის მქონე დაჯგუფება.

ამ მხრივ მნიშვნელოვანია მონაკვეთი, რომელიც შეეხება მიშას ხასიათში ცვლილებას. მიშა არ დაემორჩილება სეროვის ბრძანებას - გადაიტანოს ბანაკი გრაფის კარ-მიდამოდან. ამის ნაცვლად მოუსმენს გუბკომის მდივნის მითითებას და ბანაკი დარჩება იმავე ადგილას. შედეგად, მიშა საკუთარ თვალში ამაღლდება: უფროსებთან თავი საკუთარი ღირსების გრძნობით უჭირავს, თანატოლების მიმართ მფარველობის გრძნობა უჩნდება. საუბრისას მოწყალედ იღიმება და მოთმინებით ხსნის რაიმე საკითხს, თანაც მფარველობით მოხვევს ხოლმე ხელს მოსაუბრეს. მიშას ასეთი ცვლილება ძალიან აწუხებთ მის ამხანაგებს: სლავკას, გენკას და ზინას. მათ შორის ასეთი საუბარი გაიმართება:

„ბელადობის’ ჭია შეუჩნდა, - დაამატა სლავკამ.

- შეიძლება ასე კოლექტივსაც კი მოსწყდეს! - შეწუხებული ხმით წარმოთქვა ზინამ.

„ბელადობით“ დაავადებული ყოველთვის ეთიშება კოლექტივს, - დაასკვნა სლავკამ.

- რამე უნდა ვიღონოთ, განა დასაშვებია, რომ ასე ჩვენს თვალწინ საერთო საქმისთვის უვარგისი გახდეს?“ (რიბაკოვი 1962:453).

როგორც ჩანს, საქმე ეხება კომკავშირელის კოლექტივისგან გათიშვას; საკუთარი თავის ზედმეტ რწმენას და ქედმაღლობას, რომლებიც ინდივიდუალიზმს ახასიათებს (ზემოთგანხილული ციტატის მიხედვით). მაგრამ, ტექსტში მუდმივად საგულისხმო სიტყვა მეორდება - ბელადი. დიალოგში „ბელადობა“ მიჩნეულია დაავადებად, ასეთი ადამიანი კი სასწრაფოდ დახმარებას საჭიროებს, რადგან კოლექტივისთვის უვარგისი გახდება.

გასათვალისწინებელია, რომ 1917 წლის რევოლუციის შემდეგ იყო ფრაზები: „პროლეტარიატის ბელადები“, „რევოლუციის ბელადები“; თუმცა სტალინის მმართველობის პერიოდში სიტყვა „ბელადი“ სტალინს მოიაზრებდა: „დიდი ბელადი“, „მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი“. 1924 წლიდან 1953 წლამდე ბელადი წარმოადგენდა ხელშეუხებელ სიმაღლეს. სტალინის გარდაცვალებიდან სამ წელიწადში კი იბეჭდება ზემოთმოყვანილი დიალოგი, რომელშიც ბელადობა ნეგატიურ კონტექსტშია ნახსენები. საინტერესო ფაქტია, რომ ხრუშჩოვის მიერ 1956 წელს სტალინის „პიროვნების კულტზე“ მიტანილი იერიში „ბრინჯაოს ფრინველის“ გამოცემის წელს ემთხვევა, თუმცა „პიროვნების კულტის“ შემცირება უკვე სტალინის სიკვდილის შემდეგ (1953 წ. მარტი) ნელ-ნელა დაიწყო. საფიქრებელია, რომ ეს ტენდენცია აისახა „ბრინჯაოს ფრინველში“. ამ შემთხვევაში ბელადობა და კოლექტივისგან მოწყვეტის შიში, ასევე ფრაზა - *„ბელადობით დაავადებული ყოველთვის ეთიშება კოლექტივს“* (რიბაკოვი 1962:453) - დამატებით დატვირთვას იძენს.

„ბრინჯაოს ფრინველში“ კომკავშირელის ხატის შემადგენელი ნაწილია აქტიური ჩართულობა პოლიტიკაში. ის შეიძლება პირობითად ორად გაიყოს: 1. მსჯელობა პოლიტიკის შესახებ. 2. კომკავშირელის როლი პოლიტიკაში. ზოგიერთ შემთხვევაში, მსჯელობისას კომკავშირელის როლიც განიხილება, ანუ ორივე ერთადაა მოცემული.

1. კომკავშირელები მსჯელობენ და აფასებენ დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, ლორდი კერზონის მოთხოვნებს: *„კერზონმა საოცრად ურცხვი მოთხოვნილება წამოაყენა (...) ძალიან კი შესტოპა. ავღანისტანიდან და ირანიდან ჩვენი წარმომადგენლების გაყვანას ითხოვს. ერთი იმას დამიხედეთ! ინგლისელ კაპიტალისტებს ეშინიათ, რომ მათი კოლონიები აღარ მოისურვებენ კოლონიებად დარჩენას“* (რიბაკოვი 1962:312). მსგავსი მონაკვეთები გამიზნულია იმისთვის, რომ მკითხველს (ბავშვს) საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობა მიაწოდოს მარტივად, კარგი/ცუდი კატეგორიის ფარგლებში და საბჭოთა იდეოლოგიის შესაბამისად.

2. ნაწარმოების ამავე თავში ბავშვები წერილს წერენ ლენინს, უგზავნიან მხურვალე პროლეტარულ სალამს და სურვილს, რომ სწრაფად გამოჯანმრთელდეს, *„ჩვენ*

გვინდა მუშათა საქმისთვის ვიბრძოლოთ ისე, როგორც იბრძოდი შენ მთელი შენი სიცოცხლის მანძილზე. ჩვენ მუდამ მზად ვართ დავიცვათ და განვამტკიცოთ საბჭოთა რუსეთი, ჩქარა გამოჯანსაღდი, ჩვენო ძვირფასო ილიჩ!“ (რიბაკოვი 1962:313). აქ არამარტო ლენინის, როგორც ბავშვების „მეგობრის“ სახეა კიდევ ერთხელ ხაზგასმული, არამედ მაგალითია შექმნილი მკითხველისთვის - პიონერები და კომკავშირელები მზად არიან დაიცვან და განამტკიცონ საბჭოთა რუსეთი. აღსანიშნავია, რომ ლაპარაკია საბჭოთა რუსეთზე და არა ზოგადად საბჭოთა კავშირზე. ნაწარმოებში მოქმედება ხდება 1923 წელს, „რევოლუციის ექვსი წლისთავზე“ (რიბაკოვი 1962:300), შესაბამისად, საქართველო უკვე გასაბჭოებულია (თვითონ ნაწარმოები 1956 წელს არის დაწერილი). საფიქრებელია, რომ ეს ფრაზა ან რუსების, როგორც საბჭოთა კავშირის დომინანტი ნაციის აზრს გამოხატავდა (საბჭოთა რუსეთი იგივეა, რაც მთლიანად საბჭოთა კავშირი), ან ამ აზრის ჩამოყალიბებისკენ იყო მიმართული.

ზემოთ ნახსენებ თვითდახასიათებებს წინ უძღოდა შესავალი სიტყვა პოლიტიკაზე. მიშა პოლიაკოვი, როგორც ხელმძღვანელი, საუბრობს ზოგად პოლიტიკურ სიტუაციაზე. „*ლაპარაკა რესპუბლიკის მძიმე საერთაშორისო მდგომარეობაზე, კაპიტალისტებისა და იმპერიალისტების საზიზღარ ხრიკებზე და ყოველივე ამის გამო თვითეული კომკავშირელის პასუხისმგებლობის ამაღლების აუცილებლობაზე*“ (რიბაკოვი 1962: 391), პასუხისმგებლობა მრავალ მნიშვნელობას შეიძლება მოიცავდეს. ცხადია, კომკავშირელს მკაფიოდ უნდა ჰქონდეს განსაზღვრული „მტრის ხატი“ და მზად იყოს ამ მტერთან საბრძოლველად.

ამ კუთხით განსჯიან ბავშვები ერთმანეთს „თვითდახასიათებების“ დროსაც. მაგალითად, კომკავშირელი კიტოვის (კიტის) ჭამის გადამეტებული მოთხოვნილება მისი გაკიცხვის მიზეზი ხდება, მაგრამ ეს კრიტიკა ჯანმრთელობას არ შეეხება, არგუმენტები იდეოლოგიური სახისაა: ამხანაგების აზრით, კიტოვისგან ღორმუცელა მეშჩანი დადგება, რომელიც მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობისთვის იზრუნებს. „*გავიხსენოთ სამოქალაქო ომისდროინდელი კომკავშირელები! [...] გავიხსენოთ კაპიტალისტური ქვეყნების, განსაკუთრებით ფაშისტური იტალიის კომკავშირელებიც. [...] წარმოვიდგინოთ, რომ მათ*

შორისაც არის ასეთი კიტი და იგი ხელთ უვარდება სიგურანცს,¹² ანდა დეფენზივს.¹³ მას იქ დაჰკითხავენ, აშიმშილებენ. განა კიტი შიმშილით წამებას გაუძლებს?“ (რიბაკოვი 1962:393). კიტის „ფიზიკური მოთხოვნილებანი მის რწმენას აღემატება. ასეთი ადამიანი კომკავშირელიც კი არ შეიძლება იყოს“ (რიბაკოვი 1962:394). მოყვანილი მონაკვეთი საინტერესოა არამხოლოდ იმიტომ, რომ ასახავს ღირებულებებს, რომლებზეც უნდა მოხდეს სწორება; იგი მკითხველს აწვდის ინფორმაციას „მტრის“ შესახებ (ბავშვს გინდაც არ სცოდნოდა, თუ რას წარმოადგენდა სიგურანცა ან დეფენზივა, კონტექსტიდან გამომდინარე აუცილებლად ნეგატიური დამოკიდებულება ჩამოყალიბდებოდა). რაც ყველაზე მთავარია, ეს მონაკვეთი, თავისი ერთგვარი ჰეროიკული სულისკვეთებით (კავშირი ფიზიკურ მოთხოვნილებას, იდეოლოგიურ რწმენასა და კომკავშირლობას შორის), ფარულ მოწოდებასაც შეიცავს: საჭიროების შემთხვევაში, კომკავშირელი მზად უნდა იყოს ომისთვის. საყურადღებოა კონტექსტი: ციტატაში ჯერ საუბარია სამოქალაქო ომის პერიოდის კომკავშირლებზე, შემდეგ ფაშისტური იტალიის კომკავშირლებზე, ამის შემდეგ კომკავშირელ კიტოვს, საკუთარ მეგობარს, განსჯიან ამ სიტუაციების მიხედვით და ჩნდება კითხვა - გაუძლებს კიტოვი შიმშილით წამებას? ანუ მკითხველი ნელ-ნელა ეჩვევა აზრს რომ აუცილებელია მუდმივად საბრძოლო მდგომარეობაში ყოფნა და ჰეროიკული სულისკვეთება.

როგორც ზემოთგანხილული ციტატებიდან გამომდინარეობს, „ბრინჯაოს ფრინველში“ კომკავშირელის ხატი საკმაოდ დეტალურად არის ჩამოყალიბებული. მოცემულია კომკავშირელისთვის აუცილებელი თვისებები და დამოკიდებულება პოლიტიკის მიმართ.

სრულიად განსხვავებული, საპირისპირო სახეა მოცემული ლ. მრელაშვილის „იყალბოულ ბიჭებში“ (1957). ნაწარმოებში კომკავშირელი პიონერხელმძღვანელის სახით არის წარმოდგენილი. მასსა და პიონერებს შორის ჩამოყალიბებულია ძალიან უჩვეულო

¹² სიგურანცა - რუმინეთში 1921-1944 წწ. პოლიტიკური პოლიცია. დაარსდა რევოლუციური ორგანიზაციების დასარბევად.

¹³ დეფენზივა - პოლონეთის სამხედრო დაზვერვა 1918-1939 წწ. დაზვერვის განყოფილებას ეწოდებოდა ოფენზივა, კონტრდაზვერვას - დეფენზივა.

ურთიერთდამოკიდებულება: კვლევაში განხილული სხვა ნაწარმოებებისგან განსხვავებით, პიონერებს (სანდრო ბუჩუკურთელი, გოგია დედაბრიშვილი და ა.შ.) და პიონერხელმძღვანელს (ნიკოს) შორის მკაფიოდ გამოხატული დაპირისპირებაა. ის კიდევ უფრო მწვავედება, როდესაც ნიკოს კომკავშირის კრებაზე რაზმს ჩამოართმევენ. კომკავშირელ ნიკოს რაზმის ჩამორთმევის მიზეზებად დაუსახელებს, რომ მას არასწორად ესმოდა პიონერებთან მუშაობა, არ ატარებდა რაზმის შეკრებას, კედლის გაზეთს ყურადღებას არ აქცევდა, მოუკლო სწავლას და გადაჰყვა ფეხბურთს, დაიწყო ყოყოჩობა და პატარებს აბუჩად იგდებდა. „შენ ყველაფერი ეს ცოტა ხომ არ გგონია? კომკავშირელი კია!“ (მრელაშვილი 1974:40), ეს უკანასკნელი ფრაზა - კომკავშირელი კია - ხაზს უსვამს აღნიშნული სტატუსის მნიშვნელობას. ეს მნიშვნელობა კი, თავის მხრივ, ამძიმებს ჩამოთვლილი ქცევების არასწორ ხასიათს - ეს არ არის უბრალოდ უსაქციელობა, ეს არის კომკავშირელის სტატუსისთვის შეუფერებელი ქმედებები.

კომკავშირელისა (და ასევე პიონერის) ხატებისთვის სრულიად შეუსაბამოა ნაწარმოებში აღწერილი სიტყვიერი და შემდეგ ფიზიკური დაპირისპირება (მით უმეტეს პიონერხელმძღვანელსა და რგოლის ხელმძღვანელს შორის). პიონერები საჯაროდ დასცინიან და ამასხარავებენ ყოფილ პიონერხელმძღვანელს, თავის მხრივ ისიც პასუხობს. შემდეგ ყოფილი პიონერხელმძღვანელი ბიჭების ჩხუბში ერევა. ჩხუბი ნიკოსთვის ცუდად დამთავრდება: სანდროს მეგობრები დაეხმარებიან, ნიკოს გაკოჭავენ და ხეზე მიაბამენ. ამ ამბის შემდეგ ნიკოს რაზმის დაბრუნება და ბიჭებისთვის სამაგიეროს გადახდა უნდა, ამიტომ ახალ პიონერხელმძღვანელთან დალაპარაკებას აპირებს, რათა რაზმზე უარი ათქმევინოს. ნიკოს ამ აზრს მეგობარი უწუნებს და შეახსენებს, რომ კომკავშირის დავალებით მოხდა რაზმის გადაცემა, შესაბამისად ნიკოს მსგავსი მოთხოვნის წაყენების უფლება არ აქვს. ნიკო იმასაც კი ფიქრობს, რომ ექსკურსიაზე ქვები დააგოროს, რათა ბავშვები დაშავდნენ და სასჯელის სახით ახალ პიონერხელმძღვანელ გივის რაზმი დაატოვებინონ. მეგობარი ამაზე ფიქრსაც კი აუკრძალავს. საბოლოოდ, ყოფილ პიონერხელმძღვანელსა და პიონერებსა შორის კონფლიქტს უბედური შემთხვევა შეაჩერებს: ბიჭები ტყეში არიან წვეპლის საჭრელად. გაიგებენ რომ ნიკოც ტყეშია და

საცემრად ეძებენ. ამ დროს საშინელი ხმა გაისმება და ბიჭები ყოფილ პიონერხელმძღვანელს იპოვიან - ხის ჭრისას ნიკო ტოტებქვეშ მოჰყვა. მის გასალახად მისული პიონერები კი დაბნეულობიდან გამოერკვევიან, საკაცეს შეკრავენ და დაშავებულ ნიკოს სოფელში ჩაიყვანენ. ამ ამბით წყდება კონფლიქტიც.

საინტერესოა, რომ მთელი ამ დაპირისპირების განმავლობაში არც ერთი მხარე არ მიმართავს სისტემისთვის დამახასიათებელ ბერკეტებს: კომკავშირს ან მასწავლებლებს. ამის ნაცვლად, ორივე მხარე პირადი ურთიერთობების დონეზე ცდილობს მოაგვაროს პრობლემა, რაც არ უნდა იყოს დამახასიათებელი პიონერისა და პიონერხელმძღვანელის ხატებისთვის.

ნაწარმოებში პიონერხელმძღვანელის უარყოფითი სახე გარკვეულწილად არის განეიტრალებული ახალი პიონერხელმძღვანელის - გივი ვარდუაშვილის საშუალებით, მაგრამ ამ შემთხვევაშიც პიონერებთან ურთიერთობა არ გამოხატავს იმ იდეოლოგიურ დამოკიდებულებას, რომელიც კვლევაში განხილულ რუსულ საბჭოთა ნაწარმოებებში გვხვდება. თუმცა, კომკავშირლობა პიონრისთვის კვლავაც საოცნებო მდგომარეობად არის მიჩნეული, მაგრამ არა მიუღწევად და სანუკვარ ოცნებად:

„ერთი ჩვენ რომ ვიყოთ კომკავშირელები! არა, სანდრო?“

-ეჰ, ზღაპარია, გოგი, ჩვენ ვინ მიგვიღებს კომკავშირში ჯერ?“

-ზალიკოს? ის ხომ ხუთი თვით არის ჩვენზე დიდი?“

-არც ზალიკოს. კომკავშირს მშობრები და მამებუღარები არ უყვარს. კომკავშირს უშიშარი და პირდაპირი ხალხი უნდა. აი, ჩვენ ზედგამოჭრილები ვიქნებოდით, მაგრამ ჯერ არ მიგვიღებენ“ (მრელაშვილი 1974:40).

აქ კომკავშირში მიღების პირველ დაბრკოლებად ასაკი სახელდება, შემდეგ - გარკვეული თვისებები.

კომკავშირში მიღების საკითხი მნიშვნელოვან თემას წარმოადგენს ალ.ჩხაიძის ნაწარმოებში „როცა მთავრდება ბავშვობა“ (1962). თუმცა იგი არ არის ცალსახად წარმოდგენილი. კომკავშირში მიღებაზე ლაპარაკი უსიამოვნებით იწყება: კლასის ორგანიზატორი გურამი კომკავშირში მისაღებ ანკეტებს არიგებს კლასში. ანკეტა ყველას

არ შეხვდება, მათ შორის არც ზალიკასა და თამაზს. აღშფოთებული ზალიკა მიზეზის გარკვევას იწყებს და მიდის დასკვნამდე, რომ კომკავშირში მისაღებად მხოლოდ მოწინავე მოსწავლეები შეარჩიეს. ის ფაქტი, რომ მეოთხედი დასრულებული არ არის და უცნობია, ვის რა ნიშანი გამოყვება, უფრო ამძაფრებს სიტუაციას. ამ დროს ზალიკას კომკავშირის კომიტეტში იბარებენ. ირკვევა, რომ სკოლა ფეხბურთის გუნდს აყალიბებს. ზალიკას მიღებაც უნდათ, რადგან ძლიერი ფეხბურთელია. ზალიკა ბრაზობს - ვისაც კომკავშირში იღებთ, იმან ითამაშოსო. პასუხად იღებს, რომ კომკავშირში ყველას ერთდოულად ვერ მიიღებენ, მეოთხედის ბოლოს კი ცუდი ნიშნები თუ გამოყვება, გუნდიდანაც გარიცხავენ. ზალიკა შეურცხყოფილია და გადაწყვეტილი აქვს უარის თქმა. ყოყმანს მხოლოდ მეგობრის გამო დაიწყებს.

მშობლებთან ჩხუბის დროს კომკავშირს ახსენებს ზალიკას თანაკლასელი ჰამლეტი. ამ შემთხვევაშიც საქმე ეხება კომკავშირში მიუღებლობას. ჰამლეტი მშობლებს ზედმეტ მზრუნველობაში ადანაშაულებს და ამბობს: „*კომკავშირში თქვენი გულისათვის არ მღებულობენ!*“ (ჩხაიძე 1965:157).

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ყველა მოსწავლეს უნდა, რომ კომკავშირში მიიღონ. მაგრამ თავად პროცესი აღარ არის აღმატებით ხარისხში წარმოდგენილი. კომკავშირში მიღება აღარ ითვლება საოცნებოდ, ის ერთ-ერთ აუცილებელ გასავლელ საფეხურად იქცა. ზალიკა კიდევ ეკითხება თამაზს, კომკავშირში ხომ 14 წლიდან იღებენო? სწორედ დასტურის შემდეგ ბრაზდება, რადგან მას უარს ეუბნებიან იმაზე, რაც მისი აზრით ეკუთვნის. იმავეს მიანიშნებს ჰამლეტის აღშფოთებაც.

პიონერხელმძღვანელი ნაწარმოებში სულ რამდენჯერმეა ნახსენები. მაგრამ იგი აღარ არის იმ განსაკუთრებული დატვირთვის მქონე, რომელიც აქამდე განხილულ ნაწარმოებებში ჰქონდა. ნაწარმოებში არ ჩანს პიონერხელმძღვანელი, როგორც კომკავშირელის ხატის შემადგენელი ნაწილი, რომელიც მოთხრობას დასაწყისიდან ბოლომდე მიჰყვება და აქტიურ მონაწილეობას იღებს შინაარსის განვითარებაში. ის მხოლოდ კონტექსტიდან გამომდინარე არის ნახსენები, მაგრამ არ არის მთელი შინაარსის განმავლობაში მოქმედი პერსონაჟი, როგორც ეს აქამდე განხილულ ნაწარმოებებში იყო.

აღნიშნული მახასიათებლის (კომკავშირელი) განხილვას ვამთავრებ ი. ტომინის ნაწარმოებით „ბორკა, მე და უჩინმაჩინი“ (1962). ამ შემთხვევაშიც კომკავშირელის ხატში იკვეთება პიონერხელმძღვანელი. საყურადღებოა, რომ პიონერხელმძღვანელი ვლადიკის სახე განსხვავდება რუსულ საბჭოთა ნაწარმოებებში არსებული სხვა ნიმუშებისგან. ვლადიკს დიდად არ სცალია პიონერებისთვის, ის სულ გადარბენაზეა, სულ ეჩქარება, ერთი ვარჯიშიდან მეორეზე გარბის. პიონერების სანახავად შესვენებაზე შეირბენს ხოლმე და იკითხავს, თუ როგორ მიდის საქმეები. პასუხის მიუხედავად (ისე რა, კარგად, ცუდად) ამბობს: ჰოდა ყოჩად. ასე გააგრძელებ. და სხვა საქმეებზე გარბის.

ვლადიკის პირველი განსხვავებული მოქმედება, როცა იგი ბავშვებს კლასში დარჩენას სთხოვს, წარმოდგენილია როგორც გამონაკლისი, რომელსაც მასსა და კოსტია შმელს შორის შელაპარაკება მოჰყვება. შელაპარაკება პიონერსა და პიონერხელმძღვანელს შორის უკვე მნიშვნელოვანი განსხვავებაა. ამ შემთხვევაში შეცვლილია ის აღმატებული და იდეოლოგიურად გამაგრებული დამოკიდებულებები (პიონერი - პიონერხელმძღვანელი), რაც უფრო ადრეულ ნაწარმოებებში იკვეთებოდა. თუკი ადრე აშკარად იყო გამოხატული განსაკუთრებული პატივისცემა, ერთგულება და ნდობა პიონერხელმძღვანელის მიმართ (ცხადია იდეოლოგიური ელფერით), ამჯერად ეს მდგომარეობა სრულიად შეცვლილია. კოსტია შმელი ვლადიკზე ამბობს, რომ მას არაუშავს. ასეთია პიონერის მხრიდან პიონერხელმძღვანელის შეფასება. მსგავსი შეფასება სრულიად არ შეესაბამება პიონერი-პიონერხელმძღვანელის იმ ურთიერთმიმართებას, რომელიც მკითხველისთვის ნიმუშს უნდა წარმოადგენდეს.

როგორც უკვე აღინიშნა, ვლადიკი არ აყალიბებს სანიმუშო პიონერხელმძღვანელის სახეს. პიონერების მიმართ მისი დამოკიდებულებაც არ შეესაბამება იმ მოთხოვნებს, რომლებსაც სანიმუშო პიონერხელმძღვანელი უნდა აკმაყოფილებდეს. ის არ არის მზრუნველი, პიონერების პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებზე ჩაფიქრებული პიონერხელმძღვანელი. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ვლადიკი პიონერებს შეახსენებს რომ მათი პიონერული მუშაობა ჩამორჩება, ერთ საინტერესო ფრაზას ამბობს - როგორც ხელმძღვანელი მათზე პასუხიმგებელია, თუმცა მათ გარეშეც ბევრი საქმე აქვს. ე.ი.

პიონერები მხოლოდ მოვალეობას წარმოადგენენ, მათზე უფრო მნიშვნელოვანი საქმეებიც აქვს, მათ შორის - სპორტული შეჯიბრი, ანუ, პიონერხელმძღვანელისთვის პირადი ინტერესები უფრო მაღლა დგას, ვიდრე მისთვის მინდობილი პიონერების (კოლექტივის) ინტერესები. ვლადიკი ცდილობს უბრალოდ მოიშოროს საქმე - პიონერებს ურჩევს რამე შეაგროვონ. მისთვის სულერთია, რა იქნება ეს, თანხმდება ნებისმიერ შეთავაზებას (ქალაქი, ჯართი), ოღონდ სწრაფად გადაწყვიტონ და შეჯიბრებაზე გაიქცეს. პიონერებსაც ეუბნება, რომ მნიშვნელობა არ აქვს რას შეაგროვებენ. მთელი ამ საუბრის დროს ვლადიკი დაფის გასწვრივ დარბის და საათს ამოწმებს. ასევე სრულიად არასერიოზულად უყურებს კოსტიას მეგობარ ბორკას მიერ წამოყენებულ წინადადებას სპეციალური ანტენის შექმნის შესახებ, რომ სხვადასხვა ქალაქის რადიოტალღები დაიჭირონ: მოსკოვი, კიევი, პარიზი, ლონდონი. იმის ნაცვლად, რომ პიონერების წინადადებას ყურადღებით მოუსმინოს, ვლადიკი აწყვეტინებს: კარგად მოიფიქრე, ყოჩაღ! პარიზის ამბავი თქვენ თვითონ გაარკვიეთ, მე კი გავიქეციო.

პიონერების დამოკიდებულებაც ვლადიკის მიმართ შესაბამისია. ერთ-ერთი ასეთი კლასში შერბენისას პიონერხელმძღვანელი პიონერებს ავალებს წამლის ბოთლები შეაგროვონ. დავალება პიონერებისთვის მიუღებელია, იმიტომ რომ: 1. ერთხელ უკვე იყო მსგავსი დავალება, რომელიც წარმატებით ვერ შეასრულეს, რადგან პიონერხელმძღვანელმა სრული ინფორმაცია არ მიაწოდა. თურმე ეჯიბრებოდნენ პარალელურ კლასს, ოღონდ არ იცოდნენ და წააგეს, რის გამოც მუდმივი დაცინვის ობიექტები გახდნენ. 2. პიონერებს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდათ წასულიყვნენ ქარხანაში და მოეთხოვათ გაფუჭებული დაზგების გამოცვლა, რაც გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე წამლის ბოთლების შეგროვება.

პიონერხელმძღვანელს არ აინტერესებს პიონერების მიზეზები; არც დაზგების ამბავი, არც წამლის ბოთლებთან დაკავშირებული მარცხი და შელახული თავმოყვარეობა (რაც მისი უყურადღებობის ბრალი იყო). ვლადიკი მოითხოვს მეორე დღეს შეაგროვონ წამლის ბოთლები და გარბის. პიონერები მაინც არ დაემორჩილებიან ვლადიკს და მეორე დღეს ქარხანაში წავლენ. ეს მონაკვეთი პიონერხელმძღვანელი - პიონერის

ურთიერთობის შესახებ კიდევ ერთხელ გამოხატავს ვლადიკის, როგორც პიონერ-ხელმძღვანელის, არასანიმუშო და მიუღებელ სახეს; ამასთანავე, ასახულია პიონერების უპატივცემულო დამოკიდებულებას მისდამი.

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ რუსულ საბჭოთა საბავშვო ნაწარმოებებში სანიმუშო კომკავშირელის ხატი საკმაოდ დეტალურად არის ჩამოყალიბებული. მოცემულია სტატუსის მნიშვნელობა; კომკავშირელის, როგორც პიონერხელმძღვანელის დატვირთვა. მკაფიოდ გამოიხატება კომკავშირელის დამოკიდებულება პოლიტიკასთან და ბრძოლასთან, ასევე, კომკავშირელი/პიონერხელმძღვანელისა და პიონერის ურთიერთმიმართება. რაც შეეხება ქართულ საბჭოთა საბავშვო ნაწარმოებებს, აქ კომკავშირელის ასეთივე სანიმუშო ხატი არ ჩანს. მოცემულია პიონერხელმძღვანელისთვის მიუღებელი ქცევები. აღსანიშნავია, უფროსების დამოკიდებულება კომკავშირელების მიმართ: მათ ჯერ ისევ ბავშვებად აღიქვამენ, რაც მნიშვნელოვანი სხვაობაა კვლევაში განხილულ რუსულ საბჭოთა ნაწარმოებებთან შედარებით. თუმცა საყურადღებოა, რომ 1960-იანი წლების დასაწყისში უკვე რუსულ ნაწარმოებში გვხვდება კომკავშირელის და პიონერხელმძღვანელის არასანიმუშო, ნეგატიური სახე. ეს ფაქტი კომკავშირელის ხატში მიმდინარე ცვლილებებზე მიანიშნებს.

თავი 4. კრება (კოლექტივი)

მოცემულ კვლევაში „კრება“ კოლექტიური იდენტობის ფორმირებისათვის აუცილებელ ცალკე მახასიათებლად გამოიკვეთა, რადგან კრებასთან დაკავშირებული მონაკვეთები კოლექტივის/კოლექტიური აზრის არსებობის აუცილებლობასა და მნიშვნელობას აყალიბებენ. იქიდან გამომდინარე, რომ კრება პიონერებისა და კომკავშირელების (პიონერხელმძღვანელების) ცხოვრების შემადგენელი ნაწილი იყო, თითქმის ყველა ნაწარმოები შეიცავს კრების მონაკვეთს. შესაბამისად, მკითხველზე ზემოქმედებისა და იდენტობის ფორმირების კუთხით, კრების შესახებ ჩანართები ეფექტიან მეთოდს წარმოადგენს. „კრების“ მონაკვეთში მკაფიოდ გამოიხატება პიონერისა და პიონერ-ხელმძღვანელის სახე.

ვ. ოსევეას ნაწარმოებში „ვასიოკ ტრუბაჩოვი და მისი ამხანაგები“ (1947-1951) კრება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტრილოგიის პირველ წიგნში კრებაზე არკვევენ ბიჭებსა და გოგონებს შორის მეგობრობის საკითხს (პიონერების დაყოფა გენდერული ნიშნით არ შეიძლება), საუბრობენ პიონერისთვის შეუფერებელ ქცევაზე (ვასიოკს აკრიტიკებენ არაპიონერული საქციელის გამო). ტრილოგიის მეორე წიგნი უკვე საომარ ვითარებას აღწერს, ამიტომ უკრაინის სოფელში დარჩენილი ვასიოკი და მისი კლასელები უკრაინელ ბიჭებთან ერთად ფარულად ატარებენ კრებებს. ახლა უკვე ომის საკითხებზე საუბრობენ. მნიშვნელოვანი მონაკვეთია პიონერების მიერ გენკა ნალივაიკოს დაჯილდოება პიონერხელმძღვანელ მიტიას დახმარებისთვის და პიონერის ყელსახვევის დაბრუნება.

ა. რიბაკოვის „დაშნაში“ (1948) კრებაზე პიონერის, იური სტოცკიმ უღირსი საქციელი განიხილება (რიბაკოვი 1962:192). კრება ინდივიდის იძულების და ქცევის მართვის საშუალებაა. კოლექტივისა და კოლექტიური აზრისადმი მორჩილება პიონერის დამახასიათებელი თვისება უნდა იყოს. დანაშაულზე პასუხისმგებლობის ერთგვარი განაწილებით, კოლექტივი თითქოს მოქმედებისა და ინდივიდზე ზეგავლენის, იძულებისა და სასჯელის დაკისრების უფლებას მოიპოვებს. მართალია, სტოცკი კრების

დადგენილებას არ ემორჩილება, მაგრამ იგი უარყოფითი პერსონაჟია და მისი სახით პიონერის ნეგატიური ხატია წარმოდგენილი. „ბრინჯაოს ფრინველში“ კი კრებას ორი თავი ეთმობა და თვითდახასიათებების საშუალებით არის ჩამოყალიბებული ძირითადი მოთხოვნები კომკავშირელის მიმართ.

ნ. ნაკაშიძის „მოწაფის დღიური“ (1954) კომკავშირის კრებას აღწერს. კრებაზე წამყვანი როლი მასწავლებლებს ეკისრებათ, ეს არ არის კრება, სადაც კომკავშირელები გამოთქვამენ აზრს ერთმანეთის შესახებ და ერთმანეთის საქციელს აფასებენ (რაც ძირითადად აღწერილია რუსულ ნაწარმოებებში). აქ საუბრობენ მასწავლებლები, მიმდინარეობს მოსწავლეების დაკითხვა. წინ წამოწეულია იერარქიისადმი დამოკიდებულება, განსაკუთრებით ასაკობრივი (უფროსი/უმცროსი), ხოლო იდეოლოგიური საფუძველი მეორე ადგილზეა, განსხვავებით რუსული ნაწარმოებებისგან. მიუხედავად იმისა, რომ რუსულ ნაწარმოებებშიც იერარქია უფროსი/უმცროსი დაცულია, აზროვნებას და ურთიერთობებს განსაზღვრავს იდეოლოგია. ხოლო ნაკაშიძის ამ ნაწარმოებში ურთიერთობა და იდეოლოგია ან თანაარსებობს, ერთ პლასტში მოიაზრება, ან ურთიერთობა არის წინ წამოწეული, ხოლო იდეოლოგია გარკვეულ ფონს ქმნის.

რაზმის კრება გვხვდება ლ. მრელაშვილის „იყალთოელ ბიჭებშიც“. აქამდე განხილული ნაწარმოებებისგან განსხვავებით, კრება უფრო თავისუფალ გარემოში ტარდება. განსაკუთრებული დამოკიდებულება სტატუსით ზემდგომების მიმართ (პიონერხელმძღვანელი, უფროსი პიონერხელმძღვანელი, კლასის ხელმძღვანელი) არ არის გამოხატული. ყველა მათი მითითება და შენიშვნა სრულდება, მაგრამ პიონერები თავისუფლად ეპასუხებიან უფროსებს, ერთმანეთს აწყვეტინებენ, ყვირიან. თავის მხრივ, საპასუხო ბრალდებებს უყენებენ ყოფილ პიონერხელმძღვანელ ნიკოს და მის შეურაცხყოფას არ ერიდებიან („თვალეზიც მოუთხრია შენთვის“; „ქარი ამოიღე“, „ამდენი ქაქანით მუხლი მოგეკვეთებოდა“ - მსგავს ფრაზებს ეუბნებიან პიონერები ყოფილ პიონერხელმძღვანელს კრებაზე). ასევე, იმის ნაცვლად, რომ დანაშაული აღიარონ, ტყუილის თქმასაც არ ერიდებიან. რაც ყველაზე საყურადღებოა, პიონერები, მთელი ამ მდგომარეობის სერიოზულობის მიუხედავად, მაინც ახერხებენ სიტუაციაზე იხუმრონ

და ყოფილი პიონერხელმძღვანელი ნიკო მასხრად აიგდონ (მრელაშვილი 1974:197). პიონერხელმძღვანელ გივის კლასის დაშოშმინება უწევს. კიდევ ერთი მსგავსი სიტუაცია იქმნება ვანო ბერძენაშვილის დაკითხვისას (მრელაშვილი 1974:202). ხუმრობები მთლიანად ცვლის კრებისთვის აუცილებელ სერიოზულ განწყობას. ამ შემთხვევაში, კრებაზე თანატოლებისგან შემდგარი კოლექტივი კი არ არის წარმმართველი, არამედ უფროსები. ურთიერთმიმართება პიონერებსა და ყოფილ პიონერხელმძღვანელს შორის საერთოდ არ გამოხატავს იმ ურთიერთობას, რომელიც საბჭოთა იდეალს წარმოადგენს: პიონერებზე მზრუნველი პიონერხელმძღვანელი, ერთი მხრივ, და პიონერხელმძღვანელის მიმართ რიდით, პატივისცემითა და ხშირად აღფრთოვანებით გამსჭვალული პიონერები, მეორე მხრივ.

ამ საკითხთან დაკავშირებით, აღსანიშნავია ერთი მონაკვეთი, რომელიც ნაწარმოების თავდაპირველ ვარიანტში არის წარმოდგენილი, თავში „ალაზნის პირზე“. ამ თავში ასახულია კრების მიმართ პიონერების დამოკიდებულება. მათთვის კრება არ ნიშნავს უპირობოდ სამართლიანობას („იმ ნასროლიდან უმეტესი ჩვენა გვხვდებოდა“), აქედან გამომდინარე, კრების მოწვევასა და კოლექტივის მიერ გადაწყვეტილების მიღების ნაცვლად, სამართლიანობის აღდგენა საკუთარი ძალებით ურჩევნიათ. საყურადღებოა რეაქციაც კრებასთან დაკავშირებით: იგი ზედაპირულია, რგოლის ხელმძღვანელი, თითქოს, ვერ აღიქვამს, რამხელა ძალა აქვს კრებას და რამდენად სერიოზული შედეგები შეიძლება მოჰყვეს კოლექტივისა და კრების გადაწყვეტილებას (მრელაშვილი 1960:324). ამ დამოკიდებულებაში არ ჩანს ის დატვირთვა, რომელიც ჩვეულებრივ ენიჭება კრებას საბავშვო საბჭოთა ნაწარმოებებში. თავი, რომელშიც ეს მონაკვეთია, ნაწარმოების რედაქტირებული ვარიანტიდან ამოღებულია.

ო. იოსელიანის „[უთაური ბიჭის] კახას თავგადასავალში“ (1960) კრების აღწერა ერთ გვერდსაც არ წარმოადგენს და იდეოლოგიურ მონაკვეთებს არ შეიცავს. კრებამდე კახას შესახებ ლექსი და ნახატი კედლის გაზეთში აღმოჩნდება. ბიჭისთვის მთავარია, გაარკვიოს კარიკატურის ავტორი, თორემ გაკიცხვას ყურადღებას არც კი აქცევს.

„დიახ, ამხანაგებო! მე გადავწყვიტე გამოსწორება... კარიკატურის დახატვამდე გადავწყვიტე. ამას ნაკვეთში ჩემი შრომაც მოწმობს, მაგრამ კარიკატურა მაინც დიდად დამეხმარა. ხშირად უნდა ვხატავდეთ ამნაირ კარიკატურებს. მარტო ისა მწყინს, მაღლობას ვერ ვუხედი ჩემს გულშემატკივარს, არ ვიცი, ვინ არის...“ (იოსელიანი 1960:516).

არც „[უთაური ბიჭის] კახას თავგადასავალში“ აქვს კრებას და კოლექტივის აზრს ისეთივე დატვირთვა, როგორც საბჭოთა რუსულ ნაწარმოებებში (ოსეევა, რიბაკოვი). კახასთვის კრებაზე მიღებული შენიშვნები არ არის ისეთივე მნიშვნელოვანი, როგორც რუსული ნაწარმოებების პერსონაჟებისთვის. კრების გადაწყვეტილებები არათუ არ სრულდება, პირიქით, სამაგიეროს გადახდაც კი მოიაზრება კრიტიკაზე პასუხად.

საბჭოთა რუსული ნაწარმოებებისგან განსხვავებული დამოკიდებულება კრების მიმართ ჩანს ი. ტომინის „ბორკა, მე და უჩინმაჩინში“ (1962): მასწავლებელი ცდილობს, კრებისთვის სავალდებულო წესრიგი დაამყაროს და შეახსენებს კიდეც მოსწავლეებს, რომ საქმეს დაფიქრებულად, პიონერულად უნდა მოეკიდონ. საქმეს სერიოზულად ეკიდება უფროსი პიონერხელმძღვანელიც. მაგრამ პიონერები ემოციურად და ხმაურიანად არღვევენ ამ წესრიგს, რაც უჩვეულოა რუსულ საბჭოთა ნაწარმოებებში აღწერილი კრებებისთვის. განსაკუთრებით თვალშისაცემი კოლექტივის შიგნით არსებული წინააღმდეგობებია.

ამ მხრივ პირველი განსხვავება კოლექტივის (კლასის) წევრებს შორის დამოკიდებულებას შეეხება. კრებასა და კოლექტივის მუშაობას/გადაწყვეტილებებს დაკარგული აქვს ის განსაკუთრებული დატვირთვა და მნიშვნელობა, რაც სხვა რუსულ საბჭოთა ნაწარმოებებში იკვეთებოდა (რიბაკოვი, ოსეევა) (ჯგუფხელისა და რაზმის საბჭოს ათავმჯდომარის არჩევის ეპიზოდები). ნაწარმოებში ასახულია ასევე უსიამოვნება მასწავლებელსა და უფროს პიონერხელმძღვანელს შორის. იდეოლოგიური კუთხით, ეს არის საყურადღებო ცვლილება, რადგან ირღვევა შეუმცდარი, ურთიერთშეთანხმებული უფროსების ერთიანი, მონოლითური სახე; გაუგებრობა უფროს პიონერხელმძღვანელსა და მასწავლებელს შორის არღვევს უფროსისადმი მორჩილების დაკანონებულ ხატს.

იცვლება შეუმცდარი, მზრუნველი და, ამავდროულად, ბავშვების მეგობარი მასწავლებლის ხატიც. ამ მონაკვეთში რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხია:

1. უსიამოვნება მასწავლებელსა და უფროს პიონერხელმძღვანელს შორის;
2. კოლექტივი (პიონერები) დამოუკიდებლად არ იღებს გადაწყვეტილებას და სხვისი კარნახით მოქმედებს;
3. მასწავლებლის რეაქცია პიონერხელმძღვანელის შეთავაზებაზე და ფრაზა „უცხოების გარეშე“, ანუ ბზარი მასწავლებელსა და მოსწავლეებს/პიონერებს შორის. თურმე არის საკითხები, რომლებიც პიონერებმა უნდა გადაწყვიტონ, მათ შეეხებათ, მაგრამ მათ გარეშე წყდება, თვითონ კი უცხოებად მოიაზრებიან;
4. პირველი რეაქცია რგოლის ხელმძღვანელის კანდიდატის დასახელებისას - სიცილი და ხუმრობის მიზნით (!) ხელმძღვანელის არჩევა. კიდევ ერთხელ მჭდავდება არასერიოზული დამოკიდებულება. არჩევას მხოლოდ პიროვნული მიზეზით გადამიფიქრებენ, ისიც მას შემდეგ, რაც მასწავლებელი კლასს დატოვებს.
5. კოსტია შშელის აზრი, რომ არ აქვს მნიშვნელობა, ვის აირჩევენ რგოლის ხელმძღვანელად, რადგან მაინც არავინ მუშაობს სისტემის შიგნით მიმდინარე ცვლილებაზე მიანიშნებს: ხელმძღვანელობა პირობითი, გარეგნული ფორმა ხდება. ორივე მხარე სიტუაციას იმდენად ფორმალურად აღიქვამს, რომ შეიძლება ვიღაც სახალისოდ და სახუმაროდაც კი აირჩიონ.

კოსტიას რეპლიკაზე, რომ მათ არ სურთ ამხანაგის არჩევა რგოლის ხელმძღვანელად, რადგან არ მოსწონთ იგი, მასწავლებელი, ჩაილაპარაკებს, რომ ეს რაღაც ახალი და საინტერესოა. თუ პიონერხელმძღვანელი არ მოეწონებათ, მაშინაც წინააღმდეგები იქნებით? - ეკითხება იგი ბავშვებს. კოსტია თანხმდება, თუ არ მოგვწონს, აბა როგორ. ელიზავეტა მაქსიმოვნას აზრით, ეს კიდევ უფრო საინტერესოა. და თუ უფროსი პიონერხელმძღვანელი არ მოეწონებათ, მაშინ? კოსტიას აზრით, თუკი ადამიანი არ მოგვწონს, ესე იგი არ მოგვწონს, იყოს თუნდაც უფროსი, თუკი ცუდია. მაგრამ ჩვენ ხომ მათ არ ვირჩევთ, ჩვენ რგოლის ხელმძღვანელებს ვირჩევთ, დასძენს იგი. კლასიდან გასვლისას ელიზავეტა მაქსიმოვნა ისე უცნაურად შეხედავს კოსტიას, ოღონდ ისე, თითქოს ის

ადამიანი კი არა, მცენარე ყოფილიყო (მაგალითად, სიმინდიო, ფიქრობს კოსტია შმელი). კვლევის კუთხით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მონაკვეთია თავის ბოლოს. ბავშვები უკვე სკოლის ეზოში არიან და რგოლის მესამე ხელმძღვანელიც აირჩიეს. შემდეგ კი იხსენებენ როგორ არ აირჩიეს დუტოვი. და აქ მთავარი დუტოვი კი არ იყო, არამედ ის რომ ერთად დაუპირისპირდნენ, ერთდ ჩატენეს მერხის ქვეშ, და შემდეგ ერთად არ აირჩიეს. შმელის თქმით, ასეთი რამ მათთან პირველად (!) მოხდა.

როგორც ვხედავთ, უფროს პიონერხელმძღვანელსა და მასწავლებელს განსხვავებული შეხედულება აქვთ იმასთან დაკავშირებით, თუ ვისი მითითებით უნდა მოიქცეს ბავშვი (ისიც აღშანიშნავია, რომ მთელი ამ საუბრის დროს მათ პიონერებს არცერთი მხარე არ უწოდებს). აქ შემოდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი - მორჩილება, რომელიც განსაკუთრებული დატვირთვით იყო გამოხატული ომის პერიოდის ამსახველ ნაწარმოებებში. თუმცა მაშინაც პიონერის მხრიდან საკუთარი უფროსის (მეთაური, ხელმძღვანელი: გენერალი, პარტიზანი, პიონერხელმძღვანელი ან მასწავლებელი) მორჩილებას ემატებოდა კოლექტივის შიგნით გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად და კოლექტიურად მიღების მცირე უფლება. ამ შემთხვევაში კი პიონერებს აღარ ენიჭებათ ის დამოუკიდებლობა და მოქმედების თავისუფლება, რაც ომის პერიოდის ამსახველ ნაწარმოებებში ჰქონდათ. მაგრამ მორჩილების ვალდებულება რჩება. შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღებაც უფროსების კონტროლის გარეშე ნაკლებ სავარაუდოა. ყველა პიონერი ბრმად არ ემორჩილება უფროსებს (ჯერჯერობით საკუთარ გონებაში), და შესაძლებლობა თუ მიეცემათ, ექვემდებარებიან და შეეწინააღმდეგებიან უფროსების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. ეს კი არამხოლოდ დაუმორჩილებლობად, არამედ თვითნებობადაც აღიქმება.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი, რაც კრების განხილვისას გამოჩნდა, არის თავად მასწავლებლის დამოკიდებულება - ის დისტანცირდა პიონერებისგან და მათ უცხოებს უწოდებს. მაშინ, როდესაც სანიმუშო მასწავლებლის ხატი მუდმივად ბავშვებზე, მოსწავლეებზე ფიქრსა და ზრუნვას გულისხმობს; მათი პრობლემები მასწავლებლისთვის

ცხოვრებაში უმთავრესია. ამ ხატთან შედარებით, ელიზავეტა მაქსიმოვნა სრულიად საპირისპირო სახეს წარმოადგენს.

და ბოლოს, პიონერების კოლექტიურობა. კოსტია შმელი აღნიშნავს, რომ დუტოვთან ანგარიშის გასწორებაა იყო პირველი შემთხვევა, როდესაც მთელმა კლასმა რაღაც ერთად გააკეთა, არა იმიტომ, რომ მათ ეს დაავალეს, არამედ საკუთარი სურვილით. გაუგებარია, რატომ უნდა იყოს ერთიანობა და კოლექტიურობა ასეთი ამაღელვებელი და უჩვეულო პიონერებისთვის, როდესაც კოლექტიურობა მათი ცხოვრების ბუნებრივ ნაწილს უნდა წარმოადგენდეს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ იდენტობის ფორმირების პროცესში კრების (კოლექტივისა და კოლექტიური აზრის) მნიშვნელობა სხვადასხვაგვარად გამოვლინდა სხვადასხვა პერიოდის თხზულებებში. 1950-იანი წლების შუა პერიოდამდე კოლექტივისა და კოლექტიური აზრის მნიშვნელობა გადამწყვეტია. კრებებზე იმდენად დაწვრილებით არის მოცემული მითითებები და მოვალეობა-ვალდებულებები, რომ მათი საშუალებით კონკრეტული ხატებიც კი ყალიბდება (მაგ., კომკავშირელი). ამასთანავე, გასათვალისწინებელია სხვაობა რუსულ და ქართულ ნაწარმოებებს შორის. თუკი საბჭოთა რუსულ ნაწარმოებებში კოლექტივის შიგნით ურთიერთობებშიც იდეოლოგიას ენიჭება დიდი მნიშვნელობა (მაგ., „ვასილ ტრუბაჩოვი და მისი ამხანაგები“, „ბრინჯაოს ფრინველი“), ქართულ ნაწარმოებებში კოლექტივში მეგობრულ ურთიერთობებს, ასაკობრივ სხვაობას და იდეოლოგიას თანაბარი მნიშვნელობა აქვს. ასევე, ზოგადად კრების მიმართ ნაკლები დატვირთვა და ნდობა მჟღავნდება, ვიდრე რუსულში. კვლევაში განხილული რუსული საბჭოთა საბავშვო ნაწარმოებებისგან კრებისა და კოლექტივის მიმართ განსხვავებულ დამოკიდებულებას გამოხატავს ი. ტომინის „ბორკა მე და უჩინმაჩინი“. ამ შემთხვევაში სრულიად დარღვეულია რუსულ ნაწარმოებებში ჩამოყალიბებული კრებისა და კოლექტიური აზრის მნიშვნელობა.

თავი 5. „ჩვენ“ და „სხვა“ ჯგუფები

იდენტობის ჩამოყალიბების პროცესში აუცილებელია განისაზღვროს, ვინ მიიჩნევა შიდა „ჩვენ“ ჯგუფის წევრებად და ვინ წარმოადგენს ამ ჯგუფს გარეთ არსებულ „სხვას“. „ჩვენ“ ჯგუფი შეიძლება სხვადასხვა მასშტაბს მოიცავდეს, დაწყებული ორი ადამიანიდან, დამთავრებული გარკვეული ერთობით. ბ. ანდერსონის ტერმინი „წარმოსახვითი საზოგადოებანი“ აღნიშნავს იმ ჯგუფებს, რომლებიც ძალიან დიდია იმისთვის, რომ ჯგუფის თითოეული წევრი ერთმანეთს იცნობდეს, მაგრამ მაინც არსებობს ყოველი მათგანის გონებაში მათი ერთობის ხატი (ანდერსონი 2003:21), ანუ ყოველი მათგანის გონებაში არსებობს გარკვეული „ჩვენ“ ჯგუფი, რომელიც თავს განასხვავებს „სხვა“ ჯგუფისგან. „სხვა“ ჯგუფის იდენტიფიკაციის პროცესი მოქმედებს „ჩვენ“ ჯგუფის თვითიდენტიფიკაციის პროცესზეც.

აუცილებელია „სხვა“ ჯგუფისა და მტრის ცნების დაზუსტება: „სხვა“ შეიძლება იყოს უცნობი, უცხო, იგი ყოველთვის არ ნიშნავს მტერს, თუმცა მტერი ყოველთვის წარმოადგენს „სხვას“. ანუ „სხვა“ ჯგუფმა მტრად გადაქცევამდე გარკვეული პროცესი უნდა გაიაროს (Vuorinen 2012:2).

მოცემულ თავში წარმოდგენილი „ჩვენ/სხვა“ ჯგუფები ორ მნიშვნელობას მოიცავს: 1) ჩვენ (საბჭოთა ხალხი) / სხვა; 2) დიდი „ჩვენ“ ჯგუფის (საბჭოთა ხალხის) შიგნით არსებული მცირე „სხვა“ ჯგუფები. მახასიათებლის მეორე მნიშვნელობა უფრო ინტენსიურად ქართულ ნაწარმოებებში გამოვლინდა. „სხვა“ ჯგუფს, რომელიც მტერს გულისხმობს, ცალკე თავი - „მტრის ხატი“ ეთმობა.

ა. გაიდარის მოთხრობაში „ჩუკი და გეკი,“ რომელიც 1939 წელს არს დაწერილი, „ჩვენ“ ჯგუფის აღქმის ჩამოყალიბება ბავშვისთვის ყველაზე მარტივად გასაგებ და აღსაქმელ საკითხთან - საახალწლო ზეიმთან არის დაკავშირებული. ახალი წლის ღამით მამა რადიომიმღებს რთავს და „სადღაც შორიდან მელოდიური ქლარუნი“ ისმის, დიდი და პატარა ზარები რეკავენ და ჩუკი და გეკი ხვდებიან, რომ „იქ შორეულ მოსკოვში, წითელ ვარსკვლავებზე, სპასკის კოშკზე, კრემლის ოქროს საათი რეკდა. და ახლა ამ

ზარების წკრიალს - ახალი წლის წინ - უსმენდნენ ადამიანები ქალაქებში, მთებში, სტეპებში, ტაიგაში, ლურჯ ზღვაზე. [...] რა არის ბედნიერება - ეს თითოეულს თავისებურად ესმოდა, მაგრამ ყველამ იცოდა და ყველას მიაჩნდა, რომ [...] საჭიროა, ძლიერ გიყვარდეს და უფრო ხილდებოდე ამ დიდ ბედნიერ მიწას, რომელსაც საბჭოთა კავშირი ჰქვია“ (გაიდარი 1968:37-38).

მოთხრობა 1939 წელს დაიბეჭდა, მაშინ როცა ნაძვის ხის მორთვის ტრადიცია სულ რამდენიმე წლის აღდგენილი იყო. საქმე ისაა, რომ 1927 წელს ანტირელიგიური კამპანიის ფარგლებში ნაძვის ხის მორთვა აკრძალა და მხოლოდ 1936 წელს აღდგა - მას შემდეგ, რაც 1935 წლის ნოემბერში სტახანოველების პირველ ყრილობაზე სტალინმა წარმოთქვა ცნობილი ფრაზა უკეთეს და უფრო მხიარულ ცხოვრებაზე. დეკემბერში გამოქვეყნდა პ. პოსტიშევის სტატია,¹⁴ რომელშიც საახალწლოდ ნაძვის ხის მორთვის ტრადიციის აღდგენისკენ მოუწოდებდა, რადგან ადრე მხოლოდ ბურჟუაზიის წარმომადგენლები დგამდნენ ნაძვის ხეს საკუთარი შვილების გასართობად, მუშების შვილები კი ამ შესაძლებლობას მოკლებულნი იყვნენ. საბჭოთა კავშირში ყველა ბავშვს, ყველა პიონერს უნდა ჰქონოდა მსგავსი გასართობი. ამიტომ სკოლებში, პიონერთა სახლებში, ბაღებში და სხვ. უნდა დაედგათ ნაძვის ხეები. ნაძვის ხე ბედნიერი საბჭოთა რეალობის ამსახველი უნდა ყოფილიყო.¹⁵ ვარსკვლავი ნაძვის ხის კენწეროზე მოსკოვის კრემლის სპასკის კოშკზე არსებულ წითელ ვარსკვლავთან ასოცირდებოდა (ბეთლემის ვარსკვლავის ნაცვლად), ხოლო კრემლის საათის ზარს ახალი წლის დადგომა უნდა ემცნო მთელი

¹⁴ პოსტიშევის სტატია «Давайте организуем к Новому году детям хорошую елку!» Газета «Правда» от 18 декабря 1935 года. © 2024 Музей ЦСДФ

<https://csdfmuseum.ru/history/730-%D0%B4%D0%B0%D0%B2%D0%B0%D0%B9%D1%82%D0%B5-%D0%BE%D1%80%D0%B3%D0%B0%D0%BD%D0%B8%D0%B7%D1%83%D0%B5%D0%BC-%D0%BA-%D0%BD%D0%BE%D0%B2%D0%BE%D0%BC%D1%83-%D0%B3%D0%BE%D0%B4%D1%83-%D0%B4%D0%B5%D1%82%D1%8F%D0%BC-%D1%85%D0%BE%D1%80%D0%BE%D1%88%D1%83%D1%8E-%D0%B5%D0%BB%D0%BA%D1%83>

¹⁵ თოფურია თ. „როგორ აკრძალა სტალინმა ნაძვის ხე“ „რადიო თავისუფლება“ დეკემბერი 20, 2023 <https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%A0-%E1%83%90%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%AB%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%9B%E1%83%90-%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%AE%E1%83%94/32740567.html>

საბჭოთა კავშირისთვის. ეს იყო ახალი, გამაერთიანებელი ტრადიცია, რომლის ცენტრიც, ბუნებრივია, მოსკოვში იქნებოდა.

რადგან მოთხრობა 1939 წლის დასაწყისში გამოიცა შესაბამისად რამდენიმე წელიწადში უკვე ტრადიციად უნდა ჩამოყალიბებულიყო კრემლის საათის ზარების მოსმენა. და როგორც მოთხრობიდან გამომდინარეობს, ამ ტრადიციას, რომელიც მთელი საბჭოთა კავშირის მოსახლეობას მოთხრობაში აღწერილ ამალღებულ და საზეიმო განწყობას უქმნიდა, საბჭოთა ხალხის ერთგვარი გამაერთიანებელი სიმბოლოს როლი უნდა შეესრულებინა; რომ საბჭოთა კავშირის თითოეული მოქალაქის გონებაში საბჭოთა კავშირს, როგორც გარკვეულ „წარმოსახვით საზოგადოებას“ ეარსება.

„დიდი საბჭოთა ოჯახის“ წევრობა ერთ-ერთი ძირითადი და მნიშვნელოვანი მახასიათებელია, რომელიც მიმართულია „ჩვენ“ ჯგუფისადმი მიკუთვნებულობის განცდის ჩამოყალიბებისა ან/და კოლექტივის წევრად თვითიდენტიფიკაციისთვის. 1940 წელს დაწერილ მოთხრობაში „თემური და მისი რაზმი“ ა. გაიდარი აჩვენებს, როგორ ამშვიდებს ბიძის, გიორგის ფრონტზე გამგზავრებით აღელვებულ, მარტო დარჩენილ თემურს მასთან ერთად გიორგის გასაცილებლად სადგურზე შეკრებილი მეგობრების გამხნეება. ჟენია წითელვარსკვლავიანთა „ჩვენ“ ჯგუფზე მიუთითებს, ოლგა კი ეუბნება: *„შენ ყოველთვის ხალხზე ფიქრობდი და ისინი სამაგიეროს მოგიზღავენ,“ „ვდგავარ... ვუყურებ და ვხედავ, რომ ყველანი კარგად ხართ, ყველანი დამშვიდებული ხართ. მაშ, მეც დამშვიდებული ვიქნები!“* - ამბობს გადიმებული თემური (გაიდარი 1979:290).

ვ.ოსეევას ტრილოგიაში „ვასიოკ ტრუბაჩოვი და მისი ამხანაგები“ (1947-1951) „ჩვენ“ და „სხვა“ ჯგუფები არაერთხელ არის განსაზღვრული; ხშირად ეს განსაზღვრებები სხვა მახასიათებლებს უკავშირდება და მათთან ერთად იკვეთება. ქვემოთ განვიხილავთ, როგორ განაპირობებს კოლექტივისგან დაშორება მოსწავლეების დაყოფას „ჩვენ“ და „სხვა“ ჯგუფებად.

ნიურა სინიცინას, ვასიოკ ტრუბაჩოვის კლასელს, ერთ დღეს სკოლაში უსიამოვნება შეემთხვევა - კედლის გაზეთისთვის მიტანილ ლექსს უწუნებენ, რომელიც იქამდე მშობლებმა შეუქეს. შინ დაბრუნებული, მწარედ აქვითინდება. ნიურა დედას,

მარია ივანოვნას საყვედურობს - განგებ მაქებდი, ახლა კი ყველას სულელი ვგონივარო! განრისხებული მარია ივანოვნა დაჰყვირებს: ახლავე გაჩუმდი! მათ შენი შურთ! და კიდევ რამდენჯერმე უმეორებს იგივეს გაოგნებულ გოგონას. საყურადღებოა, რომ აზრი, თითქოს ნიურასი შურთ, რადგან სხვებზე უკეთესია და ამიტომ დასცინიან, თავად ნიურას კი არ უჩნდება, არამედ ამას დედა ეუბნება. თავად ნიურამ კი სკოლაში პიონერხელმძღვანელის მიცემული შენიშვნა დაიჯერა და მიიღო. მაგრამ ყველაფერი აღზრდის ბრალია: ნიურას დედას თავად სურს, რომ საკუთარ გამორჩეულობას გაუსვას ხაზი: ნიურას სკოლიდან დაბრუნებისას მაგიდა ყოველთვის ლამაზად გაწყობილი ხვდებოდა, ყოველ თეფშთან კოხტა ხელსაწმენდით. აღწერილია, თუ როგორ ალაგებდა ნიურას დედა, მარია ივანოვნა თეფშებს - არაბუნებრივად გაბზეკილი თითებით, „ბასრი“ ფრჩხილები კი მუქ წითელ ფერად ჰქონდა შეღებილი (ორიგინალის ენაზე ეს ფრაზა უფრო მეტად ავლენს ნეგატიურ ხასიათს, თითქოს რაღაც მტაცებელ ცხოველზე იყოს საუბარი). სხვა კონტექსტში ამ დეტალებს არც ექნებოდა რაიმე მნიშვნელობა, თუმცა ამ შემთხვევაში, მთლიანი გარემოდან გამომდინარე, მიანიშნებს ამ ქალის სურვილზე - სხვებზე უკეთესად წარმოაჩინოს თავი, გამოკვეთოს თავისი ინდივიდუალობა, არ იყოს „უბრალო“. იგი შვილს განსაკუთრებულობის განცდას უნერგავს - იმდენად ნიჭიერია, რომ მისი შურთ.

მსგავსი აზრების გამო ნიურას კლასელებთან ურთიერთობა საბოლოოდ უფუჭდება. თვითონაც გამომწვევად და დაცინვით იწყებს საუბარს. ერთ-ერთი ასეთი შენიშვნის შემდეგ ნიურას ეუბნებიან: „*ისე ლაპარაკობ, როგორც უცხო*“ (Oceeva, 1961:142). ამ ნათქვამს მოყვება ნიურას პასუხი: - *კარგი, კარგი! ყველაფერი მესმის ... ლექსებთან დაკავშირებითაც მაშინ შარი მომდეთ. ჩემი გშურთ - მორჩა და გათავდა!*“ (Oceeva, 1961:143).

საყურადღებოა, რომ ქართულ თარგმანში ნიურას პასუხიდან ზემოაღნიშნული მონაკვეთი, შურთან დაკავშირებით, ამოღებულია. როდესაც მას ბრალს დასდებენ - „კლასში გარეულივით ხარ“ (ოსეევა 1951:131), და ამიტომ არავინ ეცოდება, ნიურა უბრალოდ შეედავება და კლასში ბრუნდება. (ოსეევა 1951:132)

როგორც ვხედავთ, კოლექტივისგან დაშორება „ჩვენ“ და „სხვა“ ჯგუფებად დაყოფაში გადაიზარდა. თუკი გავითვალისწინებთ, გარკვეული ზეგავლენის პირობებში „სხვა“ ჯგუფის მტრად გარდაქმნის ტენდენციას, მაშინ „ჩვენ“ ჯგუფიდან „სხვა“ ჯგუფში გადანაცვლება არის პოტენციურად საფრთხის შემცველი. პერსონაჟების ამ სახით დაყოფა მკითხველს პირდაპირ აწვდის ნიმუშს, თუ ვინ შეიძლება ჩაითვალოს „ჩვენ“ ჯგუფის წევრად, და ვინ არ შეესაბამება „ჩვენ“ ჯგუფს; ასევე, იკვეთება აზრი, რომ სრულიად შესაძლებელია დაკარგო „ჩვენ“ ჯგუფის წევრობა და ამ წევრობისგან გამომდინარე უსაფრთხოება, უკვე შემდგომ კი გარკვეული პრივილეგიები.

თუმცა, ნიურა სინიციანას პერსონაჟი მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას განიცდის შემდგომ წიგნში, როდესაც კლასელებთან ერთად უკრაინაში, 1941 წლის ივნისში, ომში მოხვდება. გამოვლილი უბედურებისა და კლასელის სიკვდილის შემდეგ ნიურას მსოფლმხედველობა ეცვლება, უახლოვდება კლასელებს და „ჩვენ“ ჯგუფის სრულფასოვანი წევრი ხდება. უკრაინიდან დაბრუნების შემდეგ მას უკვე საკუთარი მშობლების გამო რცხვენია.

ა. რიბაკოვის „დაშნა“ (1948) 1920-იანი წლების დასაწყისში „ჩვენ“ ჯგუფის შიგნით არსებულ გარკვეულ წინააღმდეგობებს ასახავს, კერძოდ, სოციალური იდენტობის ფორმირების პრობლემას ინტელიგენციად წოდებულ სოციალურ ფენაში. საბჭოთა წყობილების პირველ წლებში საბჭოთა ხელისუფლება რევოლუციამდელ ინტელიგენციას (რომელსაც უწოდებდნენ ბურჟუაზიულ ინტელიგენციას, წვრილბურჟუაზიულ ინტელიგენციას, ან სპეცს) მხოლოდ ეჭვის თვალით კი არ უყურებდა, არამედ გარკვეულ რეპრესიებსაც ახორციელებდა მის მიმართ (Фортунатов 2021:60-61). ამ კონტექსტის გათვალისწინებით, საინტერესოა ძალზე უცნაური და არაცალსახა პერსონაჟის - ძია სენიას განხილვა, რომელიც მხოლოდ ნაწარმოების დასაწყისში, რამდენიმე თავში მოქმედებს. მისი მოსაზრებები პოლიტიკასა და ნიკიტსკიზე სრულიად განსაკუთრებული და გამორჩეულია.

„ნიკიტსკი ბანდიტი როდია, - წარმოთქვა ძია სენიამ და სტუდენტური ტუფურის საყელო შეიხსნა. - ამბობენ, კულტურული კაციაო, ფლოტის ყოფილი ოფიცერი. ეს

თავისებური პარტიზანული ომია. მოწინააღმდეგეთათვის თანაბრად კანონიერი...“
(რიბაკოვი 1962:18).

კომუნისტებისა და კომკავშირლების მკვლელს კულტურული კაცი უწოდო, თეთრების წინააღმდეგობა პარტიზანულ ომად, ხოლო თეთრებისა და წითლების ბრძოლა თანაბრად კანონიერად მიიჩნო, უკვე განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა და „ჩვენ“ ჯგუფის წევრისთვის ვერ იქნება მისაღები. აღსანიშნავია, რომ ძია სენია არ არის მუშა; იგი უნივერსიტეტიდან „უწესობისთვის“ არის გარიცხული, თუმცა, მუდმივად პენსნეთი და სტუდენტური ტუჟურით, მთელ დღეებს წიგნების კითხვაში ატარებს, ბევრს საუბრობს და მსჯელობს.

მნიშვნელოვანია, რომ ძია სენიას არ გააჩნია ცალსახა პოზიცია პოლიტიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით და გარე დამკვირვებლის პოზიციას იკავებს. რაც ყველაზე საინტერესოა, მიშასგანაც იმავეს მოითხოვს, რადგან მიშა ჯერ ისევ ბავშვია და, ძია სენიას აზრით, პოლიტიკაში ჩარევა მისთვის ძალიან ადრეა. იმ დროს, როცა ბავშვები პიონერულ ორგანიზაციებში წევრიანდებიან, პიონერთა კანონებში კი წერია: *„ბავშვები რევოლუციას უნდა ეხმარებოდნენ“* (რიბაკოვი 1962:140), ხოლო პლაკატზე მოწოდებაა: *„ბავშვების ორგანიზაცია - კომუნარების აღზრდის საუკეთესო საშუალებაა. ლენინი“* (რიბაკოვი 1962:135), ძია სენია შემდეგნაირად მსჯელობს: *„უკანასკნელი შემთხვევა, რომელმაც შენ ასეთი სავალალო შედეგები მოგიტანა, ჩემის აზრით, ცელქობა კი არ არის, არამედ... პოლიტიკურ ბრძოლაში ნაადრევი ჩარევა. [...] შენს თვალწინ პოლიტიკური შეტაკება მოხდა. შენ კი, ჯერ სავსებით ჩამოუყალიბებელმა ჭაბუკმა, მონაწილეობა მიიღე ამ შეტაკებაში და სრულიად ტყუილადაც“* (რიბაკოვი 1962:39).

გაოგნებულ მიშას აინტერესებს, თუ სხვა რა უნდა გაეკეთებინა, როდესაც ამხანაგ პოლევოის ბანდიტები კლავდნენ, განზე გამდგარიყო?! ძია სენია ვარიანტებს განიხილავს: თუ გზაზე მიმავალ პოლევოის თავს დაესხმებოდნენ მძარცველები, მაშინ მიშა დაზარალებულს უნდა დახმარებოდა, როგორც ეს კეთილშობილ ადამიანს მოეთხოვება; მაგრამ ამ შემთხვევაში: *„წარმოებს ბრძოლა წითლებსა და თეთრებს შორის. შენ კი მეტისმეტად პატარა ხარ იმისათვის, რომ პოლიტიკაში ჩაერიო. შენი საქმე მხოლოდ*

ჩაურევლობა იყო. “აღელვებული მიშა ამბობს, რომ ის წითლების მომხრეა, თუმცა მია სენია ეუბნება, რომ იგი არც წითლებს უწევს აგიტაციას და არც თეთრებს, თუმცა კვლავ აფრთხილებს, რომ პოლიტიკაში ჩარევა მიშას საქმე არ არის. „მაშ, გამოდის რომ ბურჟუაზიამ უნდა იბატონოს, არა?“ - აღშფოთებულია მიშა და უარს ამბობს, დაეთანხმოს მია სენიას რჩევას. „შენი თანხმობა ნეტა ვის რად უნდა, - გაჯავრდა მია სენია, - შენ ის შეასრულო, რასაც უფროსები გეუბნებიან.“ მაგრამ „პოლევოი ხომ უფროსია. ჩემი მამაც უფროსი იყო. ლენინიც უფროსია. ისინი ბურჟუაზიის წინააღმდეგნი არიან. ჰოდა, მეც წინააღმდეგი ვარ“ (რიბაკოვი 1962:39).

„არც წითლებს ვუწევ აგიტაციას და არც თეთრებს“ ნიშნავს, რომ მია სენიას არ გააჩნია მკაფიო პოზიცია. გასათვალისწინებელია, რომ მია სენია ახლობელია, მიშას ბებიასთან და პაპასთან ერთად ცხოვრობს, ანუ ამ მხრივ ცალსახად „ჩვენ“ ჯგუფის წევრია, თუმცა მისი მსჯელობა „სხვა“ ჯგუფს უფრო შეესაბამება. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ მია სენია უნივერსიტეტიდან გარიცხეს, მისი დახასიათების მიხედვით, რევსკის ადგილობრივ ინტელიგენციად შეიძლება ჩაითვალოს. საფიქრალია, ამ პერსონაჟის სახით გამოხატულია, თუ რამდენად „დამაზიანებელია“ ინტელიგენცია, რომელსაც ცალსახა პოზიცია არ გააჩნია. ის საფრთხეს წარმოადგენს უმცროსი თაობისთვის, რადგან თავის არასწორ იდეებს ახვევს თავს. მია სენია განსაკუთრებული და გამონაკლისი შემთხვევაა, რომელიც „ჩვენ“ ჯგუფის შიგნით არსებულ წინააღმდეგობებს ასახავს და ხაზს უსვამს სიფხიზლის აუცილებლობას „ჩვენ“ ჯგუფის წევრების მიმართაც. თუმცა აღსანიშნავია, რომ მია სენიას მსგავსი უმოქმედო, დამკვირვებლის მდგომარეობაში მყოფი პერსონაჟი, რომელიც, ერთი მხრივ, „ჩვენ“ ჯგუფს მიეკუთვნება, მეორე მხრივ კი თეთრებსა და წითლებს თანაბარუფლებიან საბრძოლო პოზიციაში მოიაზრებს, განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს კვლევის ფარგლებში განხილულ ლიტერატურაში.

მნიშვნელოვანი ცვლილება გვხვდება ლ. ლაგინის „მოხუცი ხოტაბიჩის“ 1958 წლის რუსულ გამოცემაში. ნაწარმოების დასაწყისში მოცემულია ავტორის წინასიტყვაობა (რომელიც არ არის 1938 წლის რედაქციაში, არის 1951 წლის რუსულ რედაქციაში, მაგრამ ქართულ თარგმანში ვერ ვნახეთ), სწორედ ამ ნაწილში ყალიბდება, არამარტო „მტრის“

ხატი, არამედ მკაფიოდ იკვეთება „ჩვენ“ და „სხვა“ ჯგუფები. ავტორისგან იწყება „ათას ერთ ღამესა“ და ჯინზე საუბრით, იმის ახსნით, რომ ჯინისტვის ბედნიერების გამოხატულებაა ძვირფასეულობითა და ოქროს მონეტებით სავსე სკივრები, ძალაუფლება და ა.შ. ხაზგასმულია, რომ ეს ჯადოსნური ზღაპრები ათასობით წლის წინ შეიქმნა, მაგრამ წარმოდგენა ბედნიერებაზე დიდხანს არ იცვლებოდა, ხოლო „კაპიტალისტურ ქვეყნებში ბევრი ადამიანისთვის დღესაც უკავშირდება სკივრებს, გადაჭედებს ოქროთი და ბრილიანტებით, ძალაუფლებას სხვა ადამიანებზე“¹⁶ (Лагин 1958:3). „ეს ადამიანები“ დღესაც ფიქრობენ, რომ მთავარია ოქროთი და ბრილიანტებით სავსე სკივრები და უკვე დანარჩენიც მიღწევადია: „პატივისცემაც, ძალაუფლებაც, ნუგბარიც და ნეტარი, მდიდარი „ცივილიზებული“ უენარას უსაქმო ცხოვრება, რომელსაც ეზიზღება ყველა, ვინც საკუთარი შრომის ნაყოფით ცხოვრობს“¹⁷ (Лагин 1958:4). ავტორს აინტერესებს, რა მოხდებოდა, ასეთი ჯინი საბჭოთა კავშირში რომ მოხვედრილიყო, სადაც სულ სხვა ფასეულობები აქვთ, სადაც მდიდართა ძალაუფლება სამუდამოდ განადგურებულია და სადაც მხოლოდ პატიოსან შრომას მოაქვს ადამიანისთვის ბედნიერება და პატივისცემა? რა მოხდებოდა, ჯინი ჩვეულებრივ საბჭოთა ბიჭს რომ ეპოვა, ისეთს, „მილიონობით რომ არის ჩვენს ბედნიერ საბჭოთა სოციალისტურ ქვეყანაში“¹⁸ (Лагин 1958:4). როგორც ვხედავთ, ნაწარმოების პირველივე გვერდებიდან მკაფიოდ იკვეთება „ჩვენ“ და „სხვა“ ჯგუფები, ამავდროულად „სხვა“ არ არის ნეიტრალურ კონტექსტში გააზრებული.

დახასიათება „ჩვეულებრივი“ და „მილიონობით რომ არის“ დადებითი თვისებებია, რადგან, საბჭოთა ღირებულებებიდან გამომდინარე, განსხვავებულობა უარყოფითი მახასიათებელია.

გარდა ამისა, რედაქტირებულ ნაწარმოებში ასევე ასახულია საბჭოთა კავშირის შიგნით, ანუ „ჩვენ“ ჯგუფის შიგნით არსებული სხვაობები. ჩამოყალიბებულია მექისე ვანოსა და ბურღვის ოსტატ ჯაფარ ალი მუჰამედოვის სტერეოტიპული სახეები. არცერთი

¹⁶ «в капиталистических странах у многих людей и по сей день ещё связываются с сундуками, битком набитыми золотом и брильянтами, с властью над другими людьми.»

¹⁷ «и почёт, и власть, и яства, и блаженная, праздная жизнь богатого «цивилизованного» бездельника, презирающего всех тех, кто живёт плодами своих трудов.»

¹⁸ «каких миллионы в нашей счастливой социалистической стране.»

პერსონაჟი პირველ გამოცემაში არ არის, თავი, რომელშიც მექისე ვანო გამოჩნდება, გავრცობილია, ხოლო მუჰამედოვის ამბავი მთლიანად ჩამატებულია.

მექისე ვანო ნახსენებია თავში „*რატომ გადაიკეთა გვარი ს.ს.პიოვარკმა*“ (ლაგინი 1958:43), რომელიც ორიგინალში მთავრდება აფთიაქში წვერის მოსაშორებელი ფხვნილის ყიდვით ხოტაბიჩის მიერ. მეორე გამოცემაში ეს თავი საერთოდ არ არის. 1955 წლის რედაქტირებულ ვარიანტში კი ვკითხულობთ: „*-დიახ, სწორედ ფხვნილია! [...] იგი მზადდება საქართველოში. ულამაზესი მზიური ქვეყანაა ეს საქართველო, პირადად მე მაგიჟებს საქართველოს მშვენიერება. შვებულების დროს მთლად მოვიარე იქაურობა. თბილისი, ქუთაისი, სოხუმი... უკეთესი ადგილი არ არსებობს დედამიწაზე. ჩემი საკუთარი გამოცდილების საფუძველზე გულწრფელად გირჩევთ, რომ უსათუოდ ინახულოთ საქართველო...*“ (ლაგინი 1958:45). თუმცა, ლაგინის 1958 წლის რუსულ გამოცემაში ქალაქების ჩამოთვლის შემდეგ წერია: „*სოხუმი, თბილისი, ქუთაისი. არ არის უკეთესი ადგილი დასასვენებლად*“¹⁹(Лагин 1958:77).

ამ საუბრის შემდეგ ხოტაბიჩი თბილისში, გოგირდის აბანოში გაჩნდება (1955 წლის რედაქცია), სადაც მექისე ვანოს მოსთხოვს, „ტარო“ მიჰყიდოს. ვანო, როგორც პერსონაჟი, ქართველების შესახებ ჩამოყალიბებულ სტერეოტიპს მიჰყვება - კეთილგანწყობილი, მხიარული, ფამილარულად თავაზიანი, დახმარებისთვის და მომსახურებისთვის მზადმყოფი, აღფრთოვანებით მოსაუბრე. მიმართვისას ყოველ წინადადებას ამთავრებს სიტყვით „გენაცვალე“ - კიდევ ერთ სტერეოტიპული მახასიათებელი. ნაწარმოებში მას მხოლოდ ორი გვერდი ეთმობა, რომელშიც ხოტაბიჩს ესაუბრება და ბორჯომის ბოთლით ფხვნილს მიჰყიდის.

ასევე სტერეოტიპული სახეა აზერბაიჯანელი ბურღვის ოსტატი ჯაფარ ალი მუჰამედოვი. მას ხოტაბიჩი და ბიჭები ორჯონიკიძის სახელობის სანატორიუმში გაიცნობენ, სადაც შემთხვევით, წვიმის გამო მოხვდებიან. ხოტაბიჩი სანატორიუმს მუჰამედოვის სასახლედ მიიჩნევს, ხოლო მუჰამედოვს - მბრძანებლად. ჯინი დარწმუნებულია, რომ მუჰამედოვი მათ ატყუებს, რადგან სადილად ეპატიჟება. შეუძლებელია მბრძანებელმა

¹⁹ «*Сухуми, Тбилиси, Кутаиси... Нет лучшего места для отдыха!*»

ჩვეულებრივი ხალხი - ორი პატარა ბიჭი და მოხუცი, თანაც ასე უბრალოდ ჩაცმული და წვიმაში გალუმპული, თავისთან მიიპატიჟოს. აქ კიდევ ერთხელ ხაზგასმულია უარყოფითი დამოკიდებულება სიმდიდრისა და მდიდარი ადამიანებისადმი. ხოტაბიჩი ფიქრობს, რომ ბოროტი მბრძანებელი კეთილ საქმეს არ ჩაიდენდა, ჩვეულებრივ ხალხს თავს არ გაუყადრებდა, დიდი-დიდი - გართობის მიზნით თავისთან შეეტყუებინა, დაეცინა, გაემასხარავებინა და შემდეგ თავები წაეცალა მათთვის, ან გარეული ცხოველებისთვის მიეგდო საჯიჯგნად. ასე პირდაპირ, მოკლედ და გასაგებადაა ჩამოყალიბებული მდიდარი ადამიანის ის დახასიათება, რომელიც საბჭოთა ბავშვს უნდა გაეთავისებინა. ამავდროულად, ჯაფარ ალ მუჰამედოვი შეურაცხყოფილი რჩება, როდესაც ხოტაბიჩი მას სულტანს უწოდებს - მე ხომ ნორმალური საბჭოთა მოქალაქე ვარო.

ამ ორი პერსონაჟის ჩამატება საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც ერთი მხრივ, ხაზგასმულია თუ ვინ შედის დიდ „ჩვენ“ ჯგუფში - საბჭოთა კავშირში, მეორე მხრივ, ასახულია ამ ჯგუფის შიგნით არსებული სხვაობები და საბჭოთა რესპუბლიკების იერარქია. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია საქართველოს ფუნქციის აღნიშვნა (დასასვენებელი) და ქართველის სტერეოტიპული სახე (ფამილარული, ემოციური მომსახურე პერსონალი).

ა. რიბაკოვის „ბრინჯაოს ფრინველში“ (1956) საინტერესო გზით არის შემოყვანილი „ჩვენ“ და „სხვა“ ჯგუფები. ორივე ჯგუფს მიშა და მისი მეგობრები გაქცეული პიონერების ძებნისას გადააწყდებიან, როდესაც მდინარეს ნავით მიუყვებიან. პირველ შემთხვევაში, ხვდებიან უცხოელებს, მეორე შემთხვევაში - წითელარმიელებს. უცხოელებთან ურთიერთობის აღწერა ორ გვერდს მოიცავს, წითელარმიელებთან - მხოლოდ გვერდნახევარს. სავარაუდოდ, მეორე შეხვედრა ჯგუფებს შორის ერთგვარი წონასწორობის მისაღწევად არის ჩამატებული: ორივე ჯგუფს მდინარის ნაპირას ხვდებიან, უცხოელები ბიჭებს საჭმლით ეხმარებიან, იმავეს აკეთებენ წითელარმიელებიც და ა.შ.

უცხოელებთან ურთიერთობა ორ მახასიათებელს გამოკვეთს: პირველი, ცალსახა „მტრის ხატი“, მეორე - მეგობარი „სხვა“ ჯგუფი, რომელიც „ჩვენ“ ჯგუფში გადასვლის პროცესშია.

მდინარის ნაპირას ბიჭები კოცონთან მსხდარ ქალსა და კაცს დაინახავენ და გარეგნობის გამო გადაწყვეტენ, რომ ნეჰმანები არიან - კაცი მსუქანია და მელოტი, სათვალით, თანაც ნაცრისფერი, განიერი გოლფი აცვია. ქალს თმები შეღებილი აქვს. გასაუბრებისას ბიჭები აღმოაჩენენ, რომ ქალი და კაცი უცხოელები არიან. გადაწყვეტენ, გაარკვიონ „რა რჯულის უცხოელები არიან“ (რიბაკოვი 1962:330). მათ ნივთებს რომ გადახედავს - პრიალასაკეტებიანი ზურგჩანთები, ორი ფოტოაპარატი, კონსერვის ქილა მყვირალა ფერების იარლიყით და სხვ., მიშა გაიფიქრებს: „*უცხოელი ტურისტები [...] ბურჟუაზია. პროლეტარები არ დასეირნობენ*“ (რიბაკოვი 1962:330). ბიჭები უკვე მტრულად უყურებენ კაპიტალისტური სამყაროს წარმომადგენლებს - „*საიდან გაჩნდნენ ეს მტაცებლები?*“ (რიბაკოვი 1962:330). ახლოდან დაკვირვების შემდეგ აღმოჩნდება, რომ კაცი მელოტი კი არ არის, არამედ ღინღლის მსგავსი თმა აქვს; და არც უბრალოდ მსუქანია - კარგად ნაპატიებ, ჩასუქებულ დიდ ბავშვს გავს. ბიჭები პიონერების ამბავს გაარკვევენ და დამშვიდდებიან. ამ დროს ქალი ყავაზე დარჩენას შესთავაზებს. ბიჭებს ორი აზრი მოსდით: პირველი - „*მოსცლიათ ერთი! ამ ბურჟუებთან პურის ჭამას ხომ არ დაიწყებენ*“ (რიბაკოვი 1962:331) და მეორე - „*მოდით, ერთი კაპიტალისტების პურ-მარილით გამოვძღეთ*“ (რიბაკოვი, 1962:332). ისინი მეორეს ამჯობინებენ და ამ გზით ეცდებიან მტრების მიმართ თავიანთი დამოკიდებულება გამოხატონ.

მიშა თვალს შეავლებს ქალის მაჯებზე თეთრ ზოლებს და ფიქრობს - „*თეთრი ზოლები ძვირფასმა სამაჯურებმა თუ გაუჩინეს და ახლა ალბათ სასტუმროში დატოვა. ნეტა ვინ წაართმევს, ვის რაში უნდა*“ (რიბაკოვი 1962:332). ბიჭები უცხოელებს პოლიტიკაზე გაუბამენ საუბარს. კაცი ამბობს, რომ კომკავშირი და ინტერნაციონალი კარგია, რუსეთი კარგი და ლამაზი ქვეყანაა და ძალიან მოსწონს. მიშას ეს არ სჯერა და უცხოელის თვალთმაქცობა აღიზიანებს „*ვიცი, როგორადაც მოგწონთ, - გაიფიქრა მიშამ. - განა შეიძლება, რომ ჩვენ კაპიტალისტს მოვწონდეთ? რომ შეეძლოთ, ჩვენს რესპუბლიკას*

ცოცხლად გადაყლაპავდნენ“ (რიბაკოვი 1962:334). უცხოელმა კერზონი და მუსოლინი დაგმო, თქვა რომ იმპერიალიზმი, ფაშიზმი და დიქტატურა ცუდია, ფაშისტები კომუნისტებს და სოციალისტებს კლავენ. მიშა გაოგნებულია უცხოელის ეშმაკობით და შეაპარებს: თქვენ უნდა ჩამოაგდოთო, რაზეც უცხოელი ჩაფიქრდება: *“დრო... რევოლუციებს არ აცკობენ, რევოლუციები ხდება.” როგორი განსწავლულია! - გაიფიქრა მიშამ, - თქვენისთანები, რა თქმა უნდა, რევოლუციებს არ მოაწყობენ...“* (რიბაკოვი 1962:335).

უცხოელი კაცი კრიზისზე, უმუშევრობაზე, ომზე, კომუნისტების აგიტაციასა და კაპიტალისტების ციხეზე საუბრობს, მაჯას აჩვენებს და ბორკილებსა და ციხეს ახსენებს, თან იცინის. ეს ყველაფერი მიშას აღიზიანებს და ფიქრობს, კარგია სიცილი, როცა თავად ოქროს ბეჭდებსა და სამაჯურებს ატარებთო. ამ დროს კაცი ქალზე მიანიშნებს და ეუბნება: ბორკილები სამი წელი, ციხე - ათი წელი. გაცეხული ბიჭებიდან მხოლოდ სლავკა მოისაზრებს და იკითხავს: თქვენ კომუნისტი ხართ? აქ მთავრდება „მტრის ხატის“ მონაკვეთი უცხოელებთან მიმართებაში, რისთვისაც გამოყენებული არ არის განსაკუთრებული ხერხები, არამედ სტერეოტიპული შეხედულებები - კაპიტალისტები მტაცებლები არიან, ფუფუნებაში ცხოვრობენ და ხელზე სამკაულებისგან აქვთ თეთრი ზოლები, საშინლად თვალთმაქცები არიან და, საკუთარი საჭიროებიდან გამომდინარე, პოლიტიკურ რწმენასაც კი არ იცავენ (იგულისხმება მონაკვეთი ლორდ კერზონზე, ფაშიზმსა და მუსოლინიზე). საგულისხმოა, რომ დასაწყისში, გარეგნობის გამო, ბიჭებმა უცხოელები ნეპმანებად მიიჩნიეს. ნაწარმოებში აღწერილ პერიოდში ნეპი (ახალი ეკონომიკური პოლიტიკა) არ იყო შეზღუდული, მაგრამ არც მისასაღმებლად ითვლებოდა. წიგნის დაწერის პერიოდისთვის კი ნეპი დიდი ხნის დამთავრებული იყო. აქედან გამომდინარეობს ბიჭების ის რეაქცია, რაც ნაწარმოებშია აღწერილი: *„შეხე, როგორ სულელურად გადაღბნილი სიფათი აქვს კაცს...“* (რიბაკოვი 1962:329). იდეოლოგიური კუთხით, სრულიად ლოგიკურია, რომ ეს ადამიანები კომკავშირლებმა ჯერ ნეპმანებად („სხვა“ ჯგუფად), ხოლო შემდეგ უცხოელ კაპიტალისტებად („მტერი“) მიიჩნიეს.

ძალიან მნიშვნელოვანია, თუ როგორ იცვლება „მტრის ხატი“, როდესაც უცხოელები კომუნისტები და რევოლუციონერები აღმოჩნდებიან. მიშა ფიქრობს, რომ ეს ადამიანები კომინტერნის²⁰ კონგრესის დელეგატები იქნებოდნენ. ქალი რუმინელი კომუნისტია, კაცი - კუბელი. ქალი ციხეში იჯდა, კაცი უნდა ჩამოეხრჩოთ, მან კი გაქცევა მოახერხა. მტრული განწყობა ერთბაშად იცვლება ადფროვანებითა და თაყვანისცემით. მიშა იწყებს თვითგვემას, თუ როგორ ვერ იცნო კომუნისტები: რომელი კაპიტალისტი დაიწყებს უტჩის ნაპირზე ხეტიალს, ისინი ბადენ-ბადენსა და სხვა მსგავს ადგილებში დადიან. გარეგნობაზეც ხომ ემჩნევთ - უცხოურად კი აცვიათ, მაგრამ უბრალოდ, მუშურად. კაცს კეთილი, ჭკვიანი სახე აქვს, ენერგიული ნიკაპი და მიმზიდველი ღიმილი. ქალს ნებისყოფა ემჩნევა, სახე აქვს დანაოჭებული და თმები - ჭაღარა (თუმცა როგორც იქამდე თქვეს, შეღებილი თმა ჰქონდა, ნეპმანად ამიტომ მიიჩნიეს). ახლა უკვე კაცის სიცილს სიმამაცეს მიაწერდნენ - ადამიანი „ჯალათებს გაეცა და რუსეთამდე მოაღწია. რა გაბედული ვაჟკაცი უნდა იყოს; ის კი ზის უტჩის ნაპირთან, კონსერვის ქილებს ხსნის და ისე გულიანად იცინის, თითქოსდა აქაც არაფერიაო. აი, მესმის ხალხი!“ (რიბაკოვი 1962:336). ახლა ბიჭებს წასვლაც აღარ უნდათ, რევოლუციონერებთან საუბარი და მსოფლიო რევოლუციის ამბების გაგება სურთ, მაგრამ გაუგებრობის გამო თავს უხერხულად გრძნობენ, თან გაქცეული პიონერებიც მოსაძებნი ჰყავთ. წასვლისას რუმინელ ქალს განსაკუთრებული მოწიწებით ჩამოართვეს ხელი: „ამ ხელებს ბორკილები ედო!“ (რიბაკოვი 1962:337). გამომშვიდობების შემდეგ, ერთმანეთთან შეთანხმების გარეშე, ბიჭები ტომარაში ჩაალაგებენ, რაც კი სანოვაგე აქვთ ნაწვი და უცხოელებს დაუტოვებენ, რადგან, სანამ კაპიტალისტები ეგონათ, სრულიად შეგნებულად, როგორც მტრებს, მთელი მარაგი შეუჭამეს. უცხოელები თავიდან ვერ გაერკვევიან, შემდეგ უარს ამბობენ საჭმლის მიღებაზე, მაგრამ მიშა ნავს ფეხს კრავს და ასე გაშორდებიან ნაპირს.

„მიშამ ხელი აღმართა და ხმამალა დაიძახა:

²⁰ კომუნისტური ინტერნაციონალი- 1919-43 წლებში საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც სხვადასხვა ქვეყნების კომუნისტურ პარტიებს აერთიანებდა.

- როტ ფრონტ!

ქალმა უხმოდ ასწია შეკრული მუშტი. კუბელმა ტომარას ხელი უშვა, გაიღიმა და მუშტი აღმართა.

- როტ ფრონტ! ნახვამდის! როტ ფრონტ!“ (რიბაკოვი 1962:338).

როგორც ვხედავთ, „სხვა ჯგუფის“ საშუალებით ერთდროულად გამოკვეთილია ორი ურთიერთსაპირისპირო ხატი: პირველი - „სხვა ჯგუფი“ მტერს მოიაზრებს და შესაბამისად ყალიბდება „მტრის ხატი,“ სათანადო სტერეოტიპული მახასიათებლებით; მეორე - „სხვა ჯგუფი“ კვლავაც მოიაზრებს უცხოს, მაგრამ იდეოლოგიური მახასიათებლებიდან გამომდინარე, ყალიბდება ერთი მხრივ მეგობრის, მეორე მხრივ კი „გმირის“ ხატი. ამასთანავე, უცხოელების პოლიტიკური შეხედულებების შესაბამისად, ყალიბდება „ჩვენ“ ჯგუფისთვის მიკუთვნებულობის ნიშნებიც, ერთგვარი გარდამავალი ეტაპი „სხვა“ ჯგუფსა და „ჩვენ“ ჯგუფს შორის.

ამ ფონზე უკვე არსებული „ჩვენ ჯგუფი“ შედარებით მარტივად არის წარმოდგენილი: უცხოელებთან გამომშვიდობების შემდეგ გადის ერთი ღამე, მიშა და მისი მეგობრები ისევ პიონერების კვალს მიჰყვებიან. უცხოელებისთვის თავიანთი საჭმლის მარაგის დატოვების შემდეგ ბიჭებს შიათ. ამ დროს იგრძნობენ ფაფის სუნს, გადავლენ ნაპირზე და აღმოჩნდებიან წითელარმიელების ბანაკში. წითელარმიელები სამეცადინოდ არიან წასულები. მხოლოდ მზარეული და მისი დამხმარე საქმიანობენ. ბრაზიანი, სიტყვაძუნწი მზარეული ბიჭებს ფაფას აჭმევს, დაურიგებს პურს მშრალი მარაგის სახით და გაუშვებს. ნავში მიშა ღრმავაროვნად წარმოთქვამს - *„ქვეყნად რა დალევს კარგ ადამიანებს!“* (რიბაკოვი 1962:345). „სხვა ჯგუფის“ მრავალფეროვანი ასახვის შემდეგ ეს არის ერთგვარი პასუხი, წონასწორობის შენარჩუნების გზა - წითელარმიელების საშუალებით გამოხატული „ჩვენ ჯგუფი“ შეიძლება მკაცრი, სიტყვაძუნწი, მაგრამ კარგი, ერთმანეთის მიმართ კეთილგანწყობილი ადამიანების ერთობაა.

„დაშნაში“ დაწყებული მსჯელობა ინტელიგენციის შესახებ არამართო გრძელდება „ბრინჯაოს ფრინველში“, არამედ გაცილებით მეტ იდეოლოგიურ საფუძველს აჩენს. ამ შემთხვევაში მსჯელობა სლავას მაგალითზე ხდება.

სლავასთან მიმართებაში მეგობრები ხშირად იყენებენ სიტყვა “ინტელიგენტს” ოღონდ უარყოფითი კუთხით. მაგალითად, როდესაც სლავა სერიოზული უსიამოვნების მოლოდინში ამოიოხრებს, მეგობარი ეუბნება: „*ოხრა? აი ტიპური ინტელიგენტური ვაი და ვიში! ეჰ, სლავკა, სლავკა!*“ (რიბაკოვი 1962:265). ასევე, კონკრეტული პიროვნული თვისებები, როგორც კომკავშირელისთვის შეუფერებელი, მის ოჯახთან კავშირში განიხილება (დედა ცნობილი მომღერალია, მამა სვერდლოვის სახელობის ფაბრიკის მთავარი ინჟინერი). კრებაზე აღინიშნება, რომ „*სლავკა, რა თქმა უნდა კარგი კომკავშირელია. პატიოსანი, სამართლიანი და კეთილსინდისიერი, მაგრამ როგორღაც გაუბედავი. სწრაფად ვერ მოქმედებს. ყველაფერზე ყოყმანობს... ასე კი არ ვარგა*“ (რიბაკოვი 1962:395). ამ დახასიათებას ერთგვარი ახსნა მოეძებნება შემდეგი გამომსვლელის სიტყვაში: სლავა „*ოდნავ დონდლო ინტელიგენტია. მართალია, სლავკა ინტელიგენტურ ოჯახში აღიზარდა, მამამისი „სპეცია“, მაგრამ გარდაქმნაა საჭირო, პროლეტარული, მუშური თვისებების გამომუშავება...*“ (რიბაკოვი 1962:395). ანუ ინტელიგენტურ ოჯახში გაზრდა ერთგვარი გამართლებაა სლავას „მუშური“, პროლეტარული თვისებების არქონისთვის. ის, თუ რა იგულისხმება ინტელიგენტურ და პროლეტარულ თვისებებში, სერიოზული მსჯელობის, კამათისა და ცალკე განხილვის თემა ხდება: „*პროლეტარიატის შეგნება ერთია, ბურჟუაზიისა – მეორე. ინტელიგენცია – შუა ფენაა და იგი მერყევია. სლავკამ იწყინა: - გამოდის რომ მე, არც აქეთა ვარ და არც იქით? -შენ არა, - შემრიგებლური კილოთი უთხრა გენკამ, - შენ საბჭოთა ხელისუფლების დროს აღიზარდე. მე ძველ ინტელიგენტზე ვლაპარაკობ*“ (რიბაკოვი 1962:396).

მსგავსი მოსაზრება კარგად ჯდება „კოსმოპოლიტიზმთან ბრძოლის“ ფარგლებში, როდესაც მიმდინარეობდა „ბრძოლა“ ინტელიგენციის პროდასავლურ ტენდენციებთან.

მკითხველისთვის თემა გაუგებარი ან ბუნდოვანი რომ არ დარჩეს, ავტორი მთავარი გმირის – მიშას საშუალებით კიდევ ერთხელ დაწვრილებით განმარტავს სათქმელს: „*რაში მდგომარეობს პროლეტარული ფსიქოლოგია? იმაში, რომ პროლეტარიატი თავის ბორკილებს გარდა არაფერს კარგავს. ბურჟუაზიას საკუთრება გააჩნია და მას ებღაუჭება. ამიტომაც პროლეტარიატი საერთო საქმეს ემხრობა – ბურჟუაზია კი საერთო საქმის*

წინააღმდეგია. ინტელიგენცია თავისი გულით პროლეტარიატს ემხრობა, თავისი მდგომარეობით კი გაბატონებულ კლასთან არის კავშირში. ჰოდა, მისი მერყეობა აქედან გამომდინარეობს. [...] სლავკას სავსებით პროლეტარული ფსიქოლოგია აქვს. მაგრამ ხასიათში მაინც შეინიშნება ინტელიგენტური დოცლაპიობა“ (რიბაკოვი 1962:396-397).

როგორც ციტატებიდან გამომდინარეობს, „ჩვენ“ ჯგუფის შიგნით ინტელიგენციის მოქცევა არ არის ცალსახა. ზოგადად, ინტელიგენცია ბურჟუაზიასთან კავშირში მოიაზრება, რაც მას, ბუნებრივია, „ჩვენ“ ჯგუფისთვის მიუღებელს ხდის. ამავდროულად, საბჭოთა პერიოდში აღზრდილი ინტელიგენცია, პროლეტარული ფსიქოლოგიის გამო, „ჩვენ“ ჯგუფის წევრად დაიშვება, თუმცა მაინც აღინიშნება ნამდვილი მუშური თვისებების არარსებობა და გამომუშავების აუცილებლობა. სლავკას შემთხვევაში ყალიბდება ერთგვარი ბმა მის პიროვნულ თვისებებს, მის ოჯახსა და „დოცლაპია ინტელიგენტობას“ ცნებას შორის.

„ჩვენ“ და „სხვა“ ჯგუფი ძალიან საინტერესოდ არის გამოკვეთილი ლ. მრელაშვილის ნაწარმოებში „იყალბოელი ბიჭები“ (1957). აქ ჩვენ, პირველ რიგში, ქართული ენის, როგორც თვითიდენტიფიკაციის საშუალების გამოყენება გვინტერესებს.

რგოლის კრებაზე სიის ამოკითხვის დროს ერთ-ერთი ბიჭი, სერგო ენუქიშვილი რუსულად პასუხობს, რასაც სანდროს რეპლიკა მოჰყვება: „ქართული აღარ გეხერხება, კნუწო?“ (მრელაშვილი 1974:21-22). მოცემული ციტატა ნაწარმოების ორივე გამოცემაში გვხვდება (1960 და 1974. 1960 წლის გამოცემაში აღნიშნული ფრაზა 210 გვერდზეა) და მნიშვნელოვან აქცენტს სვამს ქართულ ენასთან დაკავშირებით - მაშინ, როდესაც რუსული ენის ცოდნა აუცილებელი იყო და რუსული სხვა ენებთან შედარებით აღმატებულ ხარისხში მოიაზრებოდა. მსგავსი ჩანართი, ერთის მხრივ, თითქოს ბავშვებს შორის უბრალო გადალაპარაკებაა და მეტი არაფერი; თუმცა, მეორე მხრივ, მნიშვნელოვანი დატვირთვის მქონეა და სწორედ ამ თავგადასავლების მოყვარული, ცელქი ბიჭების გადალაპარაკების საშუალებით ხაზი ესმება იდენტობასა და თვითიდენტიფიკაციას. მაშინ, როდესაც პიონერი თავს საბჭოთა მოქალაქედ უნდა მოიაზრებდეს, ამ ფრაზით საკუთარი იდენტობა და უფრო მცირე „ჩვენ“ ჯგუფი გამოიკვეთება. ამის საპირისპიროდ,

საბჭოთა რუსულ საბავშვო ლიტერატურაში „ჩვენ“ ჯგუფი საბჭოთა კავშირს ნიშნავს (და ხშირ შემთხვევაში რუსეთი და საბჭოთა კავშირი იგივეობრივია).

ენასთან დაკავშირებით არის კიდევ ერთი საინტერესო მონაკვეთი 1960 წლის გამოცემაში: არითმეტიკის მასწავლებელი მოსწავლეებს შენიშვნას აძლევს სიტყვა მასწავლებლის შემოკლებისთვის (მასწ.) და ეუბნება *„რატომ ამხინჯებთ ქართულ სიტყვას ასე? ქართველები ხართ და მშობლიურ ენას უფრო მეტი პატივით უნდა ეპყრობოდეთ“* (მრელაშვილი 1960:332)

ძალიან საყურადღებოა ხაზგასმა *„ქართველები ხართ“*, მაშინ როდესაც საბჭოთა იდეოლოგიის მიხედვით, ბავშვები, პიონერები ნამდვილ საბჭოთა მოქალაქეებად უნდა აღიზარდონ. აქ კი თვითიდენტიფიკაცია ხდება არა საბჭოთა კავშირთან, არამედ საქართველოსთან. კიდევ ერთხელ აქცენტირებულია მშობლიური ენა. იმის გათვალისწინებით, თუ რამხელა მნიშვნელობა ჰქონდა რუსული ენის ცოდნას საბჭოთა კავშირის დროს, მოწოდება რომ *„მშობლიურ ენას უფრო მეტი პატივით უნდა ეპყრობოდეთ“* განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს.

რედაქტირებულ, 1974 წლის გამოცემაში თავი - „არითმეტიკის მასწავლებელი“-მთლიანად ამოღებულია, შესაბამისად აღარ არის ენასთან დაკავშირებული ეს ფრაზაც.

აღ. ჩხაიძის მოთხრობაში „როცა მთავრდება ბავშვობა“ (1962) „ჩვენ“ და „სხვა“ ჯგუფების დაყოფის მხრივ ერთი საყურადღებო მონაკვეთია. მთავარი პერსონაჟი, თამაზი სრულად არის მოცული გმირობასა და შალვა კახიანზე ფიქრებით, რაც სიზმარშიც აისახება.

თამაზს ესიზმრება პარტიზანთა ბანაკი, შეიარაღებული კაცები. თვითონაც მათთან ერთად არის, პარტიზანულად აცვია: დაბამული ქურთუკი, წითელვარსკვლავიანი ქუდი, გულზე ავტომატი, აქეთ-იქით კი ორ-ორი ხელყუმბარა. ხედავს, პარტიზანების ერთი ჯგუფი როგორ მიემართება ხიდის ასაფეთქებლად. ამ დროს შალვა კახიანს იძახებს მეთაური. თამაზი წამოხტება, თურმე კახიანიც მათ ბანაკშია! ცდილობს დაინახოს, მაგრამ ვერ პოულობს ამდენ ხალხში. სწორედ ამ დროს მასთან ახალგაზრდა პარტიზანი

მიიღებენ, რომელიც ძალიან ჰგავს ჩაპაევის ადიუტანტ პეტკას და მიმართავს - შალვა, არ გესმის, მეთაური გეძახის! ასე აღმოაჩენს თამაზი, რომ თვითონ არის შალვა კახიანი.

ამის შემდეგ აღწერილია მეთაურის ბლინდაჟი, მრგვალი მაგიდა რუკით და მეთაურები, რომლებიც ამ რუკას დაჰყურებენ. კუთხეში კი გერმანელი ტყვე არის მიყუჟული. თამაზი/შალვას გამოჩენისას მეთაურები თავებს ასწევენ და თამაზი/ შალვა იცნობს ჩაპაევს, რომელიც გაუღიმებს და მნიშვნელოვან დავალებას აძლევს: თამაზი/შალვა ფაშისტების შტაბში უნდა შეიპაროს და ტყვედ ჩავარდნილი საბჭოთა მეზღვაური გაათავისუფლოს. თამაზი თანხმდება. მისი პასუხით კმაყოფილი მეთაურები ღიმილით გადახედავენ ერთმანეთს, ხოლო ადიუტანტი პეტკა თვალს ჩაუკრავს. მხოლოდ გერმანელი ტყვე უყურებს დაცინვით. ამ დროს ჩაპაევი ერთ ნაბდიან მეთაურს მიუბრუნდება და ეკითხება:

„რას იტყვი, ვასილ ისიდორეს-ძევ, ვანდოთ ეს საქმე ამ პატარა ქართველს?“

- მარჯვე ბიჭი ჩანს, ნამდვილად გაამართლებს, - თქვა ნაბდიანმა და ბეჭზე ხელი მოუთათუნა თამაზს.

რა ნაცნობი სახე აქვს ამ ნაბდიანს! კეხიანი ცხვირი, არწივისებური გამოხედვა... ეს ხომ კიკვიძეა, დივიზიის ლეგენდარული მეთაური ვასილ კიკვიძე!“ (ჩხაიძე 1965:41).

თამაზი/შალვა დავალების შესასრულებლად მიემართება, ხოლო ვასილ კიკვიძე - თავს გაუფრთხილდი, გენაცვალეთი აცილებს. ამის შემდეგ მოთხრობილია, როგორ შეასრულებს თამაზი დავალებას, შეაღწევს ფაშისტების შტაბში და ა.შ. სიზმარი ხელყუმბარის მოქნევითა და გრუხუნით მთავრდება. თამაზი იღვიძებს.

ამ სიზმარში ორი საკითხი შეიძლება გამოიკვეთოს: 1) ომისა და სამხედროს განსაკუთრებული სახე, 2) ქართველის თვითიდენტიფიკაცია.

პირველი საკითხი - სამხედროებისა და ომის გაიდელელებული ხატის შექმნა - უკვე გარკვეულ წესს წარმოადგენს და არაერთხელ შეგვხვედრია ზემოთ განხილულ ლიტერატურაში. მეორე საკითხი კი - ქართველის თვითიდენტიფიკაცია - ცალკე გაანალიზებას მოითხოვს. გასათვალისწინებელია, რომ პროცესი მიმდინარეობს საბრძოლო გარემოში, რაც კონკრეტულ იერარქიზაციას გულისხმობს. იერარქიის ზედა

საფეხურზე რუსი მეთაური არის წარმოდგენილი (ჩაპაევი), შემდგომ საფეხურზე - მეთაური კიკვიძე, იერარქიის ქვედა საფეხური კი პარტიზან თამაზს (შალვას) ეთმობა. ეს, ერთის მხრივ, მარტივად აიხსნება სამხედრო გარემოებით, თუმცა მონაკვეთში საყურადღებო ფრაზაა: „რას იტყვი, ვასილ ისიდორეს-ძევ, ვანდოთ ეს საქმე ამ პატარა ქართველს?“ (ჩხაიძე 1965:40). „პატარა ქართველს“ წინ უძღვის თბილი დამოკიდებულება ჩაპაევის მხრიდან, ასევე სხვა მეთაურების კმაყოფილი ჩაღიძობა. მოცემულ მონაკვეთში უფროსის მიერ უმცროსით კმაყოფილებისა და შექების განცდა ყალიბდება, ხოლო უმცროსის მხრიდან თავის გამოჩენის სურვილი (იგულისხმება არა სამხედრო იერარქია, არამედ ასაკობრივად უფროს-უმცროსი. სამხედრო სიტუაცია კი მოხერხებულად გადაფარავს და თითქოს ბუნებრივს ხდის ამ დამოკიდებულებებს). რაც შეეხება მეთაური კიკვიძის ჩართვას ამ საუბარში, ის თითქოს ერთგვარი გარდამავალი საფეხურია იერარქიებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ კიკვიძე თავისთავად „ლეგენდარული მეთაურია“, ცხადი ხდება, რომ ჩაპაევთან შედარებით ის მეორე ადგილზეა. თამაზი/შალვა წარმატება მისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ასახულია ის კმაყოფილება და სიამაყე, რომელსაც შეიძლება „მშობელი“ განიცდიდეს „შვილის“ წარმატებით, მისი სწორი ქცევით „სხვა უფროსების“ თვალწინ. ასევე, ვხედავთ მზრუნველობას - „თავს გაუფრთხილდი, გენაცვალე!“ ანუ მეთაური კიკვიძე და პარტიზანი თამაზი/შალვა წარმოადგენენ ერთ ჯგუფს, მკაფიოდ გამოყოფილს „სხვა“ და ამავდროულად მათზე ზემდგომი ჯგუფისგან. თვითიდენტიფიკაციის პროცესიც ასახავს სწორედ ამ ზემდგომ „სხვა“ ჯგუფს, რომელთან მიმართებაშიც ქართველები საკუთარ „ჩვენ“ ჯგუფს აყალიბებენ. ჯგუფებს შორის ურთიერთმიმართების მნიშვნელოვანი ნაწილია ამ ზემდგომი „სხვა“ ჯგუფისგან აღიარების მოპოვება და შექების დამსახურება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ნაწარმოებებში მკაფიოდ იკვეთება „ჩვენ“ და „სხვა“ ჯგუფები, რაც იდენტობის მნიშვნელოვანი განმსაზღვრელია. აღსანიშნავია „ჩვენ“ ჯგუფის შიგნით მიმდინარე პროცესების ასახვა; ამ პროცესებს საბჭოთა ადამიანის ჩამოყალიბებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან შეეხებოდა ჯგუფის შიგნით როგორც იდეოლოგიური, ისე ეროვნული ნიშნით დაყოფას. საყურადღებოა

ქართულ საბჭოთა საბავშვო ნაწარმოებებში გამოკვეთილი თვითიდენტიფიკაციის პროცესი, რაც ხაზს უსვამს ქართველების თვითაღქმას ან/და თვითაღქმის ჩამოყალიბებას საბჭოთა კავშირთან, როგორც გარკვეულ წარმოსახვით საზოგადოებასთან მიმართებაში.

რაც შეეხება „სხვა“ ჯგუფს, ის, ძირითადად, განსაზღვრულია იდეოლოგიური ნიშნით. სწორედ იდეოლოგიური ნიშნიდან გამომდინარე შეიძლება „ჩვენ“ ჯგუფის წევრი გარდაიქმნას „სხვა“ ჯგუფის წევრად; ასევე, კონკრეტული იდეოლოგიური ნიშნის გამო, „სხვა“ ჯგუფის წევრი (ნაწილობრივ მაინც) მიეკუთვნოს „ჩვენ“ ჯგუფს.

თავი 6. მტრის ხატი

მტრის ხატის ფორმირებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს იდენტობის ჩამოყალიბებაში. მ. ვუორინენს წიგნში „Enemy Images in War Propaganda“ (Vuorinen 2012; Cambridge Scholars Publishing) გაანალიზებული აქვს მტრის ხატის შექმნის პროცესი, რაც კვლევისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის.

მ. ვუორინენის მიხედვით, მტრის ხატი, არსობრივად, საფრთხის ხატს წარმოადგენს. ის გამოხატავს *ჩვენ* ჯგუფთან მოახლოებულ გარდაუვალ საშიშროებას, რითაც ჩვენ ჯგუფს უქმნის სიფხიზლის, თავდაცვის დაგეგმვის (და შესაძლო წინსწრებით თავდასხმის) მოტივაციას. მთავარი განსხვავება მტრის ხატსა და *სხვა* ჯგუფს შორის მათ ქმედებებშია: მტერი არის აღქმული ან წარმოდგენილი რეალური მუქარის შემცველად, ხოლო *სხვა* ჩათვლილია უსაფრთხოდ (Vuorinen 2012:3).

მტრის ხატის ჩამოსაყალიბებლად აუცილებელია განისაზღვროს მისი მდებარეობა. რადგანაც *ჩვენ* ჯგუფი ჩვეულებისამებრ საკუთარ თავს აზრობრივ ცენტრში ათავსებს, მტერი მსაზღვრელი ცენტრის გარშემო არსებულ ზონებში განლაგდება: გარე წრე მოიცავს სახელმწიფოს/ერის სამხედრო მტრებს. ესენი არიან გარე მტრები ანუ მტრები საზღვრებს გარეთ, გარე სამყაროდან. აღნიშნული გარე ზონა შეიძლება გავრცელდეს როგორც მეზობელ, ისე შორეულ სახელმწიფოებზე, რომლებთანაც არ არის უშუალო კონტაქტი. შემდეგი წრე შიგნით ინაცვლებს და მახლობელ მტერს წარმოადგენს: მათ, ვინც ცხოვრობს იმავე საზოგადოებაში, მაგრამ მსაზღვრელი *ჩვენ* ჯგუფის ფარგლებს გარეთ. მაგალითად, გარკვეული საოციალური კლასი ან იდეოლოგიური ნიშნით გამორჩეული ჯგუფი. მახლობელი მტერი უფრო იოლი შესამჩნევია. შესაბამისად, მასთან გამკლავებაც ნაკლებ სირთულეებს უკავშირდება. ყველაზე დამლუპველი მტერი შიგნით არსებული მტერია: უხილავი საფრთხე, რომელიც მსაზღვრელი *ჩვენ* ჯგუფის შიგნით იმალება, რის გამოც გარკვეული დროის განმავლობაში შეუმჩნეველი და განსაკუთრებით საშიშია (Vuorinen 2012:3).

კვლევაში განხილული წყაროებიდან, მტრის ხატი იკვეთება გაიდარის ნაწარმობებში „ჩუკი და გეკი“ (1939). მიუხედავად იმისა, რომ ამბავი ბიჭების მოგზაურობას ეხება. მტრის ხატი შექმნილია გეკის სიზმრის საშუალებით: საშინელი ტურვორონი, რომელიც რკინის მუშტს მუქარით უღერებს და, რაც მთავარია, საომრად დაძრული ბურჟუათა პოლკები.²¹ აღსანიშნავია, რომ არსებობს სიზმრის ორი ვარიანტი და მეორე ვარიანტში ბურჟუათა პოლკების ნაცვლად საომრად ფაშისტები მოდიან.²² შემდგომ (ასევე თანამედროვე) გამოცემებში, ძირითადად, ეს მეორე ვერსია არის დაბეჭდილი. ქართულ თარგმანშიც ლექსის სწორედ მეორე ვარიანტი არის მოცემული: „*მოაბიჯებენ რკინის პოლკები - / ხანძრების შუქზე ხიშტები მოჩანს / და მოათრევენ შორეულ მხრიდან / მრუდე გვარსა და ფაშისტურ დროშას*“ (გაიდარი 1968:19).

მოთხრობის დაწერისა და გამოცემის წლების გათვალისწინებით (1938/1939), სრულიად გასაგებია, რომ გეკის სიზმარში მტერს არა ფაშისტები, არამედ ზოგადად ბურჟუები წარმოადგენენ. მოთხრობა იმდენად პოპულარული იყო, რომ „დეტგიზმა“ 1942 წელს ევაკუაციის დროსაც კი დაბეჭდა კიროვში. საფიქრებელია, რომ ლექსის რედაქტირება სწორედ ამ პერიოდში მოხდა. თუმცა, ლექსის მეორე ვარიანტის გაჩენის ზუსტი თარიღი ვერ დავადგინეთ. უფრო საინტერესოა, თუ რამდენ ხანს თანაარსებობდა ლექსის ორივე ვერსია. ფაქტია, რომ კვლევაში განხილული 1947 წლის რუსულ გამოცემაში მტერი ჯერ ისევ ბურჟუაა, შემდგომ გამოცემებში კი ყველგან ფაშისტით არის ჩანაცვლებული.

მტრის ხატის განსაკუთრებით მკაფიო, მკვეთრი და ცალსახა ნიმუშები მოცემულია ვ. ოსეევას ნაწარმობებში „ვასიოკ ტრუბაჩოვი და მისი ამხანაგები“ (1947-1951). ტრილოგიის პირველი წიგნის ბოლოს ვასიოკსა და მის რაზმს აჯილდოვებენ: ბავშვები არდადეგებზე უკრაინაში მიემგზავრებიან. პირველი წიგნი მთავრდება ფრაზით:

²¹ «*Приснился Геку странный сон:/ Как будто страшный Турворон / Плюет слюной, как кипятком, / Грозит железным кулаком. / Кругом пожар, блестят штыки, / И вот буржуйские полки, / Ударив в медный барабан, / Идут войной из дальних стран*» (Гайдар 1947:409).

²² *Кругом пожар! В снегу следы! / Идут солдатские ряды. / И волокут из дальних мест / Кривой фашистский флаг и крест*” (Гайдар 2015:46). მითითებულია ელექტრონული დოკუმენტის გვერდი. ასევე, აღნიშნული ნაწარმობის ბმული:

https://royallib.com/read/gaydar_arkadiy/timur_i_ego_komanda_sbornik.html#122880

„უკრაინა! უკრაინა! ეს იყო 1941 წლის ივნისი“ (ოსეევა 1951:203). იმის გათვალისწინებით, რომ პირველი წიგნი 1947 წელს გამოვიდა, მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან დიდი დრო არ იყო გასული, ეს ფრაზაც განსაკუთრებულ მძიმე განწყობას და მოლოდინს შეუქმნიდა მკითხველს.

მტრის ხატის ფორმირებისათვის გამიზნული ტექსტური მონაკვეთები მეორე წიგნში კონკრეტული და სწორხაზოვანია. ეს არ არის რთული ასახსნელი - წიგნი სამამულო ომის პერიოდს მოიცავს, შესაბამისად, მტრის ხატი ერთ ძირითად გარე მტერს - გერმანელებს, ფაშისტებს გულისხმობს. მართალია, ძველი რეჟიმი და სამოქალაქო ომი რამდენჯერმე არის ნახსენები, მაგრამ მათ ან ადამიანების დახასიათების მიზნით იყენებენ, ან ფაშისტებს ადარებენ, რითაც არსებული მტრის ხატის დამძიმება ხდება: „სამოქალაქო ომის დროსაც კი არ იყო ასეთი ამბავი...“ (ოსეევა 1952:98)

ნაწარმოებში მტრის ხატი სწრაფად იწყებს განვითარებას და ეს პროცესი წიგნის ბოლომდე გრძელდება. მტრის ხატის ჩამოყალიბების დროს ზემოქმედება ხდება, ძირითადად, სამ თვისებაზე: 1) მტრის სისასტიკის ხაზგასმა, 2) მტრის სიმხდალის ხაზგასმა, 3) მტრის გონებრივი შესაძლებლობების დამცირება.

აღსანიშნავია, რომ კონტრასტის გამოსაკვეთად იქვეა აღწერილი პიონერები, კომკავშირლები, პარტიზანები და მოყვანილია მათი ქმედებები. ანუ გარკვეულ შემთხვევებში მტრის ხატის ჩამოყალიბება კულტურულ გმირთან შეპირისპირებით მიმდინარეობს. აქედან გამომდინარე, მტრის ხატის განხილვასთან ერთად წარმოდგენილია რამდენიმე სხვა მახასიათებელიც.

1. მტრის სისასტიკე: მისი ასახვა და შესაბამისი ხატის ჩამოყალიბება უშუალოდ ვასიოკის მეგობრებისა და პატარა ბავშვების დაბომბვით იწყება (რაც მკითხველზე უფრო ძლიერ ზეგავლენას უნდა ახდენდეს, ვიდრე რომელიმე ახალი პერსონაჟის სიკვდილი ან, ზოგადად, ომის უბედურების აღწერა).

ფაშისტები დაბომბავენ იმ მანქანას, რომელშიც საბავშვო ბაღის ბავშვები და ვასიოკის კლასელი გოგოები ისხდნენ.²³ ვასიოკი და მისი მეგობრები მანქანის დაბომბვის

²³ პიონერები ცოცხლები აღმოჩნდებიან, მაგრამ ეს მოგვიანებით გაირკვევა.

ამბავს შემთხვევით გაიგებენ. უფროსებმა არ იციან, მანქანაში ვასიოკის კლასელებიც თუ ისხდნენ და ჰგონიათ, ბიჭებმა უბრალოდ ბავშვების დახოცვის ამბავი შეიცხადეს. მათი რეაქცია კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, სტეპან ილიჩს აბრაზებს: *“თან პიონერობასაც ჩემულობთ, მოსკოველებო! სადაც ომია, იქ იხოცებიან კიდეც! [...] ეს სიმხეცე ყველას უნდა ახსოვდეს მთელს სიცოცხლეში! პიონერებმა უნდა იცოდნენ, კომკავშირელებს უნდა ახსოვდეთ და კომუნისტებს კი არ დაავიწყდეთ!”* (ოსეევა 1952:105-106)

საყურადღებოა, რომ მოცემული მონაკვეთი, ფაშისტების სახის (მტრის ხატის) ფორმირებასთან ერთად, კიდეც რამდენიმე მახასიათებელზეა მიმართული: მოთხოვნები პიონერისა და კომკავშირელებისადმი და პიონერების „მოსკოველობის“ ხაზგასმა. ანუ „მოსკოველი“ სხვებზე უპირატესი მდგომარეობის (და კონტექსტიდან გამომდინარე, მეტის აღქმა/გაგების შესაძლებლობის) აღმნიშვნელია და, შესაბამისად, პიონერობის შემდეგ დამატებითი არგუმენტია.

მტრის ხატის ჩამოყალიბებას ემსახურება ფაშისტების ერთ-ერთი საყვარელი გართობის - პატარა ბავშვების შეშინების - აღწერაც: უკრავდნენ ტუჩის ჰარმონიკაზე და ელოდებოდნენ, როდის მიუახლოვდებოდა მუსიკით მოხიბლული ბავშვი, შემდეგ იჭერდნენ და კნუტივით ამოიღლიავებდნენ ხოლმე, ან უეცრად იარაღს მიუშვერდნენ და აშინებდნენ - პუფ! პუფ! კინდერ! ამ საფრთხისგან ბავშვების დაცვას პიონერი საშა (ვასიოკის ახლო მეგობარი) ცდილობდა. ყურადღებას აქცევდა, პატარა ბავშვი შემთხვევით არ მიახლოებოდა მტერს, ასევე ზრუნავდა მათ სულისკვეთებაზე - უყვებოდა მოსკოვზე, სკოლაზე, წითელ არმიაზე; რომ მოვიდოდნენ წითელარმიელი მეზობლები და გააგებდნენ საზიზღარ მტერს. ბავშვები იხსენებენ საომრად წასულ მამებს, ასევე ფაშისტების საქციელს (როგორ იპარავდნენ მათი სახლებიდან საჭმელს და ნივთებს). სხვა სიტყვებით რომ ითქვას, ერთი მხრივ, კონსტრუირდება მტრის ხატი, მეორე მხრივ კი წითელი არმიის ძლევამოსილების ხაზგასმა ხდება. საშა ბავშვებს (და მკითხველს) იდეოლოგიურ კონტექსტში ამყოფებს, რისთვისაც ვასიოკისგან შექებასაც იმსახურებს.

ფაშისტების სისასტიკის ამსახველია თავები, რომლებშიც არაერთი მნიშვნელოვანი პერსონაჟი იღუპება: პაპა მიხაილოს სამხედრო დოკუმენტის გამო დაიჭერენ, მის

შვილიშვილ გენკას და სევა მალიუტინს „პოლიცაი“ მიაკითხავს, დახვრეტენ მატვეიჩს და ნიკოლაი გრიგორიევიჩს - ორ ასაკოვან მეზობელს, სამოქალაქო ომისდროინდელ ამხანაგებს, რომლებიც აქტიურად ეხმარებიან პარტიზანებს. საყურადღებოა, რომ ამ ორ ადამიანს სამოქალაქო ომი ჰქონდა გავლილი, ხოლო ნაწარმოებში გვხვდება აზრი, რომ ასეთი საშინელება (რაც ფაშისტების დროს ხდება) სამოქალაქო ომის დროსაც არ იყო. ეს არ ნიშნავს სამოქალაქო ომის ხატის უკეთესობისკენ შეცვლას, პირიქით, ამ შედარების საშუალებით ასახულია, თუ რამდენად საშინელი არის მტერი, რომ „იმ“ სამოქალაქო ომზეც კი უარესია.

აღსანიშნავია ის განსაკუთრებული ემოციური ფონი და ფაშისტების სისასტიკის ამსახველი დეტალები, რომლებიც თან სდევს ამ პერსონაჟების სიკვდილის აღწერას. მაგალითად, დეტალურად არის აღწერილი ცეცხლმოკიდებული სახლი, საფუტკრე, როგორ დარბიან პიონერები სახლის გარშემო და ეძებენ მოხუცებულებს, მატვეიჩსა და ნიკოლაი გრიგორიევიჩს; შემოესმებათ ძაღლის წკაფწკავი და ასე პოულობენ ორ ცხედარს. ასევე დრამატულად არის აღწერილი პაპა მიხაილოს ჩამოხრჩობა: როგორ მიჰყავთ სუსტი, ნაწამები მიხაილო სახრჩობელასთან ძლიერ, უგულო ესესელებს; ხალხის დევნა, მიხაილოს უკანასკნელი სიტყვა: ტყუილ-უბრალოდ არა, კარგი საქმის გამო კვდება, ერთადერთი შვილიშვილის მიხედვას სთხოვს თანასოფლელებს. შემდეგ შვილიშვილს მიმართავს: იცოცხლე, გენკა, უკრაინა არის დედაშენი. ამ სიტყვებით კვდება პაპა მიხაილო. ხდება შეტაკება, აღწერილია როგორ ხოცავენ ფაშისტები მოხუცებს, ქალებს და ბავშვებს. სცენა მთავრდება სკოლის - ფაშისტების შტაბ-ბინის აფეთქებით. თავის ბოლოს კიდევ ერთხელ არის ნახსენები პაპა მიხაილო, დაცარიელებულ მოედანზე, სახრჩობელაზე ჩამოკიდებული, რომლის თავზეც შეშინებული ფრინველები კვიან.

ბუნებრივია, მთელი ეს თავი მკითხველზე მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს, მით უმეტეს, პაპა მიხაილოსა და გენკას ურთიერთობა ზოგადად პაპა-შვილიშვილის ურთიერთობას გამოხატავს. ცხადია, მსგავსი ემოციურად დატვირთული მონაკვეთები ხელს შეუწყობდა მკითხველის გონებაში ამ სცენების დალექვას და შესაბამისი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას კონკრეტული ჯგუფის მიმართ.

2. მეორე თვისება - ფაშისტების სიმხდალის ხაზგასმა: ყველაზე მკაფიო მაგალითია შეტაკება პარტიზანებთან, როდესაც ხუთი პარტიზანი გაათავისუფლებს ტყვეებს (ერთი სოფლის მოსახლეობას), რომლებიც უკვე ვაგონებში გადასანაწილებლად მიჰყავდათ. პარტიზანების მხრიდან ცეცხლის გახსნის შემდეგ შეშინებული ფაშისტები საკუთარი ტყვეების ზურგს უკან იმალებიან.

ფაშისტების სიმხდალის საპირისპიროდ, ნაწარმოები მუდმივად მოგვითხრობს პიონერების ყოველდღიური გამირობის ამბებს. მაგალითად, ვასიოკი და მისი მეგობრები ადგილობრივ პიონერებთან ერთად ფრონტიდან შემოდღეულ ცნობებს ავრცელებენ სოფელში. ხელით უნდა გადაწერონ ამბავი, რომელიც ასევე მტრის სიმხდალის შესახებ მოუთხრობს მკითხველს: წითელმა არმიამ გაანადგურა მტერი, ფაშისტებმა 1500-ზე მეტი დაღუპული და დაჭრილი მიატოვეს ბრძოლის ველზე და გაიქცნენ. რაც უფრო ღიად მოქმედებენ პარტიზანები - გზაზე აფეთქებენ ეშელონებს, კლავენ ჰიტლერელებს - მით უფრო ეშინათ ფაშისტებს, ტყეში აღარ შედიან, შტაბ-ბინებში არიან გამაგრებულები, გარეთ კი ტყვიამფრქვევები დგას. პიონერები ასრულებენ სხვადასხვა დავალებას: აფრთხილებენ იმ ადამიანებს, ვისი დაჭერაც არის გადაწყვეტილი, ავრცელებენ ინფორმაციას და ა.შ. ამ მონაკვეთებს მოსდევს ფაშისტების აღწერა, რომლებსაც ისევ ხელიდან დაუსხლტნენ საბჭოთა მოქალაქეები.

3. გონებრივი შესაძლებლობების დამცირება: ნაწარმოებში ნებისმიერი პატარა დეტალი ფაშისტების უარყოფითი, ხოლო პიონერის (კომკავშირელის/ პარტიზანის) - დადებითი ხატის შესაქმნელად გამოიყენება. მაგალითად, ესესელები ვერ ხვდებიან, რომ სევა მალიუტინი (ვასიოკის კლასელი) ჯაშუშის სამუშაოს ასრულებს და მათ საუბრებს ისმენს. პაპა მიხაილოსთან ერთად ის მნიშვნელოვან სამხედრო დოკუმენტს გადაწერს და პარტიზანებს გადასცემს. სწორედ ამ დოკუმენტის გამო ჩამოახრჩობენ პაპა მიხაილოს.

ფაშისტებისთვის ჭკუაში მოგება ჩვეულებრივ, ცოტა ზარმაც პიონერებსაც შეუძლიათ: ვასიოკის კლასელები, მაზინი და მისი მეგობარი პეტკა მოახერხებენ და ფაშისტებს ნავს მოპარავენ. ამბის თხრობისას პიონერების მოხერხებულობის და სიფრთხილის აღწერას დიდი მონაკვეთი ეთმობა, ხოლო ფაშისტები, უბრალოდ,

ნახსენები არიან - თუ როგორ გადავიდნენ ნავიდან ნაპირზე და ნავი იქვე მიატოვეს. ცხადია, მოპარვა ვერც კი შეამჩნიეს. მსგავსი მონაკვეთი არ არის ერთეული შემთხვევა, იგივე მეორდება პარტიზანებთანაც: თავს ესხმიან ესესელების მატარებელს, მტერს ანადგურებენ, ხოლო იარაღი, ბუნებრივია, თან მიაქვთ. ჰიტლერი კარგად გვამარაგებს! - ასეთია შეფასება. მსგავსი, შინაარსობრივად მარტივი მონაკვეთებით, ყალიბდება ფაშისტის/ მტრის ხატი, რომელსაც პიონერები (კომკავშირელები, პარტიზანები) ყოველთვის ჯობნიან გონებითა და მოხერხებულობით.

როგორც მოცემული მაგალითები მოწმობს, ნაწარმოებში „ვასიოკ ტრუბაჩოვი და მისი ამხანაგები“ მტრის ხატი ერთი კონკრეტულ გარე მტერს - ფაშისტს აყალიბებს და გამოკვეთს მის თვისებებს. გასათვალისწინებელია, რომ მტრის ხატი ხშირად პიონერის, კომკავშირელის და წითელარმიელის დადებითი ხატის პარალელურად, მასთან შეპირისპირების საშუალებით ფორმირდება.

მტრის ხატის მრავალფეროვნების მხრივ განსხვავდება რიბაკოვის ნაწარმოები „დაშნა“. იქიდან გამომდინარე, რომ ნაწარმოები „დაშნა“ 1921-1922 წლებზე მოგვითხრობს, საბჭოთა კავშირის მტრის ხატი არაერთ სახეს აერთიანებს, როგორც საბჭოთა კავშირის შიგნით, ისე მის გარეთ. მკაფიოდ არის გამოკვეთილი:

1. საკუთრივ ანტაგონისტი: ნიკიტსკი არის თეთრი ოფიცერი, რითაც აიხსნება მის მიერ ჩადენილი ყველა სისასტიკე, იქნება ეს სოფლის გადაწვა, სხვა თეთრ ოფიცრებთან ერთად ქალაქში შეჭრა თუ ორთქლმავალზე თავდასხმები. მთავარი პერსონაჟის, მიშას აზრით, ნიკიტსკი საბჭოთა ხელისუფლების მოსისხლე მტერია, რადგან თეთრგვარდიელია, ან სულაც გერმანიის აგენტი. მის მეგობარ გენკას კი მიაჩნია, რომ ნიკიტსკი ბურჟუაა, ბურჟუა კი ფულის გამო მამას ყელს გამოსჭრის. ანუ ერთი პერსონაჟი მახლობელი მტრის გაპიროვნებულ მაგალითს წარმოადგენს.

2. საბჭოთა კავშირის გარე და მახლობელი მტრები: როგორც უკვე აღინიშნა, ნაწარმოები „დაშნა“ 1921-1922 წლებზე მოგვითხრობს. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების საწყისი წლებია, რაც მტრების მრავალფეროვნებას განსაზღვრავს: (მიშა განმარტავს პლაკატზე დახატული სურათების მნიშვნელობას) „აი, მეფე, ხედავ:

გვირგვინი, მანტია და წითელი ცხვირი. ეს თეთრხალათიანი კაცი, ხელში რომ მათრახი უჭირავს, ურიადნიკია. ჭილისქუდიანი, სათვალეზამოკოსებული - მენშევიკია, ეს სამთავიანი გველი კი - დენიკინი, კოლჩაკი და იუდენიჩია“ (რიბაკოვი 1962:44).

მოცემული ციტატა მიმართულია მეფისა და ურიადნიკის, მენშევიკის, დენიკინის, კოლჩაკისა და იუდენიჩის სტერეოტიპული და ნეგატიური ხატების შექმნისაკენ. ზეგავლენას აძლიერებს შესაბამისი მხატვრული აქცენტები - წითელცხვირიანი მეფე, ურიადნიკი მათრახით, სათვალისანი მენშევიკი. საინტერესოა დენიკინის, კოლჩაკისა და იუდენიჩის სიმბოლურად, სამთავიანი გველის სახით გამოხატვა. იმის გათვალისწინებით, რომ მოქმედება 1921-1922 წლებში მიმდინარეობს, ამ დროისთვის ანტონ დენიკინი და ნიკოლაი იუდენიჩი ემიგრაციაში არიან, ალექსანდრ კოლჩაკი კი უკვე დახვრეტილია. შესაბამისად, მთავარი პერსონაჟების, მიშასა და გენკას ცხოვრების თანადროული მოვლენებია და ამ კონკრეტული პერიოდის მტრის ხატს წარმოადგენს.

შემდეგი შავცილინდრიანი ბურჟუას სტერეოტიპული ნახატია, მტაცებლის მოკაუჭებული ცხვირითა და გადმოგდებული „ფაშვით“, რომელიც ოქროთი გატენილ ტომარაზე ზის და „გრძელფრჩხილებიან კოტიტა თითებიდან სისხლი სდიოდა“ (რიბაკოვი 1962:44). გენკას კითხვაზე მიშა პასუხობს:

“-ეს ბურჟუაა, ნუთუ ვერ ხედავ ფულს რომ აზის! მაგას ჰგონია, ფულით ყველაფრის ყიდვა შეიძლება!

– „ანტანტა“ რაღად აწერია?

- ეს სულ ერთია. ანტანტა მსოფლიო ბურჟუების კავშირია, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული“ (რიბაკოვი 1962:44).

როგორც ვხედავთ, თუკი ზემოთ განხილული მონაკვეთები საბჭოთა კავშირში არსებულ, მახლობელ მტრებს შეეხებოდა, ამ მონაკვეთში გარეშე მტერზეა საუბარი. ანტანტა, რომელიც წარმოადგენდა სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკს რუსეთის იმპერიას, საფრანგეთის მესამე რესპუბლიკას და გაერთიანებულ სამეფოს შორის, რევოლუციის შემდეგ თეთრების მოძრაობას უჭერდა მხარს, ამიტომ ბავშვებისთვის მარტივად და

მკაფიოდ მსოფლიო ბურჟუების კავშირად არის წარმოდგენილი. ორივე შემთხვევაში მოცემული მონაკვეთები მტრის ხატის ჩამოყალიბებისაკენ არის მიმართული.

აღსანიშნავია, რომ იდეოლოგიური ზემოქმედებაზე გამიზნული მონაკვეთები განსხვავდება დატვირთვის მხრივ: მაგალითად, ქვემოთ განხილული სამხედრო თამაში „პერეკოპის აღება“. ვრანგელად შურა ოგურეევს ნიშნავენ, გენკა პეტროვი კი თეთრების შტაბის უფროსი უნდა იყოს. მიღებული როლები ბიჭებს არ მოსწონთ: *“ჩვენ რატომ უნდა ვიყოთ თეთრები? - გაიბუსხა გენკა. - მართლაც და რატომ? - კვერი დაუკრა შურამ, - არ არის სწორი“* (რიბაკოვი 1962:174). აღსანიშნავია, რომ პერეკოპის შტურმი 1920 წელს მოხდა, ბავშვები თამაშში სრულიად რეალურ პიროვნებებს განასახიერებენ, მათ შორის მტრებს. ამას გამოხატავს გენკას და შურას რეაქციები (*ჩვენ რატომ უნდა ვიყოთ თეთრები...*) და შემდგომი კამათიც (თეთრებს შტაბის უფროსი საერთოდ არ ჰყავდათ, ამ თანამდებობას სხვანაირად ერქვა და ა.შ.), რომლის დანიშნულებაც დაკისრებული როლების თავიდან არიდებაა. რადგან გენკას და შურას მაინც მოუწიათ თეთრების როლების შესრულება, მათ პროტესტი შესაფერისი ფორმით გამოხატეს - თამაშისას თეთრების შტაბის განადგურების შემდეგ გენკა და შურა სადღაც გაქრნენ და სადამომდე აძებნინეს ბავშვებს თავი. დაბრუნების შემდეგ კითხვაზე, თუ რატომ არ გამოცხადდნენ საყვირის ხმაზე, შურამ თქვა: *„ჩვენ გადავწყვიტეთ დავიცვათ ისტორიული სინამდვილე. ვრანგელი ხომ გაიქცა ყირიმიდან. ჰოდა, აი ჩვენც დავიმალეთ [...] და თუ თქვენის აზრით სწორად არ მოვიქცით, მაშინ გთხოვთ, შემდეგში ვრანგელად აღარ დამნიშნოთ“* (რიბაკოვი 1962:174).

ამ მონაკვეთში ძალიან ოსტატურად არის ზემოქმედება ერთდროულად ორი მიმართულებით: ერთი მხრივ, „ისტორიული სინამდვილის“ ასახვა და ვრანგელისა და თეთრების კიდევ ერთხელ დამცირება - ხაზგასმა, რომ ვრანგელი გაიქცა ყირიმიდან. მეორე მხრივ, თეთრების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების დამატებით გამოხატვა: თეთრების მიმართ ზიზღი და სიძულვილი იმდენად ძლიერია, რომ ბიჭები არღვევენ დისციპლინას, არ ცხადდებიან საყვირის ხმაზე, აძებნინებენ თავს და ეს ყველაფერი იმისათვის, რომ თეთრების როლი მეტი აღარ შეასრულებინონ. თავის გასამართლებლად

კი „ისტორიულ სინამდვილეს“ იშველიებენ. ამ შემთხვევაში, ზემოქმედება ერთდროულად ორ მონათესავე საკითხზე ხდება. მსგავსი ხერხი - ერთი მონაკვეთის საშუალებით რამდენიმე საკითხის აქცენტირება - ნაწარმოებში იშვიათობას არ წარმოადგენს.

შემდეგი ციტატა, ერთი მხრივ, მტრის ხატს აფართოებს, მეორე მხრივ კი წითელი არმიის მნიშვნელობას წარმოაჩენს, რომელსაც რამდენიმე ფრონტზე უწევს ბრძოლა. ამასთანავე, კიდევ ერთხელ შეახსენებს მკითხველს განსაკუთრებულად საყურადღებო მტერს - ანტანტას.

„ომი ჯერ არ დამთავრებულა. კარელიიდან თეთრფინელები მხოლოდ ახლა გაზაფხულზე განდევნეს. შორეულ აღმოსავლეთში იაპონელებს ისევ ეომებიან. საერთოდ კი, როგორც ჩანს, ანტანტა ახალ ომს ამზადებს“ (რიბაკოვი 1962:65). აღსანიშნავია, რომ ამ მონაკვეთში მტრებად თეთრფინელები და იაპონელები არიან მოხსენიებულნი, თუმცა ამ მიმართულებით მსჯელობა აღარ გრძელდება.

საინტერესოა, რომ სწორედ თეთრფინელები წარმოადგენენ მტერს ნ. ნაკაშიძის „მოწაფის დღიურში“ (1954). ნაწარმოების შინაარსის მიხედვით, კომკავშირლებს მათ წინააღმდეგ საბრძოლველად უნდათ გაპარვა (მაგრამ ვერ მოახერხებენ). ნაწარმოებში მტერთან დაკავშირებული ერთი საყურადღებო მონაკვეთია: მთავარი პერსონაჟის, ალიკოს ბიძა (ელიზბარი) ჩამოდის ფრონტიდან და თან ბავშვიც ჩამოჰყავს. აღსანიშნავია, რომ ამ მონაკვეთში ომზე საუბრისას მოწინააღმდეგე მხარის ვინაობა ერთხელაც არ არის დასახელებული, მას მხოლოდ მტრად მოიხსენიებენ. იმის გათვალისწინებით, რომ იქამდე თეთრფინელები იყვნენ ნაწარმოებში ნახსენები, ამ შემთხვევაშიც „მტრად“ თეთრფინელები უნდა მოვიაზროთ.

ელიზბარი ყვება, თუ როგორ ებრძოდა მტერს ორ წითელარმიელთან ერთად. სასახლის დარბაზს შეაფარეს თავი და იქიდან ესროდნენ ეზოში ჩასაფრებულ მტერს. გამოელიათ ტყვია. ელიზბარის თანამებრძოლები დაილუპებნენ, ელიზბარი მძიმედ დაიჭრა. ამის შემდეგ თხრობის დიდი ნაწილი ეთმობა იმის აღწერას, თუ როგორ იცავს დაჭრილი ელიზბარი შეშინებულ ბავშვს. დარბაზში მტრების შესვლისას ბავშვს საკუთარ

შინელში მალავს. ელიზბარი ერთ მოწინააღმდეგეს მოკლავს და ამ დროს წითელარმიელები გამოჩნდებიან. შეშინებული მტერი ყვირის: „წითლების კავალერია, თავს უშველეთ!“ (ნაკაშიძე 1957:149). ელიზბარს გადაარჩენენ, ბავშვი კი აღარ შორდება.

„მოწაფის დღიურის“ გარდა, გავაანალიზეთ ნ.ნაკაშიძის კიდევ ორი მოთხრობა: „კორეელი გმირები“ და „მორანბონის მთაზე“. ორივე მოთხრობაში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული მტრის ხატი - ამერიკა. მოთხრობების მიხედვით, ბრძოლა მხოლოდ კორეასა და ამერიკას შორის მიმდინარეობს, თუმცა ერთხელ არის ნახსენები იაპონია.

მოთხრობაში „კორეელი გმირები“ გამოკვეთილია ამერიკელების სისასტიკე და დამცინავი დამოკიდებულება კორეელების მიმართ. აღწერილია, თუ როგორ სადილობენ ამერიკელი პოლკოვნიკი და კაპიტანი გადამწვარი სოფლების ფონზე და ერთმანეთს შთაბეჭდილებებს უზიარებენ. აქცენტირებულია ამერიკელი პოლკოვნიკის დამცინავი, ამპარტავანი სახე; ის ფაქტი, რომ კორეელების სიცოცხლეს არაფრად მიიჩნევს. როდესაც დაჭრილი მოხუცი კორეელი მის თვალწინ მოკლავს ოფიცერს და შემდეგ თავს მოიკლავს, პოლკოვნიკი უკმაყოფილოდ ამბობს, ამათი წყალობით მშვიდად ჭამაც კი არ შეიძლებაო (ნაკაშიძე 1957:230). მტრის ხატი გაცილებით მკაფიოდ ჩანს პოლკოვნიკისა და დატყვევებული კორეელი პილოტის საუბრისას. პილოტი ახალგაზრდა ქალი აღმოჩნდება, რაც ამერიკელს განსაკუთრებით გაახალისებს. ეს ფაქტი კორეის დამამცირებელ მდგომარეობად არის აღქმული: „შენი ქვეყანა განადგურებულია, შენი მთავრობა ახლა შენისთანა პატარა გოგონებს აგ ზავნის ჩვენთან, ამერიკელებთან, საომრად, იმის მაგივრად რომ ქედი მოიხაროს და შებრალება გვთხოვოს...“ (ნაკაშიძე 1957:231).

ამერიკელის დამცინავ და ქედმაღალ ქცევასთან კორეელების გმირობის შეპირისპირება მტრის ხატს კიდევ უფრო მკვეთრს ხდის. მოხუცი კორეელიც და პილოტი ქალიც სიკვდილის წინ კორეის გამარჯვებაზე საუბრობენ: „გეუბნები ამერიკელო პოლკოვნიკო, გეშინოდეს კორეის!.. კორეა დაგამარცხებს შენ“ (ნაკაშიძე 1957:229) და „ამერიკელებო, იცოდეთ, სიკვდილით ვერ შეგვაშინებთ! იცოდეთ, კორეელი ხალხი გაიმარჯვებს!“ (ნაკაშიძე 1957:231).

მოთხრობაში „მორანზონოს მთაზე“ მტრის ხატს კვლავ ამერიკა წარმოადგენს. დასაწყისში ნახსენებია იაპონელები, მაგრამ მათგან მტრის ხატი არ ყალიბდება. გასაკუთრებული მღელვარებით არის აღწერილი მორანზონზე ასვლა და საფლავების მონახულების ცერემონია. სწორედ ამ დროს ამალელებულ განწყობას ენაცვლება ამერიკელთა სამხედრო თვითმფრინავების გამოჩენა: „ოჰ, ციხე, ციხე, ამერიკელების ციხე...“ „ოჰ, მოფრინავს სიკვდილი, - ყვიროდა თავზარდაცემული ხალხი... მე ასე ვფიქრობ, თვარა იმათი სიტყვები კი არ მესმოდა...“ (ნაკაშიძე 1957:260). ფრაზები „ამერიკელების ციხე“ და „მოფრინავს სიკვდილი“ ცალსახად მტრის ხატის ჩამოყალიბებისკენ არის მიმართული. თუმცა, საყურადღებოა, რომ ქალი ფიქრობს ასე და სინამდვილეში რას ყვიროდნენ კორეელები, უცნობია. ავტორის მიერ ეს ხაზგასმა საინტერესო აქცენტია.

ამის შემდეგ აღწერილია დაბომბვა: „გადმოცვივდნენ ამერიკელთა ციხიდან სიკვდილის მოციქულები - ყუმბარები“ (ნაკაშიძე 1957:260); ადამიანების წარმოუდგენელი შიში, მომაკვდავების გმინვა და პატარა კორეელი გოგოს ოჯახის წევრების სიკვდილი. გოგონას დედა, ბებია, პაპა ყვავილებში თავჩარგულები იპოვეს. გოგონა ახალშობილ ძმას გამოგლეჯს დედას ხელიდან, რომელიც მკვდარი აღმოჩნდება. „ოჰ, არ შერჩება, არ შერჩება ამერიკას ამდენი სისხლი!“ (ნაკაშიძე 1957:261), ამ ფრაზით ამთავრებს ქალბატონი კორეის ამბის მოყოლას.

ზემოთგანხილული ორივე მოთხრობაში მტრის ხატის ფორმირებისას მკითხველზე ემოციური ზეგავლენა უფრო ინტენსიურად არის გამოყენებული, ვიდრე იდეოლოგიური სახის ზემოქმედება. ოჯახის წევრების სიკვდილის დეტალური აღწერა, ახალშობილთან დაკავშირებული დაზუსტება, მკითხველის ასაკიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას უნდა ახდენდეს. შესაბამისად, შეუბრალებლობა, სისასტიკე, ქედმაღლობა და სხვ. კონკრეტულ ჯგუფთან (ამერიკელებთან) მიმართებაში იქნება დამახსოვრებული. მოთხრობაში „კორეელი გმირები“ ამერიკელების სისასტიკის საპირისპიროდ, შექმნილია კორეელების, როგორც შეუპოვარი, დაუმოჩილებელი,

მებრძოლი ხალხის სახე. აღნიშნული კონტრასტი ამერიკელს/ამერიკას, როგორც მტრის ხატს, კიდევ უფრო მკაფიოდ გამოკვეთს.

ამ მხრივ განსხვავდება ლ. ლაგინის „მოხუცი ხოტაბიჩის“ რედაქტირებული რუსული გამოცემა (1958) რომელშიც იდეოლოგიური სახის ჩანართებს მტრის ხატის ფორმირებაში გაცილებით მეტი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე ემოციურ ფონს.

ნაწარმოების რედაქტირებულ გამოცემაში მტერი, რომლის ხატი ყალიბდება, ამერიკაა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია, რომ ამერიკა მოიაზრება არა მხოლოდ საბჭოთა კავშირის მტრად; უფრო ძლიერი დატვირთვის მქონე მტრის ხატის შესაქმნელად ხაზგასმულია ამერიკის (იმპერიალისტური) დამოკიდებულება სხვა ქვეყნების მიმართ. გასათვალისწინებელია მათდამი საბჭოთა კავშირის დამოკიდებულებაც. მაგალითად, გეოგრაფიის გამოცდაზე ვოლკამ უნდა ისაუბროს ინდოეთსა და პაკისტანზე, „რომ ამ ქვეყნებში ცხოვრობენ ძველი და მდიდარი კულტურის მქონე კეთილი და მშვიდობისმოყვარე ხალხები“ (ლაგინი 1958:15) ამერიკელი და ინგლისელი იმპერიალისტები კი „სულ იმას ცდილობენ, ერთმანეთს წაჰკიდონ ეს ორი ქვეყანა“ (ლაგინი 1958:15)

ამ ერთ მონაკვეთში ერთდროულად სამი მიმართულებით ხდება ზემოქმედება: პირველი, ინდოეთიც და პაკისტანიც პოზიტიური მხრიდან არის წარმოდგენილი (საბჭოთა კავშირის „მეგობრად“ ჩათვლილი სხვა ჯგუფი), მეორე, იმპერიალისტები - ამერიკა და ინგლისი - ნახსენები არიან უარყოფით კონტექსტში (მტრის ხატის ფორმირება), და მესამე - დაპირისპირება ინდოეთსა და პაკისტანს შორის ამერიკისა და ინგლისის ბრალია. ზემოთქმულიდან გამომდინარე, რომ არა საშინელი იმპერიალისტები, ინდოეთი და პაკისტანი მშვიდობიანად იცხოვრებდნენ. აქ აუცილებელია ისტორიული კონტექსტის გათვალისწინება - 1938 წელს ინდოეთი ჯერ ისევ ბრიტანეთის იმპერიას ეკუთვნოდა, 1955 წლისთვის კი ინდოეთი უკვე არამარტო დამოუკიდებელია (1947 წელი), არამედ აქტიური ურთიერთთანამშრომლობა მიმდინარეობს საბჭოთა კავშირთან; სწორედ 1955 წელს შედგა ჯ. ნერუს ოფიციალური ვიზიტი საბჭოთა კავშირში. შესაბამისად, ნაწარმოებშიც შეიცვალა დამოკიდებულება ინდოეთის მიმართ.

მეორე ქვეყანა, რომელთან დამოკიდებულებაც საყურადღებო აქცენტებს შეიცავს, არის იტალია. მოქმედება იტალიაში 1938 წლის ტექსტშიც ვითარდება, მაგრამ რედაქტირებულ ვერსიაში სწორედ იტალიასთან მიმართებაში არის მკაფიოდ გამოკვეთილი ამერიკის, როგორც მტრის ხატი. მთავარი პერსონაჟები იტალიაში შემთხვევით მოხვდებიან, ადგილსამყოფელს თვითმფრინავით დადგენენ. „საკვირველია, ეს ამერიკელები როგორ დაფრინავენ იტალიაში, თითქოს ამერიკის რომელიმე ტერიტორია იყოს. ეს ნამდვილი თავხედობაა!“ (ლაგინი 1958:138) - ამბობს ჟენია. მალე ირკვევა, რომ იტალიაში ბევრი უმუშევარია, მატულობს უსახლკარო ბავშვების რაოდენობა; მშრომელი ხალხი უმძიმეს დღეშია, მათ მიერ გადახდილი გადასახადებით სამხედრო მინისტრი ამერიკულ იარაღს ყიდულობს. მუშები აწყობენ გაფიცვებს. “ნუთუ ნეაპოლში არ აწყობენ მუშები დე გასპერისა და ამერიკელი ვირთხების წინააღმდეგ გაფიცვებს?” (ლაგინი 1958:141) ვკითხულობთ ქართულ თარგმანში. აღნიშნული მონაკვეთი 1951 წლის რედაქციას მიეკუთვნება. 1958 წლის რუსულ გამოცემაში კი დე გასპერი²⁴ არ არის ნახსენები, მის ნაცვლად წერია მთავრობა (Лагин 1958:241) მსგავსი მონაკვეთი 1938 წლის ტექსტშიც არ არის. თუკი 1938 წლის რუსულ ტექსტში ბიჭების საუბარი ადგილობრივთან მეტ-ნაკლებად ნეიტრალურად მთავრდება, ქართულ თარგმანში ვოლკას იტალიელი ბიჭი ეუბნება: „შენ იქნება მოგწონს კიდეც დე გასპერი და მისი ამერიკელი ბატონები? (...) - რას ამბობ! - აღშფოთდა ვოლკა. - როგორ არა გრცხვენია, რომ უცნობ ბიჭებს შეურაცხყოფას აყენებ? მე ისინი პირდაპირ მეზიზღებიან!“ (ლაგინი 1958:141). 1958 წლის რუსულ გამოცემაში ამჯერადაც დე გასპერის ნაცვლად მთავრობა წერია (Лагин 1958:241). თარგმანში ნახსენები ალჩიდე დე გასპერი იყო იტალიის პრემიერ-მინისტრი 1945-1953 წლებში. მისი მმართველობის პერიოდში იტალიის საგაერო პოლიტიკის კურსი მიმართული იყო დასავლეთისკენ, მის მეოთხე მოწვევის კაბინეტში კი ომის შემდეგ პირველად ვერ მოხვდნენ კომუნისტები. ცხადია, ამ ფაქტებმა განაპირობა

²⁴ დე გასპერი ალჩიდე (1881-1954 წწ) იტალიის ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი 1943 წლიდან.

დე გასპერის არსებობა ზემოთმოყვანილ ციტატებში. საყურადღებოა, რომ 1958 წლის რუსულ გამოცემაში დე გასპერი აღარ ფიგურირებს.

ამერიკის, როგორც მტრის ხატი ზემოთქმულით არ ამოიწურება. მის პერსონიფიცირებულ სახეს ამერიკელი ჰარი ვანდენდალესი წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ეს პერსონაჟი ნაწარმოების მხოლოდ რამდენიმე თავში ფიგურირებს და ზოგჯერ გადამეტებულად სტერეოტიპული სახეა, მას მაინც განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. გასათვალისწინებელია, რომ 1953-1959 წლებში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯ. ფ. დალესი იყო, ხოლო მისი ძმა ა. ო. დალესი - ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორი (1953-1961), რთულია არ დაინახო მსგავსება პერსონაჟის გვარსა და რეალურ პიროვნებებს შორის. შესაბამისად, ვანდენდალესის სახე და ხასიათი გაცილებით მეტი დატვირთვის მქონეა, ვიდრე უბრალოდ მტრის ხატის ფორმირების მიზნით შექმნილი მხატვრული პერსონაჟის. მით უმეტეს, ვანდენდალესის პერსონაჟი დასაწყისში სრულად იმეორებს 1938 წლის ტექსტში რუსი ფეოკტისტ კუზმიჩ ხაპუგინის²⁵ ქმედებებს. აღნიშნული პერსონაჟი იმ პერიოდის (1938 წელი) უარყოფით თვისებებს აერთიანებს და აჩვენებს, თუ როგორი არ უნდა იყოს საბჭოთა მოქალაქე. მართალია, ხაპუგინი ცალსახად მახლობელი მტრის ხატს არ აყალიბებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შეიცავს *ჩვენ* ჯგუფის შიგნით არსებული საფრთხის (მტრის) ნიშნებს. აქედან გამომდინარე, მისი განხილვა მიზანშეწონილია სწორედ მტრის ხატთან მიმართებაში. ნაწარმოების რედაქტირებულ ვერსიაში შემოყვანილია ამერიკელი ჰარი ვანდენდალესი. ანუ პერსონაჟი (ხაპუგინი), რომელიც იდეოლოგიური ნიშნით არ ჯდება მსაზღვრელ *ჩვენ* ჯგუფში, მაგრამ გამოკვეთილ მახლობელ მტერსაც არ აყალიბებდა, რედაქტირებულ ვერსიაში გარდაიქმნა გარე მტრის ხატად. ყველა ის თვისება, რაც საბჭოთა მოქალაქის მიუღებელ ხატს ქმნიდა და მტრის ნიშნებს შეიცავდა, გახდა ერთგვარი სქემა, საფუძველი გარე მტრის ხატის კონსტრუირებისთვის. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ხაპუგინის მტრის ხატთან მიმართებაში განხილვა.

²⁵ Феоктист Кузьмич Хапугин.

ხაპუგინი ყოფილი კერძო მეწარმეა, შემდეგ - კუსტარული არტელის „წითელი ბუმბული“ მეურნეობის გამგის თანაშემწე. მოქმედება ბეჭდის გარშემო ვითარდება: ჯინი ხაპუგინის ხელში მისი აზრით ჯადოსნურ ბეჭედს დაინახავს, რაც ნიშნავს, რომ ბეჭდის მფლობელის მსახური უნდა გახდეს. როდესაც თვალცრემლიანი ხოტაბიჩი დაჩოქილი ეუბნება, რომ მისი მონაა, *“ხაპუგინს სახე წაეშალა, გაფითრდა და თქვა, რომ უკვე მეორე თვეა, რაც პროფკავშირის წევრია და უკვე ორი წელია, რაც არ სარგებლობს დაქირავებული მუშახელით (...) და რომ ოთხი საუცხოო მალაზია ჰქონდა, და აწი უკვე აღარასდროს ექნება”*²⁶ (Лагин 1940:83). ანუ ხაპუგინი მხოლოდ წარსულში კი არ სჩადიოდა საბჭოთა მოქალაქისთვის მიუღებელ საქციელს, ჯერ კიდევ ორი წლის წინ დაქირავებული მუშახელი ჰყავდა და მხოლოდ მეორე თვეა, რაც პროფკავშირში გაწევრიანდა (კონტექსტიდან გამომდინარე, როგორც ჩანს, იძულებული გახდა). თუმცა განსაკუთრებით საყურადღებოა ამის შემდეგ გამოხატული სინანული მალაზიებთან დაკავშირებით. ვხედავთ, რომ ხაპუგინი უკმაყოფილოა და თავს უბედურად გრძნობს საბჭოთა წყობილების მიერ შემოტანილი ცვლილებების გამო, რომ შეეძლოს, ისევ კერძო მეწარმე იქნებოდა და მალაზიებიც ექნებოდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ხაპუგინი რევოლუციამდე ცხოვრებას მისტირის, რაც სრულ წინააღმდეგობაში მოდის საბჭოთა მოქალაქის ღირებულებებთან და იდენტობასთან. გასაგებია რედაქტირებულ ვერსიაში მისი ჩანაცვლება ამერიკელი პერსონაჟით, რომლის კაპიტალისტური მისწრაფებები მარტივი ასახსნელიცაა და მტრის ხატის შესაფერისიც.

შინაარსის განვითარებასთან ერთად, ხოტაბიჩი აღმოაჩენს, რომ ბეჭედი არ არის ჯადოსნური. თუმცა ახლა უკვე ხაპუგინს ჰგონია ბეჭედი ჯადოსნური, იწყებს მბრძანებლობას და სურვილების ჩამოთვლას (საინტერესოა, რომ ოქროსა და ბრილიანტთან ერთად ხაპუგინი ფეხსაცმელსა და ტანსაცმლისთვის ქსოვილს მოითხოვს, ანუ რისი შოვნაც არის საჭირო). ბოლოს, როდესაც ხაპუგინი მოხუც ჯინს ყვირილს დაუწყებს და

²⁶ *Тогда Хапугин изменился в лице, побледнел и сказал, что он уже второй месяц член профсоюза и уже два года как он не пользуется наёмным трудом, (...) и что у него было четыре чудных магазина, и что их, увы, никогда не будет. митითებულია ელექტრონული დოკუმენტის გვერდი. ასევე, ნაწარმოების აღნიშნული თავის ბმული: <https://traumlibrary.ru/book/lagin-hottabych-1938/lagin-hottabych-1938.html#s001025>*

მონას უწოდებს, ყველაფერი უეცრად გაქრება, თავად ფეოკტისტ კუზმიჩი კი ძირს დავარდება და გაგორდება იმ მიმართულებით, საიდანაც გამოჩნდა. ამით მთავრდება ხაპუგინის ამბავი 1938 წლის ტექსტში.

შემდგომ გამოცემებში კი იდენტობაზე ზეგავლენის კუთხით მნიშვნელოვანი ცვლილებაა: რუსის, საბჭოთა მოქალაქის ნეგატიური სახე იცვლება და ყალიბდება ამერიკელის, მტრის ხატის პერსონიფიცირებული გამოხატულება. ჰარი ვანდენდალესი ნიუ-იორკიდან არის ჩამოსული ტურისტი-საქმოსნის სტატუსით. მისი ტექსტი გამდიდრებულია კაპიტალისტისთვის დამახასიათებელი და საბჭოთა ადამიანისთვის სრულიად მიუღებელი მოსაზრებებით. ხაპუგინიც და ვანდენდალესიც უარყოფითი პერსონაჟებია, ისინი კონკრეტული პერიოდისთვის დამახასიათებელ ნეგატიურ სახეებს წარმოადგენენ (ხაპუგინი რეპრესიებისა და „დიდი ტერორის“ პერიოდს მიეკუთვნება, ხოლო ვანდენდალესი „ცივი ომისა“ და კონკრეტული პიროვნებების გამომხატველი პერსონაჟია).

ისევე როგორც ხაპუგინის შემთხვევაში, მოქმედება „ჯადოსნური“ ბეჭდის გარშემო ვითარდება. თავიდან პერსონაჟების მოქმედებები ემთხვევა, მაგრამ ბეჭდის ხელახლა მოპოვების შემთხვევაში პერსონაჟების ქცევა იცვლება - თუკი ფეოკტისტ ხაპუგინი პირდაპირ მოითხოვს ხოტაბიჩისაგან „ჯადოსნური“ ბეჭდის დაბრუნებას, ჰარი ვანდენდალესი შორიდან უვლის ხოტაბიჩს, ცდილობს მეგობრული გამოჩნდეს. ამ ცვლილებას მნიშვნელოვანი აზრობრივი დატვირთვა აქვს, რადგან ბეჭდის ხელში ჩაგდების შემდეგ „მეგობრული“ ამერიკელი ცივი და ამპარტავანი ხდება, მოხუცს მოსამსახურეს უწოდებს. ეს არის შეხსენება მკითხველისთვის, რომ მუდმივად ფხიზლად იყოს და არ დაიჯეროს, თითქოს უცხოელი მართლა მისი მეგობარია, ეს შეიძლება მხოლოდ ნიღაბი იყოს. მით უმეტეს, რომ ვანდენდალესი ჟენიას საჩუქარსაც პირდებოდა. ცხადია, ბიჭი ამით არ მოტყუვდა.

საყურადღებო ჩანართია ვანდენდალესისა და ვოლკას გასაუბრება. ალბათ განგსტერობაზე ოცნებობ? - ეუბნება ვანდენდალესი და თავისი შვილების, ორი ბიჭის ამბავს უყვება, რომლებიც ამერიკაში ცხოვრობენ და მთელი დღეები განგსტერობანასა და

ყაჩაღობანას თამაშობენ. იქმნება მკაფიო კონტრასტი ღირებულებების კუთხით: პიონერები ოცნებობენ ციმბირის დაპყრობასა და ინდუსტრიის გიგანტების მშენებლობაზე, ფიქრობენ კოლექტივისთვის სარგებლის მოტანაზე; ამერიკელი ბავშვები ერთობიან, ხოლო საყვარელი თამაში სხვებისთვის ფულის წართმევას შეეხება. მნიშვნელოვანია ვანდენდალესის შემდეგი ნათქვამი: ბიჭები რომ გაიზრდებიან, ცნობილი ბანკირები უნდა გახდნენო. ანუ, ბავშვობაში თამაშობენ ყაჩაღსა და განგსტერს, ზრდასრულები კი ბანკირები უნდა გახდნენ. აღნიშნული თანამიმდევრობა, რომელიც ერთ სიბრტყეში მოაქცევს ყაჩაღს, განგსტერს და ბანკირს, აჩენს გარკვეულ ასოციაციას, რომ ბანკირიც ისეთივე ცუდია და ისევე ძარცვავს ხალხს, როგორც განგსტერი. ამას ადასტურებს ჟენიას რეაქციაც, როდესაც ამერიკელი ეკითხება, თავად ჟენიას თუ ენდომებოდა ბანკირობა. ბიჭი გაბრაზდება: „როგორ, მე გიჟი კი არა ვარ. აჰ, მადლობა ღმერთს, ამერიკა არ არის!“ (ლაგინი 1958:89). ამ გზით მკაფიოდ არის წარმოჩენილი, თუ რა „ფასეულობებზე“ არის დაფუძნებული ამერიკა.

„ფასეულობების“ ასახვა გრძელდება შავკანიანების საკითხის დასმით: ვოლკა მოულოდნელად კითხულობს, თუ რატომ სჯიან ამერიკაში შავკანიანებს ლინჩის წესით. პასუხად იღებს, რომ ამერიკა თავისუფალი ქვეყანაა და ვისაც რა უნდა, იმას აკეთებს. ვოლკა არ ჩერდება და აინტერესებს, შავკანიანებს თუ შეუძლიათ ასევე მოექცნენ თეთრკანიანებს: „მაშასადამე, ზანგსაც შეუძლია სამაგიერო გადაუხადოს თეთრკანიანს, თუ მას აინტერესებს?“ (ლაგინი 1958:90).

კითხვა ამერიკელს ძალიან გააღიზიანებს და მოითხოვს, ასე აღარ იხუმრონ, „ზანგებმა“ კი თავიანთი ადგილი იციანო. ვანდენდალესის პასუხები საყურადღებო თანამიმდევრობას შეიცავს: ამერიკა არის თავისუფალი ქვეყანა და ვისაც რა უნდა, იმას აკეთებს; მაგრამ აზრი, რომ შავკანიანები ისევე მოიქცნენ, როგორც თეთრკანიანები მათ ექცევიან, იმდენად დაუშვებელია, რომ ასე ხუმრობაც კი არ შეიძლება. ანუ ის, რასაც ამერიკელი თავისუფლებას უწოდებს, გულისხმობს უთანასწორობას, თეთრკანიანთა ძალაუფლებას (აკეთებენ იმას, რაც უნდათ) და შავკანიანთა ჩაგვრას. ამის შემდეგ

მკითხველს აღარ უნდა ჰქონოდა ილუზიები ამერიკის, როგორც თავისუფალი ქვეყნის შესახებ.

ბეჭდის ხელში ჩაგდების შემდეგ ვანდენდალესი, ხაპუგინის მსგავსად, ჩამოთვლის სურვილებს. ბოლოს კი მთავარ სათქმელს ამბობს: „*მე მსურს, რომ ეს თავხედი ბებერი, ეს ურჩი და შეუპოვარი საბჭოთა ბიჩები ჩემი მონები გახდნენ [...] რაც საბჭოთა კავშირში ფაბრიკები, ქარხნები, [...] მიწები და ტყეებია მეკუთვნოდეს მე, ჩემს, „ჰარი ვანდენდალესისა და მისი ვაჟიშვილების“ ფირმას [...] მთელი რუსეთი, მთელი სამყარო ამერიკელ საქმიან კაცს უნდა ეკუთვნოდეს!*“ (ლაგინი 1958:95)

ვანდენდალესის ოცნება - ყველაფერი, მთელი მსოფლიო, მთელი სიმდიდრე ეკუთვნოდეს მას და მის ფირმას, სხვა ადამიანები კი უნდა ემსახურებოდნენ, უბრალოდ პერსონაჟის სურვილი არ არის, ეს ზოგადად ამერიკელებისა და ამერიკის სურვილია. იმავეზე ოცნებობს ვანდენდალესის ცოლიც: „*ის ბეჭედი, რომელიც ყოველგვარი სურვილის აღმსრულებელია, რომელსაც შეუძლია დედამიწის ზურგზე ყველაზე მდიდარ და ყოვლისშემძლე ადამიანად გაქციოს*“ (ლაგინი 1958:88).

თუ გავითვალისწინებთ, ვინ იყვნენ ვანდენდალესის სავარაუდო პროტოტიპები - აშშ სახელმწიფო მდივანი ჯ. ფ. დალესი და ა.შ.შ. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორი ა. ო. დალესი, მაშინ ეს სიტყვები სულ სხვა მნიშვნელობას იძენს - რუსეთისა (!) და მთელი მსოფლიოს დაპყრობა და ბატონობა მთლიანად ამერიკის სახელმწიფოს მიზანია. საყურადღებოა, რომ წერია არა საბჭოთა კავშირი, არამედ რუსეთი. იმავეს ვხვდებით, როდესაც ვოლკას მეგობარი ჟენია ინდოეთში აღმოჩნდება და ინდოელს ეუბნება, რომ რუსია. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ ფაქტს, რომ საბჭოთა კავშირი და რუსეთი მათთვის სინონიმური, ურთიერთშემცვლელი ცნებები იყო. შესაბამისად, რუსების, როგორც საბჭოთა მოქალაქეების თვითიდენტიფიკაცია განსხვავდებოდა საბჭოთა კავშირში შემავალი სხვა რესპუბლიკების მოქალაქეების თვითიდენტიფიკაციისგან. ზემოთქმულიდან გამომდინარე, რადგან ამერიკა რუსეთს/საბჭოთა კავშირს ემუქრება, რუსეთის/საბჭოთა კავშირის მოვალეობაა შეებრძოლოს არა მარტო საკუთარი, არამედ მსოფლიოს „გულისთვის“. საკითხის ამ

კუთხით განხილვა მკაფიოდ აყალიბებს როგორც მტრის ხატს, ისე „ჩვენ“ და „სხვა“ ჯგუფის ხედვას. „ჩვენ“ ჯგუფი, რომელიც შედგება რუსებისა და საბჭოთა კავშირის სხვა მოქალაქეებისგან, იძულებული და ვალდებულია, დაიცვას საკუთარი თავი და დაეხმაროს მეგობარ „სხვა“ ჯგუფებს (ინდოეთი, იტალია).

ამ თავის ბოლოს ვანდენდალესსაც იგივე ბედი ეწევა, რაც ხაპუგინს - მიწაზე ფორთხვა-ტრიალით გაგორდება სახლში, ამერიკაში. ამ გზის აღწერას კიდევ მთელი გვერდი ეთმობა, ვანდენდალესი კი ხან ნაჭრებით გავსებულ ტომარასაა შედარებული, ხან ხის მორს, ხანაც ტურას.

ორიგინალის მიხედვით, აქ უნდა დამთავრებულიყო ვანდენდალესის ამბავიც, მაგრამ რედაქტირებულ ვერსიაში მას სრულიად განსაკუთრებული დასასრული აქვს. რადგან რედაქტირებული გამოცემა იტალიაში ამერიკელების ბატონობას შეეხება, ვანდენდალესი ჩადის იტალიაში, სადაც ამერიკის იმპერიალისტურ მისწრაფებებს განასახიერებს. ის დიდ პატივშია: მას გენუის პრეფექტი ხვდება, ჰყავს დაცვა (რადგან იტალიელებს არ უყვართ ამერიკელი დიპლომატები), აღნიშნულია, რომ მისი მცველი მუსოლინის დროს საიდუმლო პოლიციაში მუშაობდა. ბუნებრივია, ვანდენდალესი იტალიაშიც უსიამოვნებისა და უბედურების მიზეზი ხდება. ამიტომ მას ხოტაბიჩი განსაკუთრებულად დასჯის და ძალად გადააქცევს. საყურადღებოა, რომ უოლ-სტრიტის უმდიდრესი ხალხი ვანდენდალესს მაინც პატივს სცემს და ნარჩევ ძვლებს უგზავნის, რის სანაცვლოდაც ძალად გადაქცეული ვანდენდალესი კვირაში ერთხელ, ოცი წუთის განმავლობაში ყვეს რადიოგადაცემაში „ამერიკის ხმა“. ამ მონაკვეთის საშუალებით, ერთი მხრივ, ნაჩვენებია, თუ ვინ გამოდის „ამერიკის ხმაში“ და ამ გადაცემის მოსმენა იგივეა, რაც ძალის ყეფას უსმინო. მეორე მხრივ, შეიძლება ამერიკის შიდა პოლიტიკურ სიტუაციაზეც დავინახოთ მინიშნება - უოლ-სტრიტის მდიდარი ხალხი მათ ფულს (ძვლებს) უგზავნის და ამით განსაზღვრავს სათქმელს.

ზემოთ განხილული ნაწარმოებებისგან განსხვავებით, „ბრინჯაოს ფრინველი“ (ა.რიბაკოვი 1956) მტრად კულაკს მოიაზრებს და, შესაბამისად, მახლობელი მტრის ხატსაც აყალიბებს. ნაწარმოებში კულაკი ყველაზე ბოროტი და ცბიერი მტერია. მათ,

როგორც ცალკე კლასს, ისე ებრძვიან. კულაკისადმი დამოკიდებულება ყველაზე მკაფიოდ გრაფის ნათქვამიდან ჩანს: „ბანდიტები მირჩვენია. ადვილად შევუთანხმდები, უფრო იაფადაც და გაცემითაც არ გამცემს“ (რიბაკოვი 1962:525). ეს ერთი ფრაზა გამოკვეთს, თუ რა საშინელი არსებაა კულაკი, რომელთანაც საქმის დაჭერა გრაფმაც კი არ მოინდომა (რომელიც, გარდა ამისა, რომ თვითონაც კლასობრივი, მახლობელი მტერია, შინაარსის მიხედვით არის მკვლელი). მკითხველზე ზემოქმედების მხრივ, ნაწარმოებში იდეოლოგიური დატვირთვის მქონე მონაკვეთები და ემოციური ფონის შემცველი სცენები თანაბარი ინტენსივობით არის გამოყენებული.

მტრის ხატის პერსონიფიცირებულ სახეებს კულაკი ეროფეევი და მისი შვილი სენკა წარმოადგენენ. კულაკ ეროფეევის საშუალებით ჩამოყალიბებულია ემშაკი, მლიქვნელი, ხარბი, მხოლოდ საკუთარ სარგებელზე მზრუნველი ადამიანის სახე, რომელიც საჭიროების მიხედვით „იცვლის“ აზრს. როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, მასთან საქმის დაჭერა გრაფისნაირმა საშინელმა კაცმაც კი არ ინდომა. რაც საყურადღებოა, სწორედ ეს კაცი არის მუდმივად რელიგიურ ფრაზებთან კავშირში, ანუ მკითხველისთვის რელიგია ნეგატიურ პერსონაჟთან იქნება ასოცირებული.

რაც შეეხება ეროფეევის შვილს, სენკას, ის აღწერილია როგორც დრუნჩიანი, მსუქანი ბიჭი. სიმსუქნე მის უზრუნველ ცხოვრებაზე მიუთითებს. ერთგული მეგობარი - ღარიბი გლეხის შვილი აკიმკა მსახურად ყავს ქცეული, რაც მისი, როგორც კულაკის თვისებებზე აკეთებს აქცენტს. სენკა მამას ეხმარება რაღაც ბნელ საქმეებში, გარდა ამისა, კომკავშირლებსა და პიონერებს სოფლის ბავშვებთან მუშაობაში უშლის ხელს. ცდილობს ბავშვები დააშინოს, რათა ისინი პიონერულ ორგანიზაციაში არ გაერთიანდნენ. „ოჰო! - წამოიყვირა სენკამ, - ნორჩი პიონერები, თუჯისთავიანები, თავად მოკაკულები, დაწყველილი ქაჯები!.. ეს რა არის? - და მან ერთ გოგოს წიგნი ხელიდან გამოსტაცა. - ისევ ღმერთის საწინააღმდეგო?“ (რიბაკოვი 1962:292). როგორც ციტატიდან ჩანს, ამ პერსონაჟსაც რელიგიასთან აქვს ბმა. მკვლელობაში ეჭვმიტანილ (ცხადია, უდანაშაულო) ღარიბ გლეხზე სენკა ამბობს: „კაცი უსულოდ გააგორა, ნავი კი სადღაც გადამალა. თანაც აქტივისტად რომ ითვლება! ყველა ეს აქტივისტები ბანდიტები არიან!“ (რიბაკოვი

1962:293). ის თამამად ლანძღავს პიონერებსა და აქტივისტებს, რასაც მამამისი ეშმაკურად არიდებს თავს და სხვა ხერხებს იყენებს. მაგალითად, როდესაც მიშას რაზმმა სოფლის კლუბი გააკეთა და ადგილობრივ მხატვარს მოახატვინა (რაც ისე არ დასრულდა, როგროც ელოდნენ), ეროფეევმა ამ ამბავს სულ სხვა მნიშვნელობა მისცა - მან თავმჯდომარეს ხალხის ფულის გაფლანგვაზე და კომკავშირლების არასწორ მუშაობაზე მიუთითა: „*განა მე ფული მაღაპარაკებს? (...) მე იმას ვამბობ, რომ ბავშვებს ასეთი საქმეები არ უნდა ვანდოთ*“ (რიბაკოვი 1962:385). მაშინ როდესაც პიონერებიც და კომკავშირელებიც აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ კომუნის მშენებლობის საქმეში, ეროფეევს მიაჩნია, რომ მათ კლუბის მოხატვაც კი არ უნდა ანდონ. ცხადია, ეს არის პატარა დეტალი, მაგრამ მკითხველისთვის (რომელიც თვითონაც ბავშვია) ძალიან თვალშისაცემი და დასამახსოვრებელი - მას არ ენდობიან, განსხვავებით ბოლშევიკებისგან. მკითხველისთვის (ბავშვისთვის) ეს უკვე მნიშვნელოვანი აქცენტი კულაკის ნეგატიური სახის დასამახსოვრებლად.

აღსანიშნავია ამ პერსონაჟის მჭიდრო კავშირი რელიგიასთან, მტრის ხატის ასევე უნდა მოიცავდეს ბმას რელიგიასთან. კულაკი ეროფეევი მიდის მკვლელობაში ექვმიტანილის დედასთან; მას უნდა, რომ დედამ შვილი დაარწმუნოს აღიარებითი ჩვენების მიცემაში, თუმცა ქალს არ სჯერა შვილის დანაშაული. მთელ ამ საუბარში მთავარია მანიპულაციის რამდენიმე ხერხი: რელიგია, საზოგადოება, ლმობიერი საბჭოთა კავშირი. საყურადღებოა, რომ რელიგიური კუთხით მანიპულირება ხდება მკვლელობის ცოდვისა და მოუნანიებლობის ხაზგასმით. ამავდროულად, დანაშაულის უარყოფით ბიჭი საზოგადოებას ვნებს - გამომძიებლები მოდიან, ხალხს აწუხებენ, გამქრალი ნავის შესახებ ეკითხებიან. მთელ სოფელს ჩირქი ეცხება. შემდეგ ვინმე უდანაშაულოც რომ დაიჭირონ?! მხოლოდ იმიტომ, რომ მისი შვილი არ აღიარებს დანაშაულს. „*ასე, ჩემო მარია ივანოვნა, ღმერთი უნდა გახსოვდეთ. ღვთით უნდა იფიქრო და იცხოვრო. შენ საზოგადოება დაგებმარება, შენ კი მას უნდა დაეხმარო. (...) „საზოგადოება-ძალაა. განა შეიძლება საზოგადოების წინააღმდეგ წასვლა? საზოგადოება გაჭირვებაშიც მოგებმარება და*

უბედურებაშიც. შენს ნიკალას, როგორც დამნაშავეს, მაინც დასჯიან. შენ კი აჟ, ხალხთან, უნდა დარჩე“ (რიბაკოვი 1962:424-425).

როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითები ცხადყოფს, მანიპულაცია და დაშინება ხდება რელიგიითა და საზოგადოების ძალის კომბინაციით. მსგავსი ბმა მკითხველისთვის თვალშისაცემი უნდა იყოს, რადგან ზოგადად საზოგადოება/კოლექტივი დადებით კონტექსტში მოიაზრება (საბჭოთა მოქალაქის იდენტობის ფორმირების პროცესი ასახავს კოლექტივის და/ან საზოგადოების განსაკუთრებულ მნიშვნელობას, მისადმი პასუხისმგებლობისა და ვალდებულების ხაზგასმას. კოლექტივის, საზოგადოების აზრი არის გადაწყვეტილებების სისწორის უმთავრესი მსაზღვრელი). შესაბამისად, ხდება მანიპულირება ძლიერი დატვირთვის მქონე ცნებით, რაც პერსონაჟის ნეგატიურ სახეს კიდევ უფრო გამოკვეთს. ამას ემატება, რომ ეროფეევი, რომელიც არ გულშემატკივრობს საბჭოთა კავშირს, იწყებს საბჭოთა ხელისუფლების ქებას საკუთარი მიზნის მისაღწევად (ანუ ქალის მოსატყუებლად და უდანაშაულო ადამიანის ციხეში ჩასასმელად): „განა ბევრს მისცემენ? (...) საბჭოთა ხელისუფლება ღარიბებს სწყალობს. ერთ წელიწადში სულაც ამნისტიით გამოვიდოდა. (...) და საერთოდაც, განა ჩვენს ძვირფას საბჭოთა ხელისუფლებას ტყუილი უნდა შევბედოთ“ (რიბაკოვი 1962:425-426).

ეროფეევი ასევე ცდილობს, ქალი მიწის წართმევით დააშინოს: ამბობენ, მიწები რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებამ დაარიგა, უკანვე მიაქვთ უპატრონო ბავშვთა კოლონიის მოსაწყობადო. და თან იქვე საპირისპიროს ამბობს: ხელისუფლება ამის ნებას არ მისცემსო. ანუ, საბჭოთა ხელისუფლებას პირდაპირ კი არ უპირისპირდება, პირიქით, განადიდებს. ამავდროულად, ცდილობს პიონერებს და კომკავშირელებს მუშაობაში ხელი შეუშალოს, კომუნის დაარსება არ დაუშვას და მიწები შეინარჩუნოს. შენიშვნაზე, რომ მიწას მხოლოდ ისინი დააბრუნებენ, ვინც უკანონოდ მიითვისა და სხვების ექსპლოატაციის ხარჯზე ცხოვრობს, ეროფეევი უაყროფს ასეთების არსებობას სოფელში და აზრის გასაძლიერებლად კვლავ რელიგიას მიმართავს: „ასეთები ჩვენ არა გვყავს, ახალგაზრდავ, [...] მთელ საზოგადოებასთან ერთად მშვიდად და სამართლიანად ვცხოვრობთ, ქრისტიანულად. არც კულაკები გვყავს და არც ლატაკები. ყველანი ერთნი

ვართ“ (რიბაკოვი 1962:426). ღმერთს ახსენებს კრებაზეც: „ყველაფერი სამართლიანად მოეწყოს, ყველაფერი ღვთსნიერად იყოს“ (რიბაკოვი 1962:517). ნაწარმოების ბოლოს კი ეროფეევი კვლავ იცვლის შეხედულებას. როდესაც კომკავშირლები და პიონერები მოსკოვში ბრუნდებიან, მათ ქებას იწყებს: „მაღლობის მეტი რა გვეთქმის. საზოგადოებას სამსახური გაუწიეს. უდანაშაულო ადამიანიც იხსნეს“ (რიბაკოვი 1962:530). უდანაშაულო ადამიანი კი იმ ქალის შვილია, ვისაც თავად დანაშაულის აღიარებისკენ მოუწოდებდა.

ციტატებიდან გამომდინარე, კულაკი განსაკუთრებით ცბიერი მტერია; სწორედ კულაკი იყენებს ღმერთთან და სარწმუნოებასთან დაკავშირებულ ფრაზებსა და ცნებებს. მისი მხრიდან რელიგიისა და ღმერთის ხსენება ძირითადად კავშირშია სიხარბესთან და ტყუილთან. მისი ნდობა დაუშვებელია, რადგან საკუთარი მიზნიდან გამომდინარე, მარტივად ცვლის პოზიციას. ამ მხრივ ნელ-ნელა ყალიბდება ასოციაცია, თუ ვინ, რა სახის ადამიანი საუბრობს რელიგიაზე და სინამდვილეში რა მიზნები ამოდრავებს მას.

ნაწარმოებში მსაზღვრელი ჩვენ ჯგუფის შიგნით შეფარული მტრის ხატიც არის მოცემული. ეს არის გუბერნიის სახალხო განათლების განყოფილების უფროსის მოადგილე სეროვი. იგი იღებს ქრთამს და დოკუმენტებს აყალბებს, მიშას რაზმის წინააღმდეგ გაზეთში ანონიმურად წერილებს აქვეყნებს (აბრალებს ხეების აჩეხვას, კლუბის მოსაწყობი მასალებისა და საღებავების საფასურის ტყუილ-უბრალოდ გაფლანგვას), ცდილობს მიშაზე ფსიქოლოგიური ზეგავლენის მოხდენას და მისი კომკავშირიდან გარიცხვით შეშინებას. თუმცა ეს არ გამოსდის: „მე კომკავშირელი ვარ, - ამყად უპასუხა მიშამ, - და კომკავშირს არ ვემალეები. ყოველთვის მზად ვარ პასუხი ვაგო“ (რიბაკოვი 1962:440). აღსანიშნავია, რომ სეროვი ირიბად არის დაკავშირებული მახლობელ მტერთან: მისი ცოლის დას „გრაფინიას“ ეძახიან, რადგან მემამულესთან, გრაფთან მუშაობდა, დარჩა გრაფის ერთგული და ელოდება მის დაბრუნებას. ამ ქალისგან (ანუ ცოლის დისგან) იღებს ქრთამს სეროვი და საბუთებს აყალბებს გრაფის დასახმარებლად, ანუ ეხმარება საბჭოთა კავშირის მტრებს. ცხადია, ნაწარმოების ბოლოს ყველაფერი ირკვევა და სეროვიც ისჯება.

მტრის ხატის შექმნის კუთხით, მნიშვნელოვნი ცვლილება ხდება ი.ტომინის „ბორკა, მე და უჩინმაჩინში“ (1962). საინტერესოა, რომ ფაშისტები, რომლებიც სხვა ნაწარმოებებში მკაფიო გარე მტრის ხატს წარმოადგენენ, ამჯერად მხოლოდ ერთხელ არიან ნახსენები და, თანაც, კონტექსტი არ არის ცალსახად ნეგატიური. მოქმედება ლიტერატურის გაკვეთილზე ხდება, როდესაც დუბროვსკის²⁷ ხასიათს განიხილავენ. პერსონაჟის დახასიათებისას ბავშვები ამბობენ, რომ დუბროვსკი არის მამაცი, ძლიერი და კარგი. მასწავლებელი არგუმენტაციას ითხოვს. მოსწავლეები იხსენებენ, რომ დუბროვსკის დათვის არ შეეშინდა. მაშინ მასწავლებელი - ვლადიმერ ივანოვიჩი კითხულობს: კისტენევიკაში ფაშისტები მივიდნენ. რას აკეთებს დუბროვსკი? გაოგნებულმა ბავშვებმა არ იციან, რა იფიქრონ. ბოლოს ვიღაც გაუბედავად ამბობს, რომ იმ დროს ფაშისტები არ იყვნენ. მასწავლებელი ეთანხმება, მაგრამ წარმოვიდგინოთ, სთავაზობს. შეებრძოლება, რადგან დათვის არ შეეშინდაო, ივარაუდებს ერთი მოსწავლე. ამას კამათი მოჰყვება. ბავშვების ნაწილი მიიჩნევს, რომ დათვისა და შეიარაღებულ ფაშისტებს შორის დიდი სხვაობაა. დუბროვსკის მრავალგვარი დახასიათებისა და განხილვის შემდეგ, წერია, რომ ფაშისტები კისტენევიკიდან წავიდნენ და იქ ყველაფერი დამშვიდდა.

აღწერილი მონაკვეთი საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ფაშისტების მიმართ არ არის გამოყენებული განსაკუთრებით ნეგატიური კონტექსტი, მათ ხსენებას არ მოჰყვება ფანატიზმამდე მისული გმირობის ამბები, არამედ მოცემულია შედარება, რა უფრო საშიშია - შეიარაღებული ფაშისტი თუ დათვი. კონტექსტიდან გამომდინარე, ამ კამათის დასასრული - ფაშისტები წავიდნენ კისტენევიკიდან - არასერიოზულ, სახუმარო ელფერს სძენს თხრობას. ანუ ფაშისტების ხსენებას შემოცლილი აქვს ის განსაკუთრებული იდეოლოგიური ნაწილი, რომელიც საბჭოთა კავშირის გამარჯვებას ერთგვარ საკრალურ იერს ანიჭებს.

გარე მტრის ხატის თვალსაზრისით, კიდევ ერთი ცვლილებაა მნიშვნელოვანი ნაწარმოებში „როცა მთავრდება ბავშვობა“ (ალ. ჩხაიძე, 1962): ამერიკა წარმოადგენს არა

²⁷ ა. პუშკინის ნაწარმოების „დუბროვსკის“ გმირი

მტერს, არამედ უცხოს, მაგრამ სასურველს. მაგალითად, ზალიკასა და თამაზის კლასელ გენოს ვიწროტოტება ტეხასური შარვალი აცვია, უამრავი ჯიბითა და ბალთით. გენოს ეტყობა, რომ თავს იწონებს. ეს ბიჭების საუბრის თემაც ხდება. პირველ რიგში, არკვევენ, სად შეიძლება „ეშოვა“ შარვალი. მოცემულ მონაკვეთში „ამერიკული“ უკვე სასურველს წარმოადგენს - ტეხასური შარვალი, რომელიც უნდა „იშოვო“ და „თავი მოიწონო“. ბიჭებს არ სჯერათ, რომ გენოს ეს შარვალი კუბელმა სპორტსმენებმა აჩუქეს; ეჭვობენ, თვითონ შეაკერინებდა და იტყუება, თითქოს უცხოურია. მარკა თუ აქვს ზედ შარვალსო. „ამერიკული“ ახლა უცხოს, და რაც საყურადღებოა, ხშირ შემთხვევაში სასურველ უცხოს გამოხატავს. ამ მიზეზით, გასამართლებელი არგუმენტია გარკვეული ქცევებისთვისაც. თუნდაც ისეთისთვის, როგორც არის დაფაზე დაჯღაბნა: „განა ეს ნაჯღაბნია?! - გაიშვირა ხელი დაფისაკენ, - ზუსტად ასეთი ნახატისათვის წელს პარიზის გამოფენაზე ამერიკელმა მხატვარმა ჯემს ბრაუნმა პირველი პრემია მიიღო. რას ნიშნავს, რომ თქვენთან სრულიად არ იცნობენ აბსტრაქტულ ხელოვნებას!“ (ჩხაიძე 1965:69).

ასევე, ცალკე არის ნახსენები ჯაზი: მაშველი იაშა აღმერთებს ჯაზს. დამდამობით იწერს რადიომიმღებიდან მაგნიტოფონზე და, როდესაც მორიგეობს, მთელი სანაპირო ჯაზსა და ლუი არმსტრონგს უსმენს. როგორც ერთ-ერთი დამსვენებელი ირწმუნება, არმსტრონგის კონცერტზე ბილეთი იმდენი ღირს, იმ ფულით ერთ მანქანას იყიდის თურმე. აღნიშნულია, რომ ახალგაზრდები პატივს სცემენ იაშას და ახალ ჩანაწერებს ელიან, რომლებიც შემდეგ სტვენით ვრცელდება მთელ ქალაქში. ასაკოვნებს კი არ მოსწონთ ეს მუსიკა, მაგრამ ისინი უმცირესობაში არიან და მხოლოდ ბუზღუნებენ.

ამ შემთხვევაშიც, ამერიკა აღარ არის ცალსახა მტერი, ის არის უცხო, *სხვა*, მაგრამ უკვე ინტერესის საგანი. ინტერესს აძლიერებს მისი მიწვდომის სირთულე, ის, რომ ჯერ ისევ „შოვნა“ არის საჭირო (ლამით მუსიკის რადიომიმღებიდან ჩაწერა). ეს, თავისთავად აღვივებს ინტერესს და ბადებს არარეალურ მოსაზრებებს ამერიკის შესახებ. აშკარაა ცვლილება ამერიკის, როგორც მტრის ხატის მიმართ.

ამრიგად, განხილულ ნაწარმოებებში ჩამოყალიბებულია მტრის ხატი. გამოვლენილია გარე და შიდა/მახლობელი მტრები. გარე მტრებში მკაფიოდ გამოიკვეთა

ფაშისტები და ამერიკა, ასევე ნახსენებია ანტანტა, თეთრფინელები და იაპონელები. მახლობელი მტრები გამოიხატა კლასობრივი, იდეოლოგიური ნიშნით: მენშევიკები, კულაკები, არისტოკრატია. მოცემულია მტრის ხატის შესაბამისი პერსონიფიცირებული სახეებიც: ვანდენდალესი/ხაპუგინი, ეროფეევი, ასევე *ჩვენ* ჯგუფის შიგნით არსებული მტრის ხატიც - სეროვი. გამოიკვეთა გარე მტრის ხატის ცვლილებაც 1960-იანი წლების დასაწყისში.

თავი 7. კულტურული გმირი. ომის საკრალიზაცია

ომის თემატიკა განხილული ნაწარმოებების უმრავლესობაში არის ასახული. მასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული კულტურული გმირი; ომის საშუალებით გამოიხატება კულტურული გმირის²⁸ ფორმირების პროცესიც. ამასთანავე, ხშირად იკვეთება ბმა კულტურული გმირის ჩამოყალიბებასა და ომის განდიდება/საკრალიზაციას შორის. მიუხედავად იმისა, რომ ომის საკრალიზაციაზე საუბრისას უმთავრესად სამამულო ომი მოიაზრება, ნაწარმოებში ომის განდიდება/საკრალიზაციის მიზნით ასევე შეიძლება სამოქალაქო ომი და სხვადასხვა შეიარაღებული შეტაკებებიც იყოს გამოყენებული, თუკი ნაწარმოებში მეორე მსოფლიო ომამდელი პერიოდია აღწერილი.

გ. ჰოფსტედეს მიხედვით, *„გმირები ცოცხალი ან გარდაცვლილი, რეალური ან წარმოსახვითი ადამიანები არიან, რომელთა მახასიათებლებიც მოცემულ კულტურაში ფასობს და მისაბამად ითვლება“* (ჰოფსტედე; 2011:16). ნაწარმოებებში კულტურულ გმირს ყოველთვის მხოლოდ რიგითი წითელარმიელი არ წარმოადგენს. დაწინაურებული ჯარისკაცი, პოლკოვნიკი, ან გენერალი ხშირად საუკეთესოდ გამოკვეთს იმ დადებით სახეს, რომელიც კულტურული გმირის საფუძველს წარმოადგენს. დადებითი სახე ყალიბდება როგორც კონკრეტული ფრაზებით, ისე ზოგადად შინაარსის საშუალებით.

კვლევაში გაანალიზებულ საბავშვო მხატვრულ ლიტერატურაში ჯარისკაცებისა და ომის ხატი პირველად ა. გაიდარის მოთხრობაში „ჩუკი და გეკი“ (1939) არის მკვეთრად წარმოდგენილი. აქ იდეოლოგიური მნიშვნელობის მქონე ჩანართები, ძირითადად, სამხედროებს შეეხება. მათი საშუალებით არამხოლოდ მეზრძოლის, არამედ ზოგადად დადებითი, სანიმუშო მოქალაქის სახეც ყალიბდება.

პირველი ასეთი მონაკვეთია, როდესაც მატარებლით მგზავრობისას ღამე გეკი დაიკარგება და სამხედროს კუპეში აღმოჩნდება. გაბრაზებისა და ჩხუბის ნაცვლად

²⁸ კვლევაში აღნიშნული ტერმინი გ. ჰოფსტედეს ნაშრომის „კულტურები და ორგანიზაციები“ მიხედვით გამოიყენება. შესაბამისად, მოცემულია ტერმინის ის ვარიანტი (კულტურული გმირი), როგორც ეს გ.ჰოფსტედეს წიგნშია.

(რადგან გააღვიძეს), სამხედრო მშვიდად მიაცილებს გეკს კუპემდე, მეორე დღეს გეკის დედას თბილად ესაუბრება, ხოლო ჩუკს ფანქარს ჩუქნის, რომელზეც თითბრის მასრა არის წამოცმული. ეს თითქოს უმნიშვნელო, მცირე მონაკვეთი ხაზს უსვამს სამხედროების ზოგადად დადებით სახეს. ზემოთ აღწერილი ყველა მოქმედება ნებისმიერ მოქალაქეს შეიძლება შეესრულებინა, მაგრამ ამ პერსონაჟის სტატუსის ჩვენება (სამხედრო) უკვე გარკვეულ ხასიათს გულისხმობს (დადებითი, მისაბამი) და სხვანაირ მოლოდინებს ბადებს. მისი ნაჩუქარი ფანქარიც კი განსაკუთრებულია (მასრით).

შემდეგ, განსაკუთრებული დატვირთვის მქონე მონაკვეთს ჯავშანმატარებლის აღწერა წარმოადგენს. წითელარმიელები მხიარულობდნენ, იცინოდნენ და ხელებს ითბობდნენ (ნაწარმოებებში წითელარმიელების მხიარული და მხნე განწყობა ხშირად აღინიშნება, მძიმე გარემო-პირობების მიუხედავად). მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას მხოლოდ ერთი ადამიანი იმსახურებს, რომელიც მოწყვეტილია მთელ ამ ორომტრიალს და საკუთარ ფიქრებშია ჩაძირული. ჩუკი და გეკი მიიჩნევენ რომ ეს მეთაურია, რომელიც ვინმესთან (!) ომის დაწყების ბრძანებას ელოდება ვოროშილოვისგან. ამ ჩანართის მნიშვნელობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ მეთაური კიდევ ორჯერ ჩნდება ნაწარმოებში. ერთხელ გეკის სიზმარში და მეორედ - ნაწარმოების ბოლოს, როდესაც მთელი ოჯახი ახალ წელს აღნიშნავს და მოსკოვის კრემლის საათის ხმას უსმენს. აღნიშნულია, რომ ეს ხმა იმ მეთაურსაც ესმის, რომელიც კვლავ ელის ვინმესთან ომის დაწყების ბრძანებას ვოროშილოვისგან. საყურადღებოა, რომ არ არის დაკონკრეტებული მტერი, მთავარია მუდმივად საბრძოლო მდგომარეობაში ყოფნა, ზოგადად მტრის ხატის არსებობა.

აღსანიშნავია, რომ უკვე ამ ნაწარმოებში არის გამოხატული მორჩილების მოთხოვნა, რომელსაც საომარი ვითარების განწყობა შემოაქვს. მიუხედავად იმისა, რომ ეს მახასიათებელი მხოლოდ ერთი პატარა ჩანართით არის წარმოდგენილი, არ შეიძლება მისი უგულებელყოფა, რადგან გაიდარის შემდეგ ნაწარმოებში („თემური და მისი რაზმი“) ეს მოთხოვნა სრულიად სხვა ინტენსივობითა და დატვირთვით არის მოცემული. ამას თავისი ახსნაც მოეპოვება: განსხვავებით „თემური და მისი რაზმისგან“, „ჩუკი და გეკი“ არ

მოიცავს სამხედრო თემატიკას იმავე მასშტაბით და ბავშვების მოგზაურობას შეეხება. თუმცა, მამის (და ქმრის) სანახავად ჩასულ ბიჭებსა და დედას სწორედ ბრძანების შეუსრულებლობაზე მიუთითებს ყარაული:

„- მითხარით, რისთვის ჩამოხვედით? (...) თქვენ ხომ ნაბრძანები არ გქონდათ ჩამოსვლა.

- როგორ თუ ნაბრძანები არ გქონდა? ვისგან არ მქონდა ნაბრძანები?

- როგორ და, არა გქონდათ ნაბრძანები! სადგურში მე თვითონ წამოვიღე სერიოგინის დეკეშა, სადაც გასაგებად ეწერა: „შეყოვნდი ორი კვირით, ნუ გამოემგ ზავრები.“ (...) რაკი სერიოგინი წერს, „ნუ გამოემგ ზავრები!“ - მამასადამე, არ უნდა გამოემგ ზავროთ, თქვენ კი თვითნებობთ“ (გაიდარი 1968:23-24).

აღსანიშნავია, რომ ბრძანების შესრულება არის აუცილებელი მოთხოვნა. ინიციატივის გამოჩენა და საკუთარი სურვილით რაიმეს გაკეთება კი ავტომატურად უტოლდება თვითნებობას. ეს მოთხოვნა უფრო მეტი ინტენსივობით შემდეგ ნაწარმოებში - „თემური და მისი რაზმი“- არის გამოხატული.

ნაწარმოების სიუჟეტიდან გამომდინარე, ბუნებრივია, კულტურულ გმირს სწორედ სამხედრო - წითელარმიელი წარმოადგენს, შესაბამისად „თემური და მის რაზმში“ იდეოლოგიური დატვირთვის უმთავრესი გამომხატველი არის სამხედრო და წითელი არმია. მათთან არის დაკავშირებული სხვა მახასიათებლების წარმოჩენის პროცესიც - კოლექტივის წევრად თვითიდენტიფიკაცია, მორჩილება და ა.შ.

ნაწარმოების დასაწყისშივე არის წითელარმიელთა მოტოკოლონის აღწერა - ჯარისკაცები სხედან შამხანებით ხელში და მღერიან. სიმღერის ხმაზე სოფლის სახლების ფანჯრები და კარებები იხსნება, ვამას ყვირილით გამორბიან ბედნიერი ბავშვები და შეჰხარიათ წითელარმიელებს; ცდილობენ ვაშლები მაინც მიაწოდონ და იქვე იწყებენ ომობანას თამაშს. ეს მონაკვეთი ორ აბზაცს მოიცავს და უშუალოდ შინაარსის განვითარებას არ ემსახურება (უფროსი დის, ოლგას მგზავრობის აღწერისას არის ჩართული), თუმცა შემოაქვს საოცრად სასიხარულო და საზეიმო განწყობა, ხაზგასმულია ბავშვური ხალისიანი დამოკიდებულება და ომი, როგორც თამაში. ამგვარად, იქმნება

ასოციაცია დადებით ემოციებთან და ბავშვურ სიხარულთან, ომი არ არის დაკავშირებული ტკივილთან, უბედურებასთან და ტრაგედიასთან.

განსაკუთრებით საყურადღებო სტატუსს, და შესაბამისად პერსონაჟს მეთაური წარმოადგენს. ა. გაიდარის ზემოთგანხილულ მოთხრობაშიც („ჩუკი და გეკი“) მეთაურს განსაკუთრებული პატივისცემა და მნიშვნელობა ენიჭება; მიუხედავად იმისა, რომ სიუჟეტის განვითარების მხრივ არანაირ მოქმედებას არ ასრულებს. „თემური და მისი რაზმი“ განსაკუთრებულად გამოკვეთს „მეთაურის“ სტატუსს და მის (იდეურ) მნიშვნელობას. ამ მიზანს წარმოსახვითი „მეთაურის“ კი არ ემსახურება, არამედ კონკრეტული პერსონაჟების - ოლგასა და ჟენიას მამა - პოლკოვნიკი ალექსანდროვი. ნაწარმოების პირველივე წინადადება მის შესახებ მოუთხრობს მკითხველს: *„სამი თვეა, რაც საჯავშნო დივიზიონის უფროსი, პოლკოვნიკი ალექსანდროვი შინ არა ყოფილა, ფრონტზე თუ იყო წასული“* (გაიდარი 1979:221). იმის მიუხედავად, რომ თავად პერსონაჟი მხოლოდ ნაწარმოების ბოლოს გამოჩნდება, მისი სახე უწყვეტად გასდევს მთელ სიუჟეტს. მამის მიმართ შვილების რიდი, სიყვარული და განსაკუთრებული სიამაყე ერწყმის მეთაურის ღირსეულ და სამართლიან სახეს, რაც საბჭოთა სამხედრო მეთაურის ხატის ფორმირებას უწყობს ხელს. მისგან გამომდინარე არის ჩამოყალიბებული დების ხასიათებიც - ორივესთვის მამა ავტორიტეტია, თუმცა განსხვავდება მის მიმართ მორჩილების ინტენსივობა და ფორმები.

უმცროსი დისთვის, ჟენიასთვის მამა მთავარი მისაბამი მაგალითი და უპირობო ავტორიტეტია. მხოლოდ მამას შეუძლია გაუგოს და სერიოზულად აღიქვას ჟენიას საქციელი. გოგო თავს ირწმუნებს, რომ აუცილებლად მამის ხასიათი უნდა ჰქონდეს (რაშიც იგულისხმება სიმამაცე, შეუპოვრობა და ა. შ.). დის კითხვაზე, ნეტავ ვის დაემსგავსა ასეთი, დაუფიქრებლად პასუხობს: მამას, მხოლოდ მამას; თემურის კითხვაზე, მამა თუ ჰყავს არმიაში, ლელვითა და სიამაყით პასუხობს: კი! მამა მეთაურია. როდესაც სხვის სახლში შესულს ძალიან გზას გადაუღობავს, შეშინებული დაჰყვირებს, რომ ეს მამასთან გასაგზავნი დეპეშაა, რომ მამამისი მეთაურია.

უფროსი დის, ოლგას შემთხვევაში კი მამისადმი დამოკიდებულებას მხოლოდ ერთი აზრი გამოხატავს - მამამ დამავალა, მამამ მითხრა, მამამ დაიბარა. ფრაზა მუდმივად მეორდება ნაწარმოებში და, კონტექსტიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ ეს არ არის „უბრალოდ“ მამის დავალება, არამედ იმ მამის, რომელიც „მეთაურია“.

სტატუსისადმი იმავე დამოკიდებულებას გამოხატავს მთავარი პერსონაჟის, თემურის ფრაზაც - „მეთაურის ქალიშვილი გასაჭირშია“ («дочь командира в беде»), როდესაც ჟენიას ბოლო მატარებელზე დააგვიანდება. თავად პოლკოვნიკი ალექსანდროვიც ხაზს უსვამს მეთაურის სტატუსს, როდესაც ოლგას ესაუბრება. მამა ოლგას არიგებს რომ უმცროს დას (ჟენიას) უთხრას, არ იტიროს, რადგან მეთაურის ქალიშვილია (!) და ტირილი არ შეეფერება.

ბუნებრივია, მამა-მეთაური საოცრად სამართლიანი, ყურადღებიანი, გამგები ადამიანია. მაგალითად, ოლგამ თემური დაუხასიათა როგორც ხულიგანი და ცუდი ბიჭი, რომელიც ჟენიაზე ცუდ გავლენას ახდენს. მაგრამ როდესაც ჟენია თემურს წარუდგენს, როგორც თავის მეგობარს, პოლკოვნიკი ერთი წამითაც არ შეყოყმანდება და თემურს ხელს ჩამოართმევს.

ამრიგად, თუკი ნაწარმოებში სამხედროები, რიგითი წითელარმიელები კულტურული გმირის კრებსით, განზოგადებულ სახეს წარმოადგენენ, პოლკოვნიკ ალექსანდროვის საშუალებით, ერთდროულად, როგორც მამის, ისე სამხედრო პირის კონკრეტული მაგალითი არის ჩამოყალიბებული.

კულტურულ გმირთან ერთად, მოცემულია ის თვისებები, რომელიც ამ კონკრეტული კულტურის მიერ მნიშვნელოვან მახასიათებლად არის აღიარებული. ასეთია მორჩილება. მორჩილების მოთხოვნა არაერთხელ გვხვდება ნაწარმოებში. ეს მოთხოვნა არის ორი ტიპის: ავტორიტეტისადმი მორჩილება და თვითნებობის აღკვეთა.

პირველი ტიპის - ავტორიტეტისადმი მორჩილების - ყველაზე მკაფიო მაგალითს უკვე აღნიშნული „მამამ დამავალა“²⁹ (უფროსი დის, ოლგას დამახასიათებელი ფრაზა) წარმოადგენს. ეს ფრაზა უპირობო და ურყევი არგუმენტია და ნებისმიერ სიტუაციაში

²⁹ რუსულ ორიგინალში წერია სიტყვა „велел“, ქართულში კი გადმოტანილია როგორც დაიბარა, მითხრა.

გამოიყენება. მის საფუძვლიანობაში ექვი არავის ეპარება. ოლგას შემთხვევაში, ეს დამოკიდებულება მამისადმი სიყვარულს შეიძლება მიეწეროს, მაგრამ იმავეს ვერ ვიტყვით სხვა პერსონაჟების შესახებაც. ეს სახასიათო ფრაზა წარმოაჩენს არამხოლოდ ოლგას აღმატებულ დამოკიდებულებას მამისადმი, არამედ სხვა პერსონაჟების მოწიწებას, რიდს. აღსანიშნავია, რომ ეს ფრაზა ხშირად ჟენიას მიმართ გამოიყენება, როდესაც ის შეუფერებლად იქცევა და ოლგას არ უჯერებს. ჟენიას კონტრარგუმენტი კი არის მამასთან მსგავსება. ანუ ჟენია ისე იქცევა, როგორც მამა მოიქცეოდა იმავე სიტუაციაში (ჟენიას აზრით), ეს მხოლოდ მის უფროს დას არ ესმის, თორემ მამა ყველაფერს გაიგებდა. ეს მაგალითი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, თუ რამხელა ავტორიტეტია დებისთვის მამა - ოლგასთვის ეს მამის ნათქვამის, როგორც ბრძანების, ზუსტად შესრულებაში გამოიხატება, ხოლო ჟენია ცდილობს ყველაფერი ისე გააკეთოს, როგორც მამა გააკეთებდა.

მეორე ტიპის - თვითნებობის აღკვეთის - განხილვისას უნდა დაზუსტდეს, რომ ინიციატივის გამოჩენა ან საკუთარი სურვილით რაიმეს გაკეთება თვითნებობას უტოლდება. ამიტომ სწორედ ამ სიტყვას იყენებს ბიძა თემურთან საუბრისას - არასწორ ქცევაზე მიუთითებს და ხაზს უსვამს, რომ თვითნებობის შემთხვევაში დედასთან გააგზავნის.

ამავდროულად, მორჩილება მნიშვნელოვანად განსაზღვრავს თემურსა და მის მეგობრებს შორის ურთიერთობას. მიუხედავად იმისა, რომ ყველანი პიონერები, მეგობრები არიან, თემური არის რაზმის წინამძღოლი, თემური წყვეტს, ვინ რა უნდა გააკეთოს. მის ნათქვამს - ბრძანებას - ყოველთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ბრძანების მიზეზი ან მიზანი ამხანაგებისთვის შეიძლება არც იყოს დაკონკრეტებული. მაგალითად:

იმის გათვალისწინებით, რომ პიონერებს მთელი თავიანთი ცხოვრება სამხედრო ყაიდაზე აქვთ მოწყობილი, ხოლო გოგონები სამხედროს (პოლკოვნიკის) შვილები არიან, მორჩილებისადმი ამგვარი დამოკიდებულება მარტივად ასახსნელი ხდება. თუმცა ზემოთ განხილული „ჩუკი და გეკი“ ბიჭების მოგზაურობას შეეხებოდა და სამხედრო წესების მიხედვით ცხოვრება არ იყო აღწერილი. შესაბამისად, დედისა და ყარაულის

საუბრის მონაკვეთი, რომელიც ზემოთ იყო მოცემული და ბრძანების შესრულებასა და თვითნებობას შეეხებოდა, ვერ აიხსნება ისევე, როგორც ეს „თემური და მისი რაზმის“ შემთხვევაში ხდება. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს არის ზოგადად ავტორის დამოკიდებულება, მისი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე. ასევე, ეს შეიძლება იყოს იმ გარემოს აღწერა, რომელშიც ავტორი არსებობდა. თუკი საზოგადოებაში კულტურულ გმირად სამხედროს, ჯარისკაცს აყალიბებენ, ბუნებრივი იქნება, მნიშვნელოვან თვისებად მორჩილება მიიჩნიონ. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს ძალიან მოსახერხებელი მეთოდია მკითხველზე ზემოქმედების მოსახდენად და კონკრეტული თვისების საზოგადოებაში განსამტკიცებლად.

რაც შეეხება ომს, იგი, პირველ რიგში, წარმოდგენილია როგორც თითქმის საკრალური დიდების მქონე მოვლენა. ომში დაღუპვაც მხოლოდ ტრაგედია არ არის, ეს სიკვდილი განსაკუთრებულ აღმატებულ დამოკიდებულებას იწვევს. ბუნებრივია, პიონერების მთავარი ოცნებაც ფრონტზე გაქცევაა. ფრონტზე ფიქრობს ჟენია, როდესაც ცალ ხელში რევოლვერით, მეორეში კი ხმლით სარკესთან დგას. მისი აზრით, კარგი იქნებოდა ასე, ხმლითა და რევოლვერით ხელში, ფოტო გადაეღო და სკოლში ეთქვა, თითქოს მამამ ფრონტზე წაიყვანა და ეს ფოტო იქ გადაიღო. ფრონტზე გაქცევა უნდა თემურის რაზმის წევრს, კოლია კოლოკოლჩიკოვსაც. თუმცა მისი ოცნება აუხდენელია - ფრონტზე პიონერებს არ იღებენ. ეს ამბავი ბიჭებს ერთდროულად აღაშფოთებთ და ანაღვლიანებთ. თუმცაღა ისინი თავიანთი ყოველდღიური საქმიანობით ახერხებენ ამ „დანაკლისის“ კომპენსირებას და ჯარისკაცად თვითიდენტიფიკაციას. მაგალითად, თემური კოლიას ღამე აღვიძებს და დავალებას აძლევს. ამ საქმის შესრულების შემდეგ კოლია ცოტა ხანს დგას ერთ ადგილას, შემდეგ აიღებს ჯოხს, თოფივით დაიჭერს და ამბობს: *„მართლაც, მძიმეა ჯარისკაცის სამსახური: არც დღე, არც ღამე მოსვენება არა მაქვს!“* (გაიდარი 1979:283).

ომის ტრაგიკული მხარე ერთხელ არის ნაწარმოებში წამოწეული და მაშინაც ეს არ არის მხოლოდ ადამიანური უბედურების ასახვა. ეს არის საშუალება, რომელიც, ერთი მხრივ, თემურისა და მისი მეგობრების საქმიანობის მნიშვნელობას უსვამს ხაზს, მეორე

მხრივ კი საბჭოთა სამხედროების დადებით სახეს აყალიბებს. მონაკვეთი შეეხება ახალგაზრდა, ახლად დაქვრივებულ ქალსა და მის პატარა გოგონას. ქმარი - მფრინავი, ბუნებრივია, ბრძოლაში დაიღუპა. თხოვრისას ადამიანური ტკივილიდან აქცენტი გადატანილია გარშემომყოფთა დამოკიდებულებაზე: მონაკვეთი იწყება იმ წერილების აღწერით, რომელსაც ქალს როგორც ნაცნობები, ისე უცნობები უგზავნიან და აგრძნობინებენ, რომ მარტო არ არის. თხოვრის მანძილზე გამოკვეთილია ის ფაქტი, რომ დიდი „საბჭოთა ოჯახის“ წევრები - უცნობებიც და, მით უმეტეს, ნაცნობები - ზრუნავენ ერთმანეთზე. ეს არის ერთგვარი შეპირისპირება ქალის ნათქვამთან, რომ მარტოა - დედა ტაიგაშია, ძმები არმიაში; მთელი მონაკვეთი ამ ნათქვამის უარყოფას ემსახურება: თემური და მისი მეგობრები ცდილობენ ყურადღება მიაქციონ გოგონას, თემურის მიერ დარიგებული ჟენია ეთამაშება და ჩუქნის სათამაშოს, ვიღაცა თემურის რაზმიდან გოგონას დედას ღამით ყვავილებს უტოვებს. ამას მოჰყვება უშუალოდ სამხედროების მიერ გამოხატული მზრუნველობა. როგორც ირკვევა, დაქვრივებულ ქალს თავიდან ყირიმში, სანატორიუმში სთავაზობდნენ წასვლას დასასვენებლად, რაზეც მან უარი თქვა. ამის შემდეგ ქალს ორი მეთაური მფრინავი ეწვევა და ამცნობს, რომ დედამისი ჩამოყავთ ტაიგიდან, რისთვისაც ჯერ სპეციალური თვითმფრინავით ირკუტსკში გადაიყვანეს. გაოგნებულ ქალს კითხვაზე, თუ ვინ ჩაიყვანა ირკუტსკამდე დედა, პასუხობენ - ჩვენმა და თქვენმა ამხანაგებმა.

აღსანიშნავია, რომ დაღუპული წითელარმიელის, მფრინავის ოჯახი განსაკუთრებულ პატივისცემას იმსახურებს ნეგატიური პერსონაჟების მხრიდანაც კი. კვაკინი, რომელიც თემურის მთავარი მოწინააღმდეგეა, ცვლის დამოკიდებულებას საკუთარი მეგობრის - ფიგურას მიმართ და მსუქან ეშმაკს უწოდებს, რადგან მან ფრონტზე დაღუპული ჯარისკაცის ქვრივის ვაშლის ხე გაკრიფა.

ზემოთქმული მაგალითებით მკაფიოდ არის ხაზგასმული საბჭოთა ჯარისკაცის დადებითი ხატი და ის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია „საბჭოთა ოჯახის“ წევრობა - ამ შემთხვევაში ადამიანი მარტო ვერ იქნება.

ნაწარმოებში სამხედრო, ომი და ბრძოლა ყოველდღიურობის ნაწილია, მანქანის ხმაც კი ჭურვის ხმის ასოციაციას იწვევს. მხატვრული თვითმოქმედებაც კი ომის გარშემო ტრიალებს. თემურის ბიძა, გიორგი გარაევი, ინჟინერი და ქარხანასთან არსებული ოპერის წევრია, მონაწილეობს სპექტაკლში. გიორგი მოხუც ხეიბარს თამაშობს, რომელიც ახალგაზრდობაში პარტიზანი იყო. ცხოვრობს საზღვართან ახლოს და სულ ეჩვენება, თუ როგორ ატყუებენ მტრები და საზღვარზე შემოჭრას ცდილობენ. ახალგაზრდა წითელარმიელები კი იცინიან და მორიგეობის შემდეგ ხელბურთს თამაშობენ. ამის გამო მოხუცი პარტიზანი ვერ ისვენებს და სულ მტრები ელანდება. ამ სიუჟეტს შეეხება გიორგის არია, გუნდი კი, რომელიც წითელარმიელებს განასახიერებს, მღერის: „მშვიდად, მოხუცო... მშვიდად!“

იმის გათვალისწინებით, რომ „თემური და მისი რაზმი“ 1940 წელს გამოიცა, ხასანის ბრძოლა,³⁰ რომლის წლისთავსაც ნაწარმოებში აღნიშნავენ, კი 1938 წელს იყო, მოთხრობა 1939 წელს მოიცავს. სავარაუდოდ, გიორგი სამოქალაქო ომის პარტიზანს განასახიერებს, რომელიც თურმე წითელარმიელებს მათი ახალგაზრდობის და მხიარული ხასიათის გამო ვერ ენდობა (განსაკუთრებული და თვალშისაცემი თვისება, თუმცა ეს თვისება იქვე არის ახსნილი მისი ფსიქიკური მდგომარეობითა და მუდმივად სამშობლოზე ფიქრით).

გიორგი გუნდის (წითელარმიელების) მისამღერს - მშვიდად, მოხუცო - განმარტავს: ყველა მეზრძოლი და მეთაური დიდი ხანია თავის ადგილზეა და მოვალეობას ასრულებს, მოხუცს შეუძლია მშვიდად ეძინოს. აქ მნიშვნელოვანი საკითხი იკვეთება - მშვიდად ძილი შესაძლებელია იმიტომ, რომ წითელარმიელები გვიცავენ, და არა იმიტომ, რომ მტერი არ არსებობს. გიორგის ახსნაც ამას მეტყველებს - სამხედროები თავიანთ ადგილებზე არიან და მსახურობენ, მოხუცის შიში მტრის არსებობის შესახებ კი არ არის უარყოფილი. ეს მომენტი ეხმიანება „ჩუკი და გეკის“ დაუკონკრეტებელ მტრის ხატს - მეთაური, რომელიც მუდმივად ელის ვინმესთან ომის დაწყების ბრძანებას.

³⁰ 1938 წელს შეტაკებების სერია საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის.

ხასანის ტბასთან გამარჯვების წლისთავის აღსანიშნავად კარნავალი და კონცერტიც იმართება. ამ მოვლენის მნიშვნელობას ხაზს უსვამს არამარტო ზეიმი, არამედ ზეიმისთვის მზადება (რაც დეტალურად არის აღწერილი ნაწარმოებში. კონცერტის მონაწილეებს შორის გიორგი და ოლგაც არიან (გიორგის მოულოდნელად სთხოვენ და რადგან ასეთი (!) დღეა, ცხადია, უარს ვერ ამბობს). შეასრულებენ მოხუცი პარტიზანის არიას. კონცერტის შემდეგ ცეკვები ეწყობა. მხიარულება და სახალხო სეირნობა მთელი ღამე გრძელდება.

როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს ომი, პირველ რიგში, დაკავშირებულია გმრობასთან და, ამ გმრობიდან გამომდინარე, დიდებასთან. ადამიანური ტრაგედიის შემთხვევაშიც აქცენტი გადატანილია გარდაცვლილის გმრობაზე და ოჯახის მიმართ სხვების (კოლექტივის წევრების) განსაკუთრებულ დამოკიდებულებასა და პატივისცემაზე. სამხედრო პირი, მეზრდოლი კი ცალსახად დადებით სახეს ქმნის.

კვლევაში განხილული შემდეგი ნაწარმოები - ვ. ოსეევას „ვასიოკ ტრუბაჩოვი და მისი ამხანაგები“ (1947-1951) მეზრდოლის ცალკე ტიპს აყალიბებს: კომკავშირელი-მეზრდოლი. ამ ბმში კომკავშირელის სტატუსს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ტრილოგიის მეორე და მესამე ნაწილები ომის პერიოდს მოიცავს, შესაბამისად, ბრძოლის მიმდინარეობის აღწერა ნაწარმოების შინაარსის ორგანული ნაწილია. ბრძოლაში სიმამაცითა და გმრობით კი სწორედ კომკავშირლები გამოირჩევიან.

პირველი ასეთი პერსონაჟი პიონერხელმძღვანელი მიტია ბურცევია. ნაწარმოების დასაწყისში ის პიონერებზე მზრუნველი პიონერხელმძღვანელია. ომის ეპიცენტრში მოხვედრის შემდეგ კი ის პარტიზანად გარდაიქმნება: სოფლის დაპყრობის შემდეგ, ფაშისტები დაჭრილ წითელარმიელებს აპატიმრებენ. მიჰყავთ მიტიაც, რადგან მასაც წითელარმიელად ჩათვლიან. ბუნებრივია, მიტია ახერხებს ფაშისტებისგან გაქცევას და უკრაინელი პარტიზანების რაზმს უერთდება. სწორედ პარტიზანების დახმარებით დააბრუნებენ უკრაინაში დარჩენილ პიონერებს სახლში. თუმცა მიტია არ მიჰყვება თავის პიონერებს და პარტიზანებთან ერთად განაგრძობს ბრძოლას. ტრილოგიის მესამე

ნაწილში ის უკვე გამოცდილი მებრძოლია. მისი შემდგომი ბედი უკრაინიდან მიღებული ორი წერილიდან ირკვევა.

პირველი წერილი მიტიას სიმამაცის ამბავს აღწერს: თანამებრძოლების გადასარჩენად მიტია მარტო ებრძვის მტერს, ჯერ ყუმბარებით, შემდეგ კი ხმლით. ბოლოს, მძიმედ დაჭრილს, ცხენი გაიყვანს ბრძოლის ველიდან. წერილის ბოლოს მიტია კომკავშირულ სალამს უგზავნის თავის პიონერებს. მეორე წერილიდან ვასიოკი და მისი მეგობრები იგებენ, რომ მიტია გადარჩა და გამოჯანმრთელების გზას ადგას. ამაში ეჭვი რომ არავის შეჰპარვოდა, მიტია კვლავ კომკავშირულ სალამს უგზავნით და საკუთარი ხელით წერს ინიციალებს - მ. ბ.

საინტერესოა, რომ თვითონ ნაწარმოებშივე არის გამოხატული კომკავშირელი-მებრძოლის ხატის მნიშვნელობაც და ძლიერი ზეგავლენაც: ბავშვები მიტიას მშობლებს წერენ წერილს და შვილის მდგომარეობას ატყობინებენ. წერილის ბოლოს ვასიოკი სახელის სრულად დაწერის ნაცვლად მხოლოდ ინიციალებს დასვამს - ვ. ტ. ასევე მოიქცევა მისი ყველა ამხანაგი. ნათელია, რომ პიონერებისთვის მებრძოლი, პარტიზანი და კომკავშირელი მიტია ბურცევი უკვე მიბადვის ობიექტია, ქცევის ნიმუში. ნაწარმოების ბოლოს მიტია ბურცევი უკვე მაიორია და მისი ხსენებისას, ჩამოთვლილია „ყოფილმა პიონერხელმძღვანელმა, სამამულო ომის პარტიზანმა, საბჭოთა კავშირის გმირმა მიტია ბურცევმა“ (ოსეევა 1953:342). ამ რამდენიმე სიტყვით ჩამოყალიბებულია ის ნიმუში, რისკენაც თითოეული პიონერი (შესაბამისად, მკითხველი) უნდა ისწრაფოდეს - დახატულია ჰოფსტედეს კულტურული გმირი.

კომკავშირელის მებრძოლად გარდაქმნის პროცესს (შესაბამისად, კულტურული გმირის კონსტრუირებას) ასახავს შემდეგი მონაკვეთიც: გეოგრაფიის ყოველი გაკვეთილის შემდეგ კომკავშირელი-პიონერხელმძღვანელი კოსტია ბავშვებს გაზეთს უკითხავს და რუკაზე აჩვენებს იმ ადგილებს, სადაც ბრძოლა მიმდინარეობს. ასე წაიკითხავენ ახალგაზრდა პარტიზანი ქალის გმრობაზე (რომელიც ზოია კოსმოდემიანსკაია³¹

³¹ კოსმოდემიანსკაია ზოია - (1923-1941 წ.წ.) საბჭოთა პარტიზანი ქალიშვილი, საბჭოთა კავშირის გმირი; ჩამოაზრცვეს გერმანელებმა 1941 წლის 29 ნოემბერს.

აღმოჩნდება). მისი სიმამაცე, შეუდრეკელი ხასიათი და მტრის არად ჩაგდება გააოგნებს ბავშვებს: „*უსმენდნენ კოსტია და ყოველ მათგანს გონებაში თავი ამ გმირი გოგონას ადგილზე წარმოედგინა, თითოეულს უნდოდა მის გვერდით ყოფნა, მისი დაცვა, მასთან ერთად ბოლომდე ბრძოლა*“ (ოსეევა 1953:53). ეს ამბავი ბავშვებზე მეტად კოსტიაზე მოქმედებს, აღარც გაკვეთილები ახსოვს და აღარც პიონერები. საბოლოოდ, ეს ამბავი უბიძგებს ბიჭს, თვითონაც წავიდეს ფრონტზე საომრად. საყურადღებოა, რომ მოქმედებისკენ უბიძგებს პარტიზანი ქალი, ანუ მეზობლი-კომკავშირელის სახე ერთნაირად მოიცავდა ქალსაც და კაცსაც. ამ შემთხვევაში წარმართველი არის არა გენდერი, არამედ სტატუსი - კომკავშირელი. ამასვე ადასტურებს ზემოთგანხილული კომკავშირელი პარტიზანი გოგონების (ტანია, მარინა ივანოვნა) არსებობა ნაწარმოებში.

ნ. ნაკაშიძის „*მოწაფის დღიურში*“ (1954) კულტურული გმირის გამოკვეთას არ ეთმობა იმდენი ყურადღება, როგორც ზემოთგანხილულ ნაწარმოებებში. მიუხედავად ამისა, წითელარმიელი ამ შემთხვევაშიც განსაკუთრებულ მეზობლს ნიშნავს, ანუ ზოგადად დადებითი ხატი შენარჩუნებულია.

წითელარმიელებისა და საბჭოთა კავშირის განდიდება კონკრეტული ამბის გადმოცემით ხდება: ალიკოს ბიძა, ელიზბარი ყვება, თუ როგორ ებრძოდა მტერს ორ ჯარისკაცთან ერთად. ტყვიები გამოელევათ, ამიტომ ელიზბარი მოუწოდებს თანამეზობლებს, ტყვიები დაზოგონ, რადგან „*თქვენმა ტყვიებმა მტერს სამუდამოდ უნდა დაუკარგოს ჩვენთან ბრძოლის უნარი. ამას მოითხოვს ჩვენგან ჩვენი სოციალისტური სამშობლო, ჩვენი პარტია. - ჩვენ მზად ვართ, ამხანაგო უფროსო, დავიცვათ ჩვენი სამშობლო უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ჩვენი საკუთარი მკერდით. დეე, იცოდეს ჩვენმა საყვარელმა სამშობლომ, მტერს არ გავახარებთ, ზურგს არ ვაჩვენებთ*“ (ნაკაშიძე 1957:147).

ელიზბარის თანამეზობლები დაილუპებიან, ელიზბარი მძიმედ დაიჭრება. გონზე პატარა ბიჭი მოიყვანს, რომლის სიტყვებითაც დედამისი აღარ იღვიძებს. ბრძოლა წითელარმიელების გამოჩენით მთავრდება. მათი დანახვით შეშინებული მტერი ყვირის: „*წითლების კავალერია, თავს უშველეთ!*“ (ნაკაშიძე 1957:149).

მოყვანილი ციტატები ერთდროულად შეეხება: 1. წითელარმიელის თავგანწირვას სოციალისტური სამშობლოსა და პარტიისთვის. 2. წითელი არმიის ძალას - მტერი შებრძოლებას აღარ ცდილობს, შეშინებული გარბის. 3. საყურადღებოა ქართველის მიერ ჩვენ ჯგუფისა და სამშობლოს განსაზღვრა - იდენტიფიკაცია ხდება საბჭოთა კავშირთან მიმართებაში.

გადარჩენის შემდეგ ბავშვი ელიზბარს აღარ შორდება, ლაზარეთშიც მის გვერდზეა. მასაც ჩააცმევენ წითელარმიელის სამოსს. როდესაც ელიზბარს ორდენზე წარადგენენ, ბიჭიც მიჰყვება. ელიზბარი გენერალს სთხოვს ბიჭის წაყვანის უფლება მისცეს, რაზეც გენერალი პასუხობს, რომ საბჭოთა საბავშვო სახლში ბავშვს უკეთესად აღზრდიან. *„მე წავიყვან მას და გავზრდი ნამდვილ საბჭოთა მოქალაქედ,“* ამბობს ელიზბარი (ნაკაშიძე 1957:150). ასე ჩამოჰყავს ელიზბარს ბავშვი საქართველოში. მძინარე ბიჭის ყურებისას ალიკოს დედა ამბობს: *„რა უდარდელად სძინავს. არაფერი ომის საშინელებისა აღარ ახსოვს, გაიზრდება და თავის მშობელიც შენ ეგონები“* (ნაკაშიძე 1957:151).

ბავშვისა და წითელარმიელის მონაკვეთი საინტერესო ამბავს გადმოსცემს: მიმდინარეობს ბრძოლა წითელარმიელებსა და მტერს (დიდი ალბათობით თეთრფინელებს) შორის. ბავშვი, რომელიც, კონტექსტიდან გამომდინარე, ადგილობრივია, დასახმარებლად წითელარმიელს - უცხოს მიმართავს, რომლისგანაც აღწერილ სიტუაციაში უნდა იმალებოდეს. ანუ მტერი, რომლის წინააღმდეგაც იბრძვის წითელი არმია, ისეთი საშინელია, რომ საკუთარ მოსახლეობასაც (მათ შორის ბავშვებს) არ ინდობს და ბავშვიც უცხოს სთხოვს დახმარებას. მოცემულ შემთხვევაშიც ყალიბდება წითელარმიელის და მასთან ერთად საბჭოთა კავშირის, როგორც გამათავისუფლებელის სახე.

საყურადღებოა გაგრძელება, რომ ბავშვისთვის საბჭოთა ბავშვთა სახლში ცხოვრებაც კი უკეთესია, ვიდრე, სავარაუდოდ ფინეთში დარჩენა. ისიც ნამდვილ საბჭოთა მოქალაქედ უნდა აღიზარდოს. ასევე ალიკოს დედის ნათქვამი - გაიზრდება და მშობელიც შენ ეგონები. ანუ ბავშვს, ომის საშინელებასთან ერთად, დედაც უნდა დაავიწყდეს და თავისი წარმომავლობაც.

ამრიგად, მართალია, „მოწაფის დღიური“ მკაფიოდ არ გამოკვეთს კულტურულ გმირს, მაგრამ წითელარმიელი კვლავ ცალსახად დადებითი პერსონაჟია. აღნიშნული მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც კვლევაში განხილულ შემდეგ ნაწარმოებებში დამოკიდებულება ჯარისკაცისა და ზოგადად სამხედროს მიმართ ნელ-ნელა იცვლება.

ამ მხრივ საყურადღებოა ლ. მრელაშვილის „იყალბოე ბიჭები“ (1957). ნაწარმოებში ჯარისკაცი, მართალია, მისაბამ სახეს წარმოადგენს, მაგრამ კლებულობს ინტენსივობა, მთელი სიუჟეტის განმავლობაში იგი მხოლოდ რამდენჯერმეა ნახსენები. *„აქ გადმოსვლაზე შემინდი - შენ როგორი ჯარისკაცი იქნები? სუვოროვს კი გულადები უყვარდა. (...) ასეთ ღამეში და წვიმაში გაგიჟებულ ცხენს დააჭენებდა, თივაში იძინებდა, ცივ წყალში ბანაობდა და რას არ აკეთებდა. შენ კი მაგოდენა ხეზე გავლისა შეგეშინდა“* (მრელაშვილი 1960:196) და *„ფრთხილად და გაბედულად! ვაჟკაცები უყვარდა სუვოროვს!“* (მრელაშვილი 1960:246).

როგორც მოყვანილი ციტატები ცხადყოფს, აქ არ არის რომელიმე საგმირო ამბის საშუალებით საბჭოთა ჯარისკაცის განდიდება. ამ შემთხვევაში ჯარისკაცის საშუალებით ხაზგასმულია გულადობა და გამბედაობა. თუმცაღა, მსგავსი შედარებები და მაგალითები ნაწარმოებში აღარ გვხვდება, რის გამოც კულტურული გმირის ჩამოყალიბებაზე ვერ ვისაუბრებთ.

ნაწარმოებში „ბორკა, მე და უჩინმაჩინი“ (ი. ტომინი 1962) ერთი განსხვავებული და გასათვალისწინებელი პერსონაჟია - ყოფილი პოდპოლკოვნიკი (ქართულ თარგმანში - პოლკოვნიკი). ეს არის განსაკუთრებული შემთხვევა, როდესაც ჯარისკაცი დადებით სახეს არ ქმნის. ის კოსტიას მეგობრის, ბორისის მეზობელია, ბიჭები მას „ზედამხედველს“ ეძახიან. ის ძალიან მკაცრი, შარიანი და უხასიათო კაცია. ამ პერსონაჟის პირველივე მოქმედება უსიამოვნებას უკავშირდება: ბორისთან სტუმრად მისული კოსტია ხმამაღლა გაიცინებს, რის გამოც „ზედამხედველი“ შეუვარდება ოთახში და გაჩუმებას მოსთხოვს, რადგან მუშაობაში ხელი ეშლება. კოსტია არ თმობს სიცილის უფლებას, აღმფოთებული „ზედამხედველი“ კი მილიციაში რეკავს. ბიჭები მილიციის მისვლამდე სასეირნოდ მიდიან. ის ფაქტი, რომ პიონერი არათუ მორჩილებას არ გამოხატავს, არამედ

ეწინააღმდეგება და ეპასუხება ასაკითა და სტატუსით უფროსს, ფასეულობათა სისტემაში არსებულ მნიშვნელოვან ცვლილებაზე მიუთითებს.

„ზედამხედველი“ თვალყურს ადევნებს მთელ სახლში წესრიგის დაცვას და ხშირად ჩხუბობს მეუზოვეებთან. თავისუფალ დროს კი ბავშვებისთვის ლექსებს წერს და აგზავნის ჟურნალ-გაზეთებში („კომსომოლსკაია პრავდა“, „პიონერსკაია პრავდა“ და სხვ.), თუმცა ლექსებს არ უბეჭდავენ, რაც ყოფილ პოდპოლკოვნიკს საშინლად სწყინს, რადგან ბავშვების აღზრდა სურს. რედაქციებში ცდილობენ მასთან შეხვედრა თავიდან აირიდონ, ერთმანეთს აფრთხილებენ, რომ მისგან დამალვა მოასწრონ. ნაწარმოებში „ზედამხედველის“ ლექსიც არის, რომელიც პიონერებს ეხება. ლექსი იწყება თავუნია პეტიას ამბით, რომელიც გალიაში ცხოვრობდა და ბავშვებს ძალიან უყვარდათ. მაგრამ თავუნია ძალიან გაუგონარი იყო, დისციპლინას არ ემორჩილებოდა. გავიდა გალიიდან და პირდაპირ კატას ჩაუვარდა თათებში. ლექსის ბოლო სტროფში „ზედამხედველი“ პიონერებს მიმართავს, რომ თუ დიდხანს სიცოცხლე უნდათ, გალიიდან არ უნდა გავიდნენ³² (ტომინი 1964:113).

რედაქტორი არ თანხმდება პიონერების გალიაში ყოფნის აზრს. „ზედამხედველი“ უხსნის, რომ გალია გადატანითი მნიშვნელობით არის ნათქვამი და სინამდვილეში დისციპლინა იგულისხმება, რადგან არ შეიძლება დაუშვებელი (აკრძალული) საქციელის ჩადენა. რედაქტორი ამაში ეთანხმება, მაგრამ ლექსის დაბეჭდვაზე მაინც უარს ეუბნება. საწინააღმდეგო არგუმენტად „ზედამხედველი“ ჩუკოვსკის³³ ლექსს ციტირებს და კითხულობს, სად უნახავთ სპილო ტელეფონით სარგებლობდეს? ან თუ იაზრებენ, რა შეიძლება მოხდეს, თუკი პიონერები დაიჯერებენ და კალოშების ჭამას დაიწყებენ?! ამხანაგ ჩუკოვსკის ყოველგვარ გამონაგონს უბეჭდავენ, დისციპლინაზე ლექსებს კი დასაბეჭდად არ იღებენ. „ზედამხედველი“ ცენტრალურ კომიტეტში ჩივილით ემუქრება რედაქტორს და გაბრაზებული ახლა სხვა რედაქციაში გარბის. როგორც განხილული

³² „ისწავლეთ, პიონერებო, / უთხარით ეზოს ბავშვებს: / თუ დიდხანს გინდათ იცოცხლოთ, / ნუ გასცილდებით გალიის კარებს“ (ტომინი 1964:113).

³³ ჩუკოვსკი კორნეი - (1888-1969წწ.) (ნამდვილი გვარი კორნეიჩუკოვი) - რუსი მწერალი.

მონაკვეთებიდან ჩანს, ყოფილი (პოდ)პოლკოვნიკი არ წარმოადგენს დადებით, სანიმუშო სახეს. მისი სახით ახირებული პერსონაჟია მოცემული, და რაც მთავარია, ის არამხოლოდ ბავშვებს, არამედ უფროსებსაც არ უყვართ.

განსაკუთრებით საყურადღებოა დამოკიდებულება მორჩილებისადმი. მორჩილება ადრეც გამოხატული იყო, როგორც მნიშვნელოვანი და აუცილებელი თვისება. მაგრამ წინა შემთხვევებში ეს თვისება მჭიდროდ იყო დაკავშირებული სამხედრო სამსახურთან და მეთაურის ბრძანების შესრულებასთან, რაც დადებითი კუთხით აღიქმებოდა. ამჯერად მორჩილება დაკავშირებულია დისციპლინასთან (რომელსაც პიონერებისგან მოითხოვს), რაც გადატანითი მნიშვნელობით გალიაში ჯდომით გამოიხატება. ამას მოჰყვება უცნაური შედარება - თუ დიდხანს სიცოცხლე გსურს, გალიიდან არ გამოხვიდე. ანუ თუ დიდხანს სიცოცხლე გსურს, იყავი დისციპლინირებული (მორჩილი). მსგავსი შედარება საბჭოთა კავშირის შემთხვევაში სრულიად სხვა ასოციაციებს აჩენს. აღნიშნული თვისებაც უკვე აღარ აღიქმება ცალსახა და უპირობო დადებით მახასიათებლად, რაც კულტურის ფასეულობებში მცირე ცვლილებებზე მიანიშნებს.

ცხადია, ეს აზრი მხოლოდ უცნაურ, არასერიოზულად აღქმულ პერსონაჟს შეიძლება ეთქვა. პოდპოლკოვნიკის (თუნდაც ყოფილის) ასეთი აღწერილობა სრულიად არ შეესაბამება საბჭოთა ჯარისკაცის ხატს. იმის გათვალისწინებით, რომ ჯარისკაცი, სამხედრო პირი უმთავრესად კულტურულ გმირს განასახიერებდა, ეს ცვლილება მით უფრო თვალშისაცემი და საყურადღებოა.

ნაწარმოებში „როცა მთავრდება ბავშვობა“ (1962, ალ. ჩხაიძე) უმთავრესი საკითხი სწორედ კულტურული გმირის ხატის ჩამოყალიბებაა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კულტურული გმირის ფორმირება მხოლოდ ჯარისკაცისგან, სამხედრო პირისგან აღარ ხდება. ნაწარმოებში შემოდის ახალი ცნება - შრომის გმირი. აქედან გამომდინარე, მოცემული ნაწარმოების ფარგლებში ცნება „გმირი“ ორი მნიშვნელობით გამოიყენება: 1. კულტურული გმირი და 2. ომის გმირი/შრომის გმირი (ნაწარმოებში დასახელებულია კონკრეტული ადამიანები, მათ შორის რეალურად არსებულიც). სწორედ ომის ან შრომის გმირი ხდება ის მისაბამი მაგალითი, რომლისგანაც შემდგომ კულტურული გმირი

ყალიბდება. განსაკუთრებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ გმირი, როგორც ხატი, არ არის სტატიკური, სიუჟეტის განვითარებასთან ერთად ის იცვლება. ასევე აღსანიშნავია, რომ ეს ცვლილება გამოიხატება ერთი პერსონაჟის საშუალებით, რომელიც მთელი ნაწარმოების განმავლობაში წარმოადგენს გმირის ხატსა და მისაბამ მაგალითს ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟისთვის, თამაზისთვის. ეს განვითარებადი და სახეცვლილების შემძლე გმირი შალვა კახიანია.

თავიდანვე თამაზი სწორებას ახდენს არა თანატოლებზე, არამედ ზოია კოსმოდემიანსკაიასა და ალექსანდრ მატროსოვზე. მოგვიანებით კი თამაზი ბების ოთახში შემთხვევით გადააწყდება ომისდროინდელ გაზეთებს. ერთ გვერდზე თორმეტი წლის პარტიზანის - შალვა კახიანის სურათია - ბიჭი ჯარისკაცის ქუდით, ხაკისფერ პერანგზე კი წითელი ვარსკვლავის ორდენითა და მედლით. თამაზის მამაც ნამყოფია სამამულო ომში, და შვილს უდასტურებს, რომ მისი ტოლი (12 წლის) ბიჭებიც ნამდვილად იყვნენ ომში და გასაოცარ სიმამაცესა და მოხერხებულობას იჩენდნენ. ეს კიდევ უფრო აძლიერებს სამხედროს, როგორც მისაბამ ხატს თამაზისთვის. თამაზი გაზეთიდან ამოჭრის შალვა კახიანის სურათს და საიდუმლოდ შეინახავს. ორი წლის შემდეგაც კი თავი მასზე უმცროსად მიაჩნია, რადგან შალვა კახიანი ნამდვილი გმირია. თუმცა თამაზს *„ერთი რამ კი სჯეროდა მტკიცედ, ახლა რომ ომი იყოს, ალბათ მეც ასეთი ვიქნებოდიო“* (ჩხაიძე 1965:38), თამაზი იმდენად არის მოცული გმირობასა და კახიანზე ფიქრებით, რომ უკვე სიზმრადაც ხედავს, თითქოს თვითონ არის შალვა კახიანი. თამაზი სიზმარში საბრძოლო დავალებასაც იღებს ჩაპაევისგან და ფაშისტების შტაბშიც შეაღწევს.

როგორც მოცემული მონაკვეთებიდან გამომდინარეობს, ჯარისკაცი, როგორც გარკვეული სტატუსი, ჯერ ინარჩუნებს კულტურული გმირის მდგომარეობას, მაგრამ შინაარსის შემდგომ განვითარებასთან ერთად მისი ნაწილობრივი ჩანაცვლება ხდება.

კულტურული გმირის სახეში ცვლილება იკვეთება, როდესაც თამაზი ხელმეორედ გადააწყდება შალვა კახიანის ფოტოს გაზეთში. თამაზს სტატიის სათაური აოცებს: *„შალვა კახიანი ბრძოლისა და შრომის ფრონტზე“* (ჩხაიძე 1965:169). როგორც სტატიიდან ირკვევა, შალვა კახიანი რუსთავის მეტალურგიულ კომბინატში მუშაობს

მეფოლადედ. მან ფოლადის დნობის რეკორდულ მაჩვენებლებს მიაღწია და მისი წამოწყება ფართოდ ინერგება წარმოებაში. „*მთავრობამ ღირსეულად აღნიშნა ნოვატორის შრომითი მამაცობა, - ჯერ კიდევ ბავშვობისას, დიდ სამამულო ომში მიღებული ორდენისა და მედლის გვერდით მისი მკერდი შრომის ფრონტზე მოპოვებულმა შრომის წითელი დროშის ორდენმა დაამშვენა*“ (ჩხაიძე 1965:170).

ზემოთ მოყვანილი მონაკვეთის მიხედვით, ცვლილება გმირის სახეში მხოლოდ თამაზის პერსონაჟის საშუალებით არ არის გამოკვეთილი. სამხედრო და შრომითი გმრობას ერთ სიბრტყეში განიხილავს სტატიის სათაურიც და ტექსტიც. სათაური პირდაპირ გამოხატავს დამოკიდებულებას - „ბრძოლის და შრომის ფრონტზე“, ხოლო ტექსტში ამ ფუნქციას მედალი და ორდენები, მათი თანამიმდევრობით განლაგება ასრულებს.

მნიშვნელოვანი ცვლილება შეეხება ომის ხატსაც. ნაწარმოებში ეს საკითხი სწავლისა და გმრობის ცნებებთან მიმართებაში განიხილება. მეგობარ ზალიკასთან საუბრისას თამაზი მოულოდნელ კითხვას სვამს - ომი კიდევ იქნება? ზალიკას აზრით, არა. თამაზი უსიამოვნებას იხსენებს, რომელიც რაზმეულის შეკრებაზე შეემთხვა საკუთარი აზრის გამო: ახლა რომ ომი იყოს, ჩვენც ჩავიდენდით გმრობასო. „*ჩვენი პიონერხელმძღვანელი კინალამ გადაირია მაშინ. (...) თამაზ მინდაძე ომის მომხრეაო. მთელი მსოფლიო მშვიდობისთვის იბრძვის, ეს კი ომზე ოცნებობს, რომ გმრობა ჩაიდინოსო; თითქოს სწავლით არ შეიძლება თავის გამოჩენაო*“ (ჩხაიძე 1965:55).

მიუხედავად ამ უსიამოვნებისა, თამაზი არ თმობს თავის მოსაზრებას: „*მაშინ მე მართალი ვიყავი. განა არ ვიცი, რომ ომი უბედურებაა! ჯერ მარტო ჩვენს სკოლაში რამდენი მოსწავლის მამა და ძმა დაიღუპა ომში. მაგრამ, ისიც ხომ მართალია, ომი რომ არ ყოფილიყო, არც ზოია იქნებოდა, არც გასტელო³⁴ და არც ახალგაზრდა გვარდიელები³⁵*“ (ჩხაიძე 1965:55). ანუ, თამაზის აზრით, მიუხედავად ყველა უბედურებისა, ომი გმირის შექმნისთვის აუცილებლობას წარმოადგენს. დროთა განმავლობაში ჩამოყალიბებული

³⁴ გასტელო ნიკოლოზ (1908-1941) მფრინავი, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, საბჭოთა კავშირის გმირი.

³⁵ ანტიფაშისტური იატაკქვეშა კომკავშირული ორგანიზაცია.

კულტურული გმირის სახე - სამხედრო, ჯარისკაცი, ომის გმირი - გარკვეულ დონეზე დაშორდა არსებულ თაობას, საკრალიზაცდა, თუმცა მისკენ სწრაფვა გართულდა. როგორც უკვე იყო აღნიშნული, ჰოფსტედეს მიხედვით, კულტურული გმირი თავის თავში მოიაზრებს ადამიანებს, ცოცხალს ან გარდაცვლილს, რეალურს ან წარმოსახვითს, რომელთა მახასიათებლებიც მოცემულ კულტურაში ფასობს და მისაბამად ითვლება (ჰოფსტედე 2011:16). აქედან გამომდინარე, უკვე ფორმირებული კულტურული გმირი ხშირად რეალურ, გარდაცვლილ ადამიანებს ეყრდნობა, რომელთაც სამხედრო გმრობა ჩაიდინეს. მათი ადამიანური, პიროვნული თვისებების მნიშვნელობა შენარჩუნდა, რადგან სიმამაცე, თავგანწირვა, სამშობლოსთვის და ხალხისთვის თავდადება და ა.შ. ძალიან ზოგადი, დროსგან დამოუკიდებელად არსებული თვისებებია. ამიტომ ფასეულობების დონეზე კულტურული გმირის სახე უცვლელად დარჩა. მაგრამ ამ გმირების მიბამვა გართულებულია, რადგან შეიცვალა გარემო, საბრძოლო მდგომარეობა ჩანაცვლა მშვიდობიანმა პერიოდმა. ამ თემაზე ავტორი მხოლოდ თამაზისა და ზალიკას პერსონაჟების საშუალებით არ მსჯელობს. თინა (თამაზისა და ზალიკას კლასის დამრიგებელი) აწყობს შეხვედრას „ჩვენი დროის გმირი“. შეკრების მიზანია იმის გარკვევა, თუ როგორი უნდა იყოს თანამედროვე საზოგადოების მოწინავე ადამიანი, ანუ, როგორც თვითონ უწოდებს, „ჩვენი დროის გმირი“. საკითხი დიდ ინტერესს გამოიწვევს და დარბაზი სკოლის მოსწავლეებით გადაივსება. პირველი მომხსენებელი, ბადური კლასიკოსთა ნაწარმოებებით იწყებს განხილვას, ხოლო „შემდეგ თანადროულობას დაუახლოვდა, მაგრამ დიდ სამამულო ომს მაინც ვერ გასცდა. სამაგიეროდ, სამამულო ომზე იმდენი რამ ჰქონდა წაკითხული, რომ ძალზე შორს შესტოპა და, ვინ იცის, როდის დაამთავრებდა, რომელიღაც მოსწავლეს დარბაზიდან რომ არ წამოეძახა, რეგლამენტიო“ (ჩხაიძე 1965:142). შემდეგი გამომსვლელი, გურამი აზუსტებს, რომ „...სხვადასხვა დროს სამშობლო სხვადასხვანაირ გმრობას მოითხოვს; ომში - მტერთან შეურიგებლობას, მამაცობას, თავგანწირვას; დღეს - გმირულ შრომას; მოსწავლეებისგან - წარჩინებულ სწავლას“ (ჩხაიძე 1965:142-143). ჰამლეტ ბეგიშვილის კი გმრობის თავისებურ გაგებას სთავაზობს მსმენელს. მისი აზრით, ყველას არ შეუძლია საგმირო საქმის ჩადენა.

მაგალითად მოჰყავს წიგნი, რომელშიც ერთ კარგ კაცს აწამებენ, რომ გასცეს საიდუმლოება. ის პატიოსანი კაცი იყო და არ უნდოდა გაეცა ამხანაგები, მაგრამ წამებას ვერ გაუძლო. ჰამლეტი ყვება, თუ როგორ აწამებენ იმ კაცს და ასკვნის: „ჰო, მე ის მინდოდა მეთქვა, რომ ყველა გმირი ხომ არ იქნება! მღვდელი თევდორე, რომელმაც გზა დაუბნია შემოსულ მტერს, ივანე სუსანიანიც... ქეთევან წამებული, სამამულო ომის გმირები: ზოია, ოლეგი, გასტელიო განსაკუთრებული ადამიანები იყვნენ, ისინი ასეთები დაიბადნენ...

ვილცამ მერვე პირველი კლასიდან დაცინვით შეაწყვეტინა: -აკვანშიც გმირები იყვნენ!“ (ჩხაიძე 1965:144).

თამაზი ამ საუბარშიც ერთვება: „რას ერჩით ჰამლეტ ბეგიშვილს, - დამცინავად ჩაიღიმა მან, - აკი გურამმა თქვა, მოსწავლისთვის გმირობა ხუთებზე სწავლააო; ჰამლეტი ხომ კარგად სწავლობს! ესე იგი, გმირიც ყოფილა“ (ჩხაიძე 1965:144).

ზემოთმოყვანილ მონაკვეთებში დიდ სამამულო ომთან, როგორც იდენტობის მნიშვნელოვან მსაზღვრელთან დაკავშირებით, რამდენიმე საინტერესო საკითხი იკვეთება. პირველ რიგში, დიდი სამამულო ომი და თანამედროვეობა ერთმანეთისგან უკვე დისტანცირებულია. იგულისხმება არა დროის, არამედ თანამედროვე ყოველდღიურ ცხოვრებაში მისი ჩართულობის, დატვირთვის მხრივ. ეს იგრძნობა ცალკეულ ფრაზებში: 1. „დიდ სამამულო ომს მაინც ვერ გასცდა.“ 2. „სამამულო ომზე იმდენი რამ ჰქონდა წაკითხული, რომ ძალზე შორს შესტოპა“. 3. „და, ვინ იცის, როდის დაამთავრებდა, რომელიღაც მოსწავლეს დარბაზიდან რომ არ წამოეძახა, რეგლამენტიო“. ანუ, მიუხედავად მნიშვნელობის შენარჩუნებისა, მხოლოდ ომზე საუბარი აღარ არის საკმარისი, საჭიროა სხვა ახალი, უფრო „თანადროული“ თემებიც. და ომის შესახებ დიდხანს საუბარი შესაძლოა ვილცისთვის მოსაბეზრებელიც კი გახდეს.

ეს აზრი გრძელდება მომდევნო გამომსვლელის სიტყვაშიც, რომელშიც აქცენტირებულია: „...სხვადასხვა დროს სამშობლო სხვადასხვანაირ გმირობას მოითხოვს,“ ანუ იკვეთება ზღვარი წარსულსა და აწმყოს შორის, ომი აღარ არის ყოველდღიური ცხოვრების ბუნებრივი, მუდმივი ნაწილი; გამომსვლელი კიდევ აკონკრეტებს: „ომში - მტერთან მეურთიგებლობას, მამაცობას, თავგანწირვას; დღეს - გმირულ შრომას; მოსწავლეებისგან -

წარჩინებულ სწავლას.“ ანუ თამაზის შეხედულება გმრობასთან დაკავშირებით (მხოლოდ საბრძოლო გმრობა ითვლება ნამდვილ გმრობად) არ არის გაზიარებული მისი თანატოლების მხრიდან. ამის ნაცვლად, იწყება ომში გმრობის არსის გადახედვა. სიახლეა ის აზრი, რომ გმრობა ყველას არ მოეთხოვება. წამების შემთხვევაში კარგმა და პატიოსანმა ადამიანმა, შესაძლოა, გასცეს ამხანაგები. ეს აზრი უკვე მნიშვნელოვან ცვლილებას წარმოადგენს და უპირისპირდება ბინარულ აღქმას კარგი-ცუდი ადამიანი (წამებას ვერ გაუძლო და გასცა ამხანაგები - მოღალატეა. ნამდვილი საბჭოთა ადამიანი, არა მხოლოდ სამხედრო, არამედ მოსწავლე, მასწავლებელი, ყველა უნდა უძლებდეს წამებას და არ გასცემდეს საიდუმლოს). საყურადღებოა ჰამლეტის მიერ ჩამოთვლილი გმირები: ქართველი გმირებიდან (მღვდელი თევდორე, ქეთევან წამებული) ორივე რელიგიას უკავშირდება, რაც ძალიან საინტერესოა. თუკი საქმე მხოლოდ ფიზიკური ტანჯვის გაძლებას ეხება, შეიძლებოდა სხვა მაგალითების მოყვანაც. მღვდელი თევდორესა და ივანე სუსანიანის ერთად მოხსენიება არ არის გასაკვირი, რადგან ეს ორი შემთხვევა მსგავს გმირულ ქმედებას (მტრისთვის გზის ახნევას) გულისხმობს. მაგრამ ქეთევან წამებულისა და სამამულო ომის გმირების (ზოია, ოლეგი, გასტელო) ერთმანეთის მიყოლებით დასახელება საინტერესო აქცენტს სვამს. იმის გათვალისწინებით, რომ ქეთევან დედოფალი სარწმუნოების გამო აწამეს და წმინდანად არის შერაცხული, უცნაურია მისი მოხვედრა ზემოთ მოცემულ ჩამონათვალში. სავარაუდოდ, ეს თანამიმდევრობა გამოხატავს იმ საკრალიზაციის პროცესს, რომელიც დიდ სამამულო ომს შეეხო; ზოია, ოლეგი და გასტელო საბჭოთა „წმინდანების“ რანგს შეუერთდნენ. ეს საკრალურობა მკითხველისთვისაც აღქმადი უნდა ყოფილიყო. ამით შეიძლება აიხსნას მათი და ქეთევან წამებულის გვერდიგვერდ დასახელება. წინადადების დასასრულიც: „განსაკუთრებული ადამიანები იყვნენ, ისინი ასეთები დაიბადნენ...“ ამ ადამიანების ერთ სიბრტყეში გააზრებას ემსახურება. საყურადღებოა შენიშვნაც - „აკვანშიც გმირები იყვნენ!“, თანაც ხაზგასმულია, რომ ეს ფრაზა დაცინვით იყო ნათქვამი. ანუ მოსწავლეები ბედავენ და სამამულო ომის გმირებს სახუმარო და დამცინავ კონტექსტშიც ახსენებენ. გასაგებია, რომ ეს დაცინვა პირველ რიგში ერთმანეთის წინააღმდეგ არის მიმართული,

მაგრამ ეს მაინც ზოგადად კულტურული გმირის (თუნდაც ნაწილობრივ) ცვლილებაზე მიუთითებს. ამას ემატება განსჯა შრომისა და სწავლის კუთხით გმირობებზე. თუმცა ეს ასე არ ხდება თამაზთან. პირიქით, ის ამ საკითხებიდან ერთ-ერთს (სწავლას) იყენებს გამომსვლელების დასაცინად: „აკი გურამმა თქვა, მოსწავლისთვის გმირობა ხუთებზე სწავლააო; ჰამლეტი ხომ კარგად სწავლობს! ესე იგი, გმირიც ყოფილა.“ აღსანიშნავია, რომ ეს ფრაზა დარბაზში ცხარე კამათსა და უსიამოვნებას გამოიწვევს. მოჰყავთ პავკა კორჩაგინის³⁶ მაგალითი, რომელიც თამბაქოს ეწეოდა და ჩხუბობდა. სერგეი ტიულენინი³⁷ „ახალგაზრდა გვარდიიდან“, რომელიც ზარმაცი და უდისციპლინო მოსწავლე ეგონათ, საბოლოოდ გმირი აღმოჩნდა. თამაზი კამათს შემდეგი აზრით წყვეტს: ხუთებზე სწავლით არ უნდა იტრაბახონ. და არც მასწავლებლებს ან მშობლებს დააყვედრონ. „ხუთებზე სწავლა ჩვეულებრივი ამბავია... ჩვენს ასაკში უფრო დიდ საქმეებზე უნდა ვიფიქროთ“ (ჩხაიძე 1965:145). ამ მოსაზრებას მხარდამჭერებიც გამოუჩნდება: „-ოცდახუთი წლის ნაპოლეონი გენერალი იყო! -ბარათაშვილი ოცდარვისა მოკვდა! -ოცდაოთხი წლის კიკვიძე დივიზიას მეთაურობდა! -თექვსმეტი წლის გაიდარი - პოლკს!“ (ჩხაიძე 1965:145-146).

ზემოთ განხილული კამათი და მოყვანილი ციტატები კიდევ ერთხელ აჩვენებს რომ კულტურული გმირის ხატი ცვლილების პროცესშია. ერთის მხრივ, მეზრძოლი (ჯარისკაცი, პარტიზანი, მეთაური, გენერალი...) რჩება მისაბამ მაგალითად და ნიმუშად. მეორეს მხრივ, საუბარია დროის მოთხოვნებსა და შრომაზე. მესამე, სანიმუშო მოსწავლის ხატიც განიცდის ტრანსფორმაციას (საყურადღებოა, რომ მთელი ამ კამათის დროს საუბარი არ არის სანიმუშო პიონერის ხატზე, მხოლოდ მოსწავლე განიხილება). ჩნდება კითხვა: შეიძლება არ იყო სანიმუშო მოსწავლე, ან, საერთოდ, იყო უდისციპლინო და ზარმაცი მოსწავლე, და ამავდროულად იყო/გახდებოდა გმირი? სანიმუშო მოსწავლე უკვე არ არის/ვერ იქნება გმირი? სანიმუშო მოსწავლე და ნამდვილი საზრძოლო გმირობა არის ურთიერთკავშირში თუ არ არის? ეს კითხვები, თავის მხრივ, უკავშირდება მეზრძოლის,

³⁶ ნ.ოსტროვსკის რომანის „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ მთავარი გმირი.

³⁷ ანტიფაშისტური იატაკქვეშა ორგანიზაციის „ახალგაზრდა გვარდიის“ წევრი.

როგორც კულტურული გმირის სახეს. ამ გზით სანიმუშო მოსწავლის ხატსა და კულტურული გმირის სახეს შორის ერთგვარი ბმა ყალიბდება.

აღსანიშნავია ცვლილება ომის ხატთან მიმართებაშიც. ნაწარმოებში „ჯადოქარი დადის ქალაქში“ (ი. ტომინი, 1963) ომი, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მსაზღვრელი, უკვე აღარ არის საკრალური და ხელშეუხებელი. მთავარი მოქმედი პერსონაჟი, ტოლიკი ტყუილს ამბობს ომის შესახებ. ბიჭი არასწორ ადგილას გადაკვეთს ქუჩას: წინ გადაურბენს მანქანებსა და ავტობუსებს. ტოლიკს მილიციელი აჩერებს და მოძრაობის წესებზე ეკითხება, ნუთუ სკოლაში არ აგისხნეს ქუჩის გადაკვეთის წესებიო. სწორედ ამ დროს ტოლიკი თავის დასამძვრენად ტყუილს ამბობს: სკოლაში არ დადის ავადმყოფი დედის გამო, რომელიც ფრონტზე იბრძოდა და დაშავდა ჭურვებისგან, ბომბებისგან და ტყვიებისგან. მამაც საავადმყოფოში წევს, რადგან მილიციელია და დამნაშავეებმა დაჭრეს. ბუნებრივია, ტყუილი მალევე გაირკვევა და ტოლიკს მილიციაში წაიყვანენ. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ კაპიტანი სულაც არ ბრაზობს ტყუილის შინაარსზე. არ არის საუბარი ომის მნიშვნელობასა და მეომრების თავგანწირვაზე. ბიჭს ზოგადად არასწორ საქციელზე მიუთითებენ. ანუ ომი უკვე აღარ წარმოადგენს ხელშეუხებელსა საკრალურ ხატს.

მოცემული მონაკვეთები მკაფიოდ ასახავს იმ ტრანსფორმაციებს, რომლებიც შეეხო კულტურულ გმირსა და ომის ხატს. 1940-იან წლებში დაწყებული ომის ხატის საკრალიზაცია და ჯარისკაცის, როგორც კულტურული გმირის ფორმირება მკაფიოდ გამოვლინდა კონკრეტულ ნაწარმოებებში („ჩუკი და გეკი“, „თემური და მისი რაზმი“, ვასიოკ ტრუბაჩოვი და მისი ამხანაგები“). გამოიხატა მორჩილება, როგორც კულტურისთვის მნიშვნელოვანი მახასიათებელი. 1950-იანი წლების ბოლოსა და 60-იანების დასაწყისში კი ცხადი გახდა გარკვეული ძვრები: იკვეთება ომის ხატის საკრალიზაციის შესუსტება და კულტურული გმირის სახეცვლილება.

თავი 8. შრომა

ზოგიერთ ნაწარმოებში გამოიკვეთა შრომა, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე მახასიათებელი. ის ფაქტი, რომ შრომა საბჭოთა ადამიანის იდენტობის ნაწილი უნდა ყოფილიყო და კულტურული გმირის მახასიათებლად ჩამოყალიბებულიყო, არ არის მოულოდნელი. თუმცა საინტერესოა საბავშვო ნაწარმოებებში მისი ასახვისა და გამოხატვის ინტენსიურობა. კვლევაში განხილული ნაწარმოებებიდან იგი პირველად ლ.ლაგინის ნაწარმოებში „მოხუცი ხოტაბიჩი“ (1938) არის მოცემული. შემდეგ, გარკვეული დროის განმავლობაში, ისეთივე ინტენსივობით აღარ ჩნდება და, ძირითადად, მებრძოლის ხატი ყალიბდება. 1950-იანი წლების შუა პერიოდიდან კი ნაწარმოებები ისევ აქტიურად ასახავენ შრომისთვის მინიჭებულ განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და დატვირთვას.

„მოხუც ხოტაბიჩში“ შრომაზე საუბარი იწყება ჯინისთვის მნიშვნელოვან და გაუგებარ საკითხზე მსჯელობით: თუ ვინ ითვლება ყველაზე სახელგანთქმულ ადამიანად საბჭოთა კავშირში. თვითმფრინავით მგზავრობისას იგი იგებს ვოლკას ბიდის შესახებ, რომელმაც *“ზღვა ამოთხარა, მეორეს თხრის. მესამე იქნება საჭირო - მესამესაც ამოთხრის!”*³⁸ (Лагин 1958:117).

მეორე ეპიზოდში ყინულმჭრელი “ლადოგა” არქტიკაში მიემგზავრება და თან ექსკურსანტები მიჰყავს. იმისთვის, რომ „ლადოგაზე“ მოხვდე, ცნობილი ადამიანი უნდა იყო. საბჭოთა იდეოლოგიიდან და ღირებულებებიდან გამომდინარე, ცნობილი ადამიანი, ბუნებრივია, მოწინავე მშრომელი უნდა ყოფილიყო. ეს საკითხი კვლავაც ჰოფსტედეს „გმირებს“ უკავშირდება, როგორც მოცემული კულტურისთვის ფასეული მახასიათებლების მატარებლებს (ჰოფსტედე 2011:16). საინტერესოა, რომ პირველ გამოცემასა და ქართულ თარგმანში წერია: ლადოგაზე შვებულებას გაატარებს *„მოსკოვისა და ლენინგრადის სამოცდარვა სტახანოველი“* (ლაგინი 1958:171).

³⁸ «*Это море выкопал, другое копает. Третье потребуетя – он и третье выкопает!*»

1951 წლის რედაქციაში სიტყვა „სტახანოველი“ კვლავაც წერია, 1955 წლის რედაქციაში კი - ამოღებულია, თუმცა ორივე შემთხვევაში ნახსენებია სტახანოველი პაშა ანგელინა და მასთან ერთად სხვა დამსახურებული მშრომელები (რაც ასევე ჩამოთვლილია ქართულ თარგმანშიც). საფიქრებელია, რომ სტახანოველების ჩასმა ორიგინალში (1938) იმ პერიოდის პოლიტიკური და სოციალური ვითარებიდან გამომდინარეობს: 1935 წელს ჩატარდა სტახანოველების პირველი საკავშირო საბჭო კრებულში (მოსკოვი). ასევე ამ პერიოდიდან დაიწყო საერთო სახელმწიფო პოლიტიკა, მიმართული მუშათა მთელი ჯგუფების სამუშაოს სტახანოველი წესით მოწყობაზე, და არამხოლოდ ცალკეულ რეკორდსმენებზე. 30-იანი წლების ბოლოს ჩამოყალიბდა სტახანოველის გარკვეული სოციალურ-კულტურული ტიპი, თავისი დამახასიათებელი დადებითი და უარყოფითი თვისებებით (დადებითი - ქვეყანაში მიმდინარე პროცესებთან კავშირი, ცოდნისკენ სწრაფვა, გამბედაობა, პროფესიისადმი შემოქმედებითი მიდგომა და ა.შ.; უარყოფითი - ამბიციურობა, საკუთარი უპირატესობის შეგრძნება, რაც სამსახურში მათი მდგომარეობით იყო გამოწვეული). სავარაუდოა, რომ სწორედ ამ საერთო „აღფრთოვანების“ ფონზე, სიტყვა „სტახანოველების“ ჩასმა ძირითადი აზრის გამომხატველი იყო.

რედაქტირებული გამოცემებისთვის მხოლოდ ტერმინი „სტახანოველი“ აღარ იყო საკმარისი. მკითხველს დაზუსტებით უნდა გაეგო, თუ რა მოიაზრებოდა „სახელგანთქმულ ადამიანში,“ ანუ ვინ იყო საბჭოთა კავშირის ღირებულებების მიხედვით სანიმუშო („გმირი“).

ამ მხრივ მნიშვნელოვანი თავია *„ვინ არის ყველაზე წარჩინებული?“* (ლაგინი 1958:174). ვოლკა გაიგებს, რომ ყინულმჭრელზე მოსახვედრად ხოტაბიჩს ის, ჟენია (და ორიგინალში სერიოჟაც) პრინციპად და შეიხებად უნდა ექცია. ეს თავდაპირველად ვოლკას გაახალისებს, თუმცა შემდეგ საშინლად აღშფოთდება: *„რა პოლიტიკური უვიცობაა! [...] - ნუთუ შეიძლება ითქვას, წარჩინებული ადამიანებიო მეფისწულებზე და მეფეებზე, ესენი ხომ ამ ქვეყნად ყველაზე უვარგისი ადამიანები არიან!“* (ლაგინი 1958:176).

ბოლო ფრაზა - „ესენი ხომ ამ ქვეყნად ყველაზე უფარგისი ადამიანები არიან!“ დამატებულია რედაქტირებულ ვარიანტებში. აღსანიშნავია, რომ რედაქტირებულ გამოცემებში აზრის გამმაფრება და ემოციური ფონის შექმნა ხშირად გამოიყენება როგორც ზეგავლენის მეთოდი. ამას მკაფიო ჩამონათვალი მოჰყვება, თუ ვინ არის სინამდვილეში სახელგანთქმული: ვოლკა ხოტაბიჩს უხსნის, რომ სახელგანთქმული ადამიანებიარიან ჩუტკიხ, ლუნიჩი, კოჟედუბი ან პაშა ანგელინა. ხოტაბიჩის კითხვაზე, თუ ვინ არის ჩუტკიხ - სულტანი? ვოლკა ამბობს: *“უფრო მეტი, ძმაო! ჩუტკიხი მაუდის მრეწველობის ერთ-ერთი საუკეთესო ოსტატია.”* (ლაგინი 1958:177) ლუნიჩი ორთქმავლის საუკეთესო მემანქანაა, კოჟედუბი - მფრინავი. *„პაშა ანგელინა ვისი ცოლია, რომ ის შეიხებსა და მეფეებზე წარჩინებულად მიგაჩნია? - იგი თავისით არის წარჩინებული და არა ქმრის წყალობით. ის ცნობილი ტრაქტორისტია!“* (ლაგინი 1958:177).

განცვიფრებულ და დაეჭვებულ ხოტაბიჩს ვოლკა კიდევ ერთხელ უზუსტებს, რომ საბჭოთა კავშირში მშრომელს გაცილებით მეტ პატივს სცემენ, ვიდრე მეფეებს: *„ჩვენს ქვეყანაში სრულიად ჩვეულებრივი მშრომელი ადამიანიც კი უფრო მეტი პატივისცემით სარგებლობს, ვიდრე ყველაზე მრისხანე მეფე“* (ლაგინი 1958:177) და აჩვენებს გაზეთს, სადაც სტატიაა *„ჩვენი სამშობლოს წარჩინებული ადამიანები!“* (ლაგინი 1958:177). წერაკითხვა ნასწავლი ხოტაბიჩი უკვე დაუფიქრებლად ენდობა გაზეთებს და ამბობს კიდევ, ჩემ მიერ პატივცემულ გაზეთში რომ არ დაეწერათ, არც დავიჯერებდიო. ვოლკა ხოტაბიჩს საბჭოთა წყობის არსს დაწვრილებით უყვება. ხოტაბიჩი აღფრთოვანებული და ჩაფიქრებული დარჩება საბჭოთა წყობით და აღნიშნავს, რომ ბიჭის მიერ ნათქვამი რამდენადაც ბრძნულია, ისევე კეთილშობილურია.

შრომის მნიშვნელობას და უკვე ჩამოყალიბებულ დამოკიდებულებას შრომისადმი ასახავს ბიჭების საუბარი ო.იოსელიანის „[უთაური ბიჭის] კახას თავგადასავალში,“ როცა ერთი მათგანი მეორეს მეასედის სიზუსტით უკონკრეტებს მამის მიერ გამომუშავებულ შრომადღეებს.

აღ. ჩხაიძის „როცა მთავრდება ბავშვობაში“ ერთმანეთთან დაპირისპირებულია შრომის გმრობა და ბრძოლის დროს გამოჩენილი გმრობა. შალვა კახიანის პერსონაჟი,

როგორც გმირის ხატი ერთდროულად სამი მიმართულებით ზემოქმედებს: ომის გმირი, შრომის გმირი და მოსწავლისთვის მისაბადი მაგალითი. თუკი ეს მახასიათებლები სხვა ნაწარმოებებში გადანაწილებულია სხვადასხვა პერსონაჟებთან, შალვა კახიანის პერსონაჟი სამივეს თავის თავში აერთიანებს და ამით კულტურული გმირის ახალ, საინტერესო და ამავდროულად არა განყენებულ ხატს ქმნის. მკითხველისთვის აქამდე არსებული კულტურული გმირი - ომის გმირი - უკვე საკრალურის რანგში აყვანილი ხატია, რომელიც მოსწავლეებისთვის მიუწვდომელია. სანიმუშო მოსწავლე და შრომის გმირი კი აყალიბებენ ხატებს, რომლებიც მათი თანამედროვეა და მათი მიმართულებით შესაძლებელია სწრაფვა. ომის გმირი სიმბოლოს წარმოადგენს, სანიმუშო მოსწავლისა და შრომის გმირის ხატები კი მკითხველს მოქმედებისკენ უბიძგებს, მით უმეტეს, რომ შეიძლება ორივეს მიღწევა. სანიმუშო მოსწავლეს შეუძლია გახდეს შრომის გმირი, შრომის გმირობა კი ისევე დაფასებულია, როგორც ომის. ანუ სამამულო ომის გმირობა, როგორც კულტურული გმირის ხატი, ერთგვარი ბურჯია, მას ეყრდნობა კულტურული გმირის უკვე მოგვიანებით ჩამოყალიბებული სახე. სამამულო ომის გმირი წარმოადგენს ერთგვარ საზომ ერთეულს, მასზე ხდება სწორება, მაგრამ ის უკვე სტატიკურია. მიუხედავად მკითხველის სურვილისა და მისწრაფებისა, ის სრულყოფილად ვერ მიბადავს ამ ხატს, რადგან არ არის საომარი მდგომარეობა.

მნიშვნელოვანია, რომ კონკრეტული დროის წარმომადგენელს ჰქონდეს საშუალება ცხოვრებაში წარმოაჩინოს ის თვისებები, რომლებიც კულტურული გმირის ხატს შეესაბამება. სწორედ ამიტომ შეიქმნა კულტურული გმირის ახალი, თანამედროვე ვარიანტი - შრომის გმირი, ხოლო მოსწავლისთვის კიდევ უფრო მარტივად მისაღწევი - სანიმუშო მოსწავლის ხატი, რომელიც, თავის მხრივ ბმამია კულტურული გმირის ხატთან. შესაბამისად, შალვა კახიანის პერსონაჟი მკითხველისთვის ამ პერიოდის საბჭოთა კულტურული გმირის უნივერსალურ ხატს ქმნის, რადგან თავის თავში აერთიანებს ომისა და შრომის გმირებისა და სანიმუშო მოსწავლის ხატებს.

ი.ტომინის „ბორკა, მე და უჩინმაჩინის“ მნიშვნელოვანი ნაწილი შრომის გაკვეთილებს შეეხება, რომელთა საშუალებითაც მკაფიოდ არის გამოხატული შრომის

მნიშვნელობა საბჭოთა ადამიანის ფორმირების პროცესში. აღნიშნულ ნაწარმოებში ყურადღებას იმსახურებს არა ცალკეული ფრაზები ან მონაკვეთები, არამედ შინაარსის გარკვეული ნაწილი, „შრომა“, როგორც იდენტობის ფორმირების პროცესის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი, მკაფიოდ არის გამოხატული. შრომის მნიშვნელობა პერსონაჟებისა და მათი ქმედებების, ასევე მომავლის გეგმების საშუალებით არის გამოვლენილი: პერსონაჟები - მასწავლებელი (რომელიც პენსიაზე გასული მუშაა), მისი დამოკიდებულება სამუშაოს მიმართ და განსაკუთრებული საზეიმო განწყობა დაზგების მიღებისას; ქარხნის დირექტორი, რომელიც ყურადღებით უსმენს პიონერებს და ურიგებს დაზგებს; მომავლის გეგმები - დირექტორის ფრაზა, რომ ბავშვები ორ წელიწადში ქარხანაში მივლენ სამუშაოდ. თავად პიონერების სურვილები: ჯერ ქარხანაში წასვლა და დაზგების მოთხოვნა და შემდეგ ხარატობის სურვილი.

მართალია, ნაწარმოებში არ არის საუბარი შრომის გმირ(ებ)ზე; ასევე, არ არის გამოხატული შრომის გმირის კულტურულ გმირად ფორმირების პროცესი, მაგრამ შინაარსის საშუალებით ხაზგასმულია შრომის (როგორც ქმედების, ისე ცნების) მნიშვნელობა პიონერების ცხოვრებაში; ის ფაქტიც, რომ პიონერებს მომავალში ქარხანაში უნდათ მუშაობა, მხოლოდ გამოკვეთს ამ მნიშვნელობას.

ნაწარმოებში ერთი საყურადღებო აქცენტი: მოსწავლეებს თავიდან არ სჯერათ, რომ დაზგები ექნებათ. დირექტორი ჯერ პიონერულ სიტყვას აძლევს, რითაც მხოლოდ გააცინებს ბავშვებს (დირექტორი ხომ პიონერი არ არის). შემდეგ - დირექტორის სიტყვას და ბოლოს ყველაზე ძლიერ - პარტიულ სიტყვას აძლევს მათ. ასეთ დაპირებას კი დაიჯერებენ პიონერები, განსაკუთრებით კოსტია, რადგან მამამისიც პარტიულ სიტყვას აძლევს ხოლმე დაპირების დროს, და რაც მთავარია, ტყუილის შემთხვევაში პარტიას არასდროს ახსენებს. შეიძლება ვთქვათ, რომ შრომა, როგორც იდენტობის მსაზღვრელი, განსახილველ ნაწარმოებებში არ არის ერთნაირი ინტენსივობით გამოხატული: ზოგ შემთხვევაში მხოლოდ მითითებისა და შენიშვნის სახით არის მოცემული, ზოგან კი შრომის საშუალებით კულტურული გმირის კონსტრუირების მცდელობაც იკვეთება. აღ. ჩხაიძის ნაწარმოები კულტურული გმირის ცნებაში ცვლილებას ასახავს. თუკი აქამდე

გმირის სახე მხოლოდ სამხედროსა და მეზღვაოს მოიაზრებდა, ახლა მას მშრომელის სახეც ემატება.

თავი 9. წარსული

წარსული იდენტობის ერთ-ერთი ძირითადი მსაზღვრელია. წარმოდგენა წარსულზე, ის, თუ რა და როგორ არის დამახსოვრებული, ქმნის და განსაზღვრავს კოლექტივის იდენტობას. საბჭოთა იდენტობის ფორმირებისთვის აუცილებელი იყო საბჭოთა კავშირის მთელი მოსახლეობისთვის საერთო, გაზიარებული წარსულის ხატის შექმნა, გარკვეულ ისტორიულ მოვლენებთან დაკავშირებით კონკრეტული დამოკიდებულების დამკვიდრება. მორის ჰალბვაქსის მიერ დამკვიდრებული მნიშვნელობით, მეხსიერება სოციალურად არის განპირობებული, ეს არის კოლექტიური მეხსიერება, რომლის მატარებელი გარკვეულ დროსა და სივრცეში მცხოვრები სოციალური ჯგუფია. კოლექტიური მეხსიერება სელექციურია: წარსულის მოვლენების „გახსენება“ ჯგუფის ინტერესებიდან გამომდინარეობს. (M. Halbwachs, “On Collective Memory”, The University of Chicago Press Chicago and London, 1992). კოლექტიური მეხსიერების ერთ-ერთ მედიუმს წარმოადგენს მხატვრული ტექსტები. საბჭოთა საბავშვო მხატვრულ ნაწარმოებებში გადმოცემული წარსული და ისტორიული მოვლენები არა უბრალოდ ავტორის თვალთახედვად, არამედ კოლექტიური მეხსიერების შექმნის ან გადაცემის მცდელობად შეიძლება გაანალიზდეს.

კვლევისთვის ასევე მნიშვნელოვანია პიერ ნორას „მეხსიერების არეების/ადგილების“ ცნება, რომელიც მოიცავს: გეოგრაფიულ ადგილებს, შენობებს, ძეგლებს, ტექსტებს, ხელოვნების ნიმუშებს, ისტორიულ პიროვნებებს და სიმბოლურ ქმედებებს (P.Nora, “Realms of Memory. The Construction of the French Past”, Columbia University Press New York 1996)

იქიდან გამომდინარე, რომ საბჭოთა კავშირში წარსულის ხატის რეკონსტრუქცია კონკრეტულ იდეოლოგიურ მიზნებს ემსახურებოდა, ნაწარმოებებში წარსული ორ პერიოდად არის დაყოფილი, შესაბამისი ნეგატიური/პოზიტიური კონტექსტით: 1. რევოლუციამდელი პერიოდი, 2. რევოლუციის შემდგომი პერიოდი.

რევოლუციამდელ პერიოდი მოიცავს და ასახავს ძირითადად მძიმე ცხოვრებასა და კლასობრივ ჩაგვრას. თუმცა, ცალკეულ შემთხვევაში, ნაწარმოების შინაარსის ან

პერსონაჟიდან გამომდინარე, წარსულს შეიძლება არა ცალსახად ნეგატიური, არამედ უცნაურის, მიუღებელის მნიშვნელობა ენიჭებოდეს. აღსანიშნავია, რომ ეს მახასიათებელი ყველა ნაწარმოებში არ არის გამოვლენილი.

რევოლუციის შემდგომი პერიოდი, ბუნებრივია, პოზიტიურ კონტექსტში გამოხატავს თავად რევოლუციის მიმდინარეობასა და შემდგომ გახორციელებულ ცვლილებებს.

ა. რიბაკოვი „დაშნაში“ (1948) რევოლუციამდელი წარსული სრულიად უარყოფით კონტექსტში არის წარმოჩენილი: კლასობრივი ჩაგვრა, უარყოფითი პერსონაჟები, ზოგადად უბედურება და უარყოფითი თვისებები. ხშირად, ნეგატიური საკითხი რევოლუციის მიერ მოტანილ ცვლილებასთან არის შეპირისპირებული, რითაც ერთდროულად ხდება ზემოქმედება მკითხველზე და იკვეთება რევოლუციამდე წარსულის უარყოფითი და რევოლუციის შემდგომი დადებითი ხატები. მაგალითად, მოსწავლეებს უყვებიან ხატვის მასწავლებლის ბორის კონსტანტინოვიჩ რომანენკოს ცხოვრების ისტორიას, რომელსაც *„ხელოვნების შესწავლის უფლების მისაღწევად ... უდიდესი დაბრკოლების გადალახვა მოუხდა. ხელოვნება მაშინ ხომ მხოლოდ მდიდრებისა და უზრუნველყოფილი ადამიანებისთვის გახლდათ ხელმისაწვდომი“* (რიბაკოვი 1962:213). რომანენკომ, სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ, იმის ნაცვლად რომ საკუთარ დიდებაზე ეზრუნა, მასწავლებლობა გადაწყვიტა. *„მან გადასწყვიტა შეეწირა სიცოცხლე იმ სახალხო ტალანტებისთვის, რომლებიც ასე მრავლად იღუპებოდნენ კაპიტალისტური სისტემით სულშეხუთულები. [...] საჭირო იყო მთელი სისტემის შეცვლა. შექმნა ისეთი საზოგადოებისა, რომელიც ყველა ადამიანს მისცემდა მისი ნიჭის განვითარების საშუალებას. ეს საქმე ოქტომბრის რევოლუციამ გააკეთა“* (რიბაკოვი 1962:214).

როგორც აღვნიშნე, რევოლუციამდელი და რევოლუციის შემდგომი პერიოდები კარგი/ცუდი ოპოზიციის სახით არის წარმოდგენილი. ამ ოპოზიციას ერთგვარად აგრძელებს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი „წესი“: პერსონაჟის ხასიათი, მისი დადებითი/უარყოფითი სახე გამომდინარეობს მისი წინაპრების სახიდან, რომელიც სოციალური კლასისადმი მიკუთვნებულობით განისაზღვრება. დადებით პერსონაჟს

წინაპარიც დადებითი - გლეხი ან მუშა - უნდა ჰყავდეს; ამას ემატება პერსონაჟის ჩართულობა რევოლუციურ საქმიანობაში. უარყოფითი პერსონაჟის წინაპარი კი ან ბურჟუაზიას ან ბურჟუაზიულ არისტოკრატას მიეკუთვნებოდა, ან სულაც ცარიზმის დროს კარგ მდგომარეობაში იყო (სხვა დაზუსტების გარეშე); ცხადია, იგი რევოლუციას ეწინააღმდეგებოდა. იდენტობის ჩამოყალიბებაზე ზეგავლენის მხრივ, ნაწარმოებში მსგავს დეტალებს დიდი დატვირთვა აქვს. ამ შემთხვევაში, წარსულის საზიარო სურათის ფორმირებასთან ერთად, მკაფიოდ იკვეთება „ჩვენ და სხვა“ ჯგუფები, ყალიბდება „მტრის ხატი“.

მაგალითად, ნაწარმოების მთავარი პერსონაჟის, მიშას მამა მეფის კატორღაში დაიღუპა, რევოლუციონერი იყო, მიშას მიაჩნია, რომ მამამისისთვის მთავარი პარტიის ინტერესები იყო და სიცოცხლეს რევოლუციას შესწირა. ცხადია, მიშა დადებითი პერსონაჟია. საპირისპიროდ, ლელია პოდვოლოცკაიას ოჯახი საზოგადოების ზედა ფენას მიეკუთვნებოდა: პაპა სამხედრო-საზღვაო აკადემიის პროფესორი, ადმირალი იყო, ბებია - ქედმაღალი, მედიდური ქალი, რომელიც მისტირის წარსულს და უზრუნველ ცხოვრებას, აწმყოს კი უარყოფითად აღიქვამს. ამ წრეში ძნელად თუ შეაღწევს „სხვა“ და, ასეთ შემთხვევაშიც კი, იგი არ ხდება „ჩვენ ჯგუფის“ წევრი: *„მარია გავრილოვნა, სიმართლე გითხრათ არ მიყვარდა. როგორღაც არასასიამოვნო ქალი იყო, უბრალო წრიდან გამოსული... თუმცაღა... - დედაბერმა ტუჩები მედიდურად აპრუწა, - თუმცა ახლა სწორედ მდაბიოებია მოდაში.“* (რიბაკოვი 1962:219). როგორც ჩანს, რევოლუციის მიუხედავად, ამ ადამიანების აღქმაში არაფერი შეცვლილა; მათი თვალთახედვით, მშრომელი ხალხი კვლავ *მდაბიოებს* მიეკუთვნება. შესაბამისად, შეუძლებელია მათი სრულფასოვნად ჩართვა საბჭოთა ცხოვრებაში, მათგან ვერ ჩამოყალიბდება ნამდვილი საბჭოთა ადამიანი. ბუნებრივია, მათთან ურთიერთობაც შეიძლება გარკვეულ „საფრთხეებს“ მოიცავდეს.

კიდევ ერთი უარყოფითი პერსონაჟი, ბორკას მამა, არისტოკრატა ფენას არ მიეკუთვნება, იგი საწყობის გამგეა, როგორც ამბობენ, სპეკულანტია. როგორც შემდეგ ირკვევა, სწორედ ის ეხმარება ნიკიტსკის (ნაწარმოების მთავარ ანტაგონისტს). ის

„მოსკოვის ძველთაძველ მკვიდრობას და პროლეტარობას“ იჩემებს, მაგრამ სხვებს ახსოვთ, რომ მისი მამა „რევსკში ჟანდარმად მსახურობდა, ცხენოსან პოლიციაში. ახლა კი მუშად ასალებს თავს,“ თუმცა მიშას უნდა ახსოვდეს, რომ „კვიცი გვარზე ხტის“ (რიბაკოვი 1962:130). აქაც თვალსაჩინოა მემკვიდრეობის ხაზგასმა.

თავად ბორკას ბავშვები ბორკა-ლლეტიას ეძახიან, რადგან სხვისთვის ფულის „წაგლეჯა“ მისი მთავარი საქმიანობაა. ცალობით ყიდის პაპიროსებსა და კანფეტებს, თამაშის დროს ცდილობს ფული „შეირჩინოს“. მოტყუებით ჩაჰყავს ბავშვები სარდაფში მკვდრების და მიწისქვეშა გზების დასათვალიერებლად (რომლებიც თურმე ივანე მრისხანემ მათი სახლის სარდაფში გაიყვანა), შემდეგ სიბნელეში იმალება და ჩუმდება, ბავშვს იქამდე აწვალებს და არ გამოჰყავს გარეთ, სანამ სათავისოდ რაიმეს არ დასტყუებს. ამ შემთხვევაშიც, „უარყოფითი ხასიათი“ მემკვიდრეობით გადადის, ანუ თუკი წინაპარი მეფის სამსახურში იყო ან რაიმე სხვა ნიშნით ვერ მიეკუთვნება პროლეტარიატს, შთამომავალიც „საეჭვო ელემენტი“ იქნება, რომელიც რევოლუციის შემდეგაც ვერ გახდება სანიმუშო კომუნისტი და ამისკენ არც თვითონ მისწრაფვის: „რა აგიტაციას მიწევ? თუ პიონერად გახდომას მიპირებ, იცოდე, სულაც არ მჭირდება ეგ თქვენი პიონერობა. ტყუილად იწუხებ თავს,“ ამბობს ბორკა (რიბაკოვი 1962:162),

რა თქმა უნდა, ოჯახი ზემოქმედებს პიროვნების ხასიათის ჩამოყალიბებაზე, მაგრამ ამ შემთხვევებში ლაპარაკია არა აღზრდაზე, არამედ წინაპრების კლასობრივ მიკუთვნებულობასა და რევოლუციამდელ წარსულზე, რითაც განისაზღვრება პერსონაჟის „სანდობა“.

იდენტობისა და მეხსიერების ჩამოყალიბების კუთხით ნაწარმოებში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მონაკვეთია. როდესაც მიშა, გენკა და სლავა ნორჩი პიონერების რაზმის სანახავად მიდიან კრასნაია პრესნიას რაიონში (განხილულია თავში „პიონერი“). საინტერესოა, რატომ ჩათვალეს მთავარმა პერსონაჟებმა რომ ნორჩი კომუნისტების, ანუ პიონერთა რაზმი მხოლოდ კრასნაია პრესნიას რაიონში იქნებოდა?

„- ისინი უსათუოდ სკაუტები არიან, შენ რაღაც გეშლება, სლავა, - ჩაურთო გენკამ.

- არა, არ მეშლება. სკაუტები ლურჯ ყელსახვევებს ატარებენ. ისინი კი - წითლებს.
- წითლებს? - ჩაეძია მიშა. - თუ წითლებს, მაშ, საბჭოთა ხელისუფლების მომხრენი ყოფილან. ან კი კრასნაია პრესნაზე, ამ ყველაზე პროლეტარულ რაიონში, სკაუტებს რა უნდათ?“ (რიბაკოვი 1962:75).

კრასნაია პრესნიას რაიონი მჭიდროდ უკავშირდება მოსკოვის რევოლუციურ ისტორიას. ჯერ 1905 წლის 7 დეკემბერს ამ რაიონის მუშებმა აღმართეს ბარიკადები ცარიზმის წინააღმდეგ. ეს ადგილი კრასნაია პრესნიას სახელით გახდა ცნობილი. 1917 წელს ამ რაიონში მუშების კიდევ ერთი აჯანყება მოხდა. სწორედ აქ ჰქონდათ შტაბები პრესნიას რაიონის რევოლუციურ კომიტეტსა და რაიონის ბოლშევიკური პარტიის კომიტეტს, მოგვიანებით, ეს სახლი მუზეუმად გადაკეთდა. აქედან გამომდინარე, გასაგები ხდება, თუ რატომ ჩათვალეს მთავარმა პერსონაჟებმა, რომ პიონერთა კლუბი მხოლოდ კრასნაია პრესნიას რაიონში შეიძლება ყოფილიყო. გზაში, კუდრიანსკის მოედანზე, ტყვიებითა და ყუმბარებით დაცხრილულ კუთხეს ათვალიერებენ, სადაც ოქტომბრის რევოლუციის დროს კადეტებს ებრძოდნენ. მიშამ გაიხსენა, როგორ აგროვებდა მასრებს ამ ადგილას, მაშინ რვა წლისა თუ იქნებოდა. ამ შემთხვევაში ყუმბარებით დაცხრილული კუთხე, კადეტებთან ბრძოლა და მასრებიც დამატებით დატვირთვას იძენს. კრასნაია პრესნია და კუდრიანსკის მოედანზე დაცხრილული კუთხე მეხსიერების არეა, ანუ ის სივრცე, სადაც მეხსიერება კრისტალიზდება.

ნაწარმოებში ადგილის მნიშვნელობას კიდევ ერთხელ ესმება ხაზი, მაგრამ არა ცალკე, არამედ სხვა მახასიათებლებთან ერთად კომბინაციაში: მიშას გზას კოლონებად დარაზმულიყვნენ კრასნაია პრესნიას რაიონის მუშები გადაუჭრიან, მთელი ქუჩის სიგანეზე გაჭიმული ლოზუნგებით: „სიკვდილი საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტებს“ (რიბაკოვი 1962:98). აქცენტირება, რომ ეს კონკრეტულად კრასნაია პრესნიას რაიონის მუშები იყვნენ, და არა უბრალოდ დემონსტრანტები, ასახავს კოლექტიურ მეხსიერებაში უკვე ჩამოყალიბებულ გარკვეულ დამოკიდებულებას მეხსიერების ამ ადგილისადმი.

მეხსიერების ადგილის ასახვასთან ერთად, იდენტობის კიდევ რამდენიმე მსაზღვრელი აქცენტირდება: საბჭოთა კავშირის მტრები (ინგლისი, ამერიკა: იქაური კაპიტალისტები „*გამცემი ესერების ხელით აპირებენ საბჭოთა ხელისუფლების მოხრჩობას*“ (რიბაკოვი 1962:98)), საბჭოთა კავშირის სიდიადე (პირდაპირი ბრძოლით საბჭოთა კავშირს ვერ ამარცხებენ: „*ინტერვენცია ჩაეშალათ, აშკარა ბრძოლით ვერ შეძლეს გამარჯვება*“) (რიბაკოვი 1962:98). მსგავსი გზავნილები (მტრის ხატი, საბჭოთა კავშირის განდიდება) ნაწარმოებში არაერთხელ მეორდება, როგორც ცალკე, ისე სხვა იდეოლოგიურ გზავნილებთან კომბინაციაში. ამ გზით, ყალიბდება გარკვეული ასოციაციები და ილექება მკითხველის გონებაში.

ამგვარად, წარსულის, როგორც იდენტობის მსაზღვრელის საშუალებით კონსტრუირდება კოლექტიური მეხსიერება, „ჩვენ“ და „სხვა“ ჯგუფები, მეხსიერების არეები.

ნ. ნაკაშიძის ნაწარმოებში „*მოწაფის დღიური*“ (1954) ცალკე თავი ეთმობა 1921 წლის 25 თებერვალს, რომელიც, ბუნებრივია, სადღესასწაულო თარიღია. დღესასწაულის წინა დღეს, 24 თებერვალს, სასწავლებელში საზეიმო საღამო იმართება.

დარბაზი ბელადების სურათებით, დროშებითა და ყვავილებით არის მორთული, ელოდებიან სტუმრებს რაიკომიდან და სამინისტროდან. საღამოს დირექტორი ხსნის საზეიმო სიტყვით, რომელიც 25 თებერვლის მნიშვნელობას შეეხება. ამის შემდეგ უკვე მოსწავლეები საუბრობენ. ისინი 25 თებერვალს უწოდებენ „დიდ ისტორიულ გარდატეხას ქართველი ხალხის ცხოვრებაში,“ ხაზს უსვამენ კომუნისტური პარტიის როლს, „*რომელსაც მიჰყავს მშრომელი ხალხი ბედნიერებისაკენ და რომელსაც იმედით შეჰყურებს მთელი მსოფლიო პროლეტარიატი*“ (ნაკაშიძე 1957:156).

მომდევნო ოთხნახევარი გვერდი ეთმობა ამკინძავ დავით გონდურაშვილისა და მისი ოჯახის ამბავს, რომელიც 25 თებერვლის საღამოს ხდება და რომელსაც ერთ-ერთი მოსწავლე ყვება, მისი ნამდვილობის ხაზგასმით. მოცემული მონაკვეთი მნიშვნელოვან აქცენტებს სვამს კოლექტიურ მეხსიერებზე ზემოქმედების კუთხით. პირველ რიგში, ეს ეხება 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდს, თუმცა

იგი არ არის პირდაპირ ნახსენები. 1921 წლის მოვლენებიდან ნაწარმოების დაწერამდე არ არის იმდენად დიდი დრო გასული, რომ აღარ არსებობდნენ გასაბჭოების თვითმხილველები, რომლებსაც ემახსოვრებათ გასაბჭოებამდე არსებული ცხოვრება. მაგრამ მკითხველს მიეწოდება ძალიან კონკრეტული ინფორმაცია: 25 თებერვალია. თბილისში ბოლშევიკების ცხენოსანი ჯარი შემოდის, მთავრობა და ჯარი ქალაქს ტოვებს, მოსახლეობა, რომელიც, უბრალოდ, მიატოვებს, ბედის ანაბარა რჩება („*მთავრობაც გაიქცა, ჯარიც და დაგვტოვებს ასე იოლად?*“ - კითხულობს მოხუცი. (ნაკაშიძე 1957:158)). მატარებელში ადგილები აღარ არის, მდიდარი ფენაც ტოვებს ქალაქს. აქცენტირებულია ბოლშევიკების მოსვლამდე არსებული ხელისუფლების სახე: არ ადარდებდათ ხალხი, გაუსაძლის პირობებში აცხოვრებდნენ, რთულ სიტუაციაში კი პირველები გაიქცნენ თავის გადასარჩენად (ნაკაშიძე 1957:158-159).

გონდურაშვილების ოჯახს, რომელიც საშინელ სიღარიბეში ცხოვრობს, მხსნელად წითელარმიელები ევლინებიან, რომელთაც სერგო ორჯონიკიძე მეთაურობს. იგი, თურმე, გონდურაშვილის მეგობარია: მეფის ციხეში ერთად ისხდნენ. ახლა იგი დავით გონდურაშვილს სტამბაში საამკინძაო სახელოსნოს გააკეთებინებს, მას ხელფასს დაუნიშნავენ, მის ოჯახს კი მდიდარი მდგმურების დატოვებულ თავისუფალ ოთახებში გადაიყვანს, დააპურებს და მეგობარს უხსნის: „*ჩვენი მოსვლა ნიშნავს მშრომელი ხალხის გამარჯვებას და მუქთახორების დამარცხებას. ჩვენი მოსვლა ნიშნავს შრომისადმი პატივისცემას და უმუშევრობის მოსპობას. ჩვენ მოვედით, რომ სამუდამოდ მოვსპოთ ის უსამართლობა, რომელიც ჩაგრაგდა მუშა ხალხს და ასეთ სარდაფში ყრიდა. [...]* ამერიიდან მშრომელი ხალხი დაეუფლება ქვეყანას და ის იქნება მისი ბატონ-პატრონი“ (ნაკაშიძე 1957:159-160). უკვე მეორე დღეს გონდურაშვილის ოჯახი „*რუსთაველის თეატრის გვერდით აშენებულ სასადილო „ქიმერიონში“* მიდის, „*რომელიც ამდენ ხანს მდიდრებისთვის საამოდ დასურათებული და საქეიფო რესტორანი იყო, ახლა კი აქ მცხოვრებლებისთვის უფასო სადილები კეთდებოდა*“ (ნაკაშიძე 1957:160). ოჯახს წევრებს ტანსაცმელს დაურიგებენ, ბავშვები სკოლაში წავლენ, ექიმიც მივა სახლში დავითის ავადმყოფ ცოლთან, რომელსაც დავითი უხსნის, რომ ექიმის გამოძახება უსასყიდლო

იქნება. მოხუცებს პენსიას დაუნიშნავენ. ეს არის სიკეთეები, რაც საბჭოთა ხელისუფლებამ მშრომელ ხალხს მოუტანა. ბოლშევიკების შესახებ, თურმე, ტყუილები ვრცელდებოდა, რათა მოსახლეობა მათ არ მიმხრობოდა (ნაკაშიძე 1957:161).

სასწავლებელში ზეიმის ჩატარების დროისთვის დავით გონდურაშვილი უკვე ხანშიშესული კაცია, შრომის გმირი, თბილისის მშრომელთა საბჭოს დეპუტატი და ორდენითაც არის დაჯილდოებული. მისმა შვილებმა მიიღეს უმაღლესი განათლება, რაც იქამდე შეუძლებელი იქნებოდა: ერთი ინჟინერია, მეორე ექიმი და ფრონტზეა, მესამე შვილი მფრინავია და მეოთხე - ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ნაწარმოები მკაფიოდ ასახავს ბოლშევიკების ხელისუფლებაში მოსვლამდე არსებულ გაუსაძლის ცხოვრებას, საბჭოთა ხელისუფლების განდიდებას, წითელარმიელის დადებით სახეს. აღნიშნულია, რომ წინა ხელისუფლება ხალხს ბოლშევიკების წინააღმდეგ განაწყობდა. მკითხველს ბოლშევიკი მხსნელად, ხოლო საქართველოს მთავრობა მოღალატედ უნდა აღექვას.

ამრიგად, იდენტობის ფორმირება „მოწაფის დღიურში“ მიმდინარეობს როგორც აწმყოს, ისე წარსულის გამოყენებით: აწმყო - საბჭოთა იდენტობის მნიშვნელოვანი მსაზღვრელების აქცენტირება (პარტიისა და ხელისუფლების მიმართ პასუხისმგებლობა, სიფხიზლე, მზადყოფნა მტერთან საბრძოლველად - საბჭოთა კავშირის დასაცავად; წარსული - მიმდინარეობს მისი იმ ვერსიის შექმნა, რომელიც საბჭოთა წყობილების დამყარებას ხსნად და გადარჩენად წარმოადგენს. ყალიბდება დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების, როგორც მოღალატის ნეგატიური ხატი. იქმნება წითელარმიელების დადებითი ხატი და სერგო ორჯონიკიძის, როგორც ერთგვარი გამათავისუფლებლის სახე. ისტორიული უწყვეტობის (Zerubavel 2003:37) უზრუნველყოფისა და კულტურული გმირის ფორმირების მიმართულებით გამოიყენება წარსული ა. პერფილიევის ნაწარმოებში „დარტანიანის დაშნა“ (1955).

ერთ-ერთი პერსონაჟის ნახატზე გამოსახულ კომკს სოსნოვკის გზაზე ენიჭება დროში დაშორებულ მოვლენებს შორის ერთგვარი ხიდის ფუნქცია, რაც უზრუნველყოფს ისტორიულ უწყვეტობას (Zerubavel 2003:41). კომკის (სიმბოლოურად) საშუალებით

ყალიბდება ბმა, კავშირი საბჭოთა პერიოდსა და რევოლუციამდელ რუსეთს შორის, აგრეთვე რუსების/საბჭოთა რუსეთის უძლეველობის მითი. საყურადღებოა, რომ წარსულიდან შერჩეულია მხოლოდ ბრძოლის ამსახველი მოვლენები და გამარჯვებები, რომელიც იწყება მეცამეტე საუკუნეში, წყდება მეცხრამეტეში, გადადის რევოლუციის პერიოდსა და მთავრდება დიდი სამამულო ომის ამბით. ამ გზით იქმნება უწყვეტობის განცდა და კავშირი წარსულთან. მეცამეტე საუკუნეში ყენი ამანაი რუსმა დევგმირმა ვასილ ბედამ განგმირა და ამ კოშკის კედლიდან გადმოაგდეს. „სამოქალაქო ომის დროს ამ კედელთან თეთრგვარდიელებმა დახვრიტეს სამი კომუნისტი და ერთი ახალგაზრდა მსწავლებელი ქალი სავჩენკო, რომელიც მათ მალავდა... დიდი სამამულო ომის დროს კი ამ ნანგრევებთან უთანასწორო ბრძოლა გაიმართა“ (პერფილიევა 1961:74).

ამასთანავე, მონაკვეთი, რომელიც დიდ სამამულო ომს შეეხება კულტურული გმირის ფორმირებაზე მოქმედებს: ასეთი გმირია კომკავშირელი (!) სერიოჟა საგუროვი, რომელიც, თურმე, მთავარი გმირის, ვიტას სკოლაში სწავლობდა და რომლის დაცხრილული კომკავშირის ბილეთი ახლა მუზეუმშია. მართალია, ეს არ არის ნაწარმოების დიდი მონაკვეთი, მაგრამ მსგავსი პასაჟების სხვადასხვა ნაწარმოებში მუდმივი გამეორება (თუნდაც ერთი წინადადებით) უზრუნველყოფს მოცემული შინაარსის დამახსოვრებას და გმირის ხატის ჩამოყალიბებას. ამ შემთხვევაში, წარსულის მოვლენების გახსენების შემდეგ კომკავშირელის გმირობაზე საუბარი, ამ მოვლენების ერთ კონტექსტში მოქცევა წარმოაჩენს კომკავშირელის საქციელის განსაკუთრებულ მნიშვნელობას და დამატებით დატვირთვას ანიჭებს მას. ამას ემატება ხაზგასმა, რომ სკოლაში ეს ამბავი ყველას ეცოდინება და სერიოჟას კომკავშირელის ბილეთი მუზეუმშია დაცული. საყურადღებოა, რომ ეს სწორედ ის მუზეუმია, რომლის შესახებაც ნაწარმოების დასაწყისშივე ამბობს ვიტა, „დედაბრების საქმეა, არ მაინტერესებსო“ (პერფილიევა 1961:3) და მუზეუმის კოლექტიურ მონახულებაზე უარს ამბობს. აქვე დასმულია პატარა აქცენტი, თუ რამდენი რამ აკლდება ადამიანს, როდესაც კოლექტივს გამოეთიშება და მსგავს კოლექტიურ ღონისძიებებზე ამბობს უარს.

შინაარსიდან გამომდინარე, ა. რიბაკოვი „ბრინჯაოს ფრინველი“ (1956) ცარისტულ წარსულთან დაკავშირებულ და წარსულით განპირობებულ ბევრ მონაკვეთს შეიცავს. ისევე როგორც „დაშნაში“, წარსულის საშუალებით ამ შემთხვევაშიც მკაფიოდ იკვეთება „ჩვენ“ (პროლეტარები) და „სხვა“ (კაპიტალისტები, არისტოკრატია, ბურჟუაზია, აგრეთვე კულაკები) ჯგუფები. წარსულით განპირობებულ „სხვა“ ჯგუფს პირველ რიგში წარმოადგენს „გრაფინია“ - გრაფის სახლში მცხოვრები მოხუცი ქალი, რომელიც ყველანაირად ეწინააღმდეგება სახლის შრომის კომუნად გადაკეთებას, რისთვისაც დაცვის სიგელს იყენებს. სიგელი მიუთითებს, რომ მემამულის სახლი არის ისტორიული მნიშვნელობის, ამის გამო ყველა ორგანიზაციასა და პიროვნებას ეკრძალება მისი გამოყენება. მაგრამ ეს არ არის საკმარისი არგუმენტი ბავშვთა სახლის დირექტორისთვის: *„ყველაფერი სწორია, მაგრამ კომუნას მაინც მოვაწყობთ“* (რიბაკოვი 1962:299.) კომკავშირელების საუბარში ეს აზრი უფრო დაწვრილებით არის გადმოცემული: თურმე ამ სახლში *„ელისაბედ დედოფალს თუ ეკატერინე მეორეს უცხოვრია და გრაფინიაც ყველას ცხვირში სჩრის ამ სიგელს, მაგრამ აბა შენ თვითონ წარმოიდგინე, თუ სახლები, რომლებშიაც მეფეები და დედოფლები დროს ატარებდნენ, ცარიელი იქნება, საკითხავია, სადღა უნდა იცხოვროს ხალხმა?“* (რიბაკოვი 1962:268). თუკი „დაშნაში“ მოთხრობილი ამბავი კრასნაია პრესნიას შესახებ მეხსიერების არეს აყალიბებს, გრაფის სახლი, თავისი ისტორიული მნიშვნელობის მიუხედავად, არ იტვირთება მეხსიერების ადგილის მნიშვნელობით. მიზეზი სწორედ იდენტობის ფორმირების მიზნით წარსულის დასამახსოვრებელი და დასავიწყებელი ვერსიების სელექციაა. მარგარეტ მაკმილანის მიხედვით, ჩვენი იდენტობა ჩამოყალიბებულია ჩვენი ისტორიით და მჭიდროდ დაკავშირებულია მასთან. ამიტომ დამოკიდებულება წარსულის მიმართ, როდესაც მისი სასურველი ვერსიის არჩევას ვცდილობთ, ასევე იმის გადაწყვეტა, თუ რა გვინდა გვახსოვდეს და რა გვინდა დავივიწყოთ, ექვემდებარება პოლიტიკურ ვითარებას (MacMillan 2008:53).

ზემოთ განხილულ მონაკვეთში გადმოცემული წარსული როგორც პოლიტიკურ, ისე იდეოლოგიურ ზეგავლენას ექვემდებარება. საბჭოთა ადამიანის იდენტობის

ფორმირების თვალსაზრისით, რევოლუციასთან დაკავშირებული მონაკვეთები წარსულის მნიშვნელოვან და დასამახსოვრებელ ვერსიებს წარმოადგენს, ხოლო რევოლუციამდელი წარსული, მემამულეთა ცხოვრება და ა.შ. წარსულის მხოლოდ ნეგატიურ ხატს უნდა აყალიბებდეს. ამავდროულად, მას არ ენიჭება იმხელა მნიშვნელობა რომ მეხსიერების ადგილი/არე კონსტრუირდეს.

რევოლუციამდელი წარსულის ნეგატიური ხატის შექმნისას ხალხზე აქცენტირება და იმის ხაზგასმა, რომ რასაც ადრე ერთი ადამიანი ფლობდა, ახლა ხალხს ეკუთვნის, არის უმთავრესი არგუმენტი: *„ერთ ადამიანს უჭირავს ამოდენა სახლი იმ დროს, როცა შიგ ორასი ბავშვის მოთავსება შეიძლება!“* (რიბაკოვი 1962:311); *„კარაგაევოს გრაფებს იმდენივე მიწა ეჭირათ, რამდენიც ორი ათას გლეხის ოჯახს;“* *„საზიზღრობაა! [...] ყველაფერს ერთი ფლობდა, დანარჩენებს კი არა ებადათ რა! ეს ხომ უსამართლობაა!“* (რიბაკოვი 1962:364).

რევოლუციამდელი წარსულის მიმართ დამოკიდებულება მკაფიოდ გამოიხატება გრაფის ისტორიის დაწვრილებით გადმოცემით: კარაგაევოს წინაპრები ოქროს ურდოდან მოდიან. ერთ-ერთი მამა-შვილი კარაგაევები ღალატისთვის ან მეფის განძეულის გადამალვისთვის დედოფალმა ელისაბედმა დასაჯა და დამარხვის ნაცვლად ხერგში ჩაყარა; უკანასკნელი გრაფი ძვირფას ქვებს აყალბებდა, რის გამოც გაასამართლეს და გაკოტრება ემუქრებოდა. მაშინ გრაფის შვილმა მამა შეშლილად გამოაცხადებინა და მემკვიდრეობა მიიღო, მოხუც გრაფს კიდევ საზღვარგარეთ მოუწია წასვლა. თუმცა გრაფმა შვილს სამაგიერო გადაუხადა და ალმასი დაუმალა. ალმასის ძებნა რევოლუციამდე გაგრძელდა, მაგრამ ვერ იპოვეს (სწორედ ამ ალმასს იპოვიან ნაწარმოების ბოლოს).

როგორც ვხედავთ, გრაფის ისტორია მხოლოდ უარყოფითად არის წარმოდგენილი: ფულის, ძვირფასეულობის, მემკვიდრეობის გამო ოჯახის წევრები ერთმანეთს არ ინდობენ. მათთვის ჩვეულებრივია ღალატი, თაღლითობა და მოტყუება. თხრობისას ხაზი ესმება იმ ფაქტს, რომ მთელი ეს ფული ხალხს ეკუთვნოდა და თავადები იყენებდნენ. ასევე გადმოცემულია კარაგაევთან დაახლოებული დემიდოვების ამბავიც, თითქოს

ხუმრობანარევი ჩანართი: პროკოფი დემიდოვმა ინგლისელებისთვის ჭკუის სასწავლებლად მთელი სელი და ქერი შეისყიდა, რასაც ინგლისელები ყიდლობდნენ და მათ „ჭკუა ასწავლა... საკუთარი ფულებით. [...] მეორე დემიდოვმა - პავლემ - 1835 წელს მეფე ნიკოლოზ პირველს ნახევარ მილიონად ღირებულ ალმასი აჩუქა“ (რიბაკოვი 1962:409). ამ ამბავს მოყვება ალმასის რამდენჯერმე გადაყიდვის ისტორია, რაც ისევ დიდებულების სიხარბეზე და ფულის სიყვარულზე მიანიშნებს (რიბაკოვი 1962:410).

ეს არის ის ძირითადი ინფორმაცია, რაც მკითხველს მეფეებზე, მემამულეებსა და, ზოგადად, მაღალი წრის წარმომადგენლების შესახებ უნდა გაეთავისებინა.

ამავე მიზანს ემსახურება ახალგაზრდა გრაფ ალექსეი კარაგაევის სახეც, რომელიც რევოლუციის შემდეგ რუსეთში დარჩა. ეს ადამიანი არა მხოლოდ რუსი გლეხების ექსპლოატაციის ხარჯზე ცხოვრობდა მთელი ცხოვრება, არამედ მისთვის უცხოა სამშობლოს სიყვარული და პატრიოტული გრძნობები; რუსეთში მისი დარჩენის ერთადერთ მიზეზს ალმასი წარმოადგენს. გრაფის ნეგატიური სახის კიდევ უფრო დასამძიმებლად და კლასობრივი საკითხის გამოსაკვეთად, ნაჩვენებია მისი დამოკიდებულება გლეხების (ანუ „ჩვენ“ ჯგუფის) მიმართ. იგი კლავს გლეხს და ამბობს: „ჩვენ პირისპირ შევეჯახეთ ერთმანეთს. მან მიცნო. შეეძლო გავეცი, სხვა რა გზა მქონდა? ერთი გლეხუჭა მოაკლდა ქვეყნიერებას“ (რიბაკოვი 1962:524-525).

წინაპრების ისტორია ცხადყოფს არისტოკრატისთვის დამახასიათებელი თვისებების უწყვეტობას: ღალატი (მაშინ დედოფლის, ახლა ქვეყნის), თაღლითობა, ოჯახის წევრების მიმართ სისასტიკე და მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედება, გლეხების მიმართ დამოკიდებულება. მთავარი გზავნილი, რომელიც მკითხველმა უნდა მიიღოს, არის: ეს ხალხი ვერასდროს გახდება „ჩვენ“ ჯგუფის წევრი. მათთან ურთიერთობა ყოველთვის საფრთხის შემცველია. იგივე შეეხება მათთან დაახლოებულ პირებს. „გრაფინია“ თვითონ არ მიეკუთვნება არისტოკრატს, მაგრამ გრაფთან მუშაობდა და მისი ერთგული დარჩა. სახლის დაცვის სიგელი გაყალბებულია, გამყალბებული „გრაფინიას“ დის ქმარი, სეროვია. „გრაფინიას“ და საშინელი ქედმაღლობითა და ზიზღით ექცევა ბიჭებს: მიშას და გენკას სახლში არ უშვებს და

ცხვირწინ უჯახუნებს კარს, ორ პიონერს კი ფარდულში, თივაზე ათევიანებს ღამეს, სახლში იატაკი რომ არ დაუსვარონ. სეროვი გუბერნიის სახალხო განათლების განყოფილების უფროსის მოადგილეა, იგი არა მხოლოდ დოკუმენტებს აყალბებს, არამედ მიშას რაზმის წინააღმდეგ გაზეთში ანონიმურად წერილებს აქვეყნებს და მიშას კომკავშირიდან გარიცხვით აშინებს.

იკვრება ჯაჭვი: ვისაც კი შეხება ჰქონდა მემამულეებთან, თუნდაც ირიბი, გამოუსწორებელ ანტისაბჭოთა ელემენტად რჩება. სეროვი, რომელიც ოფიციალურად საბჭოთა ხელისუფლების სამსახურშია, ირიბად დაკავშირებულია (მისი ცოლის და გრაფის სამსახურში იყო) კონკრეტულ კლასთან. ამ კავშირით აიხსნება მისი არასაბჭოთა მოქმედებები და ქცევები. ეს არის კიდევ ერთი გზავნილი, რომელიც მკითხველმა უნდა გაითავისოს და საბჭოთა იდენტობის შემადგენელი მსაზღვრელი უნდა გახდეს: მუდმივი სიფრთხილე და მზადყოფნა „ჩვენ“ ჯგუფში მტრის/ჯაშუშის აღმოსაჩენად.

ზემოთ განხილული მაგალითები ცხადყოფს, რომ წარსული, სხვა მახასიათებლებთან ერთად, განსაზღვრავს საბჭოთა იდენტობის ფორმირებას. წარსულის საშუალებით ყალიბდება „სხვა“ ჯგუფი, რომელიც ხშირად მტერს მოიაზრებს; შექმნილია რევოლუციამდელი ცხოვრების ნეგატიური ხატი; ისტორიის უწყვეტობა უზრუნველყოფილია კავშირით მოვლენებთან რუსეთის წინასაბჭოთა ისტორიიდან, რომლებიც გმირობასა და გამარჯვებებს უკავშირდება; მკაფიოდ ისაზღვრება, რა და როგორ უნდა იყოს დამახსოვრებული; იქმნება ახალი მეხსიერების არეების/ადგილები.

ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს გასაბჭოების ვერსია, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებას განმათავისუფლებლის, ხოლო საქართველოს მთავრობას და ჯარს მოღალატის სახით წარმოადგენს.

დასკვნა

მოცემული კვლევის მიზანს წარმოადგენდა საბჭოთა ადამიანის იდენტობის ჩამოყალიბების მცდელობის ასახვა 1938–1964 წლების ქართული და რუსული საბავშვო მხატვრული ნაწარმოებების საშუალებით.

კვლევის ამოცანები იყო: გამოკვეთილიყო იდენტობის ის მსაზღვრელები/მახასიათებლები, რომლებზეც ხდებოდა ზემოქმედება; ასახულიყო ცვლილებები, რომლებიც აღნიშნულმა მსაზღვრელებმა განიცადა საკვლევი პერიოდის (193-1964) განმავლობაში; გამოკვეთილიყო მსაზღვრელებთან დაკავშირებული ცვლილებები ქართულ და რუსულ საბჭოთა საბავშვო მხატვრულ ნაწარმოებებში (არსებობის შემთხვევაში).

შევეცადეთ პასუხი გაგვეცა კითხვებზე:

1. იდენტობის რომელი მსაზღვრელების ჩამოყალიბ ცდილობდნენ საბავშვო ნაწარმოებების საშუალებით? 2. რა სახის ცვლილებები განიცადა აღნიშნულმა მსაზღვრელებმა/მახასიათებლებმა 1938-1964 წლებში? 3. არსებობდა თუ არა სხვაობა ქართულ და რუსულ ნაწარმოებებში იდენტობის მახასიათებლებზე ზემოქმედების კუთხით?

იდენტობის ფორმირება კომპლექსური პროცესია, რომლის მსაზღვრელები ერთმანეთთან მექანიკურად კი არ არიან დაკავშირებული, არამედ გამომდინარეობენ ერთი მეორისგან. ამის გამო ერთი მახასიათებლის მეორისგან სრულიად განცალკევებით გაანალიზება ნაკლებად არის შესაძლებელი.

კვლევამ აჩვენა, რომ ე. დ. სმითის მიერ დასახელებული ნაციონალური იდენტობის მსაზღვრელებიდან (ისტორიული ტერიტორია (სამშობლო), საერთო მითები და ისტორიული მეხსიერება, საერთო საზოგადოებრივი მასკულტურა, ყველა წევრისთვის საერთო სამართლებრივი უფლება-მოვალეობანი, საერთო ეკონომიკა) საბჭოთა იდენტობის ფორმირების პროცესში ძალისხმევა, პირველ რიგში, მიმართული იყო პირველი ორისაკენ.

ბუნებრივია, რომ საბჭოთა ადამიანის იდენტობის ფორმირებისათვის საჭირო იყო ამ იდენტობის მიკუთვნება განსაზღვრულ ტერიტორიასთან - საბჭოთა კავშირთან,

როგორც საერთო სამშობლოსთან. განხილულ ნაწარმოებებში გამოვლინდა კავშირი *სამშობლოს* ჩამოყალიბებასა და *ჩვენ* ჯგუფის განსაზღვრას შორის. მაგალითად, ა. გაიდარის ნაწარმოები „ჩუკი და გეკი“ მთავრდება სწორედ *ჩვენ* ჯგუფისა და სამშობლოს გამოკვეთის მონაკვეთით: ბიჭები ახალ წელს აღნიშნავენ და ყველანი ერთად უსმენენ კრემლის საათის ზარების ხმას: „*უსმენდნენ ადამიანები ქალაქებში, მთებში, სტეპებში, ტაიგაში, ლურჯ ზღვაზე. [...] რა არის ბედნიერება - ეს თითოეულს თავისებურად ესმოდა, მაგრამ ყველამ იცოდა და ყველას მიაჩნდა, რომ [...] საჭიროა, ძლიერ გიყვარდეს და უფრთხილდებოდე ამ დიდ ბედნიერ მიწას, რომელსაც საბჭოთა კავშირი ჰქვია*“ (გაიდარი 1968:37-38).

ადამიანთა ერთობის (*ჩვენ*) და საბჭოთა ქვეყნის ურთიერთკავშირი მკაფიოდ არის ხაზგასმული ლ. ლაგინის „მოხუც ხოტაბიჩშიც“: „*ჩვენს ბედნიერ საბჭოთა სოციალისტურ ქვეყანაში*“³⁹ (Лагин 1958:4). ამასთანავე, ნაწარმოებში, აზერბაიჯანელი და ქართველი პერსონაჟების დამატების გზით, გამოკვეთილია, თუ ვინ შედის დიდ „ჩვენ“ ჯგუფში - საბჭოთა კავშირში. მეორე მხრივ, ასახულია საბჭოთა რესპუბლიკების იერარქია და აღნიშნულია საქართველოს ფუნქცია - დასასვენებელი ადგილი.

ჩვენ ჯგუფისა და მახასიათებელ *სამშობლოს* შორის კავშირი აგრეთვე გამოვლინდა ქართულ ნაწარმოებშიც: ლ. მრელაშვილის „იყალთოელ ბიჭებში“ (1957). იქ ორჯერ არის ნახსენები ქართული ენა, როგორც იდენტობის მსაზღვრელი. მაგრამ თუკი პირველ შემთხვევაში ის მხოლოდ *ჩვენ* ჯგუფს განსაზღვრავს, მეორე შემთხვევაში ქართული ენა სამშობლოს აღქმას განაპირობებს: „*რატომ ამბინჯებთ ქართულ სიტყვას ასე? ქართველები ხართ და მშობლიურ ენას უფრო მეტი პატივით უნდა ეპყრობოდეთ*“ (მრელაშვილი 1960:332). მაშინ როდესაც საბჭოთა იდეოლოგიის მიხედვით, ბავშვები, პიონერები ნამდვილ საბჭოთა მოქალაქეებად უნდა აღიზარდონ და სამშობლოდ საბჭოთა კავშირი მიიჩნიონ, ხაზგასმა „*ქართველები ხართ*“ სრულიად საპირისპირო მდგომარეობას გამოხატავს. თვითიდენტიფიკაცია ხდება არა საბჭოთა კავშირთან, არამედ საქართველოსთან; აქცენტირებულია ქართული, როგორც მშობლიური ენა. იმის

³⁹ «в нашей счастливой социалистической стране»

გათვალისწინებით, თუ რამხელა მნიშვნელობა ჰქონდა რუსული ენის ცოდნას საბჭოთა კავშირის დროს, მოწოდება, რომ „*მშობლიურ ენას უფრო მეტი პატივით უნდა ეპყრობოდეთ*“ განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს. ასევე საყურადღებოა, რომ 1974 წლის გამოცემაში თავი „*ართიმეტიკის მასწავლებელი*“ მთლიანად ამოღებულია და, შესაბამისად, აღარ არის აღნიშნული მონაკვეთიც.

ქართული ნაწარმოებებიდან საბჭოთა კავშირის, როგორც *სამშობლოს* აღქმა ყველაზე ინტენსიურად ნ. ნაკაშიძის „*მოწაფის დღიურში*“ (1954) ვლინდება. არაერთხელ მეორდება ფრაზა „*სოციალისტური სამშობლო*“: მთავარი პერსონაჟი, ალიკო ხაზს უსვამს, რომ სოციალისტური სამშობლოს პატრიოტია. სწორედ ამის გამო უნდა ფრონტზე წასვლა. ალიკოს მამაც ამბობს, რომ თვითონაც სოციალისტური სამშობლოს პატრიოტია (ნაკაშიძე 1957:121). ვოროშილოვის წერილშიც აღნიშნულია „*საბჭოთა სოციალისტური სამშობლოს პატრიოტი მოწაფეები*“ (ნაკაშიძე 1957:178). როდესაც ალიკოს ბიძა ელიზბარი ბრძოლის ამბავს ყვება, აღნიშნავს, რომ „*ამას მოითხოვს ჩვენგან ჩვენი სოციალისტური სამშობლო, ჩვენი პარტია.*“ *ჩვენ მზად ვართ ... დავიცვათ ჩვენი სამშობლო უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ჩვენი საკუთარი მკერდით. დეე, იცოდეს ჩვენმა საყვარელმა სამშობლომ, მტერს არ გავახარებთ, ზურგს არ ვაჩვენებთ*“ (ნაკაშიძე 1957:147).

სამშობლოს, როგორც იდენტობის მსაზღვრელის ფორმირება სხვა მახასიათებლებთან ერთად მიმდინარეობს, ან მათი საშუალებით არის წარმოდგენილი. მაგალითად, ხშირად *ჩვენ* ჯგუფის განსაზღვრისას ქვეყანა, სამშობლოც მოიაზრება, მაგრამ არ არის პირდაპირ სიტყვა *სამშობლო* ნახსენები. ამ შემთხვევაში აზრი ცხადი ხდება კონტექსტიდან. ასევე, მნიშვნელოვანი სხვაობებია ქართულ და რუსულ ნაწარმოებებში: რუსულში არცთუ იშვიათად საბჭოთა კავშირი და რუსეთი ურთიერთშემცვლელი ცნებებია. სწორედ ამიტომ ცნება *სამშობლო* ყოველთვის არ არის ხაზგასმით ნახსენები. ანდა ერთსა და იმავე ნაწარმოებში მოყვანილია ცნება სამშობლო - საბჭოთა კავშირი და რუსეთიც. მაგალითად, ლ. ლაგინის „*მოხუცი ხოტაბიჩში*“ არის ფრაზა - საბჭოთა სოციალისტური ქვეყანა და, ამავედროულად, საუბარია რუსეთზე: როდესაც ვანდენდალესი სურვილებს ჩამოთვლის, ერთ-ერთ სურვილია ეკუთვნოდეს რუსეთი (და არა საბჭოთა კავშირი).

იმავეს ვხვდებით, როდესაც ვოლკას მეგობარი ჟენია ინდოეთში აღმოჩნდება და ინდოელს ეუბნება, რომ რუსია. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ ფაქტს, რომ რუსები წარმოადგენდნენ საბჭოთა კავშირის მთავარ ნაციას და რუსების, როგორც საბჭოთა მოქალაქეების თვითიდენტიფიკაცია განსხვავდებოდა საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკების სხვა მოქალაქეების თვითიდენტიფიკაციისგან. ეს მიზეზი განაპირობებს ქართულ ნაწარმოებებშიც მახასიათებელ *სამშობლოს* არაერთგვაროვან გამოხატულებას.

იდენტობის მეორე მნიშვნელოვან მსაზღვრელს/მახასიათებელს წარმოადგენს საერთო მითები და ისტორიული მეხსიერება. მისი ფორმირება მიმდინარეობს როგორც კონკრეტულად წარსულზე მიმართული ზემოქმედებით, ისე სხვა მახასიათებლების/ხატების საშუალებით. მაგალითად, პიონერის კომკავშირელის ხატის ჩამოყალიბების პროცესში არ არის იშვიათი წარსულთან დაკავშირებული მონაკვეთების გამოყენება. კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები შეიძლება ორი მოვლენის ირგვლივ დაჯგუფდეს: 1. რევოლუცია და სამოქალაქო ომი 2. რევოლუციამდელი წარსული.

რევოლუცია და სამოქალაქო ომის საბჭოთა ადამიანების საერთო წარსულის (საბჭოთა წყობილების დამყარებისთვის ბრძოლის) შექმნას უზრუნველყოფს. ბუნებრივია, არის სხვაობები ქართულ და რუსულ ნაწარმოებებს შორის, ისტორიული კონტექსტიდან გამომდინარე (რევოლუცია და სამოქალაქო ომის მიმდინარეობა რუსეთში და საქართველოს გასაბჭოება), მაგრამ ამ წარსულის საერთო სახეს შედეგი - საბჭოთა კავშირის შექმნა განაპირობებს. ამ შემთხვევაში, საქართველოს გასაბჭოების ვერსია გამოხატავს ამ საერთო წარსულის შექმნის მცდელობას, რომლის მიხედვითაც, საბჭოთა ხელისუფლება გამათავისუფლებელს წარმოადგენს. შესაბამისად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა და ჯარი მოლაღატის სახით არიან წარმოჩენილნი. *წარსული*, როგორც მსაზღვრელი, არა მარტო დაკავშირებულია მტრის ხატისა და *სხვა* ჯგუფის სახესთან, არამედ ისინი განაპირობებენ კიდევ ერთმანეთს. ეს დამოკიდებულება ყველაზე მკაფიოდ რევოლუციამდელი წარსულის ასახვისას იკვეთება. გამოხატულია კლასობრივი ჩაგვრა, უაყოფითი პერსონაჟები: კაპიტალისტები, არისტოკრატია, ბურჟუაზია, კულაკები. თუკი მოქმედება უკვე საბჭოთა პერიოდში მიმდინარეობს და

უარყოფითი პერსონაჟი, მაგალითად პიონერია, მაშინ მისი წინაპარი ბურჟუაზიას ან ბურჟუაზიულ არისტოკრატიას მიეკუთვნებოდა, ან ცარიზმის დროს კარგ მდგომარეობაში იყო (სხვა დაზუსტების გარეშე); ყოველი მათგანი ეწინააღმდეგებოდა რევოლუციას. სწორედ ეს ფაქტი განაპირობებს პერსონაჟის უარყოფით სახეს.

ასევე, წარსულის საშუალებით ხდება რევოლუციის და საბჭოთა წყობის განდიდება: ნეგატიური საკითხი რევოლუციის მიერ მოტანილ ცვლილებასთან არის შეპირისპირებული, რითაც ერთდროულად ხდება ზემოქმედება მკითხველზე და იკვეთება რევოლუციამდე წარსულის უარყოფითი და რევოლუციის შემდგომი პერიოდის დადებითი ხატები.

ზემოთ განხილული მახასიათებლების შემდეგ, საბჭოთა იდენტობის ფორმირების პროცესში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭრავს ომის სახეს. ომის ხატი მკაფიოდ არის წარმოდგენილი საბჭოთა საბავშვო ნაწარმოებებში, როგორც რუსულში, ისე ქართულში. ომის ხატის ფორმირების პროცესი მჭიდრო კავშირშია კულტურულ გმირთან, მტრის ხატთან, ასევე იდენტობის მსაზღვრელად ქცეულ *მორჩილებასთან*.

კვლევაში გაანალიზებულ ნაწარმოებებში სამამულო ომი 1947 წლიდან ჩნდება (ვ. ოსევეასთან), ა. გაიდარის ორივე მოთხრობა კი სამამულო ომის დაწყებამდე არის დაწერილი (1939 „ჩუკი და გეკი“, 1940 „თემური და მისი რაზმი“). ეს ფაქტი განსაკუთრებით საყურადღებოა „თემური და მისი რაზმის“ შემთხვევაში, რადგან ომი განაპირობებს ნაწარმოების მთელ სტრუქტურასა და შინაარსს, პერსონაჟების ყოველდღიურობის ნაწილად არის მოწოდებული. ეს კიდევ ერთხელ გამოკვეთს ომის, როგორც საბჭოთა ადამიანის იდენტობის ნაწილის მნიშვნელობას. ეს მნიშვნელობა კი განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს უკვე სამამულო ომის შემდეგ.

საკვლევის პერიოდის გათვალისწინებით, ნაწარმოებებში ასახული სამამულო ომი ახლო წარსულს წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, ზოგიერთ შემთხვევაში, ის ასევე დაკავშირებულია *წარსულთან*, როგორც იდენტობის მსაზღვრელთან.

სამამულო ომს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საბჭოთა ადამიანის იდენტობის ჩამოყალიბების კუთხით. ომი საკრალური დიდების მქონე მოვლენად არის

გააზრებული და ომში დაღუპვაც განსაკუთრებულ, აღმატებულ დამოკიდებულებას იწვევს. თუკი რევოლუცია და სამოქალაქო ომი კონკრეტულად რევოლუციონერებისა და ბოლშევიკების ბრძოლას ასახავს საბჭოთა წყობილების დასამყარებლად, სამამულო ომში მსხვერპლიც და გამარჯვებაც უკვე უშუალოდ საბჭოთა ხალხს უკავშირდება. ეს ფაქტი ნათლად იკვეთება კომკავშირლების განსაკუთრებული ჩართულობით ბრძოლაში და მისი წარმოჩენით კომკავშირლის ხატის განუყოფელ ნაწილად). სამამულო ომის განდიდება და ომის გმირების საკრალიზაცია (ზოია კოსმოდემიანსკაია, და სხვ.) დამოკიდებულებაშიც გამოიხატება. მათ არაერთხელ ახსენებენ სხვადასხვა ნაწარმოებში და ისინი ხელშეუხებელ სიმაღლეს წარმოადგენენ.

1947 წლიდან 1963 წლამდე სამამულო ომის აღქმამ გარკვეული ცვლილებები განიცადა, ჯერ მოხდა მისი განდიდება, საკრალიზაცია, ბოლოს კი გადაიქცა წარსულის მოვლენად, რომელიც ინარჩუნებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას, მაგრამ ყოველთვის აღარ არის საკრალური. იგი ნაკლებად იკავებს ცენტრალურ ადგილს თხრობაში (ი. ტომინის ნაწარმოებებში „ბორკა, მე და უჩინმაჩინი“ (1962) და „ჯადოქარი დადის ქალაქში“ (1963)). მიუხედავად ამ ცვლილებისა, აღნიშნული პერიოდისთვის სამამულო ომი უკვე ქცეული იყო საბჭოთა ადამიანის იდენტობის ერთ-ერთ განმსაზღვრელ და უცილობელ მახასიათებლად.

საბჭოთა ადამიანს იდენტობის ფორმირების საკვლევად მნიშვნელოვანი იყო აღნიშნულ პერიოდში არსებული კულტურული გმირის გამოვლენა და გაანალიზება.

კულტურული გმირი კვლევაში გამოყენებული არის გ. ჰოფსტედეს მიერ მინიჭებული მნიშვნელობით: *„გმირები ცოცხალი ან გარდაცვლილი, რეალური ან წარმოსახვითი ადამიანები არიან, რომელთა მახასიათებლებიც მოცემულ კულტურაში ფასობს და მისაბამად ითვლება“* (ჰოფსტედე 2011:16).

ომის მნიშვნელობის გათვალისწინებით, სამხედრო პირს განსაკუთრებული დატვირთვა ენიჭება. თუკი პიონერი/კომკავშირელი მკითხველისთვის მისი ასაკობრივი ჯგუფისთვის სანიმუშო ხატს აყალიბებს და მისთვის ასაკობრივად მეტ-ნაკლებად შესატყვის სახეს ქმნის, სამხედრო პირის საშუალებით იქმნება ზოგადად კულტურული

გმირი, რომელიც ყველა ასაკობრივ ჯგუფისათვის საერთოა. ხშირად რომელიმე კონკრეტულ ბრძოლაში გამოჩენილი მეზრძოლი, რომელსაც გმირის წოდება მიენიჭა, ხდება კულტურული გმირის განსხვავება და მას მიეწერება კულტურული გმირის შესატყვისი თვისებები. ეს უკვე არის მკითხველისთვის (ბავშვისთვის) მიწოდებული მკაფიო ნიმუში, თუ ვისთან უნდა მოახდინოს იდენტიფიცირება და ვის მიბაძოს მომავალში.

შემდეგი რამდენიმე თვისება: მორჩილება, მუდმივად ფხიზლად და მტრის აღმოსაჩენად მზადყოფნა უშუალოდ გამომდინარეობს კულტურული გმირის (ჯარისკაცი) სახიდან. მორჩილება, როგორც საბჭოთა ადამიანის არა მხოლოდ ბავშვის ან პიონერის, არამედ ზრდასრული ადამიანისაც) აუცილებელი თვისება ჯერ კიდევ ა. გაიდართან არის წარმოჩენილი. ეს მოთხოვნა არ არის მოულოდნელი: თუკი ომის ხატი ყოველდღიურობის ნაწილი, ხოლო სამხედრო პირი კულტურული გმირი უნდა გამხდარიყო, შესაბამისად, მორჩილებაც საბჭოთა იდენტობის დასაფასებელ თვისებად უნდა ჩამოყალიბებულიყო. ინიციატივის გამოხატვა თვითნებობად აღიქმება, რაც ცალსახად მიუღებელია. თუმცა, 1960-იან წლებში მორჩილების მოთხოვნა უკვე უცნაურ და არაცალსახა პერსონაჟს უკავშირდება, ანუ იცვლება დამოკიდებულება აღნიშნული თვისების მიმართ.

რაც შეეხება დანარჩენ ორ თვისებას: მუდმივად ფხიზლად ყოფნასა და მტრის აღმოსაჩენად მზადყოფნას, ისინი საბჭოთა ადამიანისთვის აუცილებელ თვისებებად უნდა ჩამოყალიბებულიყო. ისინი, ერთი მხრივ, კულტურული გმირის (ჯარისკაცი) სახიდან გამომდინარეობს, თუმცა მეორე მხრივ, ბმაშია მტრის ხატთან. ამ თვისებების ჩამოყალიბებით მტერი/მტრის არსებობა საბჭოთა ადამიანის იდენტობის განუყოფელი ნაწილი ხდებოდა.

1950-იანი წლების ბოლოსა და 60-იანების დასაწყისში გამოვლინდა გარკვეული ძვრები: გამოიკვეთა კულტურული გმირის სახეცვლილება. დროთა განმავლობაში ჩამოყალიბებული კულტურული გმირის საკრალიზებული სახე - სამხედრო, ჯარისკაცი, ომის გმირი - გარკვეულ დონეზე დაშორდა არსებულ თაობას; მისკენ სწრაფვა

გართულდა. ამ პერიოდიდან ვლინდება კულტურული გმირის ახალი სახე: მშრომელი ადამიანი, მუშა, რომელიც კულტურული გმირის ე.წ. მოქმედ სახეს აყალიბებს. ის არის მიღწევადი და შესაბამისობაშია დროსთან. კულტურული გმირის ეს სახე უკვე არსებულ სამხედროს სახესთან ერთად იწყებს თანაარსებობას. ორივე მათგანს საკუთარი ფუნქცია აქვს: კულტურული გმირი - სამხედრო - საკრალიზებულია და ის საბჭოთა ადამიანის ღირებულებების (პატრიოტიზმი, სამშობლოსთვის და პარტიისთვის თავგანწირვა, მორჩილება, სიფრთხილე და ბრძოლისთვის მზადყოფნა) ნიმუშს წარმოადგენს; კულტურული გმირი - მშრომელი ადამიანი, შრომის გმირი კი არამხოლოდ დროის შესაბამის თვისებებს აყალიბებს, არამედ მოქმედებისკენაც უბიძგებს საბჭოთა ადამიანს.

იდენტობის ფორმირების მხრივ მნიშვნელოვანია განისაზღვროს, თუ ვის ინტერესებს ენიჭება უპირატესობა კონკრეტული კულტურის და, შესაბამისად, საზოგადოების ფარგლებში - ინდივიდის თუ საზოგადოების. ამის მიხედვით საზოგადოებები იყოფა ინდივიდუალისტურ და კოლექტივისტურ საზოგადოებებად. კოლექტივიზმი მოიაზრებს ჯგუფის საერთო ინტერესების უპირატესობას, პრიორიტეტს ინდივიდის პიროვნულ ინტერესებთან შედარებით. საბჭოთა საბავშვო მხატვრული ნაწარმოებების კვლევის შედეგად მკაფიოდ გამოვლინდა კოლექტივიზმისა და კოლექტივისტური საზოგადოების ფორმირების მცდელობა. აღსანიშნავია, რომ მოცემულ კონტექსტში სიტყვა *კოლექტივი*, გარკვეულ შემთხვევაში, *ჩვენ* ჯგუფს მოიაზრებს და უპირისპირდება *სხვას*, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს არამართო ჯგუფს, არამედ ინდივიდსაც. ნაწარმოებებში კოლექტივიზმი ყველაზე მკაფიოდ კრებების (პიონერების, კომკავშირლების) აღწერით გამოვლინდება. კრების დროს მკაფიოდ ჩანს, თუ რამხელა დატვირთვა ენიჭება კოლექტივის აზრს; ხოლო ინდივიდუალიზმი, როგორც ასეთი, ნეგატიურ და საბჭოთა ადამიანისთვის მიუღებელ თვისებას წარმოადგენს. ამის გამო, ის ხშირად უარყოფით (მაგალითად, პიონერის უარყოფითი ხატი) ან ცალსახად მტრის პერსონაჟს ახასიათებს. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაშიც თვალშისაცემია გარკვეული ცვლილება: თუკი 1950-იანი წლების შუა პერიოდამდე კოლექტივისა და კოლექტიური აზრის მნიშვნელობა გადამწყვეტია, 1950-იანი წლების ბოლოს და 1960-იანი წლების დასაწყისში

ვითარება იცვლება, კრებაზე კოლექტივის მნიშვნელობა და დატვირთვა აღარ არის იმდენად მკაფიოდ გამოხატული. მის მაგალითია ი. ტომინის ნაწარმოებში „ბორკა, მე და უჩინმაჩინში“ (1962) მონაკვეთი, როდესაც კოსტია შმელი აღნიშნავს, რომ დუტოვთან ანგარიშის გასწორება იყო პირველი შემთხვევა, როდესაც მთელმა კლასმა რაღაც ერთად გააკეთა, არა იმიტომ, რომ მათ ეს დაავალეს, არამედ საკუთარი სურვილით.

ნაწარმოებებში ინტენსიურად არის გამოვლენილი *ჩვენ* და *სხვა* ჯგუფები, თუმცა ხშირად - სხვა მახასიათებლებთან კავშირში. მნიშვნელოვანია *ჩვენ* ჯგუფის განსაზღვრა, რაც ამასთანავე მოიაზრებს *სხვა* ჯგუფის გამოკვეთა-სა და მასთან შეპირისპირებას. კვლევაში განხილულ ლიტერატურაში *სხვა* ჯგუფი მხოლოდ მტერს არ გულისხმობს, *სხვა* შეიძლება მეგობრადაც იყოს აღქმული.

კვლევის ფარგლებში საბჭოთა საბავშვო ნაწარმოებებში წარმოდგენილი *ჩვენ/სხვა* ჯგუფები ორ მნიშვნელობას მოიცავს: 1) *ჩვენ* (საბჭოთა ხალხი)/*სხვა*; 2) დიდი *ჩვენ* ჯგუფის (საბჭოთა ხალხის) შიგნით არსებული მცირე *სხვა* ჯგუფები. მკაფიოდ გამოვლინდა *ჩვენ* ჯგუფის შიგნით მიმდინარე პროცესები, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა ადამიანის ჩამოყალიბებისთვის, რადგან შეეხებოდა ჯგუფის შიგნით როგორც იდეოლო-გიური (ინტელიგენცია, სკაუტები და სხვ.), ისე ეროვნული ნიშნით დაყოფას.

რაც შეეხება *სხვა* ჯგუფს, ის, ძირითადად, განსაზღვრულია იდეოლოგიური ნიშნით. *სხვა* ჯგუფის ყველაზე ცალსახა გამოხატულება არის *სხვა* როგორც მტერი. მეორე გამოხატულებათ, როდესაც იდეოლოგიური ნიშნიდან გამომდინარე, *ჩვენ* ჯგუფის წევრი შეიძლება გარდაიქმნას *სხვა* ჯგუფის წევრად (და რადგანაც *სხვას* აქვს „მტრად“ გარდაქმნის ტენდენცია, მსგავსი გადანაცვლება საფრთხის შემცველია). ასევე, კონკრეტული იდეოლოგიური ნიშნის გამო, შესაძლებელია *სხვა* ჯგუფის წევრი (ნაწილობრივ მაინც) მიეკუთვნოს *ჩვენ* ჯგუფს (მაგალითად, *სხვა* ჯგუფის წევრის პოლიტიკური შეხედულებებიდან გამომდინარე, ყალიბდება *ჩვენ* ჯგუფისთვის მიკუთვნებულობის ნიშნებიც, ერთგვარი გარდამავალი ეტაპი *სხვა* ჯგუფსა და *ჩვენ* ჯგუფს შორის).

როგორც უკვე აღინიშნა, *სხვა* ჯგუფის ყველაზე ცალსახა გამოხატულებას მტრის ხატი წარმოადგენს. მტრის ხატი საბჭოთა ადამიანის იდენტობის ერთ-ერთი აუცილებელი მახასიათებელი იყო. საბჭოთა ადამიანს ყოველთვის ჰყავდა მტერი, განსაზღვრული ან კონკრეტული სახელდების გარეშე. მაგალითად, ა.გაიდარის ნაწარმოებიდან „ჩუკი და გეკი“ მეთაური, რომელიც ვინმესთან (!) ომის დაწყების ბრძანებას ელოდება ვოროშილოვისგან. და ეს აზრი ნაწარმოებში ორჯერ მეორდება. ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანი იყო ზოგადად მუდმივად ფხიზლად ყოფნისა და საბრძოლო მზადყოფნის მოთხოვნის ფორმირება, და არა კონკრეტულ, განსაზღვრულ მტერზე მიმართული დამოკიდებულების ჩამოყალიბება. ამგვარად, მტრის ხატი ორგვარად კონსტრუირდებოდა: კონკრეტული (იდეოლოგიის, სახელმწიფოს, ეროვნების, ინდივიდის) მტრის და, ზოგადად მტრის (სახელდების გარეშე) ხატის შექმნა. გაანალიზებულ ნაწარმოებებში პირველი ხაზი გაცილებით უფრო ინტენსიურად და მკაფიოდ გამოვლინდა.

როგორც აღვნიშნეთ, მ. ვუორინენის მიხედვით, მტრის ხატის ჩამოსაყალიბებლად აუცილებელია განისაზღვროს მისი მდებარეობა. *ჩვენ* ჯგუფი მოთავსებულია აზრობრივ ცენტრში, მტერი კი ამ ცენტრის გარშემო განლაგდება. გარე წრე მოიცავს სახელმწიფოს/ერის სამხედრო მტრებს. ესენი არიან გარე მტრები ანუ მტრები საზღვრებს გარეთ, გარე სამყაროდან. შემდეგი წრე შიდა/მახლობელ მტერს წარმოადგენს: მათ, ვინც ცხოვრობს იმავე საზოგადოებაში, მაგრამ *ჩვენ* ჯგუფის ფარგლებს გარეთ - მაგალითად, გარკვეული საოციალური კლასი ან იდეოლოგიური ნიშნით გამორჩეული ჯგუფი. და ბოლოს, ჩვენ ჯგუფის შიგნით არსებული მტერი (Vuorinen 2012:3).

ქართული და რუსული ნაწარმოებების გაანალიზების შედეგად, გამოვლინდა, რომ გარე მტრებში მკაფიოდ გამოიკვეთა ფაშისტები და ამერიკა, ნახსენებია ანტანტა, თეთრფინელები და იაპონელები. მახლობელი მტრები გამოიხატა კლასობრივი, იდეოლოგიური ნიშნით: მენშევიკები, კულაკები, არისტოკრატია. მოცემულია მტრის ხატის შესაბამისი პერსონიფიცირებული სახეები, მათ შორის ერთ-ერთი ჩვენ ჯგუფის შიგნით არსებულ მტრის ხატს წარმოადგენს.

მტრის ხატის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი იყო მტრის გარკვეული თვისებების: სისასტიკის, სიმხდალის, დაბალი გონებრივი შესაძლებლობების ასახვა. ამავდროულად, მიმდინარეობს საბჭოთა ადამიანების (პიონერების, კომკავშირლების, მეზრძოლების) დადებითი თვისებების ხაზგასმა. ისევე როგორც კულტურული გმირის, მტრის ხატის შემთხვევაშიც 1950-იანი წლების ბოლოდან შეიმჩნევა ცვლილება. ეს არ არის უბრალოდ დამთხვევა: იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ პერიოდამდე კულტურულ გმირს სამხედრო, ჯარისკაცი წარმოადგენდა, ცვლილებები კულტურაში მიმდინარე კომპლექსურ პროცესზე მიუთითებს. თუკი კულტურული გმირის შემთხვევაში ჯარისკაცის სახესთან ერთად თანაარსებობას იწყებს მუშის (შრომის გმირის) სახეც, მტრის ხატის შემთხვევაში იცვლება დამოკიდებულება ცალსახა მტრების - ფაშისტებისა და ამერიკის - მიმართ. ფაშისტის ხსენებას აღარ მოჰყვება ის განსაკუთრებული იდეოლოგიური ნაწილი (თუნდაც ფანატიზმამდე მისული გმირობის ამბები), რომელიც საბჭოთა კავშირის გამარჯვებას ერთგვარ საკრალურ მდგომარეობაში ამყოფებდა. შესაძლებელი ხდება ფაშისტის გამოყენება შედარებისა და სახუმარო კონტექსტში.

მეორე ცვლილება შეეხო მნიშვნელოვანი დატვირთვის მქონე გარე მტრის ხატს: ამერიკა უკვე აღარ წარმოადგენს ცალსახა მტერს, არამედ სასურველ უცხოს. ამერიკისადმი ინტერესს აძლიერებს მისი მიწვდომის სირთულე, ის, რომ ყოველივე ამერიკულის ჯერ ისევე „შოვნა“ არის საჭირო (მაგალითად, ღამით მუსიკის ჩაწერა რადიომიმღებიდან). ეს, თავისთავად აღვივებს ინტერესსა და ბადებს არარეალურ მოსაზრებებს ამერიკის შესახებ.

საბჭოთა ადამიანის იდენტობის ჩამოყალიბების პროცესი შესაბამისი მაგალითების: სანიმუშო პიონერისა და სანიმუშო კომკავშირელის ხატების მიწოდებასაც მოიაზრებდა. პიონერისა და კომკავშირელის ხატების საშუალებით მკითხველს მიეწოდებოდა იმ თვისებების, მოვალეობებისა და ქცევების ერთობლიობა, რომელთაც უნდა ჩამოეყალიბებინათ საბჭოთა ადამიანის იდენტობა, შეექმნათ მისი საფუძველი - ბირთვი. სწორედ ამიტომ, ზემოთ განხილული ცალკეული მახასიათებლები და ხატები ასევე

დაკავშირებულია და გამოკვეთილია პიონერისა და კომკავშირელის სანიმუშო ხატების შემთხვევაშიც. ამ გზით აღნიშნული მახასიათებლები/ხატები არ რჩება მკითხველისთვის განყენებულ, ცხოვრებისგან მოწყვეტილ ცნებებად, არამედ ცხადი ხდება მათი მნიშვნელობა ადამიანის, თანაც თანატოლის (პიონერისა და კომკავშირელის) ყოველდღიურობაში. აქედან გამომდინარე, ისეთი მახასიათებლები, როგორებიც არის ინდივიდუალიზმი და კოლექტივიზმი, *ჩვენ* და *სხვა* ჯგუფი, მორჩილება, მუდმივად ფხიზლად და მტრის აღმოსაჩენად მზადყოფნა პიონერისა და კომკავშირელის აზროვნების, ქცევის, ცხოვრებისეულ პრობლემებთან გამკლავების ან სიხარულისა და გამარჯვების ბუნებრივი, განუყოფელი ნაწილი ხდება. შესაბამისად, მკითხველის გონებაშიც ამ სახით ილექება.

პიონერის ხატის ფორმირებისათვის მნიშვნელოვანია მკითხველისთვის (ბავშვისთვის) განსაკუთრებული დატვირთვის მქონე თემებით მანიპულირება. ბავშვის შემთხვევაში, მსგავს თემებს შორის “ოჯახი” ან “დედა”/„მამა“ (ცალ-ცალკე) იკვეთება. უკვე მათი საშუალებით კი სხვა საკითხებზე ხდება ზემოქმედება. დიდი მნიშვნელობა ენიჭება კრებებს, რომლებზეც ძალიან მკაფიოდ და დეტალურად არის მოცემული ის თვისებები (მოთხოვნები), რომლებიც უნდა ჰქონდეს პიონერს და კომკავშირელს. კომკავშირლებთან განმტკიცდება პიონერობისას უკვე ფორმირებული თვისებები; იზრდება პასუხისმგებლობა, მოვალეობები პარტიისა და გარემომცემთა წინაშე, ჩართულობა პოლიტიკასა და ბრძოლაში (კომკავშირელი-მებრძოლი ცალკე სახედ არის ფორმირებული), ამას ემატება ზრუნვა უმცროსებზე.

ასევე, კრების საშუალებით გამოიხატება *ჩვენ* და *სხვა* ჯგუფები, კოლექტივისა და კოლექტიური აზრის მნიშვნელობა, ინდივიდუალიზმი, როგორც უარყოფითი თვისება. კოლექტივისგან დაშორება და მისგან მოწყვეტა საფრთხის შემცველად მოიაზრება, რადგან კოლექტივი ამავდროულად წარმოადგენს *ჩვენ* ჯგუფს. შესაბამისად, კოლექტივისგან დაშორება *ჩვენ* ჯგუფისგან დაშორებას და *სხვა* ჯგუფში გადანაცვლებას ნიშნავს. 1950-იანი წლების შუა პერიოდამდე კოლექტივისა და კოლექტიური აზრის მნიშვნელობა გადამწყვეტია, შემდეგ კი ამ კუთხით ვლინდება მცირე ძვრები.

ამრიგად, პიონერისა და კომკავშირელის ხატის ჩამოყალიბებისას კიდევ ერთხელ არის წარმოჩენილი ის უმთავრესი მახასიათებლები და ხატები, რომლებსაც საბჭოთა ადამიანის იდენტობა უნდა ჩამოეყალიბებინა. მათი ჩართულობა უშუალოდ პიონერის და კომკავშირელის ცხოვრების ამსახველ მონაკვეთებში უზრუნველყოფდა ამ მახასიათებლებისა და ხატების განმტკიცებას მკითხველის გონებაში, არა როგორც ცალკე განყენებული ცნებების, არამედ დამოკიდებულებებისა და ქცევის ბუნებრივი განმაპირობებელის სახით. სწორედ ამიტომ საბჭოთა ადამიანის იდენტობის ფორმირების კუთხით განსაკუთრებული დატვირთვა ენიჭებოდა აღნიშნული მახასიათებლების/ ხატების მნიშვნელობის ასახვას უშუალოდ ცხოვრებისეულ სიტუაციებთან კავშირში და მათგან გამომდინარე.

ყველაზე ხშირად სწორედ პიონერისა და კომკავშირელის ხატები ავლენენ განსხვავებებს საბჭოთა პერიოდის რუსულ და ქართულ კულტურებს შორის. ზოგადად, კვლევის ფარგლებში განხილული საბჭოთა საბავშვო რუსული და ქართული ნაწარმოებების შედარებამ გვაჩვენა მნიშვნელოვანი სხვაობები მათ შორის. მიუხედავად საერთო იდეოლოგიური ზეგავლენისა, ორივე კულტურამ აღნიშნული ზეგავლენა საკუთარი ფასეულობების შესაბამისად გადაამუშავა. ის მახასიათებლები, რომლებსაც საბჭოთა ადამიანი უნდა ჩამოეყალიბებინა და მომავალ თაობაზე (ბავშვებზე) იყო მიმართული, საკუთარი ფასეულობების მიხედვით გადაიაზრა და გამოხატა.

თუკი საბჭოთა რუსულ ნაწარმოებებში კოლექტივის შიგნით ურთიერთობებშიც იდეოლოგიას ენიჭება დიდი მნიშვნელობა (მაგალითად, „ვასიოკ ტრუბაჩოვი და მისი ამხანაგები“, „ბრინჯაოს ფრინველი“), ქართულ ნაწარმოებებში კოლექტივში მეგობრულ ურთიერთობებს, ასაკობრივ სხვაობას და იდეოლოგიას თანაბარი მნიშვნელობა აქვს. ასევე, ზოგადად კრების მიმართ ნაკლები დატვირთვა და ნდობა მჟღავნდება, ვიდრე რუსულში. კვლევაში განხილული რუსული საბჭოთა საბავშვო ნაწარმოებებისგან კრებისა და კოლექტივის მიმართ განსხვავებულ დამოკიდებულებას ვხედავთ ი.ტომინის „ბორკა, მე და უჩინმაჩინში“. ამ შემთხვევაში სრულიად დარღვეულია რუსულ ნაწარმოებებში ჩამოყალიბებული კრებისა და კოლექტიური აზრის მნიშვნელობა.

ჩვენ და *სხვა* ჯგუფების ფორმირების თვალსაზრისით, რუსულ ნაწარმოებებში ძირითადად იკვეთება ერთიანი საბჭოთა კავშირის, დიდი *ჩვენ* ჯგუფის იდეა; ხაზგასმულია, თუ ვინ შედის *ჩვენ* ჯგუფში, ასახულია ამ ჯგუფის შიგნით არსებული სხვაობები და ასევე, ზოგიერთ შემთხვევაში, იკვეთება საბჭოთა რესპუბლიკების იერარქია. ამ კონტექსტში გვხვდება საქართველოს ფუნქციის აღნიშვნაც (დასასვენებელი ადგილი) და ქართველის სტერეოტიპული სახეც (ფამილარული, ემოციური მომსახურე პერსონალი).

რაც შეეხება ქართულ საბჭოთა საბავშვო ნაწარმოებებს, საყურადღებოა, რომ ერთიანი *ჩვენ* ჯგუფის წევრობის პარალელურად, მკაფიოდ არის გამოკვეთილი თვითიდენტიფიკაციის პროცესი, რაც ხაზს უსვამს ქართველების თვითაღქმას ან/და თვითაღქმის ჩამოყალიბებას საბჭოთა კავშირთან, როგორც გარკვეულ წარმოსახვით საზოგადოებასთან. ეს ხდება როგორც ეროვნების, ისე ქართული ენის მნიშვნელობის შეხსენება/ხაზგასმით.

ქართულ ნაწარმოებებში უფრო მეტად აქცენტირებულია ურთიერთობები, ვიდრე იდეოლოგია. ურთიერთობები და მეგობრობა უფრო გამოკვეთილი და მნიშვნელოვანია. ასევე, ეს ურთიერთობები მიმდინარეობს *ბავშვებს*, და არა *პიონერებს* შორის. ანუ ამ მხრივ იდეოლოგია ნაკლებად აქცენტირებულია. ის თვისებები, რაც რუსულ ნაწარმოებებში პიონერისთვის მისაღებად ან სულაც სავალდებულოდ მიიჩნევა, ქართულში შეიძლება დადებით თვისებად არ იყოს აღქმული (მაგალითად, ნაწარმოებში „ვასიოკ ტრუბაჩოვი და მისი ამხანაგები“ (ვ. ოსეევა) პიონერების მიერ ერთმანეთის დანაშაულზე მითითება, რაც იდეოლოგიური კუთხით სწორ და პიონერისთვის სავალდებულო საქციელად ითვლება, „იყალბოე ბიჭებში“ (ლ. მრელაშვილი) მეგობრის დაბეზღებად აღიქმება და ასეთ ბიჭთან ურთიერთობა აღარ უნდათ, რგოლის ხელმძღვანელი გალახვითაც კი ემუქრება მას).

ქართულ საბჭოთა საბავშვო ნაწარმოებებში არაერთგვაროვანია დამოკიდებულება შრომის მიმართ: ზოგჯერ პიონერები ცდილობენ სამუშაოს თავიდან არიდებას. ამისათვისაც ტყუილსაც იყენებენ. თვალშისაცემი სხვაობა ვლინდება პიონერ-

ხელმძღვანელთან დამოკიდებულებაშიც: რუსულ ნაწარმოებებში მას აფასებენ და პატივს სცემენ როგორც პიონერები, ისე მასწავლებლებიც და სხვა უფროსი ადამიანები (ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია კომკავშირელის სტატუსიც); ქართულ ნაწარმოებებში კი ვხვდებით პიონერხელმძღვანელისთვის მიუღებელ ქცევებს. განსხვავდება ურთიერთ-მიმართება კომკავშირელსა და პიონერს შორისაც: არ იგრძნობა განსაკუთრებული პატივისცემა პიონერების მხრიდან და ზრუნვა - პიონერხელმძღვანელის მხრიდან. ასევე, აღსანიშნავია უფროსების დამოკიდებულება კომკავშირელების მიმართ: მათ ჯერ ისევ ბავშვებად აღიქვამენ და რთული გადაწყვეტილებების მიღებაში ბოლომდე არ ენდობიან, მაშინ როდესაც რუსულ ნაწარმოებებში კომკავშირელის სახე ანგარიშგასაწევ ადამიანსა და მებრძოლს უკავშირდება, კომკავშირელის წასვლა ომში ბუნებრივ ამბად მიიჩნევა. 1960-იანი წლებიდან რუსულ ნაწარმოებებშიც კლებულობს კომკავშირელის/პიონერ-ხელმძღვანელის მსგავსი იდეოლოგიზებული სახე; აქვე გასათვალისწინებელია, რომ პიონერხელმძღვანელის ეს ახალი სახე პიონერების მხრიდანაც არ იმსახურებს მოწონებას.

რუსულ ნაწარმოებებში პიონერხელმძღვანელის მნიშვნელოვანი იდეოლოგიური დატვირთვის გათვალისწინებით, განსაკუთრებით თვალშისაცემია სხვაობა ურთიერთმიმართებაში ბიჭებსა და გოგონებს შორის. რუსულ ნაწარმოებებში პიონერხელმძღვანელის სტატუსი უკვე განაპირობებს შესაბამის დამოკიდებულებას, რაც არ განისაზღვრება გენდერით. პიონერხელმძღვანელი გოგონა ისეთივე ანგარიშგასაწევია პიონერების მხრიდან, როგორც ბიჭი. რაც შეეხება პიონერებს შორის ურთიერთობებს, გოგონასა და ბიჭს შორის ურთიერთობა გაცილებით უფრო თანასწორია. გარკვეულწილად, ეს იდეოლოგიური მოსაზრებებით არის განპირობებული (ვ. ოსეევას „ვასიოკ ტრუბაჩოვი და მისი ამხანაგები“, ა. რიბაკოვის „დაშნა“, „ბრინჯაოს ფრინველი“); თუმცა იმ ნაწარმოებებშიც, რომლებშიც იდეოლოგიური ზეგავლენა იმდენად ინტენსიურად აღარ არის გამოვლენილი (პ. კატაევის „ხუთი რობინზონი“, ი. ტომინის „ბორკა, მე და უჩინმაჩინი“), ურთიერთობის ეს ფორმა არათუ იკლებს, პირიქით იმატებს კიდევ. გოგონები უფრო დამოუკიდებელ და აქტიურ პერსონაჟებად არიან გამოხატულნი. ამ მხრივ, მკაფიო განსხვავებაა ქართულ ნაწარმოებებში: გოგონები ბიჭების მხრიდან

ზოგადად არასერიოზულად, ირონიულად არიან აღქმული. გოგოს ნათქვამი არ არის ანგარიშგასაწევი ან სანდო. საყურადღებოა, რომ ქართულ ნაწარმოებებში გოგონა ხელმძღვანელის როლშიც არ აღიქმება სერიოზულად; ქართულში პიონერხელმძღვანელის სტატუსი არ ატარებს ისეთ ძლიერ იდეოლოგიურ დატვირთვას, რასაც რუსულ ნაწარმოებებში. ხელმძღვანელი გოგოს დაცინვა დასაშვები და ჩვეულებრივი ქცევაა. თუკი ბიჭი თავიდანვე არის წარმოდგენილი ანგარიშგასაწევ და უპირატეს მდგომარეობაში, გოგო ხშირად ხდება დაცინვისა და შეფასების ობიექტი (არამხოლოდ ბიჭების მხრიდან). ურთიერთობაც არ არის თანასწორი: გოგონა უფრო დამთმობი და მომთმენია, იმავე ტონით არ პასუხობს ბიჭს, შეიძლება უარი თქვას საკუთარ სურვილზე, სხვის (ბიჭის) სასარგებლოდ. გადაწყვეტილების მიმღები, ძირითადად, ბიჭია. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც გოგო აქტიური და დამოუკიდებელია, მისი ენერჯია ისევ სხვაზე მზრუნვე-ლობისკენ არის მიმართული. (ე. ყიფიანის „ათფურცლიანი რვეულები“, ალ.ჩხაიძის „როცა მთავრდება ბავშვობა“, ლ მრელაშვილის „იყალბოე ბიჭები“).

ამ კუთხით განსხვავდება ნ. ნაკაშიძის ნაწარმოები, რასაც კონკრეტული მიზეზიც აქვს (საუბარია ავტორის საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე). ნაწარმოებში წამოჭრილი საკითხებიც (სკოლის შემდეგ სწავლის გაგრძელება, პროფესიის ქონა და მუშაობა, ქალი ვალდებულია მოითმინოს და ა.შ.) გოგონას/ქალის ცხოვრებაში რეალურად არსებულ პრობლემებს ასახავს, რომლებიც მამაკაც ავტორებთან არ არის გამოხატული. აღნიშნულ პრობლემებს ნ. ნაკაშიძე კონკრეტული პერსონაჟების (ირინე ლაკანაური, ლალი) შეპირისპირების და მთავარი მოქმედი გმირის (ალიკოს) კომენტარების საშუალებით წარმოაჩენს.

კვლევაში განხილულ რუსულ საბავშვო ნაწარმოებებში გოგონა/ქალი პირველ რიგში იდეოლოგიური კუთხით არის დანახული, როგორც საბჭოთა სოციალური წევრი და კომუნისმის მშენებლობაში ჩართული ადამიანი. თუმცა საყურადღებოა, რომ ეს დამოკიდებულება 60-იანი წლების დასაწყისში შედარებით შერბილებულია („ხუთი რობინზონი“, „ბორკა, მე და უჩინმაჩინი“). ქართულ ნაწარმოებებში იდეოლოგიური ხაზი ყოველთვის ასე სწორხაზოვანი არ არის, ქალსა და მამაკაცს, ბიჭსა და გოგონას შორის

ურთიერთობის საკითხი გაცილებით მეტი სიმწვავეით არის დასმული, ვიდრე რუსულში. თუკი რუსულ ნაწარმოებებში ამ ურთიერთობის ძირითადი აქცენტი იდეოლოგიურია, ქართული გაცილებით მეტ პლასტს მოიცავს. გოგოს აქტიური ხასიათიც ისევ სხვაზე მზრუნველობასა და მოვლაში გამოიხატება, და არა რაიმე სხვა სახის, თუნდაც სოციალურ აქტივობაში.

ასევე საყურადღებოა მებრძოლი გოგონა/ქალი პერსონაჟების არსებობის საკითხი ნაწარმოებებში. მოცემული კვლევის ფარგლებში ეს პერსონაჟები მხოლოდ ქალ ავტორებთან შეგვხვდა. ვ.ოსეევასთან ქალი მებრძოლის რამდენიმე განსხვავებული სახეა, ნ.ნაკაშიძესთან კი მხოლოდ ერთი, და რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, ეს ქალიც კორეელია და არა ქართველი.

ამრიგად, კვლევამ დაადასტურა ჩვენი ჰიპოთეზა, რომ საბჭოთა ადამიანის იდენტობის ფორმირებისთვის გამოყენებული იქნებოდა იდენტობის უკვე არსებული მახასიათებლები, რომლებიც დაიტვირთა იდეოლოგიური მნიშვნელობით. მან ასევე აჩვენა, რომ საბჭოთა იდენტობის საფუძვლად მიჩნეული მახასიათებლები თითოეულ კულტურაში განსხვავებულად იყო გააზრებული. მიუხედავად იმისა, რომ ორივე კულტურამ განიცადა ერთი და იმავე იდეოლოგიის ზეგავლენა, ვერ მოხერხდა კულტურის ბირთვში არსებული ფასეულობების გაერთმნელოვნება. ეს განსხვავებები ასახა საბჭოთა პერიოდის რუსულ და ქართულ საბავშვო მხატვრულ ნაწარმოებებში ჩამოყალიბებულმა მახასიათებლებმა და ხატებმა.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ საბჭოთა ადამიანი იდენტობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა შემდეგ მახასიათებლებს: საერთო ტერიტორია, წარსული, ჩვენ და სხვა ჯგუფი, კოლექტივიზმი და ინდივიდუალიზმი; ასევე, საბავშვო ნაწარმოებები მკითხველზე ზემოქმედებას ახდენდნენ კულტურული გმირის, ომის საკრალიზაციის, მტრის ხატის, პიონერის და კომკავშირელის ხატების ჩამოყალიბების მეშვეობით.

ამ მახასიათებლების ზემოქმედების ინტენსივობა იცვლებოდა საკლავი პერიოდის განმავლობაში: 1938 წლიდან დაწყებული, ის განსაკუთრებით აქტიური ხდება

სამამულო ომის შემდგომ წლებში და ნარჩუნდება 1950-იანი წლების შუა პერიოდამდე. შემდეგ ინტენსივობა ოდნავ კლებულობს, 1950-იანი წლების ბოლოს და 1960-იანი წლების დასაწყისში კი თვალსაჩინო ხდება გარკვეული ცვლილებები.

გამოყენებული ლიტერატურა

სამეცნიერო ლიტერატურა

1. ანდერსონი, ბ. „წარმოსახვითი საზოგადოებანი. მოსაზრებანი ნაციონალიზმის წარმოშობისა და გავრცელების შესახებ“, თბილისი, გამომცემლობა „ენა და კულტურა“, 2003
2. ბაქრაძე, ა. „მწერლობის მოთვინიერება“, თბილისი, რუსთაველის საზოგადოების გამომცემლობა „სარანგი“, 1990
3. გაფრინდაშვილი, ნ., მირესაშვილი, მ., წერეთელი, ნ., „სოციალისტური რეალიზმის თეორიული ისტორია (ქართული ლიტერატურის მაგალითზე)“ თბილისი, „ნეკერი“ 2010
4. სმითი, ე.დ. „ნაციონალური იდენტობა“, თბილისი, გამომცემლობა „ლოგოს პრესი“, 2008
5. ღვინიაშვილი, ა. „ნარკვევები ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიიდან“, თბილისი, „ნაკადული“ 1972
6. ჰოფსტედე, გ., ჰოფსტედე, გ.ი. „კულტურები და ორგანიზაციები. გონების პროგრამული უზრუნველყოფა“ თბილისი; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა; 2011
7. **Chrissidis, N (ed)** et al. “Religion and Identity in Russia and the Soviet Union: a festschrift for Paul Bushkovitch.” Bloomington, Indiana, Slavica Publishers, 2011
8. **Clark, K.** “The Soviet Novel History as Ritual” London; The University of Chicago Press Chicago and London; 1981
9. **Culler, J.** “Structuralist Poetics. Structuralism, linguistics and the study of literature.“ London and New York, Routledge Classics, Taylor & Francis e-Library, 2004
10. **Erll, A.** „Memory in Culture.“ England, Palgrave Macmillan Memory Studies, 2011
11. **Halbwachs, M.** “On Collective Memory” The University of Chicago Press Chicago and London, 1992

12. **Krippendorff, K.** “Content Analysis. An introduction to its methodology.” Thousand Oaks. London. New Delhi, Sage Publications, Inc.2004
13. **Levi-Strauss, C.** “Structural anthropology.” New York, BASIC BOOKS, Inc. Publishers, 1963
14. **MacMillan, M.** “The Uses and Abuses of history“ Canada, Penguin Group, 2008
15. **Nora, P.**(Under the direction) “Realms of Memory. The Construction of the French Past”, Columbia University Press New York 1996
16. **Rayfield, D.** ”ქართული ლიტერატურის ისტორია. The Literature of Georgia. History“ England, UK. Curzon Caucasus World, Curzon Press, 2000
17. **Suny R.G. (ed.)** “The Cambridge History of Russia. The Twentieth Century.” Volume III Cambridge, Cambridge University Press, 2006
18. **Vuorinen, M. (ed.)** “Enemy images in war propaganda”, Newcastle upon Tyne, UK, Cambridge Scholars Publishing, 2012
19. **Zerubavel, E.** „Time Maps: Collective memory and social shape of the past.“ Chicago and London, the University of Chicago press, 2003
20. **Добренко, Е. А.** «Поздний Сталинизм. Эстетика Политики.» В Двух Томах. Том 1, Москва Новое литературное обозрение, 2020
21. **Добренко, Е. А.** «Поздний Сталинизм. Эстетика Политики.» В Двух Томах. Том 2, Москва Новое литературное обозрение, 2020
22. **Маршак, С.** «Воспитание Словом (Статьи, Заметки, Воспоминания).» Собрание Сочинений в четырёх Томах, Том 4, Москва, Издательство «Правда», 1990
23. **Фортунатов В. В.** «История: Учебное пособие. Стандарт третьего поколения». Для
24. бакалавров и специалистов, Санкт-Петербург, Издательство «Питер», 2012
25. **Фортунатов В. В.** «Ленин и Интеллигенция» , Российский междисциплинарный журнал социально-гуманитарных наук «Интеллигенция и Мир.» ISSN 1993-3959 Ежеквартальное издание № 2, Иваново, «Ивановский государственный университет» 2021; с. 51-66.

მხატვრული ლიტერატურა

26. გაიდარი, ა. „რჩეული მოთხრობები“, პიონერის ბიბლიოთეკა, ტომი 1, თბილისი, „ნაკადული“ 1979: „თემური და მისი რაზმი“, გვ. 221-290
27. გაიდარი, ა. „ჩუკი და გეკი“, თბილისი, „ნაკადული“ 1968
28. კატაევი, პ. „ხუთი რობინზონი“ თბილისი. „ნაკადული“ 1966
29. ლაგინი, ლ. „მოხუცი ხოტაბიჩი: მოთხრობა ზღაპარი“ თბილისი. საბლიტგამი 1958
30. მრელაშვილი, ლ. „იყალთოელი ბიჭები“, თბილისი, „ნაკადული“, 1974
31. ნაკაშიძე, ნ. „ყველამ მიულოცა“; თბილისი; საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა, 1957: „მოწაფის დღიური“, გვ. 119-213. „კორეელი გმირები“, გვ. 229-231. „მორანბონის მთაზე“, გვ. 256-261.
32. ოსეევა, ვ. „ვასიოკ ტრუბაჩოვი და მისი ამხანაგები“, ტომი 1, თბილისი; საბლიტგამი 1951.
33. ოსეევა, ვ. „ვასიოკ ტრუბაჩოვი და მისი ამხანაგები“, ტომი 2, თბილისი; საბლიტგამი 1952.
34. ოსეევა, ვ. „ვასიოკ ტრუბაჩოვი და მისი ამხანაგები“, ტომი 3, თბილისი; საბლიტგამი 1953
35. პერფილიევა, ა., „დარტანიანის დაშნა.“; თბილისი. საქართველოს სსრ საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა, „ნაკადული“, 1961
36. რიბაკოვი, ა., „დაშნა“, „ბრინჯაოს ფრინველი.“ თბილისი. საქართველოს სსრ საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა „ნაკადული“, 1962: „დაშნა“ გვ. 7-260; „ბრინჯაოს ფრინველი“ გვ. 263-532.
37. „ქართველ მწერალთა ნაწარმოებები“; სათავგადასავლო ბიბლიოთეკა, თბილისი, „ნაკადული“, 1960: მრელაშვილი, ლ. „იყალთოელი ბიჭები“, გვ. 193-462, იოსელიანი, ო. „კახას თავგადასავალი“, გვ. 465-626
38. ტომინი, ი. „ბორკა, მე და უჩინმაჩინი.“; თბილისი. „ნაკადული“, 1964

39. ტომინი, ი. „ჯადოქარი დადის ქალაქში: მოთხრობა, სადაც სასწაულები ხდება...“ თბილისი, „ნაკადული“ 1965
40. ყიფიანი, ე. ორტომეული, ტომი I. თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1974: „ათფურცლიანი რვეულები“- „მეტოქეები“, გვ.376-398.
41. ჩხაიძე, ალ. „როცა მთავრდება ბავშვობა,“ თბილისი, „ნაკადული“, 1965
42. გაიდარ, ა. «Избранное» Москва. «Советский Писатель», 1947: «Чук и Гек», с. 398-424. «Тимур и его команда», с. 425-489
43. გაიდარ, ა. «Тимур и его команда» (сборник) «Школьное чтение», «Издательство АСТ». 2015: «Чук и Гек», с. 34-61 «Тимур и его команда», с. 63-127. (მიითითებულია ელექტრონული დოკუმენტის გვერდები).
https://royallib.com/book/gaydar_arkadiy/timur_i_ego_komanda_sbornik.html
44. ოსევა, ვ., «Васёк Трубачёв и его товарищи.» Библиотека Пионера. Москва. «Детгиз» Государственное издательство детской литературы Министерства Просвещения РСФСР, 1961
45. ტომინი, ი. „Шёл по городу волшебник“, Ленинград. Изд. «Детская литература» 1965: «Борька, Я и Невидимка» с. 7-140, «Шёл по городу волшебник», с. 145-348
46. ლაგინი ლ. ი. “Старик Хоттабыч” Москва, Детгиз. 1958
47. ლაგინი ლ. ი. “Старик Хоттабыч” (1951) Ленинград, Детгиз. 1953
<https://traumlibrary.ru/page/lagin-hottabych-1951.html>
48. ლაგინი ლ. ი. “Старик Хоттабыч” (1938) Москва, Детгиздат, 1940
<https://traumlibrary.ru/page/lagin-hottabych-1938.html>
49. რებაკოვი, ა. «Бронзовая птица.» Москва. Детгиз. 1959
50. პერფილევა, ა. «Шпага Дартаньяна» Детгиз. 1956

პერიოდული პრესა

51. ჟურნალი „დილა“ № 5, მაისი, თბილისი, საბლიტგამი 1958

ელექტრონული რესურსები

52. «Давайте организуем к Новому году детям хорошую елку!» Газета «Правда» от 18 декабря 1935 года. © 2024 Музей ЦСДФ.

იხ: <https://csdfmuseum.ru/history/730%D0%B4%D0%B0%D0%B2%D0%B0%D0%B9%D1%82%D0%B5%D0%BE%D1%80%D0%B3%D0%B0%D0%BD%D0%B8%D0%B7%D1%83%D0%B5%D0%BC-%D0%BA-%D0%BD%D0%BE%D0%B2%D0%BE%D0%BC%D1%83%D0%B3%D0%BE%D0%B4%D1%83-%D0%B4%D0%B5%D1%82%D1%8F%D0%BC-%D1%85%D0%BE%D1%80%D0%BE%D1%88%D1%83%D1%8E-%D0%B5%D0%BB%D0%BA%D1%83>

53. თოფურია თ. „როგორ აკრძალა სტალინმა ნაძვის ხე.“ „რადიო თავისუფლება“ დეკემბერი 20, 2023

იხ: <https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%AB%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%AE%E1%83%94/32740567.html>